უშანგი სამადაშვილი

# დივერსიფიკაცია – საქართველოს ეკონომიკური ზრდის კატალიზატორი

გამომცემლობა „უნივერსალი“
თბილისი 2016

უშანგი სამადაშვილი. დივერსიფიკაცია-საქართველოს ეკონომიკური ზრდის კატალიზატორი. თბ., 2016წ. -180 გვ.

**ავტორი: უშანგი სამადაშვილი,** ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

წინამდებარე მონოგრაფიაში საქართველოს ეკონომიკაში არსებული არასახარბიელო მდგომარეობის ანალიზისა და შეფასების საფუძველზე შემუშავებულია წინადადებები და რეკომენდაციები საქართველოს სავაჭრო პარტნიორების, პროდუქციისა და უცხოური ინვესტიციების დივერსიფიკაციის შესახებ.

შემოთავაზებული წინადადებების რეალიზაცია, ავტორის აზრით, ხელს შეუწყობს ეკონომიკური ზრდის დაჩქარებას, ნაზრდი შემოსავლის მიზნობრივ, სამართლიან განაწილებას, მოსახლეობის საყოველთაო, დიფერენციულ კეთილდღეობას და საქართველოს თითოეულ მოქალაქეში კანონზომიერი სიამაყისა და ქვეყნისადმი პატრიოტიზმის გრძნობის ჩამოყალიბებას. გამოკვლევის ძირითადი ფასეულობაა ახალი იდეები, მათი თეორიულ-პრაქტიკული ხასიათი და საქართველოს პირობებთან და თავისებურებებთან ადაპტირება.

ნაშრომი განკუთვნილია უმაღლესი სასწავლებლების ეკონომიკისა და ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულების ბაკალავრების, მაგისტრანტების, დოქტორანტების, პროფესორ-მასწავლებლების, დამწყები და მოქმედი მეწარმეებისა და მენეჯერებისათვის, ასევე, დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისათვის.

**რედაქტორი:** ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი **თ. ბერიძე**

**რეცენზენტები:**
1. ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი **თ. შენგელია**
2. ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი **შ. ვეშაპიძე**

ნაშრომი შესრულებულია თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საერთაშორისო ბიზნესის კათედრაზე

© უ. სამადაშვილი, 2016

გამომცემლობა „უნივერსალი", 2016

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge; universal505@ymail.com

ISBN 978-9941-22-823-0

# სარჩევი

შესავალი.....7

1. საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობა, ზრდის დაჩქარების ობიექტური აუცილებლობა და პრიორიტეტები.....19
2. დივერსიფიკაციის პრობლემები და მათი გადაწყვეტის გზები მცირე და ღია ეკონომიკის საქართველოში.....61
3. საქართველოს საგარეო სავაჭრო-ეკონომიკური ორიენტაციის ძირითადი ვექტორები .....116

დასკვნა.....145
გამოყენებული ლიტერატურა .....159
დივერსიფიკაცია – საქართველოს ეკონომიკური ზრდის კატალიზატორი (რეზიუმე – ინგლისურ ენაზე) .....167

# CONTENTS

Introduction ..... 7

1. Economic Situation in Georgia, Inevitability of Growth Enhancement and its Priorities ..... 19
2. Diversification Problems and Their Solutions in the Small and Open Economy of Georgia ..... 61
3. Basic Vectors of Foreign Trade and Economic Orientation of Georgia ..... 116

Conclusion ..... 145
References ..... 159
Diversification - The Catalyst for The Economic Growth of Georgia (Summary) ..... 167

# შესავალი

**თემის აქტუალურობა.** თანამედროვე საქართველოს ეკონომიკაში პრობლემების ნაკლებობა ნამდვილად არ იგრძნობა, მაგრამ მათ შორის ერთ-ერთი ყველაზე მწვავეა მოსახლეობის ცხოვრებისა და კეთილდღეობის არასაკმარისი დონე. აღნიშნულზე მეტყველებს მსოფლიო ბანკის მიერ შემოთავაზებული შემოსავლების მიხედვით ქვეყნების ახალი კლასიფიკაცია, რომლის თანახმად, მართალია საქართველომ მოსახლეობის ერთ სულზე 4160 აშშ დოლარით ქვედა საშუალო შემოსავლების მქონე ქვეყნიდან ზედა საშუალო შემოსავლების მქონე ქვეყნების კატეგორიაში გადაინაცვლა (ზედა საშუალო შემოსავლების ჯგუფი-მშპ მოსახლეობის ერთ სულზე 4 036 აშშ დოლარიდან 12 476 აშშ დოლარამდე), მაგრამ აღნიშნული მაჩვენებლით ის მაღალი შემოსავლების ჯგუფის ქვეყნების მინიმალურ ზღვარს (12476 აშშ დოლარი) მაინც ჩამორჩება დაახლოებით (12476/4160=3) სამჯერ, ხოლო ევროკავშირის საშუალო მაჩვენებელს (32000 აშშ დოლარი მოსახლეობის ერთ სულზე)-დაახლოებით (32000/4160=7,7) 7,7 ჯერ [72].

ნათქვამიდან გამომდინარე, საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე მწვავე გამოწვევაა ეკონომიკის სტაბილური და გრძელვადიანი ზრდა, რადგანაც ამის გარეშე შეუძლებელია ევროკავშირში გაწევრიანებაზე ორიენტირებული საქართველოს ეკონომიკური ჩამორჩენის დაძლევა, საშინაო და საგარეო სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტა და მოსახლეობის ცხოვრების დონის განუხრელი ამაღლება. კერძოდ: უმუშევრობის შემცირება, სილატაკის დაძლევა და სილარიბის შეზღუდვა, უკეთესი კვება, საყოფაცხოვრებო და საბინაო პირობების გაუმჯობესება, ხარისხიან განათლებაზე და ჯანდაცვაზე წვდომა, ტურისტული მოგზაურობა, სიცოცხლის ხანგრძლივობა, ინფრასტრუქტურის ჯეროვნი განვითარება, ახალი ბაზრების მოთხოვნების შესაბამისად წარმოების მოდერნიზაცია და შემდგომი გაფართოება, გარემოს დაბინძურების წინააღმდეგ

ბრძოლა, ქვეყნის უარყოფითი სავაჭრო სალდოს თანდათანობით შემცირება და სავაჭრო ბალანსის გამოჯანსაღება, თავდაცვისუნარიანობის განმტკიცება, საქართველოს ავტორიტეტისა და ცნობადობის ამაღლება და სხვა.

თავის მხრივ, ეკონომიკური ზრდისთვის ანუ ქვეყნის ეკონომიკური გააქტიურებისათვის აუცილებელია ზრდადი მოთხოვნა. საქართველოს კი აქვს მცირე მასშტაბის ბაზარი, რომელიც ზღუდავს საშინაო წარმოებას და ნაკლებ იზიდავს უცხოურ ინვესტორებს. სწორედ ამიტომ, საჭიროა (თავისუფალი ვაჭრობის შესახებ არსებული და მომავალი შეთანხმებების საფუძველზე) საქართველოს საშინაო მოთხოვნას დაემატოს საგარეო მოთხოვნა, რათა გაიზარდოს ბაზრის მასშტაბი და ქვეყანა გახდეს უფრო მიმზიდველი მსხვილ უცხოურ ინვესტორთათვის.

თუმცა, ბაზრის მასშტაბის გაფართოება პანაცეა (უებარი საშუალება) არ არის. ამასთან ერთად, მიზანშეწონილია პოტენციური ბაზრების შესახებ ინფორმაციის მოძიება, შესწავლა და მიწოდება ქართველი მეწარმეებისა და ინვესტორებისათვის, გაზრდილი მოთხოვნის შესაბამისად სამამულო წარმოების მოდერნიზება, საერთაშორისო ბაზრებზე ოპერირების ცოდნისა და უნარ-ჩვევების გამომუშავება, მსხვილი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვისათვის კომფორტული ბიზნეს-გარემოს შექმნა და ყოველივე ამის საფუძველზე საშინაო და საერთაშორისო კონკურენტუნარიანი პროდუქციის მიწოდება, ანუ ეკონომიკური ზრდა.

მსოფლიოს ყველაზე სწრაფად განვითარებადი ქვეყნების, ე.წ. „აზიური ვეფხვების“ (სამხრეთ კორეა, სინგაპური, ტაივანი და მალაიზია) გამოცდილება ცხადყოფს, რომ წარმატებული წინსვლა გულისხმობს საგარეო ბაზრებზე ექსპორტის ორიენტირებით ეკონომიკურ ზრდას. სწორედ ამიტომ, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ქვეყნის ეკონომიკის ღიაობა (ლიბერალიზაცია), რეგიონალური და გლობალური ინტეგრაცია ეკონომიკური ზრდა-განვითარების უმნიშვნელოვანესი პირობაა. თანაც, რაც უფრო მცირეა ქვეყანა, მით უფრო აშ-

კარად ვლინდება აღნიშნული კანონზომიერება. ამასთან, საქართველომ უნდა უზრუნველყოს საზღვრების უსაფრთხოება არა მხოლოდ საკუთარი მოსახლეობის დასაცავად, არამედ იმისთვისაც, რომ არ დაუშვას კეთილსინდისიერ მეწარმეობაზე კონტრაბანდისა და ფალსიფიცირების ნეგატიური ზეგავლენა [62,გვ.6].

უნდა შევნიშნოთ ისიც, რომ ქვეყნის საგარეო სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების ლიბერალიზაციითა და დივერსიფიკაციით ეკონომიკური ზრდის სტიმულირება დამოკიდებულია არა მხოლოდ ზოგადი კანონზომიერებების ცოდნასა და დაცვაზე, არამედ იმ ქვეყნის ეკონომიკური, პოლიტიკური, სამართლებრივი, ტექნოლოგიური, ისტორიული, გეოპოლიტიკური, თუ ეროვნული თავისებურებების გათვალისწინებაზეც, სადაც იგი ხორციელდება. ყველაფერი ეს კი მეცნიერ-ეკონომისტებისგან პრინციპულად ახალი მოვლენებისადმი არაორდინალურ მიდგომასა და მეცნიერულ ინტუიციას მოითხოვს. ამ თვალსაზრისით, სამამულო მეცნიერებისა და პრაქტიკოსების მიერ ეროვნული პირობებისა და თავისებურებების გათვალისწინებით შემუშავებული წინადადებები და რეკომენდაციები, სავაჭრო-ეკონომიკური ურიერთობათა დივერსიფიკაციის საფუძველზე ეკონომიკური ზრდის დაჩქარებასთან დაკავშირებით, ვფიქრობთ, უფრო ფასეული უნდა იყოს, ვიდრე უცხოელი სპეციალისტებისა. სწორედ ამ გარემოებამ განაპირობა წინამდებარე ნაშრომის თემის შერჩევა.

**საკვლევი პრობლემის დამუშავების დონე.** ეკონომიკურ ზრდაზე და საგარეო სავაჭრო-ეკონომიკური ლიბერალიზაციის ცალკეულ ასპექტებზე მრავლად აქვთ ნაშრომები მეცნიერ-ეკონომისტებს, როგორც ახლო და შორეულ საზღვარგარეთში (ბ. ბალასი, ლ. ბალცეროვიჩი, ფ. ბონანო, ა. ბულატოვი, ე. გრეჰემი, რ. ვერნორი, ვ. ვინსენტზი, რ. დიგინგსი, კ. კორდონიე, დ. ლინოტირი, ა. პილინი, დ. როდრიკი, ჟ.სალივანი, ი. სამსონი, ა. უზაგალიევა, ბ. ქერნოუ, მ. შმიდტი, ჯ. ჰოვარდი, პ. ჩევემეტი და სხვ.), ისე საქართველოში (რ. აბესაძე, ი. არჩვაძე, თ. ბერიძე, გ. ბერულავა, რ. გველესიანი, ა. გრი-

შიკაშვილი, შ. ვეშაპიძე, მ. თოქმაზიშვილი, მ. კაკულია, ნ. კაკულია. ი. მესხია, დ. მღებრიშვილი, ი. ნათელაური, ე. მექვაბიშვილი, დ. ნარმანია, ვ. პაპავა, ა. სილაგაძე, დ. სიხარულიძე, რ. ფუტკარაძე, გ. ღაღანიძე, თ. შენგელია, ლ. ჩიქავა, ნ. ხადური, ე. ხარაიშვილი, რ. ჯავახიშვილი და სხვ.).

მიუხედავად ამისა, საქართველოში ეს პრობლემები, კომპლექსურად და ქვეყნის პირობებისა და თავისებურებების გათვალისწინებით, მაინც ნაკლებ შესწავლილ სფეროდ ითვლება. წინამდებარე გამოკვლევა სწორედ არსებული სიცარიელის შევსების ერთ-ერთი მოკრძალებული ცდაა. სამეცნიერო ნაშრომის გამოქვეყნებას საფუძვლად დაედო ავტორის მიერ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატიები საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ, ასევე, კონფერენციებზე გაკეთებული მოხსენებები და წაკითხული სალექციო კურსები.

**სამეცნიერო ნაშრომის მიზანია** საქართველოს ეკონომიკაში არსებული არასახარბიელო მდგომარეობის ანალიზისა და შეფასების საფუძველზე წინადადებებისა და რეკომენდაციების შემუშავება საქართველოს სავაჭრო პარტნიორების, პროდუქციისა და უცხოური ინვესტიციების დივერსიფიკაციის შესახებ.

**დასახული მიზნიდან გამომდინარე გამოკვლევის ამოცანებია:** საქართველოს ეკონომიკაში არსებული არასახარბიელო მდგომარეობის ანალიზი და მისი გამომწვევი მიზეზებისა და ხელშემწყობი ფაქტორების **გამოვლენა;** ამ მდგომარეობიდან გამოსვლისათვის ეკონომიკური ზრდის დაჩქარების ობიექტური აუცილებლობის **დასაბუთება** და ძირითადი პრიორიტეტების **განსაზღვრა;** ეკონომიკური ზრდის დაჩქარების უზრუნველყოფისათვის საგარეო სავაჭრო – ეკონომიკური ურთიერთობების ქვეყნობრივი, სასაქონლო სტრუქტურის და უცხოური ინვესტიციების დივერსიფიკაციის როლისა და მნიშვნელობის **გაშოკვეთა;** საქართველოს საგარეო სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების დივერსიფიკაციის ხელშეწყობისათვის წინადადებებისა და რეკომენდაციების **შემუშავება.**

**გამოკვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები და საინფორმაციო წყაროები.** ნაშრომის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძველია შემეცნების დიალექტიკურ-სისტემური მეთოდი, ეკონომიკური თეორიის ფუნდამენტური დებულებები, ქართველი და უცხოელი მეცნიერ-ეკონომისტების ნაშრომები, სადაც შესწავლილი და განზოგადებულია, თუ შეფარდებითი უპირატესობის მქონე საექსპორტო დარგების განვითარება როგორ უხსნის ახალ შესაძლებლობებს დივერსიფიკაციას, განვითარებად და ბაზარზე გარდამავალი პერიოდის ქვეყნებს უზრუნველყონ ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპები, მაქსიმალური მობილიზაცია გაუკეთონ შიდა რესურსებსა და უცხოურ ინვესტიციებს მნიშვნელოვანი კაპდაბანდებებისათვის, წაახალისონ სამამულო ბიზნესის შიდა და საერთაშორისო აქტიურობა, დაასაქმონ უმუშევრები და, საბოლოო ანგარიშში, აამაღლონ ეროვნული ეკონომიკის ეფექტიანობა.

ამოსავალ თეორიულ დებულებად აღებულია ის, რომ საბაზრო ეკონომიკის მშენებელი მცირე ქვეყანა საგარეო ვაჭრობაზეც, ანუ მსოფლიო ეკონომიკაში ინტეგრაციაზეც უნდა იყოს ორიენტირებული. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ადრინდელი, ტრადიციული სავაჭრო კავშირების შენარჩუნება, მაგრამ ამავდროულად აუცილებელია ახალ, პერსპექტიულ გეოგრაფიულ ბაზრებზე შეღწევა და საექსპორტო საქონლის დივერსიფიკაცია. ქვეყნის სავაჭრო პოლიტიკა ხელს უნდა უწყობდეს ვაჭრობის გეოგრაფიული ვექტორის ეტაპობრივ რეორიენტაციას, თუმცა, კონკრეტული სავაჭრო პოლიტიკის ეფექტიანობა მაინც ეკონომიკის რეალურ ფუნქციონირებაზე უნდა იყოს დამოკიდებული და არა ეკონომიკურ კონცეფციებზე **[14,გვ.47]**.

ნაშრომში მოხმობილი და გაანალიზებული ციფრობრივი ინფორმაცია ავტორის მიერ ძირითადად აღებულია საერთაშორისო სავალუტო ფონდის, მსოფლიო ბანკის, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის, პერიოდულ გამოცემათა მასალების, ასევე, სხვადასხვა ორგანიზაციის ვებ-

გვერდებზე არსებული მონაცემთა ბაზიდან. მუშაობის პროცესში გამოყენებულია აბსოლუტური და შეფარდებითი უპირატესობის მქონე პროდუქციის გამოვლენის, რაოდენობრივი და თვისებრივი ანალიზის, სინთეზის, აბსტრაქციის, მოდელირების, შედარებისა და ანალოგიის, მონაცემთა განზოგადების საექსპერტო შეფასებისა და კვლევის სხვა თანამედროვე მეთოდები.

## სამეცნიერო-კვლევის ძირითადი შედეგები

**გაანალიზებულია** საქართველოს ეკონომიკაში არსებული არასახარბიელო მდგომარეობა და გამოვლენილია მისი მომხმარებლური ბუნება. ხაზგასმულია, რომ მიწოდებისა და მოთხოვნის უდიდესი ნაწილი ქვეყნის გარეთ იქმნება, რის გამოც არსაკმარისადაა წარმოდგენილი მწარმოებელი და მომხმარებელი და სჭარბობს შუამავალი. შესაბამისად, საქართველოს ეკონომიკა, არსებითად, დგას არა სამ (მწარმოებელი, შუამავალი, მომხმარებელი), არამედ ერთ ფეხზე (შუამავალზე). ეს კი ეკონომიკის ამორფულობასა და არამდგრადობაზე მეტყველებს, რაც ამცირებს ეკონომიკური ზრდის ტემპებს. სწორედ ამიტომ, ეროვნული ეკონომიკის დაჩქარება უნდა განხორციელდეს არა მხოლოდ სამამულო საქონლის წარმოებისათვის, არამედ შიგა ბაზრის უმთავრესი სუბიექტის, მყიდველობითუნარიანი მომხმარებლების შესაქმნელადაც, ვინაიდან წარმოებაში საქონელთან ერთად მისი მომხმარებელიც იქმნება;

**გამოვლენილია,** რომ საქართველოში, XX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისიდან დღემდე, ცხოვრების დონე გარკვეულად ამაღლდა არა მხოლოდ ეკონომიკური ზრდის, არამედ მოსახლეობის რაოდენობის შემცირების ხარჯზეც. თავის მხრივ, მოსახლეობის რაოდენობის შემცირება განაპირობა, ჯერ ერთი, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დარღვევამ, სამუშაო ადგილების დეფიციტის გამო შრომითმა ემიგრაციამ და, მეორე, ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების გამო

სიკვდილიანობის ზრდამ და შობადობის შემცირებამ. ჩვენი აზრით, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას, სამუშაო ადგილების ზრდას, შრომითი ემიგრანტების უკან დაბრუნებასა და მოსახლეობის სიცოცხლის გახანგრძლივებას ხელი უნდა შეუწყოს ეფექტიანმა ეკონომიკურმა პოლიტიკამ, ხოლო შობადობის ზრდას-გონივრულმა დემოგრაფიულმა პოლიტიკამ;

**გახსნილია** ეკონომიკის ღიაობის არსი, ფორმები და დასაბუთებულია გარე სამყაროსთან საქართველოს ეკონომიკური ინტეგრაციის უპირატესად ცალმხრივობა, ასევე, არასახარბიელო სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობიდან გამოსვლისათვის ლიბერალური საგარეო ვაჭრობით ეკონომიკის ზრდის სტიმულირებისა და სავაჭრო ბალანსის გაჯანსაღების ობიექტური აუცილებლობა;

**გამოკვეთილია** ექსპორტის პოტენციალის გაძლიერებისა და, შესაბამისად, ეკონომიკური ზრდის ანუ ქვეყნის ეკონომიკური აქტიურობის ძირითადი პრიორიტეტები: ჰიდროენერგეტიკა; სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა ტვირთებისა და ენერგოპროდუქტების გადაადგილებისათვის (ევროპა-კავკასია-აზიას შორის სატრანსპორტო კორიდორი, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი, ბაქო-თბილისი-ერზერუმის გაზსადენი, ევროპის ყაზახეთთან და ჩინეთთან დამაკავშირებელი ყარსი-ახალქალაქი-თბილისი-ბაქოს სარკინიგზო მაგისტრალი, ბათუმის, ფოთისა და მშენებარე ანაკლიის მაღალწყლოვანი პორტი, საავტომობილო მაგისტრალი თურქეთს, ფოთსა და ბაქოს შორის. ყველაფერი ეს ხელს შეწყობს საქართველოს რეგიონის საერთაშორისო მნიშვნელობის ლოგისტიკურ და სატრანზიტო ჰაბად გადაქცევას); სოფლის მეურნეობა ნოყიერი ნიადაგით, წყლისა და მზის იშვიათი კომბინაციით და მასთან დაკავშირებული გადამამუშავებელი, კვებისა და მსუბუქი მრეწველობა; ტურიზმი, როგორც საქართველოს ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთი პრიორიტეტი, თავისი პოზიტიური და ნეგატიური ეფექტებით; მშენებლობა – არა მხოლოდ საბინაო, არამედ საწარმოოც; ფინანსური სექტორი;

**გამოვლენილია** რიგი მაკროეკონომიკური პარამეტრებით

(მოსახლეობის ერთ სულზე რეალური მშპ, უმუშევრობის დონე და სხვა) ევროკავშირის საშუალო მაჩვენებლებისაგან საქართველოს სერიოზული ჩამორჩენა. ამასთან, შემოთავაზებულია დაჩქარებული ეკონომიკური ზრდის გათვლები, პროგნოზები და გზები, სხვა თანაბარ პირობებში, ამ ჩამორჩენის დაძლევა-შერბილებასთან დაკავშირებით. ნაჩვენებია, რომ საქართველოს მოსახლეობის ცხოვრების დონის სისტემატური ამაღლებისა და განვითარებული ქვეყნებისაგან ჩამორჩენის დაძლევისათვის აუცილებელია არა ბოლო ოცდახუთი წლისათვის დამახასიათებელი ეკონომიკის საშუალო წლიური 3,3%-ით ზრდა, არამედ, საგარეო სავაჭრო-ეკონომიკური ვექტორების, ქვეყნობრივი (საბაზრო), სასაქონლო სტრუქტურისა და უცხოური ინვესტიციების დივერსიფიკაციის საფუძველზე გაცილებით მაღალი, შვიდი და მეტი პროცენტული მაჩვენებლით სტაბილური და გრძელვადიანი ზრდა. არგუმენტირებულია, რომ შემოთავაზებული ტემპით ეკონომიკის ზრდა სავსებით რეალურია საშუალო და გრძელვდიან პერსპექტივაში, რადგანაც ქვეყანაში არსებობს სერიოზული პოზიტიური გამოცდილება და რეზერვები;

**დასაბუთებულია** ეკონომიკური ზრდის დაჩქარებაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მნიშვნელობა და მისი დივერსიფიცირების ობიექტური აუცილებლობა, როგორც დსთ-ის, ევროკავშირის, ასევე სტრატეგიული ქვეყნების (აშშ-ი, კანადა, ჩინეთი, იაპონია და სხვ.) მიხედვით. ნაჩვენებია, რომ რაც მეტი ქვეყნის კაპიტალი შემოვა, მით ნაკლები იქნება რისკები და მით მეტი ქვეყანა დაინტერესდება საქართველოში მდგრადი და პროგნოზირებადი სტაბილურობითა და მშვიდობით. თუმც, ხაზგასმულია ისიც, რომ საქართველო, როგორც მცირე ბაზრის ქვეყანა, ნაკლებ მიმზიდველია უცხოური ინვესტიორებისათვის, რადგანაც არ იძლევა ბიზნესის მასშტაბის დადებით ეფექტს. ამ ნაკლოვანებას გარკვეულწილად ანეიტრალებს ის, რომ უცხოურ კომპანიებს შესაძლებლობა ეძლევათ საქართველოში დამზადებული პროდუქცია გაიტანონ დამღით „წარმოებულია საქართველოში“, როგორც

საკუთარ ქვეყანაში, ისე იმ ქვეყნებში, სადაც თავისუფალი საბაჟო დაშვებაა, რაც ზრდის ბიზნესის მასშტაბის გაფართოებით გამოწვეულ ეკონომიას;

**ნაჩვენებია,** რომ ყველა უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორ ქვეყანასთან (თურქეთი, რუსეთი, უკარიანა, აზერბაიჯანი, ევროკავშირის ქვეყნები, აშშ-ი თუ სხვ.) საქართველოს აქვს ქრონიკულად უარყოფითი სავაჭრო სალდო, რომლის დაძლევისთვის მიზანშეწონილია სამამულო პროდუქციის საშინაო და საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის ამაღლება და ამით მასზე საშინაო და საგარეო მოთხოვნის ზრდა, ანუ მეტი: ექსპორტი, დივერსიფიკაცია, ოპტიმიზაცია, რეექსპორტი, გონივრული იმპორტი, ასევე, მეტი: პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, ფულადი გზავნილები და საერთაშორისო ტურისტი. სავაჭრო ბალანსის გაჯანსაღების ეს რეცეფტი უნდა კორექტირდეს ყოველი პარტნიორი ქვეყნის სპეციფიკის გათვალისწინებით. ყოველივე ამის შედეგად, ვფიქრობთ, ეტაპობრივად შემცირდება უარყოფითი სალდო და მივიღებთ დადებით სავაჭრო ბალანსს;

**ხაზგასმულია,** რომ ქვეყანაში სოციალური მშვიდობისა და საზოგადოების საყოველთაო და დიფერენციული კეთილდღეობისათვის, ეკონომიკური ზრდის მაღალ ტემპებთან ერთად, აუცილებელია ნაზრდი შემოსავლის მიზნობრივი და სამართლიანი განაწილებაც;

**გამოკვეთილია,** რომ საქართველოს დაჩქარებული ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთი მთავარი პირობაა განვითარებული ადამიანური კაპიტალი. სწორედ ამიტომ, საქართველოში თანამედროვე ბაზრების მოთხოვნების შესაბამისად ინვესტირება უნდა მოხდეს სუსტად განვითარებულ ადამიანურ კაპიტალში, რადგანაც პირადკონკურენტუნარიანი სპეციალისტებისა და პროფესიონალების გარეშე წარმოუდგენელია კონკურენტუნარიანი ფირმები, ხოლო კონკურენტუნარიანი ფირმების გარეშე-საერთაშორისო კონკურენტუნარიანი ქვეყანა. ამასთან დაკავშირებით, კონკურენტუნარიანობის შესახებ დ. რიკარდოს, ი. შუმპეტერის და სხვა თეორიების, ასევე, კონკურენტების ძლიერი და სუსტი მხარეების ანალიზისა და სინ-

თეზის, აბსტრაქციის, შედარებისა და ანალოგიის მეთოდის გამოყენების საფუძველზე, შემოთავაზებულია ადამიანური კაპიტალის, ცოდნის (შეკვეცილი, ანუ კონკურენტული ჩამორჩენის; მარტივი, ანუ კონკურენტული ნეიტრალურობისა და გაფართოებული, ანუ კონკურენტული უპირატესობის) კვლავწარმოების ავტორისეული კლასიფიკაცია;

**გაანალიზებულია** საქართველოს საგარეო სავაჭრო-ეკონომიკური ინტეგრაციის ძირითადი ვექტორები ქვეყნების ჯგუფების (ევროკავშირი, ევრაზიული საბაჟო კავშირი და სხვა) მიხედვით, გამოვლენილია მათი დადებითი და უარყოფითი ეფექტები მოკლე, საშუალო და გრძელვადიან პერიოდში. ნაჩვენებია თითოეული ვექტორის მეტნაკლები რეალისტურობა და მათი რეალიზაციის სხვადასხვა ეტაპზე ყოფნა;

**არგუმენტირებულია,** რომ საქართველოს გარე სამყაროსთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის ერთადერთი გზა, იქნება ეს ევროკავშირი, ევრაზიული საბაჟო კავშირი, თუ აშშ-ი ეს არის გზა მიმავალი ჩიხისკენ. ჩვენი აზრით, მოხმობილი მიმართულებები (ვექტორები), ერთმანეთს კი არ უპირისპირდებიან და გამორიცხავენ, არამედ ავსებენ. სწორედ ამიტომ, გამომდინარე იქიდან, რომ საქართველო არის არა მხოლოდ გლობალური ეკონომიკის, არამედ რეგიონული ეკონომიკის ნაწილიც, საჭიროა ამ მიმართებით ინტერესთა დაბალანსება. საქართველოს ეკონომიკური განვითარების მთავარი ვექტორი უნდა იყოს თანასწორუფლებიანი, ურთიერთხელსაყრელი და რისკების შემამცირებელი დივერსიფიცირებული საერთაშორისო ბაზრები და ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების ეფექტიანი განხორციელება, რათა ჰარმონიზაციის ვადები არ გახანგრძლივდეს;

**დასაბუთებულია,** რომ ევროკავშირთან ვაჭრობის გაფართოების პარალერულად მიზანშეწონილია შენარჩუნდეს და გაღრმავდეს ვაჭრობა ევრაზიულ კავშირთან და რეგიონის სხვა ქვეყნებთან. ასევე, ძალზე მნიშვნელოვანია, რომ საქართველომ აშშ-ში სავაჭრო პრეფერენციების გენერალიზებული სისტემა -ჯი-ეს-პი-გამოიყენოს სრულად, რაც ნიშნავს საქარ-

თველოში დამზადებული ოთხი ათასამდე დასახელების პროდუქტის ამერიკის ბაზარზე შეღავათიანი საბაჟო განაკვეთით შესვლას. თავის მხრივ, „პრეფერენციებით“ სრულად სარგებლობა გახდება წინაპირობა აშშ-თან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ მოლაპარაკების გააქტიურებისა. ამასთან, მნიშვნელოვანია აშშ-სთან პოტენციური თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის პირობები არ მოვიდეს წინააღმდეგობაში ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წესებთან, ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის პირობებთან და ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის (შვეიცარია, ნორვეგია, ისლანდია და ლიხტენშტეინი) შეთანხმებასთან. აღნიშნულის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია, საქართველომ ევროკავშირის ჩართულობით თავისუფალი სავაჭრო რეჟიმის შემოღებასთან დაკავშირებით მოლაპარაკება აწარმოოს აშშ-თან და ჩინეთთან და წამოწყებული მოლაპარაკება თავისუფალი ვაჭრობის შესახებ დამოუკიდებლივ მიიყვანოს ბოლომდე;

საქართველოს პარლამენტის, მთავრობისა და ბიზნეს-სექტორისათვის **შეთავაზებულია** ურთიერთდაკავშირებული ღონისძიებები და წინადადებები, რომელთა სამეურნეო ცხოვრებაში გატარება, ავტორის აზრით, ძლიერ გავლენას მოახდენს ხელისუფლების, მეცნიერებისა და ბიზნეს-სექტორის ეფექტიან თანამშრომლობაზე, იაფი და ეფექტიანი სახელმწიფოს ჩამოყალიბებაზე, ეკონომიკის განვითრებაში მემკვიდრეობითობის პრინციპის დაცვაზე, რეგიონულ და დარგობრივ ჭრილში ბიზნესის განვითარებაში ასიმეტრიულობის დაძლევაზე, ბიზნეს-გარემოს გაუმჯობესებაზე, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოდინებაზე და დივერსიფიცირებაზე, საქართველოს კომპანიების საშინაო და საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის ამაღლებაზე, ადამიანური კაპიტალის განვითარებაზე, ბიზნესის ფინანსურ უზრუნველყოფაზე, ეროვნული მეურნეობის არა ცაკლეული დარგების (საბინაო მშენებლობა, ფინანსური სექტორი), არამედ სისტემურ განვითარებაზე, ექსპორტის პოტენციალის ზრდაზე, მის დივერსიფიკაციაზე და ოპტიმიზაციაზე, რეექსპორტის შესაძლებლობე-

ბის გონივრულ გამოყენებაზე, ირაციონალური იმპორტისაგან განთავისუფლებაზე, ლარის სამამულო საქონლით უზრუნველყოფაზე, საქართველოს საგარეო ეკონომიკური ინტეგრაციის გაფართოებაზე, დივერსიფიცირებული ბაზრების მოთხოვნების შესაბამისად ახალი შეფარდებითი უპირატესობის მქონე საქონლისა და მომსახურების გამოვლენაზე, სტაბილურ და გრძელვადიან ეკონომიკურ ზრდაზე და, საბოლოო ანგარიშში, მოსახლეობის საყოველთაო და დიფერენციულ კეთილდღეობაზე, რამაც საქართველოს თითოეულ მოქალაქეში უნდა წარმოშვას კანონზომიერი სიამაყისა და ქვეყნისადმი პატრიოტიზმის გრძნობა;

**ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა.** ვფიქრობთ, ამგვარი გამოკვლევა როგორც თეორიულად, ასევე პრაქტიკულად უაღრესად მნიშვნელოვანია, ერთობ განვრცობადია და განსაკუთრებით ფასეულია პოსტსოციალისტური და პოსტსაბჭოური ქვეყნებისათვის, რომელთაც წინათ სოციალიზმის, ახლა კი განვითარებული საბაზრო ეკონომიკის მშენებლობის პრობლემების გადაწყვეტა აერთიანებთ.

ნაშრომში ჩამოყალიბებული და განვითარებული თეორიულ-პრაქტიკული ხასიათის იდეები, წინადადებები და რეკომენდაციები, მიზანშეწონილია, გამოყენებული იქნას ეროვნული მეურნეობისა და ცალკეული დარგების განვითარების სტრატეგიული მნიშვნელობის დოკუმენტების შემუშავებასა და განხორციელებაში, საქართველოს კანონონმდებლობის სრულყოფასა და ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზებაში, ეფექტიანი საგარეო სავაჭრო-ეკონომიკური პოლიტიკის განსაზღვრაში, ინვესტორთათვის კომფორტული ბიზნეს-გარემოს შექმნაში, სამამულო ბიზნესის საშინაო და საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობაში, მთავრობის, მეცნიერებისა და ბიზნეს-სექტორის კოორდინირებული მუშაობის გაუმჯობესებაში, ასევე, უმაღლეს სასწავლებელებში საერთაშორისო ბიზნესისა და ეკონომიკური თეორიის სწავლებისას.

თუ როგორ გაართმევს თავს წინამდებარე ნაშრომი და-

სახულ მიზან-ამოცანებს, ამის განსჯა პირუთვნელი მკითხველისთვის მიგვინდვია. ამასთან, ყველა საქმიან, სასარგებლო რჩევას მადლიერების გრძნობით მივიღებთ და შემდგომ მუშაობაში გავითვალისწინებთ. აქვე მადლობას ვუძღვნით ნაშრომის რედაქტორსა და რეცენზენტებს.

## 1. საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობა, ზრდის დაჩქარების ობიექტური აუცილებლობა და პრიორიტეტები

**ნაშრომის მიზნიდან გამომდინარე ლოგიკურია, უწინარეს ყოვლისა, გავარკვიოთ თუ რა მდგომარეობაა დღევანდელ საქართველოში ეკონომიკური უსაფრთხოების ძირითადი ინდიკატორების მიხედვით?** გარეშე თვალით, საქართველო, ერთი მხრივ, პოსტსაბჭოურ ქვეყნებს შორის გამოირჩევა თავისი საბაზრო-ინსტიტუციონალური გარდაქმნებით, ხოლო, მეორე მხრივ, მან ვერა და ვერ გადაწყვიტა თავისი ძირეული სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები [95].

უფრო კონკრეტულად, მსოფლიო ბანკი ყოველწლიურად აქვეყნებს მსოფლიო ეკონომიკების ანალიტიკურ კლასიფიკაციას, რომლის მიხედვით კატეგორიები ეფუძნება ქვეყნის სიმდიდრის განსაზღვრის შედარებით უფრო ზუსტ, მოსახლეობის ერთ სულზე მშპ-ის მეთოდს. **ახალი კლასიფიკაციით ქვეყნები ასე განაწილდნენ: დაბალი შემოსავლების ჯგუფი** – მშპ მოსახლეობის ერთ სულზე $1025 ან ნაკლები; **ქვედა საშუალო შემოსავლების ჯგუფი** – მშპ მოსახლეობის ერთ სულზე $1025-დან $4035-მდე; **ზედა საშუალო შემოსავლების ჯგუფი** -მშპ მოსახლეობის ერთ სულზე $4036-დან $12476-მდე; **მაღალი შემოსავლების ჯგუფი** -მშპ მოსახლეობის ერთ სულზე $12476 და მეტი.

ახალი კლასიფიკაციის მიხედვით, მართალია საქართველომ მოსახლეობის ერთ სულზე 4160 აშშ დოლარით ქვედა საშუალო შემოსავლების მქონე ქვეყნიდან ზედა საშუალო შე-

მოსავლების მქონე ქვეყნების კატეგორიაში გადაინაცვლა (ზედა საშუალო შემოსავლების ჯგუფი-მშპ მოსახლეობის ერთ სულზე 4 036 აშშ დოლარიდან 12 476 აშშ დოლარამდე), მაგრამ აღნიშნული მაჩვენებლით ის მაღალი შემოსავლების ჯგუფის ქვეყნების მინიმალურ ზღვარს (12476 აშშ დოლარი მოსახლეობის ერთ სულზე) მაინც ჩამორჩება დაახლოებით (12476/4160=3) სამჯერ, ხოლო ევროკავშირის საშუალო მაჩვენებელს (32000 აშშ დოლარი მოსახლეობის ერთ სულზე)-დაახლოებით (32000/4160=7,7) 7,7 ჯერ. საქართველო ქვედა საშუალო შემოსავლების ქვეყნების კატეგორიაში გასული თხუთმეტი წლის მანძილზე იმყოფებოდა, იქამდე კი ის დაბალშემოსავლიანი ქვეყნების ჯგუფში მოიაზრებოდა [72].

თუმცა, სამართლიანობიდან და ეკონომიკური სიზუსტიდან გამომდინარე, ნომინალურ დოლარში გამოხატული საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის შედარება სხვა ქვეყნის ან სხვა პერიოდის ანალოგიურ მაჩვენებელთან, ეკონომიკურად არასწორია. იმიტომ, რომ ერთი აშშ დოლარის რეალური ღირებულება სხვადასხვა ქვეყანაში და სხვადასხვა დროს განსხვავებულია. აღნიშნულის გამო **არსებობს საერთაშორისო დოლარის ცნება, რომელიც ეყრდნობა მსყიდველუნარიანობის პარიტეტს და შესაძლებელს ხდის სხვადასხვა ქვეყნის და სხვადასხვა პერიოდის მშპ-ს შედარებას.** მსყიდველუნარიანობის პარიტეტზე დაყრდნობით საერთაშორისო დოლარებში გამოხატული საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტი ბოლო წლების განმავლობაში ზრდის ტემპით ხასიათდება. თუ 2012 წელს საერთაშორისო დოლარებში გამოხატული საქართველოს მშპ 30.7 მილიარდს შეადგენდა, 2015 წელს ეს მაჩვენებელი 35.6 მილიარდია ანუ გაიზარდა დაახლოვებით 16 პროცენტით. ასევე იზრდება საერთაშორისო დოლარებში გამოხატული მშპ მოსახლეობის ერთ სულზე. თუ 2012 წელს აღნიშნული მაჩვენებელი 8 002 საერთაშორისო დოლარი იყო, დღეს კი 9 630 საერთაშორისო დოლარს შეადგენს. თუმცა, ამ მაჩვენებლითაც კი, რომელშიაც მოსახლეობის რიცხოვნების შემცირების წილი დიდია, საქართველო დაახლოებით

ორნახევარჯერ ჩამორჩება ევროკავშირის წევრ პოსტსაბჭოურ რესპუბლიკას, ესტონეთს (მშპ მოსახლეობის ერთ სულზე 23 720 აშშ დოლარი მსყიდველუნარიანობის პარიტეტის მიხედვით), რომ აღარაფერი ვთქვათ გერმანიაზე (მშპ მოსახლეობის ერთ სულზე 43 220 აშშ დოლარი აშშ დოლარი მსყიდველუნარიანობის პარიტეტის მიხედვით) და მისთანა ქვეყნებზე, რომლებსაც ის დაახლოებით ოთხნახევარჯერ ჩამორჩება [72].

ცნობილია ისიც რომ, უსაფრთხოების ინდიკატორებიდან გამომდინარე, ქვეყანა მყარად ვითარდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც საარსებო მინიმუმს დაბლაა მოსახლეობის მაქსიმუმ 10%–ის შემოსავლები და მისი მოქალაქეები გამოიმუშავებენ იმდენ შემოსავალს (მოსახლეობის ერთ სულზე არა ნაკლებ 12476 აშშ დოლარი), რომლითაც, ერთი მხრივ, უზრუნველყოფენ ბაზარზე მდგრად მოთხოვნას და, მეორე მხრივ, ქმნიან დანაზოგებს, რომელიც შეიძლება გამოყენებული იქნას მათი მფლობელების სასარგებლოდ და ეროვნული ეკონომიკის განვითარების დასაფინანსებლად. იმ შემთხვევაში, როდესც მშპ მოსახლეობის ერთ სულზე საარსებო მინიმუმზე (არსებობისათვის აუცილებებლი საშუალებები მინიმალურ ფასებში) დაბალია, ადამიანებს ნაკლებ მიუწვდებათ ხელი განათლებაზე, სამედიცინო მომსახურებაზე, უწევთ შიმშილობა, არასათანადოდ ჩაცმა–დახურვა და ავადმყოფობა. ცხადია, ბევრი ამ სიღარიბესა და დუხჭირ ცხოვრებას ვერ უძლებს და კვდება, რის შედეგადაც მოსახლეობის რაოდენობა მცირდება და მოსახლეობის ერთ სულზე მშპ–ის საშუალო სიდიდე გარკვეულად მატულობს.

ხაზგასასმელია, რომ საშუალო შემოსავალი გარკვეულწილად მაცდური მაჩვენებელია. რაც იმას ნიშნავს, რომ რეალურად ზოგს 4160 დოლარზე მეტი და ზოგს ნაკლები შემოსავალი აქვს. ამიტომ გასაკვირი არაა, რომ 2015 წელს რეგისტრირებული სიღარიბის მაჩვენებელი, ანუ სახელმწიფო საარსებო შემწეობის მიმღები მოსახლეობა შეადგენს 10,1%-ს. ე.ი. საქართველოში ყოველი მეათე ადამიანი ღარიბია. მოსახლეობის 20 პროცენტი კი ფარდობით სიღარიბეშია, ანუ საქართველოში საშუალო შემოსავლის 60%-ზე ნაკლებს მოიხმარს

მოსახლეობის 20%, ხოლო 40%-ზე ნაკლებს-7,1% [რეგისტრირებული და ფარდობითი სიღარიბე, 53].

საქართველოს მოსახლეობის დაახლოებით 20%-ის ფარდობითი სიღარიბე ბიზნესის დაბალგანვითარებულობის არა მხოლოდ შედეგი, არამედ მიზეზიცაა, რადგანაც ღარიბი, არასაკმარისად გამოკვებილი და ჩაცმულ-დახურული, არასათანადო განათლებითა და სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფილი ადამიანებისაგან ეკონომიკური უკუგება დაბალია. სწორედ ამიტომ, სიღარიბის შეზღუდვის პრობლემა უნდა განვიხილოთ არა მხოლოდ ჰუმანურობის, არამედ ეროვნული მეურნეობის აღმშენებლობის უდიდესი პოტენციალის შენარჩუნებისა და ეფექტიანად ამოქმედების პოზიციებიდანაც.

მსოფლიო პრაქტიკიდან გამომდინარე, წარმოუდგენელია ქვეყანა, სადაც მოსახლეობის ერთ სულზე შემოსავალი საქართველოს მაჩვენებლის ტოლი ან ნაკლებია და მის მოქალაქეებს არ აწუხებთ უმუშევრობის, სიღარიბის, დაბალი ხელფასების, განათლების დაბალი დონის, ხარისხიანი ჯანდაცვის ხელმისაწვდომობისა და სხვა სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები. ამ მდგომარეობიდან ერთადერთი გამოსავალი კი ეკონომიკის ზრდაა [28].

აღნიშნულზე ნათლად მეტყველებს პოსტსოციალისტური ტრანსფორმაციის პერიოდში საქართველოში განვითარებული მოვლენები. კერძოდ, საქართველოში 1990 წელს მშპ მოსახლეობის ერთ სულზე შეადგენდა 2684 აშშ დოლარს, ხოლო 1994 წელს – შემცირდა 252 აშშ დოლარამდე. დამოუკიდებელ საქართველოში მშპ-ს ზრდა დაიწყო 1995 წლიდან. **1990-2015 წლებში საშუალო წლიური ეკონომიკური ზრდა ტოლი იყო 3,3%-ის.** საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით 1996 წელს საქართველოში წარმოებული იქნა 3 062 მლნ აშშ დოლარის მშპ მიმდინარე ფასებში, ხოლო მოსახლეობის რაოდენობა ტოლი იყო 5 მლნ კაცის. შესაბამისად, **1996 წელს მოსახლეობის ერთ სულზე მშპ-მა შეადგინა 629 აშშ დოლარი.** 2015 წელს საქართველოში წარმოებული იქნა 14 068 მლნ აშშ დოლარის მშპ მიმდინარე ფასებში, ხოლო მოსახლეობის

რაოდენობამ შეადგინა 3 713 000 კაცი. შესაბამისად, **2015 წელს მოსახლეობის ერთ სულზე მშპ-ი ტოლი იყო 3 789 აშშ დოლარის** (2015 წელს მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებულ მაჩვენებლებში ასახულია მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის მონაცემები!). როგორც ვხედავთ, საანალიზო პერიოდში (1996-2015წწ.) მოსახლეობის რაოდენობა (5 000 000-3713000)=1 287 000 კაცით შემცირდა **[მოსახლეობა, 53]**.

მაშასადამე, **საქართველოში, XX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისიდან დღემდე, ცხოვრების დონე გარკვეულად ამაღლდა არა მხოლოდ ეკონომიკური ზრდის, არამედ მოსახლეობის რაოდენობის შემცირების ხარჯზეც.** თავის მხრივ, მოსახლეობის რაოდენობის შემცირება განაპირობა, ჯერ ერთი, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დარღვევამ, სამუშაო ადგილების დეფიციტის გამო შრომითი ემიგრაციამ და, მეორე, ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების გამო სიკვდილიანობის ზრდამ და შობადობის შემცირებამ. ჩვენი აზრით, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას, სამუშაო ადგილების ზრდას, შრომითი ემიგრანტების უკან დაბრუნებასა და მოსახლეობის სიცოცხლის გახანგრძლივებას ხელი უნდა შეუწყოს ეფექტიანმა ეკონომიკურმა პოლიტიკამ, ხოლო შობადობის ზრდას-გონივრულმა დემოგრაფიულმა პოლიტიკამ.

**საქართველოში როგორი ტემპებით იზრდებოდა რეალური მშპ განვლილ 2006-2015 წლებში?** საქართველოში ბოლო ათი წლის განმავლობაში რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის დინამიკა ასე გამოიყურება:12%-2005წ; 9.4% – 2006წ; 12.3% – 2007წ; -2.3% – 2008წ; 3.8% – 2009წ; 6.3% – 2010წ; 7.2% – 2011წ; 6,2% – 2012წ; 3,4% – 2013წ; 4,6%-2014წ; 2,8%-2015წ. **[მთლიანი შიდა პროდუქტი,65]**. მარტივი გამოთვლით, საანალიზო პერიოდში ეკონომიკის საშუალო წლიური ზრდის ტემპი ტოლი იყო 5,3%. ყველაზე მაღალი ზრდის ტემპი (12,3%) დაფიქსირდა 2007 წელს. მშპ-ის მაჩვენებელი შემცირდა 2008 წელს და შეადგინა (-2,3%), რაც განაპირობა რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომმა და ამავე პერიოდში განხორციელებულმა მსოფლიო ფინანსურმა კრიზისმა.

აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდმა საქართველოს 2016 წლის ეკონომიკური ზრდის პროგნოზი 3%-დან 2.5%-მდე შეამცირა. ფონდის ინფორმაციით, 2016 წელს მსოფლიო ეკონომიკა 3.2%-ით გაიზრდება, განვითარებული ქვეყნების ეკონომიკა 1.9%-ით, ხოლო განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკა 4.1%-ით. **2015 წელს 2.8%-იანი ეკონომიკური ზრდის ტემპით საქართველო 151 განვითარებად ქვეყანას შორის 88-ე იყო, ხოლო 2016 წლის პროგნოზის (2.5%) მიხედვით 98-ე პოზიციას იკავებს.** 2015 წელს ეკონომიკური ზრდის ყველაზე მაღალი ტემპი ეთიოპიაში (10.2%) და პალაუში (9.4%) დაფიქსირდა. ყველაზე მეტად კი იემენის (-28%) და სიერე ლეონეს (-21.5%) ეკონომიკა შემცირდა. 3.7%-ით შემცირდა რუსეთის ეკონომიკა. სავალუტო ფონდის პროგნოზის თანახმად, 2016 წელს ყველაზე მაღალი ეკონომიკური ზრდის ტემპი მიანმარში (8.6%), კოტ დე ივუარში (8.5%) და ბუტანში (8.4%) იქნება. ყველაზე მეტად (-8%) კი ვენესუელას ეკონომიკა შემცირდება. რუსეთის ეკონომიკა 1.8%-ით შემცირდება, ხოლო უკრაინის ეკონომიკა 1.5%-ით გაიზრდება [72]. ჩვენ აქ შეგნებულად მოვიხმეთ განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების მაჩვენებლები, რადგანაც საქართველო ეკონომიკური ზრდის ტემპებით სწორედ მათთან არის შესადარისი და არა განვითარებული ქვეყნების მაჩვენებლებთან. სხვა შემთხვევაში, დაახლოებით იგივე იქნებოდა, რომ მოზარდი შეგვედარებინა ზრდასრულისათვის სიმაღლეში ზრდაში.

**როგორია ეროვნული მეურნეობის თითოეული დარგის წილი საქართველოს ეკონომიკის ზრდაში 2015 წელს?** საქართველოში 2015 წელს 2014 წელთან შედარებით ეკონომიკა (მშპ) 2.8%-ით გაიზარდა. ეკონომიკური ზრდის ტემპი მასში შემავალი ცალკეული დარგების ზრდის წილობრივი ჯამია. ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელში რა წილს შეიტანს კონკრეტული დარგი, ეს დამოკიდებულია, როგორც ამ დარგის ზრდის ტემპზე, ასევე მის წილზე ეკონომიკაში. რაც უფრო დიდია დარგი, მის ზრდას მეტი გავლენა აქვს ეკონომიკურ ზრდაში. ყველაზე მაღალი ეკონომიკური ზრდა (21%) სამთომომპოვებით მრეწვე-

ლობაში დაფიქსირდა. მეორე ადგილზეა მშენებლობა 15.2%-ით, ხოლო მესამეზე საფინანსო საქმიანობაა 9.4%-ით. ეკონომიკა შემცირდა ვაჭრობის (-0.3%), შინამეურნეობების საქმიანობის (-4.9%) და დამამუშავებელი მრეწველობის (-4.9%) დარგებში. 2015 წელს საქართველოს ეკონომიკის ყველაზე მსხვილი დარგი ვაჭრობა იყო (16.6%). მეორე ადგილზეა მრეწველობაა (16.5%-ით), ხოლო მესამეზე ტანსპორტი და კავშირგაბმულობაა 10.7%-ით. (იხ. ცხრილი №1)

***ცხრილი №1- საქართველოს ეკონომიკის ზრდა დარგების მიხედვით:***

| ეკონომიკის დარგები | ზრდა, 2015 წ. |
|---|---|
| სამთომოპოვებითი მრეწველობა | 21.0% |
| მშენებლობა | 15.2% |
| საფინანსო საქმიანობა | 9.4% |
| სასტუმროები და რესტორნები | 7.4% |
| ოპერაციები უძრავი ქონებით | 6.9% |
| კავშირგაბმულობა | 5.0% |
| ელექტროენერგიის, აირისა და წყლის წარმოება/განაწილება | 3.0% |
| სოფლის მეურნეობა | 2.9% |
| ტრანსპორტი | 2.9% |
| ჯანმრთელობის დაცვა | 2.4% |
| განათლება | 2.2% |
| სახელმწიფო მმართველობა | 2.0% |
| ვაჭრობა, ავტომობილების რემონტი | -0.3% |
| შინამეურნეობების საქმიანობა | -4.9% |
| დამამუშავებელი მრეწველობა | -4.9% |

**წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური**
**http://www.geostat.ge/?action=page&p_id=151&lang=geo**

**რაც შეეხება საქართველოს რეალურ მშპ-ს მოსახლეობის ერთ სულზე, იმავე საანალიზო პერიოდში (2006-2015 წწ.), ასეთი დინამიკით ხასიათდებოდა:** 1763.5 აშშ დოლარი – 2006 წ., 2314.6 აშშ დოლარი – 2007 წ., 2921.1 აშშ დოლარი – 2008 წ., 2455.2 აშშ დოლარი – 2009 წ., 2623.0 აშშ დოლარი – 2010 წ., 3230.7 აშშ დოლარი – 2011 წ., 3523.4 აშშ დოლარი – 2012 წ., 3596.6 აშშ დოლარი – 2013 წ., 3681 აშშ დოლარი – 2014 წ., 3 789 აშშ დოლარი (მსოფლიო ბანკის მონაცემებით 4160 აშშ დოლარი) – 2015 წ. **[მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ),53].**

ცნობილია, რომ საქართველო ესწრაფვის გლობალურ და რეგიონალურ ეკონომიკაში დაბალანსებულ ინტეგრაციას. ცალსახაა ისიც, რომ საქართველოს სტრატეგიული ორიენტირია ევროკავშირთან ინტეგრაცია. **ევროკავშირთან საქართველოს ინტეგრაცია კი გულისხმობს არა ტერიტორიული, არამედ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონის, ცხოვრების სტანდარტებისა და ფასეულობების (დემოკრატიული, საკანონმდებლო, კულტურული, საგანმანათლებლო და სხვა) მიხედვით დაახლოებას ანუ ევროპეიზაციას[47,გვ.127].**

**სწორედ ამიტომ, ბუნებრივად ისმის კითხვა-როგორ დგას ევროკავშირთან და მის ეკონომიკურად ყველაზე სუსტ ქვეყნებთან საქართველოს ეკონომიკური განვითარების დონით დაახლოების საკითხი?** ცნობილია, რომ „მაასტრიხტის ხელშეკრულების„ (1992) და ამსტერდამის ევროპული საბჭოს მიერ მიღებული სტაბილურობის პაქტის (1997) მიხედვით ევროკავშირში გასაწევრიანებლად ქვეყანამ უნდა დააკმაყოფილოს შემდეგი მთავარი ეკონომიკური ინდიკატორები ანუ „კონვერგენციული კრიტერიუმები„: მოსახლეობის ერთ სულზე მშპ-ის 12476 აშშ დოლარი; სახელმწიფო ვალი არაუმეტეს მშპ-ის 60%-სა; უმუშევრობის დონე 10%-ის ფარგლებში; ერთნიშნა ინფლაციის დონე; სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი მაქსიმუმ მშპ-ის 3%-სა. თუ გავითვალისწინებთ, რომ „კონვერგენციის კრიტერიუმებით„ სახელმწიფო საგარეო ვალი არ უნდა იყოს მშპ-ის 60%-ზე მეტი, საქართველო შეძლებს ამ პირობის დაკმაყოფილებას. ბოლო წლებში, უმუშევრობის დონე სისტე-

მატურად იზრდებოდა, ამჟამად 15.0 %-ის ფარგლებშია, 2020 წელს კი, მთავრობის სტრატეგიის მიხედვით, 12% იქნება. გამოდის რომ, 7 წლის შემდეგ, ასეთი მაჩვენებლით შესაბამისი „კონვერგენციის კრიტერიუმი„ ვერ დაკმაყოფილდება. ასევე, საქართველოში, 2020 წლისათვის ინფლაციის დონე ერთნიშნა – 4% იქნება, რაც შესაბამისად დააკმაყოფილებს „კონვერგენციის კრიტერიუმს". ამავე „კრიტერიუმის„ მიხედვით, სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი არ უნდა აღემატებოდეს მშპ-ის 3%-ს, რის მიღწევაც შესაძლებელია ახალი მთავრობის „სტრატეგიიდან„ გამომდინარე, რამდენადაც ფისკალური დეფიციტი 3%-ს არ გადააჭარბებს. მაშასადამე, საქართველო საშუალოვადიან პერიოდში, ევროკავშირის წევრი ქვეყნისათვის დაწესებული კონვერგენციის ხუთი მთავარი ეკონომიკური „კრიტერიუმიდან„ მხოლოდ სამს დააკმაყოფილებს, ორი მნიშვნელოვანი (მშპ მოსახლეობის ერთ სულზე, უმუშევრობის დონე) საშუალო-ევროპული მაჩვენებლის მიღწევას კი ვერ შეძლებს და ახალი სამუშაო ადგილების შექმნა ტრადიციულად დარჩება ქვეყნის ერთ-ერთ მთავარ პრობლემად **[54]**.

უფრო ზუსტად, ევროკავშირის საშუალო მაჩვენებელს (მოსახლეობის ერთ სულზე მშპ 32000 აშშ დოლარი) საქართველო ჩამორჩება დაახლოებით 7,7 ჯერ; ევროკავშირთან კონვერგენციულ კრიტერუმს ანუ განვითარებული ქვეყნის მინიმალურ კრიტერიუმს (მოსახლეობის ერთი სულზე მშპ 12476 აშშ დოლარი) – დაახლოებით სამჯერ. ევროკავშირის ეკონომიკურად ყველაზე სუსტი ქვეყნის, ბულგარეთის 20014 წლის შესაბამის მაჩვენებელს (მოსახლეობის ერთ სულზე მშპ 7530 დოლარი) -დაახლოებით 1,7-ჯერ **[36,გვ.84]**.

მაშასადამე, მიუხედავად იმისა, რომ საქართველო ტერიტორიულად მნიშვნელოვნად დაუახლოვდა ევროკავშირს (განსაკუთრებით ბოლო გაფართოების შემდეგ, როდესაც მასში გაწევრიანდა რუმინეთი და ბულგარეთი) და 2014 წლის 27 ივნისში მასთან გაფორმდა ასოცირების შეთანხმება, ეკონომიკური განვითარების დონით მას მაინც საგრძნობლად ჩამორჩება.

**ისმის მორიგი კითხვა – საქართველოს აღნიშნული ჩამორ-**

**ჩენის დაძლევისთვის, ანუ ცხოვრების ცივილიზებულ დონეზე გასვლისთვის, სხვა თანაბარ პირობებში, რამდენი დრო დასჭირდება?** – ეს დრო დამოკიდებულია საქართველოს ეკონომიკის მოძრაობის „სიჩქარეზე", ანუ ზრდის ტემპზე. **როგორ გავარკვიოთ მოსახლეობის ერთ სულზე საშუალო შემოსავალი რა პერიოდის განმავლობაში გაორკეცდება?** ამისათვის ეკონომიკურ მეცნიერებაში არსებობს ე.წ. „70–ის წესი", რომლის თანახმად, თუ რაიმე ცვლადი წელიწადში X%-ით იზრდება, მაშინ ეს ცვლადი ორმაგდება დაახლოებით 70/X წელიწადში. მაგალითად, თუ საქართველოში ეკონომიკა საშუალოდ 7%-ით იზრდება მაშინ საშუალო შემოსავალი გაორმაგდება 70/7=10 წელიწადში. ეკონომიკურ თეორიაში ფართოდ ცნობილი „70-ის„ წესის გამოყენებით, **თუ ამოვალთ ჩვენი ქვეყნის ბოლო ოცდახუთი წლისთვის დამახასიათებელი საშუალო ეკონომიკური ზრდის 3,3%-იანი მაჩვენებლიდან,** მაშინ ევროკავშირის საშუალო მაჩვენებელს საქართველო მიაღწევს 69 წელიწადში. გაანგარიშების სიმარტივისთვის 4160 აშშ დოლარი დავამრგვალოდ 4000 აშშ დოლარად, ხოლო საშუალო ეკონომიკური ზრდის 3,3%-3%-ად. ეკონომიკის 3%-ით ზრდის შემთხვევაში 4000 აშშ დოლარის მშპ-ის გაორმაგებას, ანუ მშპ-ის 8 000 აშშ დოლარამდე გაზრდას დასჭირდება 70/3=23 წელი; 8 000 აშშ დოლარის მშპ-ის გაორმაგებას, ანუ მშპ-ის 16 000 აშშ დოლარამდე გაზრდას -23 წელი; 16 000 აშშ დოლარის მშპ-ის გაორმაგებას, ანუ მშპ-ის 32 000 აშშ დოლარამდე გაზრდას კვლავ -23 წელი. საბოლოო ანგარიშში, ევროკავშირის საშუალო მაჩვენებელს (მოსახლეობის ერთ სულზე მშპ 32000 აშშ დოლარი) საქართველო მიაღწევს 69 წელიწადში. იგივე პრინციპით, ევროკავშირთან კონვერგენციულ კრიტერიუმს, ანუ განვითარებული ქვეყნის მინიმალურ კრიტერიუმს (მოსახლეობის ერთ სულზე 12 476 აშშ დოლარი) საქართველო მიაღწევს დაახლოებით 30 წელიწადში, ხოლო ბულგარეთის 20014 წლის შესაბამის მაჩვენებელს (მოსახლეობის ერთ სულზე მშპ 7530 დოლარი) – დაახლოებით 13 წელიწადში.

ჩემი აზრით, საქართველოს პერსპექტივის შესახებ რეა-

ლური სურათის მიღებისთვის მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ მხარეების ეკონომიკური განვითარების არა მხოლოდ სასტარტო მდგომარეობა, არამედ მათი ეკონომიკური ზრდის თითოეული პროცენტის **„ხვედრითი წონა„** და მოსახლეობის ზრდის ტემპიც, რომელიც განვითარებადი ქვეყნის კვალობაზე, როგორც ითქვა, საქართველოში დაბალია. ამგვარი მიდგომით, თუ ამოვალთ იქიდან, რომ საქართველოში 2015 წელს მშპ მოსახლეობის ერთ სულზე 4160 აშშ ამერიკული დოლარია და ეკონომიკური ზრდა 1990-2015 წლებში საშუალოდ 3,3%, ხოლო ევროპის ერთ-ერთ განვითარებულ ქვეყანაში, გერმანიაში კი, შესაბამისი მაჩვენებლები ტოლია 44 000 დოლარისა და 2% ის. მაშინ, სხვა თანაბარ პირობებში, საქართველოში მთლიანი შიდა პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე წელიწადში 125 დოლარით გაიზრდება, ხოლო გერმანიაში – 880 დოლარით. **აქედან გამომდინარე, წლიური 3,3%-იანი ეკონომიკური ზრდით საქართველო არა მხოლოდ ვერ დაეწევა განვითარებულ ქვეყნებს, არამედ ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისითაც კი დაშორდება მათ.**

ამგავარად, საქართველოს მოსახლეობის ცხოვრების დონის სისტემატური ამაღლებისა და განვითარებული ქვეყნებისაგან ჩამორჩენის დაძლევისთვის აუცილებელია არა ბოლო ოცდახუთი წლისათვის დამახასიათებელი ეკონომიკის საშუალო წლიური 3,3%-ით ზრდა, არამედ, საგარეო სავაჭრო-ეკონომიკური ვექტორების ქვეყნობრივი (საბაზრო), სასაქონლო სტრუქტურის და უცხოური ინვესტიციების დივერსიფიკაციის საფუძველზე გაცილებით მაღალი, 7 და მეტი პროცენტული მაჩვენებლით სტაბილური და გრძელვადიანი ზრდა. ასეთ შემთხვევაში მოსახლეობის საშუალო შემოსავალი ყოველ ათ წელიწადში გაორმაგდება. შესაბამისად, სხვა თანაბარ პირობებში, საქართველო ევროკავშირის საშუალო მაჩვენებელს (მოსახლეობის ერთ სულზე მშპ 32000 აშშ დოლარი) დაუახლოვდება 30 წელიწადში, ევროკავშირთან კონვერგენციულ კრიტერიუმს ანუ განვითარებული ქვეყნის მინიმალურ კრიტერიუმს (მოსახლეობის ერთი სულზე მშპ 12 476 აშშ დოლა-

რი) – 15 წელიწადში და ევროკავშირის ეკონომიკურად ყველაზე სუსტი ქვეყნის, ბულგარეთის 20014 წლის შესაბამის მაჩვენებელს (მოსახლეობის ერთ სულზე მშპ 7530 დოლარი) – 7 წელიწადში.

ჩვენი აზრით, შემოთავაზებული 7 პროცენტიანი ტემპით ეკონომიკის ზრდა სავსებით რეალურია საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში, **ჯერ ერთი,** იმიტომ რომ არსებობს ამის პრქტიკა. მაგალითად, 2003-2007 წლებში საქართველოს ეკონომიკა საშუალოდ 10,1%-ით იზრდებოდა: 8,6%-2003წ; 8,4%-2004წ; 12%-2005წ; 9.4% – 2006წ; 12.3% – 2007წ; **[მთლიანი შიდა პროდუქტი,53], და მეორე იმიტომ, რომ არსებობს სერიოზული რეზერვები,** კერძოდ: გამოუყენებულია ჰიდროენერგეტიკული პოტენციალის დაახლოებით ოთხმოცი პროცენტი, დაუმუშავებელია სახნავი მიწების დიდი ნაწილი, სოფლად გასატარებელი კოოპერირება, ინდუსტრიალიზაცია და მოდერნიზაცია გაზრდის მწარმოებლურობას და გამოანთავისუფლებს შრომით რესურსებს მომსახურების სფეროსათვის, ასევე კვებისა და მსუბუქი მრეწველობისათვის, რომელიც სუსტად არის წარმოდგენილი შრომის საერთაშორისო დანაწილებაში, დიდი პოტენციალია მშენებლობაში, ქვეყანაში ჯერ კიდევ მაღალია უმუშევრობის ფაქტობრივი ნორმა და არაეფექტიანია დასაქმება, ჩამოსაყალიბებლია მცირე და საშუალო ბიზნესის დინამიური განვითარების გარემო, რომელიც დააჩქარებს საქართველოს ეკონომიკის სტრუქტურული ადაპტაციის პროცესს, ახალი საწარმოების ჩამოყალიბებაფუნქციონირებას, ეკონომიკის შიდა მოთხოვნაზე რეაგირებას და შეამცირებს არაგონივრულ იმპორტს. ამასთან, პერმანენტულად იზრდება ბაზრის მასშტაბები და საგარეო მოთხოვნა. საქართველოს თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება გაფორმებული აქვს ევროკავშირთან, ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციასთან, თურქეთთან და დსთ-ს ქვეყნებთან. საქართველო შეღავათიანი სავაჭრო რეჟიმით სარგებლობს, აგრეთვე, ეკონომიკურად განვითარებულ ისეთ სტრატეგიულ ქვეყნებთან, როგორიცაა ამერიკის შეერთებული შტატები, კანა-

და, იაპონია. ეს, საერთო ჯამში, 900 მილიონი მომხმარებლის ბაზარია. მიმდინარეობს მოლაპარაკება თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების შესახებ მილიარდ სამასორმოცმილიონიანი ბაზრის მქონე ჩინეთთან, რომელიც ნავარაუდევია დასრულდეს 2016 წლის დამლევს. ამ მიმართულებით გარკვეული სამუშაოები მიმდინარეობს აშშ-თანაც. საბოლოო ანგარიშში, ეს ჩამოაყალიბებს ვეებერთელა საბაზრო პოტენციალს, რომლის გონივრული გამოყენების შემთხვევაში საგრძნობლად დაჩქარდება საქართველოს ეკონომიკური ზრდა. ასევე, მნიშვნელოვანია ე.წ. „დროის ყიდვა“ ანუ განვითარებული ქვეყნების პოზიტიური და ნეგატიური გამოცდილების გონივრული გამოყენება, როგორც ეს მოხდა, მაგალითად, მოსახლეობითა და ტერიტორიით საქართველოზე გაცილებით პატარა ევროკავშირის ქვეყნებში, როგორიცაა: ბალტიიპირეთის რესპუბლიკები, მალტა, კვიპროსი, ლუქსემბურგი და სხვა, რომლებიც უკვე ეზიარნენ ევროპულ მშვიდობას, სტაბილურობას, ეკონომიკურ განვითარებასა და კეთილდღეობას.

თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ბაზრის მასშტაბის გაფართოება პანაცეა (უებარი საშუალება) არ არის. მიზანშეწონილია, გაზრდილი საბაზრო მოთხოვნის შესაბამისად ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის ზრდისა და არარაციონალური იმპორტის ჩანაცვლებისთვის სამამულო წარმოების მოდერნიზება, საშინაო და საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის ამაღლება, საერთაშორისო ბაზრებზე ოპერირების ცოდნისა და უნარ-ჩვევების გამომუშავება, მსხვილი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვისათვის კომფორტული ბიზნესგარემოს შექმნა. კერძოდ: პროგნოზირებადი პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილურობა, სწორი ეკონომიკური პოლიტიკა, განვითარებულ ქვეყნებთან ჰარმონიზებული საკანონმდებლო ბაზა, მეწარმის უსაფრთხოებისა და კერძო საკუთრების უფლების მკაცრად დაცვა, იაფი სამუშაო ძალა, ბიზნესის რეგისტრირებისა და დაწყების სიიოლე, მისაღები საგადასახადო წნეხი და ადმინისტრირება, საგადასახადო დავის პერიოდში პირის საბანკო ანგარიშზე ყადაღის დადება მხოლოდ

სასამართლოს თანხმობით, მცირე ბიუროკრატია და კორუფცია, თავისუფალი ვაჭრობის მსოფლიო რეიტინგში მოწინავე ადგილი, დამღით „წარმოებულია საქართველოში„ პროდუქციის სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების ბაზრებზე ბარიერების გარეშე გატანა და სხვა. რეექსპორტის ხელშეწყობისათვის საჭიროა საქართველოს ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობის, ტრანზიტის პირობებისა და საკანონმდებლო გარემოს გონივრული გამოყენება. ამასთან, მიზანშეწონილია გამოირიცხოს, ან მინიმუმამდე დავიდეს ბიზნეს-გარემოს გამაუარესებელი ისეთი სამთავრობო გადაწყვეტილებები, როგორიცაა: ტურისტთა ნაკადების შემამცირებელი სავიზო რეჟიმი, ინვესტიციების შემაკავებელი შრომითი მიგრაციის კანონი, მიწებისა და უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვის შემზღუდველი კანონები და სხვა, რაც ამცირებს ქვყანაში დოლარის შემოდინაბას, ხელს უწყობს ლარის დოლარის მიმართ გაუფასურებასა და ეკონომიკურ არასტაბილურობას.

აღსანიშნავია, რომ ღარიბი ქვეყნისთვის ეკონომიკური ზრდა-განვითარება ჰაერივით აუცილებელია, რადგანაც ამის გარეშე იგი სიღარიბიდან ვერ გამოვა. ხოლო სიღარიბის დაძლევა, რომ შესაძლებელია, ამას გვიჩვენებს დღეს მდიდარი მაგრამ ოდესღაც ისეთი ღარიბი ქვეყნების გამოცდილება, როგორიცაა იაპონია, ტაივანი, სამხრეთ კორეა და სხვა **[4,გვ.15]**. მაგალითად, იაპონია 1890 წელს მდიდარი ქვეყანა სულაც არ იყო. მისი რეალური მშპ მოსახლეობის ერთ სულზე შეადგენდა 842 აშშ დოლარს. ახლა კი მდიდარია. 2014 წელს იაპონიის რეალური მშპ-მა მოსახლეობის ერთ სულზე შეადგინა 38990 აშშ დოლარი. ეს განაპირობა იმან, რომ განვლილ პერიოდში მისი ეკონომიკური ზრდა ხდებოდა მაღალი ტემპით (3%). ან კიდევ, დიდი ბრიტანეთმა 1890 წელს მოპოვებული პირველობა (რეალური მშპ მოსახლეობის ერთ სულზე 2693 აშშ დოლარი) დათმო, რადგანაც დაბალი ეკონომიკური ზრდის ტემპის (1,36%) გამო 2014 წელს მისმა რეალური მშპ-მა მოსახლეობის ერთ სულზე შეადგინა 39 600 აშშ დოლარი. ხოლო, შესაბამის პერიოდში შედარებით მაღალი ეკონომიკური ზრდის ტემპით (1,76%) აშშ-მა მიაღ-

წია მოსახლეობის ერთ სულზე 54 920 აშშ დოლარის რეალური მშპ-ს და გაუსწრო დიდ ბრიტანეთს. **მოხმობილი მონაცემები მეტყველებენ იმაზე, რომ მსოფლიოს უმდიდრეს ქვეყნებს არანაირი გარანტია არა აქვთ იმისა, რომ ყოველთვის ყველაზე მდიდრები იქნებიან, ხოლო ღარიბებს აქვთ შანსი მალალი ზრდის ტემპებით გამდიდრდნენ და პირიქით [36,გვ.88,90].** აშშ–ი და დასავლეთ ევროპაში, ანუ განვითარებულ ქვეყნებში, მოსახლეობა წელიწადში დაახლოებით ერთი პროცენტით იზრდება, ეკონომიკა კი–სამი პროცენტით. განვითარებად ქვეყნებში პირიქით, მოსახლობის ზრდის ტემპი ბევრად აღემატება ეკონომიკური ზრდის ტემპს, რის გამოც აქ დაბალია შრომის კაპიტალაღჭურვილობა და, შესაბამისად, შრომის მწარმოებლურობა ანუ საშუალო შემოსავლები. მაშასადამე, **ჩამორჩენილი ქვეყნების დაბალი ცხოვრების დონის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი მოსახლეობის რაოდენობის ზრდის ნინმსწრები ტემპია ეკონომიკური ზრდის ტემპთან შედარებით. ეკონომიკური ზრდის მალალი ტემპების მქონე განვითარებულ ქვეყნებში კი კაპიტალი უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე მუშების რიცხვი.** ისიც ხაზგასასმელია, რომ აშშ-ი მშპ მოსახლეობის ერთ სულზე (54 920 აშშ დოლარი) 7-ჯერ მეტია ჩინეთთან შედარებით (7740 აშშ დოლარი), მაგრამ აშშ-თვის შვიდჯერ უფრო რთულია ჩინეთის ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპების მიღწევა ზღვრული კაპიტალის უკუგების დაცემის კანონიდან გამომდინარე **[36,გვ.87, 88, 90].**

არსებული მონაცემების მიხედვით, საქართველოს ექსპორტის ამჟამინდელი სტრუქტურა გარკვეულწილად ასახავს ქვეყანაში შეფარდებითი უპირატესობის მქონე დარგებს. სწორედ ამიტომ, საქართველოში ზემოხსენებული ეკონომიკური ზრდის დაჩქარება შესაძლებელია საქართველოში გამოვლენილი შეფარდებითი უპირატესობის მქონე შემდეგ სექტორებში: ჰიდროენერგეტიკა, ტრანსპორტირება, უწინარეს ყოვლისა – ენერგეტიკული რესურსებისა, აგრეთვე – სოფლის მეურნეობა, კვებისა და მსუბუქი მრეწველობა, არა მხოლოდ საბინაო, არამედ საწარმოთა მშენებლობაც, ტურიზმი და ფინანსური სექტორი **[82, გვ. 76.].**

**უფრო კონკრეტულად, საქართველოს ეკონომიკის ზრდის დაჩქარებაში ყველაზე მეტი წვლილის შეტანა შეუძლია შემდეგ სექტორებს:**

**ჰიდროენერგეტიკა.** საქართველოს ეკონომიკის ზრდა დღეს პირდაპირ უკავშირდება ინდუსტრიული წარმოების შექმნას, რაც, თავის მხრივ, ენერგეტიკის განვითარებას მოითხოვს. წინააღმდეგ შემთხვევაში საქართველო დარჩება ჩამორჩენილი ქვეყანა. ბოლო დროინდელი კვლევებით საქართველოს ჰიდროპოტენციალი ათვისებულია დაახლოებით 25 %-ით. **ეს პრობლემაც არის და გამოუყენებელი შესაძლებლობაც.** აი, ამ გამოუყენებელი პოტენციალის ამოქმედება ხელს შეუწყობს ქვეყნის არა მხოლოდ ენერგოდამოუკიდებლობისა და ენერგოუსაფრთხოების გაძლიერებას, არამედ, ერთი მხრივ, ელექტროენერგიის ექსპორტს და, მეორე მხრივ, ამ ენერგიაზე მომუშავე საწარმოების ჩამოყალიბებას, მათ საშინაო და საგარეო ბაზარზე ორიენტირებას და ეკონომიკურ ზრდას.

საქართველოში ამჟამად ელექტროენერგიის 75% იწარმოება ჰიდროელექტროსადგურებზე, 20% თბოელექტროსადგურებზე და 800 მლნ კვტ/სთ ელენერგია შემოდის რუსეთიდან. ამოცანა იმაშია, რომ იმპორტული რუსული ელენერგია, რომელიც ყოველწლიურად 5%-ით მატულობს, ჩავანაცვლოთ საკუთარი ენერგორესურსებით. ამ მიმართულებით გარდაბანში შენდება ორი თბოელექტროსადგური, საიდანაც 500-600 მგვტ ახალ სიმძლავრეებს მივიღებთ. მაგრამ ეს თბოელექტრო სადგურები მუშაობენ გაზზე. გაზი კი არ არის სამამულო ენერგორესურსი. ამ მიმართებით საჭიროა გაზის ალტერნატივები და ამ ალტერნატივების სწორად შერჩევა. **გაზის რაც უფრო მეტი მილსადენი და წყარო იქნება (თურქმენეთი, ირანი, ყაზახეთი, აზერბაიჯანი, რუსეთი და სხვა), მით მაღალი იქნება დივერსიფიკაცია და ნაკლები რისკები. თუმცა, ყველა მილსადენი და ყველა წყარო სანდო არ არის.** აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველო რეგიონში ერთადერთი ქვეყანაა, რომელსაც გაზსაცავი არ გააჩნია, რაც მნიშვნელოვან პრობლემებს ქმნის გაზის მოწოდების დაუგეგმავი შეწყვეტის, აგრეთვე, მოწოდებასა და

მოხმარებას შორის არსებული სეზონური დისბალანსის გამო. სწორედ ამიტომ, ხსენებული საფრთხეებისა და რისკების შემცირებისათვის მიზანშეწონილია აშენდეს მიწისქვეშა გაზსაცავი, რომლის ტევადობა იქნება ნლიური მოხმარების მინიმუმ 15%. გაზსაცავები მსოფლიოს ყველა წამყვან ქვეყანას გააჩნია. სულ მსოფლიოში 635 გაზსაცავია. ამიერკავკასიის რეგიონში სამი მიწისქვეშა გაზსაცავია-ორი აზერბაიჯანში და ერთი-სომხეთში.

საქართველოში თანდათან იწყება განახლებადი, ადგილობრივი რესურსების ათვისება და გამოყენებაც. ამას ადასტურებს ქალაქ გორში 20 მგვტ სიმძლავრის ქარის ელექტროსადგურის მშენებლობა, რომელიც ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) მხარდაჭერით შენდება. 150 მეგავატის სიმძლავრის ნახშირის ქვესადგური, რომლის პროექტიც ტყიბულში უნდა განხორციელდეს. გარდა ამისა, მზის გამოსხივებაც საქართველოში საკმაოდ მაღალია: ბევრ რაიონში მზის ნათების წლიური ხანგრძლივობა 250-დან 280 დღემდე მერყეობს. შესაბამისად, მზის ელექტროსადგურის მშენებლობაზეც არის საუბარი. თუმცა, ამ ეტაპზე, ჰიდრორესურსი ჩვენი ქვეყნისთვის მთავარი იმედია და მას მზის, ან ქარის ენერგია კონკურენციას ვერ გაუწევს [51].

**სწორედ ამიტომ, ჩემი აზრით, საქართველოს ენერგოუსაფრთხოების ძირითადი წყარო უნდა იყოს სამამულო ჰიდროენერგორესურსი.** საქართველოს აქვს 63 ჰიდრელექტროსადგური, რომელთა სიმძლავრეები ძირითადად ათვისებულია, ისინი მაქსიმუმს გამოიმუშავებენ. ამიტომ აუციელებელია მათ დაემატოს ახალი ჰიდროელექტრო სადგურები. არსებობს ორი ტიპის ჰიდროელექტრო სადგური: მდინარის მოდინებაზე მომუშავე ჰიდროელექტროსადგური და რეზერვუარიანი ჰიდროელექტროსადგური. იმისათვის, რომ ხსენებულ იმპორტს დავაღწიოთ თავი საჭიროა: ერთი თბოელექტროსადგურის მშენებლობის დასრულება და ახალი 230-500 მგვტი-ანი ახალი თბოელექტროსადგურის აშენება. ასევე, საჭიროა აშენდეს 1500-2000 მგვტი-ანი სიმძლავრის მცირე და საშუალო მოდინებაზე

მომუშავე ჰიდროელექტრო სადგური, საიდანაც ელექტროენერგიის მიღება მხოლოდ სეზონურად არის შესაძლებელი. უნდა აშენდეს, ასევე, 1800 მგვტ-ანი რეზერვუარიანი სტრატეგიული პროექტები: ჰუდონჰესი, ნენსკრაჰესი, ენგურის კასკადი, რომლებიც ჰიდროენერგიას გამოიმუშავებენ შემოდგომა-ზამთარში, მაგრამ ყოველივე ამას წინ უნდა უსწრებდეს ინფრასტრუქტურის განვითარება. ყოველივე ამის საფუძველზე, ელექტროენერგიის ტარიფებმა (ფასებმა), ერთი მხრივ, ხელი უნდა შეუწყოს ეკონომიკურ განვითარებას და, მეორე მხრივ, შეინარჩუნოს ქვეყანაში ჯანსაღი სოციალური გარემო;

**სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა ტვირთებისა და ენერგოპროდუქტების გადაადგილებისათვის.** აღმოსავლეთსა და დასავლეთსა და ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის საქართველოს ხელსაყრელი გეოპოლიტიკური მდებარეობა, მისი საერთაშორისო სატრანზიტო კონკურენტუნარიანობისა და ლოგისტიკურ და სავაჭრო ჰაბად გადაქცევის ერთ-ერთი ძირითადი პირობაა. სწორედ ამ პოტენციალის რეალიზაციისაკენ არის მიმართული არსებული და მშენებარე სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა: ევროპა-კავკასია-აზიას შორის სატრანსპორტო კორიდორი, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი, ბაქო-თბილისი-ერზერუმის გაზსადენი, ევროპის ყაზახეთთან და ჩინეთთან დამაკავშირებელი ყარსი-ახალქალაქი-თბილისი-ბაქოს სარკინიგზო მაგისტრალი, საავტომობილო მაგისტრალი. ასევე, ბათუმის, ფოთისა და ანაკლიის მაღალწყლოვანი პორტი, რომლის მშენებლობის დამთავრება 2019 წლისათვის არის დაგეგმილი, რაც საქართველოს საერთაშორისო მნიშვნელობის ლოგისტიკურ და სავაჭრო ჰაბად ჩამოაყალიბებს. ყოველივე ეს ხელს შეუწყობს საქართველოს საერთაშორისო სატრანზიტო ფუნქციის რეალიზებას, რეექსპორტის ახალი შესაძლებლობების გაჩენასა და ექსპორტზე ორიენტირებული სამამულო, თუ უცხოური საწარმოების მშენებლობასა. ეს, ერთი მხრივ, გამოაჯანსაღებს საქართველოს მძიმე სავაჭრო ბალანსს და მეორე მხრივ, გაზრდის დასაქმებას, შემოსავლებსა და კეთილდღეობას. **ამ მიზნით, აუცილებელია, ასევე, ფართო რეკ-**

**ლამა და ბრენდირება, რომ საქართველო რეგიონში არის ღია, ყველაზე უსაფრთხო, ეკონომიმიური და მოკლე გზა ევროპასა და აზიას, ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის.**

სწორედ ამიტომ საქართველოს მთავრობამ უნდა ეცადოს უკეთ გამოიყენოს ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობა, რათა ეკონომიკური სარგებელი მოუტანოს საკუთარ მოსახლეობას. ამ მიმართებით მშენებარე ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტი ხელს შეუწყობს ერთიანი ეკონომიკური ინტერესების მატარებელი ბლოკის ჩამოყალიბებას, რომელშიც თითოეული ქვეყანა შეძლებს მეტი სარგებელი მოუტანოს საკუთარ მოსახლეობას. მაგრამ ამისთვის მათ აუცილებლად უნდა შექმნან ერთიანი ინფრასტრუქტურა, რათა შეძლონ დააკავშირონ ბაზრები და შეასაძლებელი გახდეს საქონლისა და მომსახურების რეგიონის ქვეყნებს შორის თავისუფალი გადაადგილება. ამერიკული კომპანიები ამ რეგიონში შეიტანენ თანამედროვე ტექნოლოგიებს, სერვისს, სათანადო გამოცდილებასა და ცოდნას **[13];**

**სოფლის მეურნეობა და მასთან დაკავშირებული კვებისა და მსუბუქი მრეწველობა.** სოფლის მეურნეობა ეს არის მთავარი მიმართულება, რომელიც საჭიროებს განვითარებას საქართველოში. იმიტომ, რომ საქართველო არის აგრარული ქვეყანა. სირცხვილია, რომ აგრარულ ქვეყანაში პროდუქციის 85% იმპორტირებულია და ამავდროულად სახნავი მიწების 40% არის დაუმუშავებელი. **ეს სერიოზული ხარვეზია, მაგრამ ამავდროულად სერიოზული რეზერვიც.** აი, ამ რეზერვების ამოქმედება და დარგის განვითარება უზრუნველყოფს ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოებას, რეგიონებში შექმნის სამუშაო ადგილებს, გაზრდის დოვლათს, შემოსავლებს და წაახალისებს მასთან დაკავშირებული კვებისა და მსუბუქი მრეწველობის განვითარებას. მიუხედვად ბოლო წლებში ამ დარგის ბენეფიციარებზე გაცემული 300 მილიონ ლარზე მეტი სუბსიდიებისა და ათასზე მეტი შექმნილი კოოპერატივისა, დარგს შიგნით და ქვედარგობრივ ჭრილში მაინც შეიმჩნევა ასიმეტრიულობა და არასაკმარისი ეფექტიანობა. კერძოდ, 2015 წელს 2012 წელთან შედარებით მეცხოველეობის ზრდის ტემპი არის დაბალი, ხოლო მემცენარეობაში და მომსა-

ხურებაში უმნიშვნელო წინსვლაა, რაც, გარკვეულწილად, იმით უნდა აიხსნას, რომ სოფლად მომსახურების წილი ისედაც უზომოდ დაბალია, სოფლის მეურნეობა ინერტულია და დაბანდებული კაპიტალის უკუგება შედარებით დიდ დროს მოითხოვს. აგრეთვე იმით, რომ ადგილობრივი ფერმერული მეურნეობები არც საკმარისად განვითარებულია და არც იმ მასშტაბისაა, რომ ქვეყანაში არსებული მოთხოვნა დააკმაყოფილოს. სწორედ ამიტომ, ბაზრის ძალიან დიდი ნაწილი სწორედ იმპორტირებულ ხორცს უჭირავს[18]. ამჟამად საქართველოში 1,745 მილიონი ადამიანია დასაქმებული. აქედან უმეტესობა, 888 ათასი სოფლის მეურნეობაშია დასაქმებული, 744 ათასამდე მომსახურების სფეროში, ხოლო 113 ათასი – მრეწველობაში. ეს მაშინ, როდესაც მსოფლიო მასშტაბით, დასაქმებულთა უმეტესობა მომსახურების სფეროში მუშაობს [81]. მაშასადამე, თუ სოფლის მეურნეობაში არ ამაღლდა შრომის მწარმოებლურობა, არ გამოთავისუფლდა აქედან სამუშაო ძალა სხვა დარგებისათვის, ვერ განვითარდება მასთან დაკავშირებული გადამამუშავებელი, კვების მრეწველობა და მსუბუქი მრეწველობა, სადაც სამრეწველო პროდუქციის 50-60% იწარმოება სოფლის მეურნეობის მიერ მიწოდებული ნედლეულისა და ნახევაფაბრიკათების საფუძველზე და სადაც გაბატონებულია მცირე და საშუალო ბიზნესი. შესაბამისად, ვერ განვითარდება ტურიზმი და მომსახურების სხვა დარგებიც. მნიშვნელოვანია, ასევე, პერსპექტივაზე გათვლილი, სოფლის მეურნეობის თითოეული დარგის განვითარების სტრატეგია. საქართველოში უნდა არსებობდეს სამსახური, რომელიც მოეხმარება სამამულო მეწარმეებს უცხოურ ბაზრებზე შესვლაში და იქ დამკვიდრებაში. საჭიროა წახალისდეს ის ფერმერული მეურნეობები და პროდუქცია, რომელიც უფრო მოთხოვნადია საზღვარგარეთის ბაზრებზე;

**ტურიზმი.** საქართველოს ხელსაყრელი გეოპოლიტიკური მდებარეობის, მდიდარი ბუნებრივ-სოციალურ-კულტურული რესურსებისა და ქართველთა სტუმართმოყვარეობის გათვალისწინებით ტურიზმი ეროვნული მეურნეობის ერთ-ერთი (და არაერთადერთი!) პრიორიტეტული მიმართულებაა. ტურიზმი

ხელს უწყობს დასაქმების დონის ზრდას, რადგანაც მასში ერთი სამუშაო ადგილის შექმნა უშუალოდ მომიჯნავე დარგებში (ტრანსპორტი, მომსახურება, ვაჭრობა და სხვა) ქმნის 3 ახალ სამუშაო ადგილს; ტურიზმი აჩქარებს მრავალი მომიჯნავე და არამომიჯნავე დარგების განვითარებას, ზრდის მშპ-ს, სავალუტო ნაკადების შემოდინებას და სხვა;

**ფინანსური სექტორი.** ქართული ბიზნესის ერთ-ერთი ნათელი წერტილია საბანკო სექტორი, რომელიც ორგანიზებულობის დონის მიხედვით წინ უსწრებს ეკონომიკის სხვა სექტორებს. ეს განაპირობა საბანკო სისტემის ორბუნებოვნებამ. ერთი მხრივ, იგი არის ეროვნული ეკონომიკური სისტემის და, მეორე მხრივ, მსოფლიო ფინანსური სიტემის ნაწილი. სწორედ ეს ორბუნებოვნება აიძულებს მას განვითარდეს უფრო სწრაფი ტემპებით, დანერგოს საბანკო საქმის გაძღოლის, რეგულირებისა და კონტროლის საერთაშორისო სტანდარტები. სწორედ ამიტომ, საქართველოში საბანკო სისტემა უნდა მოგვევლინოს მთელი ეკონომიკის ლოკომოტივად, მან უნდა უზრუნველყოს ეკონომიკის სუბიექტებისათვის ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობა. სამწუხაროდ, საქართველოს ფინანსური ბაზარი ფაქტობრივად დგას ერთ ფეხზე. არის ბანკი და არ არის კაპიტალის ბაზარი. ბანკებს არა აქვთ კონკურენცია კაპიტალის ბაზრის მხრიდან. სწორედ ამიტომ აუცილებელია ბანკოცენტრისტული სისტემიდან პოლიცენტრისტულ სისტემაზე გადასვლა, საჭიროა კრედიტის ალტერნატივები ანუ დაფინანსების წყაროების გამრავალფეროვნება: დაგროვებითი საპენსიო სისტემა; საფონდო ბირჟა, რომელიც თითოეულ მოქალაქეს აქციების შეძენით საშუალებას მისცემს მონაწილეობა მიიღოს სხვა კომპანიაში; დეპოზიტების დაზღვევის სისტემა; ექსპორტის დაკრედიტება; ვენჩერული კაპიტალი და საინვესტიციო ფონდები; ფერმერთა ერთი ნაწილის მიწის ნაკვეთების დარეგისტრირება, რათა მათი ბანკში უზრუნველყოფის საშუალებად ჩადებით შესაძლებელი გახდეს კრედიტის აღება; ლიზინგი; გრანტი; ბიზნეს-ანგელოზები; ჯეროვან დონეზე შესრულებული, კრედიტორებისა და ინვესტორებისათვის მიმზიდვე-

ლი მომგებიანი ბიზნეს-გეგმა და სხვა.

ეს არის ის სექტორები, სადაც შეფარდებითი უპირატესობა უკვე გამოკვეთილია. დროთა ვითარებაში, ახალი და გაფართოებული საბაზრო მოთხოვნების შესაბამისად, სავარაუდოდ, გამოვლინდება ახალი შეფარდებითი უპირატესობის მქონე დარგებიც, როგორც ეს ხდებოდა განვითარებით ჩვენზე წინ მდგომ ქვეყნებში. **საქართველოს საგარეო ბაზრების დივერსიფიკაცია (გამრავალფეროვნება) ბადებს ახალ ბიზნეს-იდეებს. სწორედ ამიტომ, კომპანიები უნდა დააკვირდნენ ახალი ბაზრების მომხმარებლებს რა საჭიროებები და პრობლემები აქვთ და მათი საჭიროებები და პრობლემები საკუთარი ბიზნესის შესაძლებლობად აქციონ.**

საქართველოში ამჟამად ბიზნესის წამოწყება ბევრად იოლია, ვიდრე პროფესიის მიხედვით სამუშაო ძალის გაქირავებით დასაქმება. ეს იმიტომ, რომ ბოლო დროს ბიზნესის რეგისტრირება ერთობ გამარტივდა და მოხდა მისი ელექტრონულ რეჟიმში გადაყვანა. **ამან შესამჩნევად გაზარდა ბიზნესის წამომწყებთა რაოდენობრივი მაჩვენებლი, მაგრამ ამავდროულად ხელი შეუწყო ბიზნესში ბევრი შემთხვევით ადამიანის მოსვლას, რომელსაც მოგების მიღების სურვილი კი აქვს, მაგრამ ბიზნესის მომგებიანი გაძღოლის ელემეტარული ცოდნა არ გააჩნია.** ამის გამოა, რომ ახალი ფირმების თითქმის 70% იხურება ერთი წლის განმავლობაში. ამ ფონზე მოსახლეობაში ბიზნეს ცოდნის გავრცელება ერთობ აქტუალურია.

ჩვეულებრივ, ბიზნესში არსებობს გადარჩენისა და განვითარების სტრატეგია. დღეს საქართველოში მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესის ხელმძღვანელთა უმრავლესობა ფიქრობს არა ზრდის პერსპექტივაზე, არამედ ელემენტარულ გადარჩენაზე. სხვა სიტყვებით, დღეს საქართველოში მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესის ხელმძღვანელთა უმრავლესობა ორიენტირებულია არა განვითარების, არამედ გადარჩენის სტრატეგიაზე. აღნიშნულს ზოგჯერ ხელს უწყობს კანონმდებლობაც, არადა, ეკონომიკურად მიზანშეწონილია განვითარებაზე ორიენტცია.

ასე მაგალითად, 2011 წელს მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის მოტივით „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონში და საგადასახადო კანონში ცვლილებების შედეგად წარმოიშვა მიკრო ბიზნესის სტატუსის ფიზიკური პირისა და მცირე ბიზნესის სტატუსის მეწარმე ფიზიკური პირის ცნება. **მიკრო ბიზნესის სტატუსი შეიძლება მიენიჭოს ფიზიკურ პირს,** რომელიც არ იყენებს დაქირავებულ პირთა შრომას და დამოუკიდებლად ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას, რომლიდანაც მის მიერ მისაღები ჯამური ერთობლივი შემოსავალი კალენდარული წლის განმავლობაში არ აღემატება 30 000 ლარს. **მცირე ბიზნესის სტატუსი კი შეიძლება მიენიჭოს მეწარმე ფიზიკურ პირს** თუკი ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი წლის განმავლობაში არ აღემატება 100 000 ლარს.

ამ მოთხოვნების დაცვით ბიზნესი, ერთი მხრივ, ახალი სამუშაო ადგილების შექმნისა და მუშაკთა დასაქმების და, მეორე მხრივ, წარმოების ზრდა-გაფართოების წინააღმდეგ არის მიმართული. ეს მაშინ, როდესაც უცხოელმა ბიზნესმენმა, მაგალითად, აშშ-ი საკუთარი საქმე, რომ წამოიწყოს სხვა მოთხოვნებთან ერთად სულ ცოტა ადგილობრივი 5-6 კაცი მაინც უნდა დაასაქმოს. ან კიდევ, ევროკომისიის მიხედვით მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების კალსიფიკაცია ასეთნაირად ხდება. მიკროსაწარმოში დასაქმებულთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 9 კაცს, ხოლო მაქსიმალური წლიური ბრუნვა არ უნდა აღემატებოდეს 2 მილიონ ევროს. შესაბამისად, მცირე საწარმოში – 49 კაცს და – 10 მილიონ ევროს; საშუალოში კი – 249 კაცს და – 50 მილიონ ევროს **[99,c.4.]**. ვფიქრობთ, ევროკავშირზე ორიენტირებულ საქართველოში მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესის ზღვრები შესაბამისობაში უნდა მოვიდეს ევროკომისიის მოთხოვნებთან და მხოლოდ ამის შემდეგ მოხდეს მათზე ამათუიმ შელავათის გავრცელება.

საქართველოს ეკონომიკური ზრდის სტიმულირებისათვის მნიშვნელოვანია, ასევე, რეგიონულ და დარგობრივ ჭრილში ბიზნესის განვითარებაში ასიმეტრიულობის დაძლევა.

მსოფლიო ბანკის კვლევამ გამოკვეთა, რომ **ბიზნეს-სექტორი** ძირითადად თბილისსა და რამდენიმე დიდ ქალაქშია (რუსთავში, ქუთაისში, ბათუმსა და ფოთში) განვითარებული. ბიზნესის 72% მოდის თბილისზე და 28% დანარჩენ საქართველოზე. ამის გამოა, რომ თბილისში ცხოვრობს ქვეყნის მოსახლეობის 30% და მოსახლეობის ერთ სულზე ბიზნესის წლიური ბრუნვა 25 ათას ლარამდეა, რეგიონებში კი ეს მაჩვენებელი 3 ათას ლარზე ნაკლებია. მოკლედ, თბილისი თავკომბალას დაემსგავსა და გრძელვადიან პერიოდში სხვადასხვა საფრთხეების შემცველია. **სწორედ ამიტომ რეგიონებში, სადაც ბიზნესის წარმოებისათვის არახელსაყრელი პირობებია, სახელმწიფოს მხრიდან მეტი შეღავათების დაწესებაა საჭირო.** ისიც ხაზგასასმელია, რომ ბიზნეს-სუბიექტების დაახლოებით 70% ინდმეწარმეა, ხოლო 30% კომერციული იურიდიული პირი ანუ ორი ან მეტი პარტნიორის ხელშია. ე. ი. პრობლემა საწარმოთა რაოდენობაში კი არა, არამედ იმაშია, რომ მათგან 70% ერთი პირის ხელშია **[44, გვ.567]**. არადა, ხალხური სიბრძნის მიხედვით „მარტო კაცი ჭამაშიაც ბრალიაო და ძალა ერთობაშიაო".

ევროკავშირზე ორიენტირებული ბიზნესისთვის ხელშემშლელია არასაკმარისი პროფესიული განათლება, რადგანაც არასათანადო დონის პროფესიონალი-მუშაკი ვერ ქმნის საერთაშორისო მოთხოვნების ხარისხიან პროდუქციას და შესაბამისად მიწოდებასა და ბაზარს. პრობლემატურია ჯეროვანი სამეწარმეო განათლების უქონლობაც, რომლის გარეშე ვერ იქმნება სიცოცხლისუნარიანი, მომგებიანი ბიზნეს-გეგმა და ვერ ხორციელდება მისი ეფექტიანი რეალიზაცია. სუსტია ფინანსებზე ხელმისაწვდომობაც. კომბანკები აგროკრედიტებს დოლარში გასცემენ, რაც ლარის არასტაბილურობის შემთხვევაში ზრდის სესხის მომსახურების ხარჯებსა და რისკებს. სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთების ოფიციალური დაურეგისტრირებლობა გამორიცხავს მიწის გირაოში ჩადებით სესხის აღების შესაძლებლობას. ამ მიმართებით, საწყის ეტაპზე საჭიროა მეტი საგრანტო პროგრამა. უკმაყოფილოა ბიზნესი ხშირი და გაწელილი საგადასახადო შემოწმებებითაც. ბუნდოვანი სიტუაციაა

საავტომობილო ბიზნესის რეგულირების კუთხით, რომელმაც არ იცის საით წავიდეს და სხვ.

**უნდა შევნიშნოთ ისიც, რომ ეროვნულ მეურნეობას ალორძინებს ცალკე აღებული არა მრეწველობა, მშენებლობა, ფინანსური სექტორი, ტურიზმი ან, თუ გნებავთ, აგრარული სექტორი, არამედ ბიზნესის ინოვაციური ფორმა-მეწარმეობა, რომელიც უფრო ფართო მოვლენაა და ეხება ეკონომიკის ყველა დარგსა და რეგიონს.** სწორედ ამიტომ, მიზანშეწონილია სახელმწიფოს მხრიდან მეწარმეობის წახალისების პოლიტიკის გატარება მთლიანად ეროვნულ მეურნეობაში და რეგიონებში, რადგანაც მსოფლიო ბანკის კვლევებით, ქვეყნის ეკონომიკა როგორადაც უნდა გაიზარდოს, დოვლათი არ ნაწილდება რეგიონებზე და ძირითადად დედაქალაქში აკუმულირდება, რაც აღრმავებს შემოსავლებრივ უთანაბრობას თანმდევი უარყოფითი ეფექტებით (შრომითი ემიგრაცია შინ და გარეთ, ამის გამო ოჯახების ნგრევა და სხვ.).

ამასთან, **სოციალური მშვიდობისა და საზოგადოების საყოველთაო და დიფერენციული კეთილდღეობისათვის, ეკონომიკური ზრდის მაღალ ტემპებთან ერთად აუცილებელია ნაზრდი შემოსავლის მიზნობრივი და სამართლიანი განაწილებაც.** საბიუჯეტო სახსრების ეფექტიანი გამოყენების მთავარი არსიც სწორედ ის არის, რომ იგი განაწილებული იქნას მკაცრად მიზნობრივად. არ შეიძლება სოციალური დაცვის სახსრები მდიდრებზეც და ღარიბებზეც თანაბრად ნაწილდებოდეს. სოციალური დაცვის პოლიტიკით სახელმწიფო უნდა დაეხმაროს უმწეოებს და არა იმათ, ვისაც ისედაც აქვთ საკმარისი სახსრები. მაგალითად, **ალოგიკურია ღარიბი სახელმწიფოს მიერ ფინანსდებოდეს მილიონერი მოქალაქის საყოველთაო სამედიცინო მომსახურება, მისი შვილისთვის სახელმძღვანელოების შეძენა და სხვ.** სოციალური დაცვის სახსრები უნდა მიიმართოს იმათკე, ვისაც ბაზრისაგან დამოუკიდებლად თავის დაცვა არ ძალუძს, ანუ იმათკე, ვისაც ეს ყველაზე მეტად ესაჭიროება. ესენია: უმწეო ბავშვები, პესიონერები, შეზღუდული შესაძლებლობების ადამიანები და სხვა. მოკლედ, **საყოველთაო ჯანდაცვა უნდა შე-**

**იცვალოს მიზნობრივი დახმარებით და ამუშავდეს კერძო სადაზღვევო სექტორი.** უარი უნდა ითქვას პატერნალისტურ სახელმწიფოზე და, შესაბამისად, ბიუჯეტის ხარჯების წილი მშპ-თან მიმართებაში 29 პროცენტიდან 20 პროცენტამდე შემცირდეს. ამ გზით გამოთავისუფლებული სახსრებიდან კი, ის, ვისაც სოციალური დაცვა მართლაც ესაჭიროება მიიღებს უფრო მეტს. ამასთან, თუ ადამიანი შრომისუნარიანია, შრომისუნარიან ასაკშია და აქვს შრომის სურვილი, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს შრომის ბაზრის მოთხოვნების შეაბამისად მისი პროფესიული მომზადება, გადამზადება, კვალიფიკაციის ამაღლება, ტრეინინგირება და განვითარება, რათა შეძლოს მან საკუთარი შრომით გამოიმუშაოს შემოსავალი და სახელმწიფოსაც გადაუხადოს გადასახადი. ასეთი მიდგომით მუშაკში ჩადებული ფული გამოიმუშავებს უფრო მეტ ფულს და გაცილებით მეტ ნაბიჯს გადავდგამთ წინ. მხოლოდ სოციალურად დაუცველ მოსახლეობაზე ორიენტირებული ბიუჯეტი კი გარკვეული პერიოდი მოგვცემს საშუალობას, რომ დახმარება გავუწიოთ მათ, მაგრამ შემდგომ დადგება უფრო რთული პერიოდი და უფრო მეტი ადამიანი გახდება დასახმარებელი. სწორედ ამიტომ, კარგი იქნება თუ თანხის გარკვეულ ნაწილს მოვახმართ ადამიანებში ინვესტირებას და შრომისუნარიან ადამიანებს შევუწყობთ ხელს განვითარებასა და დასაქმებაში [5]. ეს იქნება სწორი, მიზანმიმართული და ქმედითი სოციალური პოლიტიკა, რაც შეარბილებს უთანაბრობას და ხელს შეუწყობს საზოგადოების საყოველთაო და დიფერენციულ კეთილდღეობას.

**აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოში, არსებული ეკონომიკური მდგომარეობისა და ბიუჯეტის გათვალისწინებით, ძვირი ბიუროკრატია საკმაოდ დიდი ტვირთია. მისი დაფინანსება მოითხოვს დიდ გადასახადებს, რაც ამცირებს მოტივაციას და აფერხებს ბიზნესის განვითარებას.** ამჟამად საქართველოს ბიუროკრატიული აპარატის ზომა 274 900-ადამიანს შეადგენს. საჯარო სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა წინა წელთან შედარებით 23.7%-ით არის გაზრდილი. ბიუროკრატიული აპარატი ქვეყნის ბიუჯეტიდან ფინანსდება. ბიუჯეტში კი საშემოსავ-

ლო გადასახადს დაქირავებით დასაქმებული 475 ათასი ადამიანი იხდის. 2014 წელს ბიუროკრატია 251 ათასი იყო, 2013 – 247 ათასი. ხაზგასასმელია, ისიც რომ საქართველოს დღეს მართავს 19 სამინისტრო **[ტაბულა. 24 ივნისი 2016 წ.]**. იგივე შვეიცარია კი, ანუ მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე განვითარებული ქვეყანა, იმართება 8 სამინისტროს მეშვეობით. შესაბამისად, **საქართველოში ბიუროკრატიის შემცირება-ოპტიმიზაციის რეზერვი საკმაოდ დიდია.** შესაძლებელია ყველა უპორთფელო სამინისტროს გაუქმება უკლებლივ. მაგალითად, შესაძლებელია გაუქმდეს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის სამინისტრო და შეუერთდეს, როგორც დეპარტამენტი საგარეო საქმეთა სამინისტროს. ან კიდევ ავიღოთ, მაგალითად, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო. ასეთი სამინისტრო არ გვხვდება არცერთ ევროპულ ქვეყანაში. დღეს, როდესაც პროკურატურა გამოეყო იუსტიციის სამინისტროს, შესაძლებელია სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო მთლიანად გაუქმდეს და დაუბრუნდეს იუსტიციის სამინისტროს. ან კიდევ, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო შეიძლება გაუქმდეს და მთლიანად გადაეცეს პროფესიულ ფედერაციებს. ასევე, ახალგაზრდა საქმეების დეპარტამენტი შესაძლებელია გადაეცეს განათლების სამინისტროს, ან თავდაცვის სამინისტროს, როგორც ეს შვეიცარიაში, ან ავსტრიაშია. თუ ჰოლანდიას არა აქვს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო, რა, ვერ ახერხებს თავისი კულტურის პროპაგანდას, ძეგლების დაცვას, არა აქვს მაგარი და წარმატებული პროექტები, მუზეუმები?! რათქმა უნდა, აქვს. თავისუფლად შესაძლებელია აღნიშნული სამინისტროს განახევრება. ყველაფერი ეს, მთლიანობაში, დაზოგავს ასობით მილიონ ლარს და თუ ამდენითვე შემცირდება სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი ამით ძალიან გაჯანსაღდება მაჩვენებლები. **[57]. გაბერილი ბიუროკრატიული ხარჯების შემცირება-ოპტიმიზაცია მით უფრო აუცილებელია, რომ მომავალი წლის დასაწყისიდან ასამოქმედებელი რეინვესტირებული მოგების დაბეგვრისაგან განთავისუფ-**

**ლება და საშემოსავლო გადასახადიდან ორი პროცენტის გადარიცხვა დაგროვების საპენსიო სისტემაში საგრძნობლად შეამცირებს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილს.**

არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეკონომიკური ზრდა და სოციალური სამართლიანობა ბერკეტიანი სასწორის ორი პინაა, რომელიც ერთმანეთს უნდა ანონასწორებდეს. აბა გავიხსენოთ, მეოცე საუკუნის ოციან წლებში მხოლოდ ეკონომიკურმა ზრდამ (საბაზრო ძალებზე დამყარებამ), სოციალური სამართლიანობის გარეშე, კაპიტალიზმი ჩიხში შეიყვანა, ხოლო მხოლოდ სოციალურმა სამართლიანობამ, სტაბილური ეკონომიკური ზრდის გარეშე, მსოფლიო სოციალისტური სისტემის კრახი გამოიწვია.

ამგვარად, ეკონომიკური ზრდა (ეფექტიანობა) და სოციალური სამართლიანობა ანტიპოდები კი არ არიან, არამედ ერთმანეთს აპირობებენ. ეკონომიკური წარმატებები საშუალებას იძლევა საზოგადოება დაწინაურდეს სოციალურად, გაიუმჯობესოს შრომის, ყოფაცხოვრების, ჯანდაცვის, განათლებისა და სხვა პირობები, დაწესდეს ეკონომიკური გარანტიები, ანუ მთელი ქვეყნის მასშტაბით ცხოვრების (შრომის, დასვენების, ჯანდაცვის, განათლების) მინიმალური დონის უზრუნველყოფა. თავის მხრივ, საზოგადოების სოციალური დაცულობა კეთილსასურველ გავლენას ახდენს ეკონომიკურ ზრდაზე. ასეთია ეკონომიკური ზრდისა და სოციალური სამართლიანობის დიალექტიკა. როგორც დანიშნულების ადგილისაკენ მიმავალი ავტომანქანა არ შეიძლება მოძრაობდეს ერთნაირი სიჩქარით გზის სახიფათო და უხიფათო ნაწილზე, ისე ეკონომიკური ზრდა (სიჩქარე), გარკვეულ ეტაპზე, სამართლიანობის დაცვისათვის მიზანშეწონილია შენელდეს, რათა თავიდან ავიცილოთ მოსალოდნელი სოციალური აფეთქება და „ეკონომიკის ხრამში გადაჩეხვა.“

**ქვეყანაში არსებულ მაკროეკონომიკურ ფონს კარგად ახასიათებს უმუშევრობის ნორმა.** უსაფრთხოების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, უმუშევრობის ნორმა 5-6%-ია. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემე-

ბის მიხედვით 2012 წელს, როდესაც საქართველოში ახალი ხელისუფლება მოვიდა, უმუშევარი იყო 305 100 კაცი და უმუშევრობის დონე შეადგენდა 15%-ს. 2013 წელს კი საქართველოში უმუშევრობის დონე გაუტოლდა 14,6%-ს, ხოლო უმუშევართა რაოდენობა-291 800 კაცს. 2014 წელს უმუშევრობის დონე წინა წელთან შედრებით 12,4 პროცენტამდე შემცირდა და უმუშევართა რაოდენობამ შეადგინა 246 000 კაცი, ხოლო 2015 წელს უმუშევრობის დონე 12 პროცენტამდე შემცირდა და უმუშევართა რაოდენობამ შეადგინა 241 600 კაცი **[დასაქმება და უმუშევრობა, 53]**. ე.ი. საანალიზო პერიოდში უმუშევართა რაოდენობა შემცირდა (305 100-241600)= 63 500 კაცით, ანუ 20,8%-ით. თუმცა, საქართველოში უმუშევრობის დონე ჯერ კიდევ დაახლოებით ორჯერ (12:6=2) მეტია უმუშევრობის უსაფრთხოების ნორმაზე. ეს კი ზრდის ფაქტობრივი მშპ-ის პოტენციური მშპ-დან ჩამორჩენას, უმუშევრობას, სიღარიბესა და სიღატაკეს. **ხაზგასასმელია ისიც, რომ უმუშევრობის მთლიანად აღმოფხვრა თავად ქვეყნისთვის არახელსაყრელია, რადგანაც უმუშევართა გარკვეული არმია ყოველთვის აიძულებს მომუშე პერსონალს მაღალ დონეზე შეასრულოს თავისი სამუშაო, რათა მისი ადგილი უმუშევარმა არ დაიკავოს.** საქართველოში, ბოლო ოცდახუთი წლის განმავლობაში, პოსტსოციალისტური გარდაქმნებისას ადამიანთა ერთმა ნაწილმა დაკარგა არა მხოლოდ სამუშაო, არამედ პროფესია და კვალიფიკაციაც. ე. ი. საჭიროა მათი პროფესიული მომზადება, გადამზადება, კვალიფიკაციის ამაღლება, დატრეინინგება და სხვა. ნურც იმას დავივიწყებთ, რომ განვითარებულ, დინამიურ ქვეყნებში ადამიანები თავიანთი შრომით ბიოგრაფიის მანძილზე სულ ცოტა სამჯერ იცვლიან პროფესიას და იმაღლებენ კვალიფიკაციას. უმუშევრობის შემცირებაში ძალიან მნიშვნელოვანია, ასევე, სამუშაოს მიმცემთა განთავისუფლება ბიუროკრატიული მარწუხებისაგან, რადგანაც დამქირავებლებზე ზიანის მიყენებით ვენებთ სამუშაოს მაძიებლებსაც. ამასთან, საჭიროა არა უბრალოდ დასაქმება, არამედ ეფექტიანი დასაქმება, რათა კო-

რუფციას და ჩრდილოვან ეკონომიკას საფუძველი გამოეცალოს. აშშ-ი პროდუქციისა და მომსახურების ხარისხი მაღალია იმიტომ, რომ იქ მუშიდან დაწყებული, მენეჯერით დამთავრებული, ყველა ექვემდებარება უწყვეტ განათლებას. შესაბამისად, საქართველოში უმღლესი განათლება ორგანულად უნდა ერწყმოდეს უმაღლესამდე და უმაღლესის შემდგომი განათლების საფეხურებს და ერთიანი სისტემის ორგანულ შემადგენელ ნაწილს შეადგენდეს.

**ქვეყანაში არსებულ მაკროეკონომიკურ ფონს, ასევე, კარგად ახასიათებს საგარეო ვაჭრობის ბალანსი.** აღიარებულია, რომ საგარეო ვაჭრობა არის ექსპორტის იმპორტად გადაქცევის სპეციფიური ტექნოლოგია, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ექსპორტი ტოლია ან მეტია იმპორტზე. ასევე, ლოგიკურად, საგარეო ვაჭრობა, ანუ ქვეყნის კარგახსნილობა ხელს უწყობს ეკონომიკურ ზრდას, მაგრამ ეს იმ შემთხვევაში, როცა ექსპორტი იმპორტს აბალანსებს ან სჭარბობს. საქართველოში კი იმპორტი ექსპორტს 3,8-ჯერ აღემატება. **ეს იმას ნიშნავს, რომ ქართული ექსპორტული პროდუქცია მწირია, ნაკლებ კონკურენტუნარიანი და სარგებლიანია საერთაშორისო ბაზარზე. ეს იმასაც ნიშნავს, რომ ქართული ეკონომიკა დიდად არის დამოკიდებული იმპორტზე, რადგან ქვეყანა გაცილებით მეტს მოიხმარს, ვიდრე ქმნის. ე.ი. საქართველო არის არა წარმოებაზე, არამედ მოხმარებაზე ორიენტირებული ქვეყანა [25].** წლების განმავლობაში იმპორტზე ორიენტირებული ეკონომიკის ზრდას ხელს უწყობს მოხმარების და არა წარმოების სტიმულირება, რაც, უმეტისწილად უზრუნველყოფილია უცხოური გრანტებით, შემოწირულობებით, დახმარებებით, საერთაშორისო ტურისტებით, სამუშაო ძალის ექსპორტით, ლარის სიმყარით (მაგალითად, მყარი ლარის პირობებში იმპორტული პროდუქცია, რომ გაიყიდება ლარზე, შემდგომ ამ ლარით უფრო მეტი დოლარის, ანუ მეტი იმპორტული პროდუქციისა თუ რესურსების შეძენის შესაძლებლობა იქმნება და პირიქით) და სხვ.

**ჩვეულებრივ, ქვეყნის უსაფრთხოებისთვის სამომხმარებ-**

**ლო კალათაში უნდა სჭარბობდეს სამამულო პროდუქცია,** საქართველოში კი იმპორტული პროდუქცია შეადგენს სამომხმარებლო კალათის 75%-ს. ე.ი. სამამულო ბაზარი გაჯერებულია არა მწარმოებლურობის ამაღლებით, არამედ იმპორტის ექსპორტზე გადამეტებით **[55,გვ. 430]. ეს იმას ნიშნავს, რომ ქართული პროდუქცია საშინაო ბაზარზეც კი არ არის კონკურენტუნარიანი, საზოგადოებრივად სარგებლიანი. ე.ი. ქვეყანაში დომინირებს უცხო ქვეყნების „მეორე ეკონომიკები", ანუ საქართველოში არსებული მიწოდების უდიდესი ნაწილი ქვეყნის გარეთ იქმნება.**

ეკონომიკური ზრდისთვის ინვესტიციების წილი მშპ-ში უნდა შეადგენდეს 30-%ს, საქართველოში კი ეს მაჩვენებელი 10-12%-ა **[47,გვ.67]**. ე.ი. საქართველოს ეკონომიკას ძირითადად მომხმარებლური ხასიათი აქვს. მოიხმარება მშპ-ს 88-92%, ხოლო ინვესტიციებზე მიდის 10-12%. ის ქვეყანა კი, რომელსაც დღევანდელი კვერცხი ურჩევნია ხვალინდელ ქათამს, ხვალ უფრო ნაკლებ კვერცხსა და ქათამს მიირთმევს;

სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველოს ბევრმა მოქალაქემ ამათუიმ მიზეზით დატოვა საქართველო. ამჟამინდელი მდგომარეობით საქართველოს მოსახლეობის დაახლოებით 20%, ერთ მილიონზე მეტი ადამიანი (მათ შორის 2/3 –რუსეთში, დანარჩენები კი – ძირითადად საბერძნეთში, თურქეთში, უკრაინაში, აშშ-სა და ესპანეთში) საზღვარგარეთ ცხოვრობს **[94,გვ.167]**.

**ამის გამოა, რომ საზღვარგარეთ საქართველოს მეტი ჰყავს დაქირავებით დასაქმებული (750-800 ათასი კაცი), ვიდრე ქვეყნის შიგნით (595 000).** უცხოეთში მყოფი თანამემამულეების ფულადი გზავნილები, ანუ ტრანსფერები უკვე რამდენიმე წელიწადია საქართველოს ეკონომიკაში ინვესტიციების როლსაც ასრულებს. მარტო 2013 წელს, საქართველოში გადმორიცხული 1535 მლნ-ზე მეტი აშშ დოლარიდან დიდი წილი, ანუ 818 მლნ-ზე მეტი რუსეთზე მოდის, რაც უხეში გათვლებით, საერთო გადმორიცხვების 53%-ია. **[2,გვ2]**.

**ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველოში არსებული მიწოდე-**

**ბისა და მოთხოვნის უდიდესი ნაწილი ქვეყნის გარეთ იქმნება. გამოდის, რომ საქართველოში არ არის მწარმოებელი და მომხმარებელი, არის მხოლოდ შუამავალი.** არადა, საქართველოში, ჯერ კიდევ სავაჭრო ბურჟუაზიის ფორმირების პროცესში, სახეზე იყო მწარმოებელი, შუამავალი და მომხმარებელიც. მაგალითად სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი ვარიებს ყიდულობდა გლეხისაგან (მწარმოებელი) და მერე თავად, როგორც შუამავალი, ყიდდა მომხმარებელზე. **ამჟამად კი საქართველოს ეკონომიკა, არსებითად, დგას არა სამ, არამედ ერთ ფეხზე (შუამავალზე). ეს კი ეკონომიკის ამორფულობასა და არმდგრადობაზე მეტყველებს.**

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ქვეყანაში დაგროვილ პრობლემებს შორის ერთ-ერთი ყველზე მწვავეა ეკონომიკური ზრდის დაჩქარება, რადგანაც ამის გარეშე შეუძლებელია მოსახლეობის ერთ სულზე საქონლისა და მომსახურების მოცულობის ზრდა ანუ ცხოვრების დონის სისტემატური ამაღლება, განვითარებული ქვეყნებისაგან ეკონომიკური ჩამორჩენის დაძლევა და ქვეყნის საეთაშორისო ავტორიტეტისა და ცნობადობის ამაღლება. ამასთან, საჭიროა აღინიშნოს ისიც, რომ **ჩვენ ეროვნული ეკონომიკის ზრდის დაჩქარება გვაინტერესებს არა მხოლოდ სამამულო საქონლის წარმოებისათვის, არამედ შიგა ბაზრის უმთავრესი სუბიექტის, მყიდველობითუნარიან მომხმარებელთა შესაქმნელათაც.** შეიძლება ცოტა პარადოქსულადაც ჟღერს, მაგრამ ფაქტია – წარმოებაში საქონელთან ერთად მისი მომხმარებელიც იქმნება.

**აღსანიშნავია, რომ ძალიან მკაცრი კოლერაცია არსებობს ცხოვრების დონესა და მოსახლეობის სიცოცხლის ხანგრძლივობასა და განათლებულობის დონეს შორის.** მაგალითად, ისეთ მდიდარ ქვეყნებში, როგორიცაა აშშ, შვეიცარია და იაპონია, სიცოცხლის ხანგრძლივობა დაახლოებით ოთხმოცდასამი წელია და თითქმის მთელი მოსახლეობა წერა-კითხვის მცოდნეა. ღარიბ ქვეყნებში, როგორიცაა ნიგერია, ბანგლადეში და ინდოეთი, ადამიანები ჩვეულებრივ, მხოლოდ სამოც წლამდე ცოცხლობენ და წერა – კითხვა მოსახლეობის მხოლოდ ნახევარმა იცის. სი-

ცოცხლის ხანგრძლივობით ბოლო ადგილზეა სიერა–ლეონეა (50.1 წელი). სამხრეთ კავკასიის რეგიონში საქართველოს მაჩვენებელი ყველაზე დაბალია (74.4 წელი) – სომხეთში საშუალოდ 74.8 წელს ცოცხლობენ, აზერბაიჯანში კი 74,7 წელს **[73]**. ამასთან, არსებობს მკაცრი კავშირები მშპ-ს ზრდასა და დემოკრატიას, ასევე, უმუშევრობასა და დამნაშავეობას შორის. ასე მაგალითად, მოსახლეობის ერთ სულზე მშპ-ს ზრდის გარეშე ლაპარაკი ზედმეტია დემოკრატიაზე (თავისუფლებაზე, დოვლათის სახალხოობაზე). ჩაუცმელი და დაუხურავი ანუ ეკონომიკურად არაუზრუნველყოფილი ადამიანი, რომ ვერ იქნება თავისუფალი ამას შიშველ ტანზე დამჯდარი ერთი ბუზიც კი აგრძნობინებს. უმუშევრობა იწვევს სიღარიბეს, ეს თავის მხრივ, სიკვდილიანობას, ფსიქოლოგიურ დეპრესიას, დამნაშავეობის ზრდასა და თვითმკვლელობასაც კი. **ეკონომიკური დემოკრატია არის** დოვლათის სახალხოობა და საკუთრების დემოკრატიზაცია ანუ მუშაკთა ჩაბმა კომპანიის ქონების მფლობელობაში, მართვაში და მისი საქმიანობის სხვა მხარეებში.

**კი მაგრამ საქართველოს მთავრობა მაშ რატომ ამახვილებს ყურადღებას ინკლუზიურ ეკონომიკურ ზრდაზე და, საერთოდ, რა მოიაზრება მასში?** ინკლუზიური ეკონომიკური ზრდა გულისხმობს, ერთი მხრივ, მოსახლეობის საყოველთაო ჩართულობას ეკონომიკური დოვლათის ზრდის პროცესში და, მეორე მხრივ, ეკონომიკური ზდით მოტანილი სიკეთით ყველა მოქალაქის მიერ სარგებლობას. ინკლუზიური ზრდის სიკეთე ადამიანებმა დასაქმებითა და შემოსავლების მიღებით უნდა იგრძნონ და არა იმით, რომ სახელმწიფო ეკონომიკურად გაძლიერდება და მერე მათ სოციალურ დახმარებას გაუზრდის **[66]**. ამგვარი მიდგომა ადამიანთა ერთ ნაწილში სხვის კმაყოფაზე ყოფნის, პატერნალისტურ ფსიქოლოგიას აყალიბებს, აპასიურებს მათ და ამურუჭებს ეკონომიკურ განვითარებას.

**რამ განაპირობა ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის ობიექტური აუცილებლობა საქართველოში?** ბოლო ათი წლის განმავლობაში ეკონომიკა კი იზრდებოდა, მაგრამ ნაზრდი დოვ-

ლათი თავს იყრიდა ადამიანთა ვიწრო ჯგუფის ხელში. რის გამოც ვერ მოხერხდა სიღარიბის შემცირება და ეკონომიკური ზრდის ასახვა მოსახლეობის საყოველთაო კეთილდღეობაზე. ამან გააღრმავა უფსკრული მდიდარსა და ღარიბს შორის, რაც გახდა ერთ-ერთი მთავარი მიზეზი სოციალური გარიყულობისა და აპათიისა **[60,გვ.134]**. მართლაც, მაღალია ქვეყანაში შემოსავლებს შორის უთანაბრობის მაჩვენებელი ანუ მოსახლეობის მცირე ნაწილი საკმაოდ დიდ შემოსავლებს იღებს და დიდი ნაწილი – ძალიან მცირეს. სიღარიბის ზღვარს ქვემოთ იმყოფება მოსახლეობის დიდი ნაწილი და ასევე მაღალია უმუშევრობა **[38]**. ნებისმიერ ქვეყანაში სოციალური თანხმობისა და მშვიდობის უმნიშვნელოვანესი პირობა კი არის ყველაზე მდიდარი და ყველაზე ღარიბი მოქალაქეების შემოსავლებს შორის საგანგებო სხვაობის მინიმიზება-აღმოფხვრა, რაც მიიღწევა პროგრესიული გადასახადებისა და სოციალური დაცვის სისტემის მეშვეობით. ამასთან, უნდა გავითვალისწინოთ ე. წ. ოუკენის „გახვრეტილი ვედროც“, რომლის მიხედვითაც „ჭურჭელი“, რომლითაც მდიდრებიდან პროგრესიული გადასახადებით ამოღებული შემოსავლების ნაწილი გადადის ღარიბებზე, „გახვრეტილია“, რის გამოც მდიდრებიდან წამოღებული ყოველი 3,5 აშშ დოლარიდან ღარიბებამდე მხოლოდ 1 დოლარი აღწევს.

**ხაზგასასმელია ისიც, რომ მსოფლიო ეკონომიკურ პრაქტიკაში მრავალი მაგალითია ეკონომიკური ზრდის მიღწევით სოციალური უთანასწორობის დაძლევისა, მაგრამ სოციალური უთანასწორობის აღმოფხვრით ეკონომიკური ზრდის მიღწევის ფაქტები ჯერ-ჯერობით არ არსებობს. სწორედ ამიტომ, ქვეყანაში ეკონომიკური უთანაბრობის შერბილებისა და სოციალური თანხმობისათვის მდიდრებს კი არ უნდა ჩამოერთვას სიმდიდრე და ღარიბებზე გადანაწილდეს თანაბრად, არამედ მდიდრებმა კაპიტალი უნდა დააბანდონ ეკონომიკაში და ღარიბებისათვის შექმნან ახალი სამუშაო ადგილები. სხვაგვარად, სოციალური უთანასწორობის შერბილება-აღმოფხვრისათვის აუცილებელია არა შემოსავლების გადანაწილებაზე, არამედ შემოსავლების**

**ზრდაზე ორიენტირებული პოლიტიკა. ამ გზით ეკონომიკური ზრდა უნდა დაჩქარდეს და აისახოს ყველა მოქალაქეზე. ეკონომიკური ზრდის საფუძველია შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პროფესიონალებისა და სპეციალისტების მომზადება და მიწოდება. ამან, თავის მხრივ, უნდა უზრუნველყოს ევროკავშირისა და სხვა ბაზრების მოთხოვნების შესატყვისი კონკურენტუნარიანი საექსპორტო საქონლისა და მომსახურების მიწოდება.**

შევნიშნავთ იმასაც, რომ ეკონომიკური ზრდა ყოველთვის არ აპირობებს დასაქმების ზრდას. მაგალითად, წარმოების ავტომატიზაციისა და რობოტიზაციის საფუძველზე მწარმოებლურობის ამაღლებამ შესაძლებელია გამოიწვიოს უმუშევრობის არა თუ შემცირება, არამედ ზრდაც კი. ასევე, შესაძლებელია ქვეყანაში იყოს ეკონომიკური ზრდა, მაგრამ მოსახლეობის ყველა ნაწილმა ეს ვერ იგრძნოს. მაგალითად, ჩრდილოვანი ეკონომიკური ზრდის შემთხვევაში. ჩრდილოვანი ეკონომიკა, ჩვეულებრივ, გადასახადს არ იხდის და, შესაბამისად, ბიუჯეტიდან ხელფასებისა და სხვადასხვა დახმარებების მიმღები მოსახლეობა ამ ზრდას ვერ გრძნობს. შესაძლებელია ეკონომიკური ზრდა არ იყოს ქვეყანაში, მაგრამ „ე.წ. თავისუფლების გამოსასყიდით„ ივსებოდეს ბიუჯეტი, როგორც ეს იყო „ვარდების რევოლუციის„ დროს. ცხადია, ამ შემთხვევაში ბიუჯეტი იზრდება, მაგრამ ეკონომიკურ ზრდას არა აქვს ადგილი. ამჟამინდელი ხელისუფლება ზოგჯერ ამაყობს იმით, რომ ისინი წინამორბედებისაგან განსხვავებით ბიუჯეტის შევსებისათვის აღარ მიმართავენ საგადასახადო ტერორს. დიახ, ეს მართლაც ასეა, მაგრამ სამაგიეროდ 2014 წლის ბოლოდან 2015 წლის ბოლომდე მიმართავდნენ ლარის დევალვაციით (გაუფასურებით) ბიუჯეტის შევსებას, რამაც გააუფასურა ლარში დანაზოგები, გააძვირა დოლარში აღებული სესხები და გააღარიბა მოსახლეობა. ამჟამად კი, ლარის რევალვაციის (გამყარების) პირობებში საფრთხე ემუქრება 2016 წლის ბიუჯეტის გეგმის შესრულებას, რომელიც დაგეგმილია კურსის მიხედვით:

1აშშ დოლარი უდრის 2.40 ლარს. **ბოლო დროს, ლარის გამყარების კვალობაზე, მოსალოდნელია ბიუჯეტის კორექტირება შემცირების მიმართულებით, ფულის ემისია, ან საშინაო ვალების აღება, რაც, სავარაუდოდ, გააძვირებს ბანკის კრედიტს და შეამცირებს საინვესტიციო აქტიურობას.**

სწორედ ამიტომ, ახალი ეკონომიკური პოლიტიკის მიზანი უნდა იყოს გრძელვადიანი, მდგრადი ზრდის საფუძველზე სიღარიბის შემცირება და მოსახლეობის საყოველთაო და დიფერენციული კეთილდღეობის მიღწევა მოსახლეობაში შემოსავლების შესაძლებლობების გაჩენითა და სახელმწიფოს მიერ უღარიბესი ფენებისათვის მიზნობრივი სოციალური დახმარების გაწევით. ამასთან, „მდგრადი განვითარების“ დროს ამჟამინდელი თაობების მოთხოვნილებების დაკმაყოფილება უნდა მოხდეს ისე, რომ ზიანი არ მიადგეს მომავალი თაობების მოთხოვნილებების დაკმაყოფილების შესაძლებლობას რესურსების ამოწურვისა და გარემოს დეგრადაციის გამო.

საქართველოს თანამედროვე ეკონომიკური პრობლემების გადაჭრისათვის ესაჭიროება თანამედროვე ეკონომიკური ცოდნით, მდიდარი გამოცდილებით, შინაგანი განახლების უნარით, მსოფლიო ენით, ტექნიკითა და ტექნოლოგიით და მისაღები ადამიანური თვისებებით აღჭურვილი ადამიანები, რადგანაც ამგვარი პირადკონკურენტუნარიანი ადამიანების გარეშე წარმოუდგენელია კონკურენტუნარიანი ფირმები, ხოლო კონკურენტუნარიანი ფირმების გარეშე-საერთაშორისო კონკურენტუნარიანი ქვეყანა.

**ზემოთქმულთან კონტექსტში, ჩვენი აზრით, წარმოების განახლების მარქსისტული თეორიის მსგავსად, ცოდნის კვალავნარმოება-განახლებაც (ლაპარაკია საკუთარ სპეციალობაში კაცობრიობის მიერ დაგროვილ პროგრესულ თეორიულ-პრაქტიკულ ცოდნა გამოცდილების დაუფლებაზე) შეიძლება განხორციელდეს შეკვეცილი, მარტივი და გაფართოებული მასშტაბით.** ცოდნის შეკვეცილი კვლავწარმოებისას, ანუ როცა მუშაკი თავის სპეციალობაში დაგროვილ პროგრესულ ცოდნა-გამოცდილებას არასრულად ფლობს, სახეზეა პირადი კო-

ნურენტუუნარობა. ასეთი ადამიანი, ჩვეულებრივ, ვერ პოულობს სპეციალობის მიხედვით სამუშაოს და რჩება დაუსაქმებელი; **ცოდნის მარტივი კვლავწარმოებისას,** ანუ როცა მუშაკი სრულყოფილად ფლობს თავის სპეციალობაში დაგროვილ პროგრესულ ცოდნა-გამოცდილებას და ინარჩუნებს საქმიან კონტაქტებს, დადებით იმიჯს და სამუშაო ადგილს, სახეზეა პირადი კონკურენტუნარიანობა. **ცოდნის გაფართოებული კვლავწარმოებისას,** ანუ როცა მუშაკი არა მარტო სრულად ფლობს თავის პროფესიაში პროგრესულ ცოდნა-გამოცდილებას, თანამედროვე ტექნიკა-ტექნოლოგიებს, არამედ თავად შეაქვს წვლილი მათ განვითარებაში, აქვს გარემოში მიმდინარე ცვლილებების ადეკვატური შინაგანი განახლების, ადაპტირების უნარი, ფლობს უცხოურ ენებს, ანუ არის არა მონოლინგვიალი და ბილინგვიალი, არამედ მულტილინგვიალი, ასევე ფლობს მისაღებ პიროვნულ თვისებებს, საქმიან კონტაქტებს და დადებით იმიჯს, სახეზეა პირადი კონკურენტუპირატესობების მატარებლობა. **ასეთი პირადი კონკურენტუპირატესობების ადამიანი კი არ ეძებს სამუშაოს, არამედ თავად სამუშაო ეძებს მას. შევნიშნავთ, რომ ასეთი თვისებების მქონე ქართველი კონკურენტუნარიანი იქნება არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში.**

ამასთან დაკავშირებით, კონკურენტუნარიანობის შესახებ დ. რიკარდოს, ი. შუმპეტერის **[84]** და სხვა თეორიების, ასევე, კონკურენტების ძლიერი და სუსტი მხარეების ანალიზისა და სინთეზის, აბსტრაქციის, შედარებისა და ანალოგიის მეთოდის გამოყენების საფუძველზე, შემოთავაზებულია ადამიანური კაპიტალის, ცოდნის **(შეკვეცილი, ანუ კონკურენტული ჩამორჩენის; მარტივი, ანუ კონკურენტული ნეიტრალურობისა და გაფართოებული, ანუ კონკურენტული უპირატესობის)** კვლავწარმოების ავტორისეული კლასიფიკაცია.

მარტივად რომ ვთქვათ, პროფესიონალმა, თუ სპეციალისტმა პირად კონკურენტუნარიანობის ამაღლების მიზნით კარგად უნდა შეისწავლოს კონკურენტების ძლიერი და სუსტი მხარეები, შეეცადოს გადმოიღოს და განავითაროს მათი ძლი-

ერი მხარეები და შეუხამოს თავის პოზიტიურ უნიკალურობას, სუსტი მხარეები კი უკუაგდოს. **ამით იგი შეიძენს არა მხოლოდ კონკურენტუნარიანობას, ანუ კონკურენტულ ნეიტრალურობას, არამედ პირად კონკურენტუპირატესობასაც.** შესაბამისად, დამქირავებელ კომპანიას სამუშაო ძალის გამქირავებელმა უნდა შესთავაზოს კონკურენტებზე **უკეთესი** პროფესიული ცოდნა, ამ ცოდნის პრაგმატული გამოყენების **უკეთესი** უნარები, **უკეთესი** მისაღები პიროვნული თვისებები, **უკეთესად** თანამედროვე ტექნიკისა და ტექნოლოგიებისა და უცხოური ენების ცოდნა, ანუ მულტილინგვიალობა, **უკეთესი** მუდმივი შინაგანი განახლების უნარი, დამქირავებელი კომპანიის კორპორაციული კულტურისადმი **უკეთესი** თავსებადობის, **უკეთესი** კრეატიულობისა და გუნდური მუშაობის უნარი და სხვ.

დამქირავებელმა კომპანიამ კი, თავის მხრივ, დასაქირავებლებს უნდა შესთავაზოს კონკურენტებთან შედარებით **უკეთესი** შრომის ანაზღაურება, **უკეთესი** შრომის პირობები, **უკეთესი** შეღავათები, **უკეთესი** მორალურ-ფსიქოლოგიური გარემო, **უკეთესი** კორპორაციული კულტურა, კარიერული ზრდის **უკეთესი** შესაძლებლობანი და სხვ. ცხადია,ყოველივე ამისათვის როგორც დამქირავებელმა კომპანიამ, ისე დაქირავებულმა ზემოთ შემოთავაზებული წესით უნდა შეიუშაოს საკუთარი პირადი კონკურენტუნარიანობის მოდელი **[90,გვ.156-160]**.

აღსანიშნავია, რომ განათლებული და პირადკონკურეტუნარიანი ადამიანი, ზემოთქმულის გარდა, მრავალი დადებითი ეფექტის მატარებელია, ანუ გავლენას ახდენს სხვა პიროვნებების ეკონომიკურ მდგომარეობაზეც. ასე მაგალითად: 1.რაც უფრო განათლებული და მცოდნეა ადამიანი, მით მაღალია მისი მწარმოებლურობა, მით მეტი წვლილი შეაქვს ეროვნული მეურნეობის განვითარებაში და, შესაბამისად, მით მეტ შემოსავალს ღებულობს. მაგალითად, აშშ-ი უმაღლესი განათლების მქონე 65 წლის ასაკისათვის ღებულობს 3 მილიონ დოლარის შემოსავალს, ამგვარი განათლების უქონელი

კი-1,5 მილიონს. **[48,გვ.133]**; 2.განათლება და დიდი შემოსავალი ცხოვრების მაღალი დონეა. უკეთესი მომავალი თაობის გაზრდა-აღზრდის წინაპირობაა. განათლება და ცოდნა შესაძლებლობას იძლევა ყველა ღარიბი გახდეს შეძლებული; 3.განათლებული და შემოსავლიანი ადამიანი თავის მდიდარი და მრავალფეროვანი სულიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის თავად იხდის მომსახურების საფასურს და ამით აფინანსებს სულიერი დოვლათის მწარმოებელი დარგების (ხელოვნება, კულტურა, მეცნირება, სპორტი და სხვა) განვითარებას, ანუ ხელ უწყობს, რომ ბაზარი უფრო „კულტურული" გახდეს; 4.განათლებული ადამიანი არჩევნებში უკეთეს პროგრამას, ე.ი. უკეთეს მომავალსა და განვითარებას უჭერს მხარს. **(52,გვ.118)**; 5.განათლებული, ეკონომიკურად და სოციალურად აქტიური ადამიანი უმთავრესი სუბიექტი და შემოქმედია ცოდნაზე დამყარებული ეფექტიანი ეკონომიკისა და დემოკრატიული, სამოქალაქო საზოგადოებისა, რომლის აშენებასაც ჩვენ ვესწრაფვით და რომლის გარეშეც ერთიან ევროპულ ოჯახში არავინ მიგვიღებს.

სამწუხაროდ, დღეს საქართველოში ერთ-ერთი მწვავე პრობლემა სწორედ „ტვინების გადინება" ანუ განათლებული ადამიანთა დიდი ნაწილის შრომითი ემიგრაციაა ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში, სადაც მათ ცხოვრების უფრო მაღალი დონე ელით. მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ ადამიანურ კაპიტალს მრავალი დადებითი გარე ეფექტი ახასიათებს, „ტვინების გადინება" ქვეყანაში დარჩენილ თანამემამულეებს უფრო მეტ სიღარიბეში ტოვებს, ვიდრე საწინააღმდეგო შემთხვევაში იქნებოდნენ. ვფიქრობთ, **საქართველოში კვალიფიციური კადრების კლება ქვეყნის უკეთესი მომავლის წინააღმდეგ მიმართული ქმედებაა. სწორედ ამიტომ, ამ ტენდენციის შემობრუნება, ჩემი აზრით, სახელმწიფოს მთავარი ამოცანა უნდა იყოს გრძელვადიან პერიოდში.**

ზოგი ამტკიცებს, რომ აშშ-ი და, საერთოდ, დასავლეთში განათლება იმიტომაა მაღალ დონეზე, რომ იქ ეკონომიკაა მაღალგანვითარებული. არადა, ეს კავშირი არა ცალმხრივი,

არამედ ორმხრივია. მაღალი, კარგი განათლება ეკონომიკის განვითარებულობის, მაღალი შემოსავლების წინაპირობაა, ხოლო მაღალი შემოსავლები–კარგი განათლების მიღების წინაპირობა. ეს საქართველოსთვის, როგორც ნაკლებ განვითარებული ქვეყნისთვის, უთუოდ გასათვალისწინებელია.

სამწუხაროდ, ჩვენში როგორც ცალკეული ინდივიდი, ისე სახელმწიფო ყოველნაირად ცდილობს დაზოგოს სახსრები განათლებაზე და მეცნიერებაზე (საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოებისათვის მეცნიერებაზე დანახარჯები უნდა შეადგენდეს მშპ-ის 2%-ს, ფაქტობრივად კი 0,2%-ა) და ანგარიში არ გაუწიოს იმ ფაქტს, რომ **იაფი და უხარისხო ცოდნიდან მიღებული ზარალი და დანაკარგები ბევრად სჭარბობს ძვირ, მაგრამ მაღალხარისხიან ცოდნაზე გაღებულ ხარჯებს.** მეტიც, ხშირად თავს ვიწონებთ, რომ საქართველო იაფი მუშახელის გამო მიმზიდველია უცხოელ ინვესტიორთათვის და გვავიწყდება, რომ იაფი მუშახელი დაბალ კვალიფიკაციას, დაბალ შემოსავალს ნიშნავს, დაბალი შემოსავალიკი-ცხოვრების დაბალ დონეს. **ხაზგასასმელია, ისიც, რომ დაბალკვალიფიციური მუშაკი და ინოვაციები და მოწინავე ტექნიკა-ტექნოლოგია შეუთავსებელი მოვლენებია, რაც აფერხებს პროგრესს.**

აღნიშნულიდან გამომდინარე, თუ მართლაც გვსურს ეროვნული ეკონომიკის განვითარება, ქვეყნიდან სიღარიბის განდევნა, ინვესტირება ფიზიკურ კაპიტალის გარდა უნდა მოვახდინოთ სუსტად განვითარებულ ადამიანურ კაპიტალშიც, რადგანაც ინვესტირებას განათლებაში გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდისათვის ისეთივე მნიშვნელობა აქვს, როგორც ფიზიკურ კაპიტალში (ახალი დაზგა-დანადგარები, შენოებები, გზები და სხვა). ასე მაგალითად, განვითარებულ ქვეყნებში განათლებასა და მეცნირებაზე გაწეული კაპდაბანდებები მშპ-ს ზრდის 40%-ით, ხოლო 5-7 წელინადში, როდესაც ეს ინვესტიციები სრული ეფექტის მოცემას დაიწყებს, მათი უკუგება აღემატება ნავთობისა და გაზის მოპოვებაზე უკუგებას **[34,გვ.4]**.

გრძელვადიანი, მდგრადი და ზრდისათვის აუცილებე-

ლია არა არასტაბილურობის სტაბილურობა (რასაც, სამწუხაროდ, ბოლო დროს ჰქონდა ადგილი კოჰაბიტაციის და დღეს გრძელდება პოლიტიკური კინკლაობის სახით), ან არა უბრალოდ მდგრადი, არამედ პროგნოზირებადი სტაბილურობა. განვითარებული ქვეყნების გამოცდილებიდან გამომდინარე კი, მდგრადი და პროგნოზირებადი სტაბილურობის გარანტი საშუალო ფენაა (კლასია), რომელიც მოიცავს მოსახლეობის 50-60%-ს. დღეს საქართველოში საშუალო ფენა შეადგენს დაახლოებით 30%-ს. შესაბამისად, საქართველოში საჭიროა საშუალო კლასის ზრდა მცირე და საშუალო ბიზნესისა და ინოვაციური ეკონომიკის განვითარებით **[90,გვ.188-191]**.

სამწუხაროდ სტრატეგიაში „საქართველო 2020“ საშუალო კლასის ფორმირების აუცილებლობის შესახებ არაფერია ნათქვამი, რაც, ჩვენი აზრით, უთუოდ გასათვალისწინებელია.

„სტრატეგია 2020„-ის ერთ-ერთი თავისებურებაა ის, რომ გულისხმობს ეროვნული მეურნეობის სისტემურ ზრდას და არა მხოლოდ ერთ რომელიმე დარგზე, ვთქვათ, ფინანსურ სექტორზე, ან საბინაო მშენებლობაზე დამყარებას, როგორც ეს იყო არც ისე შორეულ წარსულში. თუმცაღა, ამგვარი სისტემური მიდგომა რატომღაც არ შეინიშნება ტერიტორიულ-რეგიონულ ჭრილში. მაგალითად, ევროკომისიის თავმჯდომარის აზრით „საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების მიხედვით, ევროკავშირი აღიარებს საქართველოს სუვერენულობასა და ტერიტორიულ მთლიანობას, ამიტომ ის სარგებელი, რაც ეძლევა საქართველოს უნდა გავრცელდეს მის მთელ ტერიტორიაზე, ე.ი. აფხაზეთზეც და ცხინვალის რეგიონზეც. ეს არის ევროკავშირისა და საქართველოს ერთობლივი ხედვა“. „სტრატეგია 2020-ში“ კი, რომელიც მხოლოდ საქართველოს ხედვაა, ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შესახებ, რაც, ვფიქრობ, ასევე, გასათვალისწინებელია.

ხაზგასასმელია ისიც, რომ ევროკომისიის მიერ საქართველოს შემადგენლობაში აღიარებულ აფხაზეთში და ცხინვალში დღეს რუსეთის ჯარი დგას, რაც საქართველოს ფეთ-

ქებასაშიშ ქვეყნად წარმოაჩენს და სტაბილურ და უსაფრთხო ევროკავშირში მის გაწევრიანებას სარისკოს ხდის.

სწორედ ამიტომ, ძალიან მნიშვნელოვანია ეროვნული მეურნეობისადმი უსისტემო მიდგომიდან სისტემური მიდგომაზე გადასვლა. ნუ დაგვავიწყდება, რომ აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი სამამულო ეკონომიკის ორგანული შემადგენელი ელემენტები არიან და რომ მათი და მათი ინტერესების გათვალისწინების გარეშე ეროვნული მეურნეობის პოტენციალის სრული რეალიზება და ეფექტიანი მუშაობა შეუძლებელია. სწორედ ამის გამოა, რომ ქვეყანაში დღემდე ვერ დამკვიდრდა მდგრადი სტაბილურობა, სრულად ვერ გამოიყენება ეკონომიკური და გეოპოლიტიკური პოტენციალის დაახლოებით 20-25%; ნათქვამიდან გამომდინარე, საჭიროა იმგვარი ქმედითი პოლიტიკური და ეკონომიკური მექანიზმი (მონეტარული, ფისკალური, სოციალური და საგარეო ეკონომიკური პოლიტიკა), რომელიც კი არ წაახალისებს სეპარატიზმსა და გაუცხოებას, არამედ უზრუნველყოფს ცენტრსა და რეგიონებს შორის თანხმობას, ინტეგრაციას, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენასა და ეროვნული მეურნეობის მდგრად და უსაფრთხო განვითარებას.

და ბოლოს, ის რომ საქართველოში ექსპორტს იმპორტი აღემატება 3,8-ჯერ; ის, რომ ექსპორტში სჭარბობს რესურსები; ის, რომ სახნავი მიწების დიდი ნაწილი დაუმუშავებელია და ის, რომ დიდია უმუშევრობა და არაეფექტიანია დასაქმება; ის, რომ ჰიდროენერგეტიკული პოტენციალი არ არის გამოყენებული სრულად; ის, რომ იმპორტული პროდუქცია შეადგენს სამომხმარებლო კალათის 75%-ს და სხვა, ეს არის სერიოზული პრობლემა და ხარვეზი. ახლა ამოცანა ისაა, რომ ყველა ეს პრობლემა შესაძლებლობად და ყველა ეს ხარვეზი რეზერვად ვაქციოთ და ამის საფუძველზე დავაჩქაროთ ქვეყნის ეკონომიკური ზრდა. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, ევროკავშირში გაწევრიანებაზე ორიენტირებული საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე მწვავე გამოწვევაა ეკონომიკური ზრდა ანუ რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ-ის) მაღა-

ლი ტემპით, სტაბილური და გრძელვადიანი ზრდა და ნაზრდი შემოსავლის არა საყოველთაო, არამედ მიზნობრივი, მისამართიანი განაწილება. სხვაგვარად, საჭიროა არა შემოსავლების განაწილებაზე, არამედ შემოსავლების ზრდაზე ორიენტაცია. ამის გარეშე შეუძლებელია მოსახლეობის თითოეულ სულზე მოხმარებული საქონლისა და მომსახურების მოცულობის ზრდა ანუ ცხოვრების დონის ამაღლება, უმუშევრობის შემცირება, სიღატაკის დაძლევა და სიღარიბის შეზღუდვა, ხარისხიან განათლებაზე და ჯანდაცვაზე ხელმისაწვდომობა, ინფრასტრუქტურის ჯეროვნად განვითარება, ახალი ბაზრების მოთხოვნების შესაბამისად წარმოების მოდერნიზაცია და შემდგომი გაფართოება, თავდაცვისუნარიანობის განმტკიცება, განვითარებული ქვეყნებისაგან ეკონომიკური ჩამორჩენის დაძლევა და საქართველოს ავტორიტეტისა და ცნობადობის ამაღლება. თავის მხრივ, ეკონომიკური ზრდისთვის აუცილებელია ზრდადი მოთხოვნა. საქართველოში კი მცირე მასშტაბის ბაზარია. სწორედ ამიტომ, საჭიროა საქართველოს საშინაო მოთხოვნას, თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებების საფუძველზე, დაემატოს საგარეო მოთხოვნა და მოხდეს ბაზრის მასშტაბის გაფართოება. თუმცა, ბაზრის მასშტაბის გაფართოება პანაცეა (უებარი საშუალება) არ არის. მიზანშეწონილია, გამოვლინდეს ამ გაზრდილი მოთხოვნების შესატყვისი ფარდობითი უპირატესობის დარგები, ამაღლდეს მათი საშინაო და საერთაშორისო კონკურენტუნარიანობა და წახალისდეს ექსპორტი და ეკონომიკური ზრდა.

## 2. დივერსიფიკაციის პრობლემები და მათი გადაწყვეტის გზები მცირე და ღია ეკონომიკის საქართველოში

საერთაშორისო ბიზნესი და საერთაშორისო კონკურენცია სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის მძლავრი ფაქტორია, რადგან მოითხოვს თანამედროვე ტექნოლოგიების ბაზაზე პროდუქციის მუდმივ განახლებას, მისი ხარისხის გაუმჯობესებასა და წარმოების ხარჯების (ფასების) შემცირებას. ღია ეკონომი-

კის პირობებში აზრი დაკარგა არაკონკურენტუნარიანი საქონლისა და მომსახურების წარმოებამ. სწორედ ამ საქმეს ემსახურება გლობალური კონკურენცია, რომელიც საერთაშორისო ბაზარს ასუფთავებს ძვირი და უხარისხო პროდუქციისაგან. ამგვარი კონკურენციის არსებობის აუცილებელი პირობა კი მსოფლიო მეურნეობაში შემავალი ყველა ქვეყნის ეკონომიკათა ღიაობაა. აღნიშნულიდან გამომდინარე, თანამედროვე მსოფლიო მეურნეობის განვითარების ძირითადი ტენდენცია და საერთაშორისო ბიზნესის განვითარების ეკონომიკური საფუძველი სწორედ ჩაკეტილი ეროვნული მეურნეობიდან საგარეო ბაზარზე ორიენტირებულ ანუ „ღია ეკონომიკაზე„ თანდათანობით გადასვლაა.

**წინამდებარე კვლევის მიზანი სწორედ ღია ეკონომიკის არსის გახსნა, საქართველოში დივერსიფიკაციის პრობლემების გამოვლენა და მათი გადაწყვეტის გზების შემუშავებაა.**

დავიწყოთ ღია ეკონომიკის არსის გახსნით. ისე, როგორც ნებისმიერ ეკონომიკურ კატეგორიას, „ღია ეკონომიკასაც“ აქვს თავისი თვისებრივი და რაოდენობრივი განსაზღვრულობა. თვისებრივი განსაზღვრულობა პასუხობს კითხვაზე თუ რა არის ეს მოვლენა, ხოლო რაოდენობრივი გასაზღვრულობა – როგორ გავზომოთ ეს მოვლენა, იმისთვის, რომ პარალოგიზმის ტყვეობაში არ მოვექცეთ, ლოგიკურია, ჯერ გავარკვიოთ „ღია ეკონომიკის“ არსი და მერმე – მისი რაოდენობრივი განსაზღვრულობა.

ღია ეკონომიკა არის ეკონომიკა, რომელიც შეუზღუდავად ურთიერთქმედებს სხვა ქვეყნების ეკონომიკებთან. ამგვარი ურთიერთქმედება საქონლის, მომსახურების, სამუშაო ძალისა და კაპიტალის ყიდვა-გაყიდვას გულისხმობს ქვეყნებს შორის [96]. ეს ადამიანებს საშუალებას აძლევს გაცილებით უფრო ფართო ასორტიმენტის საქონელი მოიხმარონ, ვიდრე თვითონ აწარმოებენ თავიანთ ქვეყანაში და მნიშვნელოვნად აიმაღლონ თავიანთი კეთილდღეობის დონე. მოკლედ, საერთაშორისო ბიზნესში ჩართული ყველა ქვეყანა (მათ შორის საქართველოც) მეტ-ნაკლებად ღია ეკონომიკის მქონე ქვეყანაა, სა-

დაც ქვეყნის შიგნით საქმიან ოპერაციებთან ერთად საერთაშორისო ოპერაციებიც (ექსპორტი, იმპორტი და სხვა) ხორციელდება. აღნიშნულ ოპერაციებზე ანგარიშწორება კი ხდება, როგორც ეროვნული ისე მსოფლიო ვალუტით [97]. სხვა სიტყვებით, ღია ეკონომიკა ეს ისეთი ეკონომიკაა, სადაც არარეზიდენტებს, განსაკუთრებით უცხოურ ფირმებს, გახსნილი აქვთ ეროვნული მეურნეობის ბაზრების, დარგებისა და სფეროების უმრავლესობისაკენ მიმავალი გზა (დახურულ, ავტარკიულ ეკონომიკაში კი ბაზრების, დარგებისა და სფეროების უმრავლესობისაკენ მიმავალი გზა მათთვის ჩაკეტილია). თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე მსოფლიოში თითქმის არ არსებობს სრულიად გახსნილი ანუ ლიბერალიზებული ეკონომიკა რამდენიმე დიდი სახელმწიფოს გამოკლებით. სწორედ ამიტომ უფრო ხშირად მსჯელობენ შედარებით ღია, ან ნაკლებ ღია ეკონომიკაზე. ასე მაგალითად, საქართველოს ეკონომიკა უფრო გახსნილია, ვიდრე ჩინეთისა, თუ ვიმსჯელებთ იმპორტულ საქონლეზე ტარიფებით, იმპორტული საქონლის წილით შიდა ბაზარზე, ან სავალუტო-საანგარიშსწორებო ურთიერთობებითა და სხვა მაჩვენებლებით.

ეკონომიკის გახსნილობის ხარისხი ბევრად არის დამოკიდებული ქვეყნის ბუნებრივი რესურსებით უზრუნველყოფაზე, მოსახლეობის რაოდენობაზე, შიდა ბაზრის ტევადობაზე და მოსახლეობის ყიდვისუნარიანობაზე ანუ მოთხოვნაზე. ამას გარდა, ეკონომიკის გახსნილობის ხარისხი განისაზღვრება ეროვნული ეკონომიკის კვლავწარმოებითი და დარგობრივი სტრუქტურით. როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, მრეწველობის სტრუქტურაში რაც მაღალია საბაზისო დარგების (მეტალურგია, ენერგეტიკა) ხვედრითი წილი, მით ნაკლებია ქვეყნის შედარებითი ჩართულობა შრომის საერთაშორისო დანაწილებაში ანუ მით ნაკლებია მისი ეკონომიკის გახსნილობის ხარისხი. შეიძლება ითქვას, რომ ქვეყნის ეკონომიკის გახსნილობის ხარისხი მით მაღალია, რაც უფრო განვითარებულია მასში ეკონომიკური ურთიერთობები, რაც უფრო მეტია მის დარგობრივ სტრუქტურაში დარგები შრომის ღრმა ტექნოლოგიური დანა-

წილებით და რაც უფრო დაბალია მისი საკუთარი ბუნებრივივი რესურსებით უზრუნველყოფა.

ყველა ქვეყანას აქვს რაღაც, რითაც იზიდავს უცხოურ ინვესტიციებს და უზრუნველყოფს საკუთარი ეკონომიკის განვითარებას. მაგალითად, ქუვეითს, ერაყს, საუდის არაბეთს, ირანს, ალჟირს და სხვას აქვს დიდი რაოდენობით ნავთობი; თურქმენეთს-ბუნებრივი აირი; რუსეთს, აზერბაიჯანსა და ყაზახეთს-მდიდარი ნავთობის რესურსები; კანადას-ხეტყე, მიწის რესურსები მარცვლეულის მოყვანისათვის; ავსტრალიას – მდიდარი ოქრო და მიწის რესურსები საძოვრებისათვის; ჩინეთს-მდიდარი შრომითი რესურსები და სხვა. ამ ფონზე, თქმა იმისა, რომ თავისი რესურსული პოტენციალით საქართველო ძალიან მდიდარია, მხოლოდ სანახევროდაა ზუსტი, რადგანაც ვერცერთი სახეობის ბუნებრივ რესურსს იგი მთლიანად ისე ვერ დაემყარება, როგორც ზემოთ ჩამოთვლილი ქვეყნები. **თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ თანამედროვე პირობებში ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში ბუნებრივი რესურსი ყველაზე მთავარი სულაც არ არის.** არსებობენ ქვეყნები (იაპონია, ისრაელი, ასევე, სინგაპური, სადაც სასმელი წყალი და მიწა ნიადაგის განოყიერებისათვის გარედან შემოაქვთ გემით), სადაც, მიუხედავად მწირი რესურსებისა, ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპი არსებობს. პირიქითაც ხდება, მაგალითად, სსრკ რესურსებით მდიდარი ქვეყანა იყო, მაგრამ იმის გამო, რომ ეკონომიკის ორგანიზაციის წესი იყო არაეფექტიანი, არ იყო კონკურენცია და, შესაბამისად, გაკოტრებული საწარმოები, თავად ქვეყანა კარგა გვარიანად გაკოტრდა და, საბოლოო ანგარიშში, დაიშალა. სწორედ ამიტომ **დაინტერესებულ ინვესტორებს საქართველომ უნდა აჩვენოს, რომ აქვს ხელსაყრელი სატრანზიტო, გეოგრაფიული მდებარეობა და კარგი ბიზნეს-გარემო, სადაც შეიძლება ბიზნესის მარტივად რეგისტრირება, დაწყება და დაბეგვრის ადმინისტრირება ელექტრონულ რეჟიმში, დაბალია გადასახადები, დასავლეთთან შედარებით იაფია მუშა-ხელი, საინვესტიციო და სამომხმარებლო საქონელი, აქ წარმოებული საქონელი შეიძლება**

**გაიტანო სატარიფო ბარიერების გარეშე ევროკავშირის ბაზარზე და სხვა.**

ქვეყნის ეკონომიკის ღიაობისა და გარე სამყაროსთან ინტეგრაციის კარგი ინდიკატორია ექსპორტის და იმპორტის კვოტა. მათი გაანგარიშება ხდება ექსპორტისა და იმპორტის ღირებულების პროცენტული ფარდობით ქვეყნის მშპ-თან. ამ მაჩვენებლების საფუძველზე კი გაიანგარიშება ეროვნული ეკონომიკის გახსნილობის ინდექსი, ანუ საგარეო სავაჭრო კვოტა (წილი), რომელიც ტოლია ექსპორტისა და იმპორტის წლიური მოცულობის ჯამისა და მშპ-ის პროცენტული განაყოფისა.

**საგარეო სავაჭრო კვოტის ანუ ეკონომიკის გახსნილობის ხარისხის მიხედვით ქვეყნები შეიძლება დაიყოს შემდეგ ჯგუფებად:** 1.ქვეყნები შედარებით ჩაკეტილი ეკონომიკით (ექსპორტის წილი მშპ-ში 10%-ზე ნაკლები); 2.ქვეყნები შედარებით ღია, გახსნილი ეკონომიკით (ექსპორტის წილი მშპ-ში 35%-ზე მეტი): 3.ქვეყნები, რომელბიც მდებარეობენ ამ ორ ჯგუფს შორის. ამ კრიტერიუმიდან გამომდინარე, შედარებით ღია ეკონომიკის ქვეყნებია ჰონკონგი, სინგაპური, ახალი ზელანდია, შვეიცარია და სხვა; ნაკლებ ღია ეკონომიკის ქვეყნებია-ჩრდილო კორეა, კუბა **[98]. საქართველოს ეკონომიკა ვაჭრობისათვის საკმაოდ ღიაა. დღეისათვის მისი სავაჭრო ბუნვა (ე.ი. ექსპორტისა და იმპორტის ჯამი) მშპ-ის დაახლოებით 62%-ს შეადგენს.**

იმ შემთხვევაში, როდესაც საგარეო ეკონომიკურ საქმიანობაში პროტექციონიზმი აშკარად სჭარბობს ლიბერალიზმს, სახეზეა დახურული ეკონომიკა. ღიასაგან განსხვავებით ჩაკეტილ (ავტარკიულ) ეკონომიკაში მხოლოდ იმ საქონლისა და მომსახურების მოხმარება შეიძლება, რომელიც მოცემული ქვეყნის შიგნით იწარმოება, საქმიანი გარიგეგები და ოპერაციები წარმოებს მოცემული ქვეყნის შიგნით, ხოლო მათზე ანგარიშსწორება მხოლოდ ქვეყნის ეროვნული ვალუტით ხორციელდება. სხვაგვარად, ავტარკია ერთი ან რამდენიმე ქვეყნის ეკონომიკური თვითუზრუნველყოფაა, გამოცალკევებაა სხვა ქვეყნების ეკონომიკებისაგან. ასეთ ქვეყანაში, თუ ქვეყნებში

არ არსებობს საქონლის, სამუშაო ძალის, კაპიტალისა და სამეცნიერო-ტექნიკური პროდუქციის ექსპორტ-იმპორტი. შესაბამისად, გამორიცხულია, სავალუტო კურსი, საბაჟოები, სავიზო რეჟიმები და სხვა.

ხატოვანი ალეგორიული შედარებით–ძლიერი ქარის შემთხვევაში, კარჩაკეტილი (ავტარკიული) ქვეყნები აშენებენ ქარსაცავ ზოლს (ჯებირს), რათა ქარი არ შემოუშვან. ღია ეკონომიკის ქვეყნები კი ამ ქარს გონივრულად იყენებენ ელენერგიის გამომუშავებისა და ქარის წისქვილის ასამოქმედებლად. წმინდა ფორმით ავტარკია სახეზეა მხოლოდ ნატურალური მეურნეობის დროს ანუ კაპიტალიზმამდელ ფორმაციებში. თანამედროვე პირობებში ქვეყანა ავტარკიულ მდგომარეობაში შეიძლება აღმოჩნდეს ან გარე გარემოებებით, როდესაც მის მიმართ მიმართავენ ბლოკადას, სანქციებს და სხვას, ან თავად სახელმწიფოს ავტარკიული პოლიტიკით. მაგალითად, ომისათვის მზადება მოითხოვს წინაღობების შექმნას სხვა ქვეყნებთან ეკონომიკური კავშირების განვითარებისათვის. გერმანიამ, ესწრაფვოდა რა მატერიალური რესურსების დაგროვებას აგრესიული ომების განხორციელებისათვის გასული საუკუნის 30-იან წლებში, ოფიციალურად გამოაცხადა ავტარკია თავის ეკონომიკურ პოლიტიკად. ოქტომბრის რევოლუციისა და სამოქალაქო ომის შემდეგ სსრკ აღმოჩნდა იძულებითი ავტარკიის მდგომარეობაში, როდესაც ორიენტაცია მოახდინა ძირითადი სახეობის საქონლით თვითუზრუნველყოფაზე. ასეთ ვითარებაში ქვეყნის ეკონომიკური კავშირები სხვა ეროვნულ სახელმწიფოებთან მინიმალური იყო, ხოლო ყველა საერთაშორისო ეკონომიკური გარიგება ხორციელდებოდა მხოლოდ სახელმწიფო საგარეო ეკონომიკური ორგანიზაციებით. სოციალისტური ბანაკის დარღვევის შემდეგ კი დახურული ტიპის ეკონომიკამ თავისი თავი არსებითად ამოწურა.

მსოლიოში ჩაკეტილი ეკონომიკის მქონე ქვეყნები დარჩა ძალიან ცოტა. ეს იმით უნდა აიხსნას, რომ როგორც მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, არსებობს ძლიერი კორელა-

ცია (ურთიერთდამოკიდებულება) საგარეო ეკონომიკურ საქმიანობის ლიბერალიზაციასა და ეკონომიკური ზრდის ტემპებს შორის. **ჰარვარდის უნივერსიტეტის ეკონომისტების მიერ ჩატარებულმა გათვლებმა გვიჩვენა, რომ იქ, სადაც ბოლო ოცდახუთი წლის განმავლობაში ხორციელდებოდა ჩაკეტილი ეკონომიკის (პროტექციონისტული) პოლიტიკა, მოსახლეობის ერთ სულზე მშპ-ის საშუალო წლიური ზრდამ შეადგინა 0,7%, ხოლო იქ, სადაც ატარებდნენ ღია ეკონომიკის (ლიბერალურ) პოლიტიკას, მოსახლეობის ერთ სულზე მშპ გაიზარდა ხუთჯერ მეტად ანუ 3,5%-ით [92,გვ. 635]**

განასხვავებენ „დიდ და მცირე ღია ეკონომიკას". **„დიდი ღია ეკონომიკა„** ეს ისეთი ეკონომიკაა, რომელშიც მისი მასშტაბების წყალობით საპროცენტო განაკვეთი შიდა ეკონომიკური პროცესების მნიშვნელოვანი ზემოქმედებით ყალიბდება. სახელმწიფოები, სადაც ჩამოყალიბდა დიდი ღია ეკონომიკა (მაგ. აშშ, იაპონია, გერმანია), მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ საერთაშორისო ბაზრის მდგომარეობაზე და პროცენტის მსოფლიო განაკვეთის დონეზე. **„მცირე ღია ეკონომიკა„** კი არის ეკონომიკა, სადაც პროცენტის მსოფლიო განაკვეთი შეთავაზებლია მსოფლიო ფინანსური ბაზრის პირობებით. მცირე ღია ეკონომიკის მქონე სახელმწიფო ვერ ახდენს არსებით გავლენას მსოფლიო ბაზრის პროცესებზე და პროცენტის მსოფლიო განაკვეთის მოძრაობაზე **[92,გვ. 809]**

დიდი ღია ეკონომიკა კი, მისი შრომის საერთაშორისო დანაწილებაში რეალური მონაწილეობით, საქონლის, მომსახურებისა და კაპიტალის მსოფლიო ბაზრებზე ზეგავლენის ხარისხით, ასევე, არსებული ეროვნული ეკონომიკისა და რესურსული პოტენციალის წყალობით (მაგალითად, მსოფლიო პროდუქციის 21% ამერიკულია, მსოფლიოს ოქროს მარაგის 25% აშშ-ია, სავალუტო ბაზრების ბრუნვის საერთო მოცულობაში აშშ-ის დოლარის წილი 41%-ს შეადგენს) რეალურ ზემოქმედებას ახდენს ყველა ძირითადი ეკონომკური პარამეტრების ფორმირებაზე. ესაა: ინფლაციისა და მსოფლიო ფასების დონე; მნიშვნელოვანი ჯგუფის საქონელზე მოთხოვ-

ნისა და მიწოდების დინამიკა; მსოფლიო ფინანსური ბაზრების მდგომარეობა, პროცენტის განაკვეთის მოძრაობის ჩათვლით; საგარეო ეკონომიკური კავშირების მარეგულირებელი საერთაშორისო ნორმების და წესების განსაზღვრის პოლიტიკა და სხვა[57,გვ.49].

საქართველოს ეკონომიკა მცირეა დანარჩენ სამყაროსთან შედარებით და, ამიტომ, უმნიშვნელო ზეგავლენას ახდენს მსოფლიო ბაზრებზე. ხაზს ვუსვამთ, რომ საქართველო არის მცირე ტერიტორიის, ეკონომიკური რესურსებისა და მოსახლეობის და არა პატარა ქვეყანა. **პატარა შეიძლება იყოს ბავშვი, ლეკვი და სხვა, რომელიც შეიძლება გაიზარდოს და არა ქვეყანა [33].**

**საქართველოს მცირე ეკონომიკა კუნძული არ არის, ის გარკვეულ გარემოში ფუნქციონირებს.** სწორედ ამიტომ მასზე გავლენას ახდენს საგარეო ფაქტორები. მაგალითად, 2015 წელს ნავთობზე მსოფლიო ფასების შემცირებამ, რუსეთისათვის აშშ-ის, კანადის, ნორვეგიის, ავსტრალიისა და ევროკავშირის მიერ დაწესებულმა სავიზო-საბაჟო სანქციებმა ქვეყანა აზარალა 160 მილიარდი დოლარით (ცნობისათვის, ეს არის დაახლოებით 10 წლის საქართველოს მშპ-ის ტოლი თანხა). აგრეთვე, უკრაინასა და რუსეთს შორის საომარი მდგომარეობის გამო, ხსენებულ ქვეყნებში შემცირდა მოსახლეობის შემოსავლები. ამან, ერთი მხრივ, რუსეთსა და უკრაინაში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეების მიერ საქართველოში გადმოსარიცხი ფულადი გზავნილები შეამცირა, მეორე მხრივ, რუსეთსა და უკრაინაში მოთხოვნის შემცირებამ უარყოფითად იმოქმედა ქართულ ექსპორტზე, და მესამე, შემცირდა, აგრეთვე, ტურისტთა რაოდენობა საქართველოში რუსეთიდან და უკრაინიდან. რუსეთის ეკონომიკის შემცირების გამო სირთულეები შეექმნა მასზე მჭიდროდ დამოკიდებულ სომხეთსაც. ნავთობის ფასის შემცირებამ, ასევე, შეასუსტა ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების ეკონომიკები და კიდევ უფრო შეამცირა მოთხოვნა ქართულ ექსპორტზე ისეთი ქვეყნებიდან, როგორიცაა აზერბაიჯანი და ყაზახეთი. საბერძნეთში ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესებამ მნიშვნელოვნად შეამცი-

რა ფულადი გზავნილების შემოდინება ქვეყანაში, რაც, ასევე, უარყოფითად მოქმედებდა ქვეყანაში უცხოური ვალუტის შემოდინებაზე. ჩამოთვლილმა გარემოებებმა გარდაუვალი გახადა ლარის გაცვლითი კურსის გაუფასურება (დევალვაცია) თანმდევი უარყოფითი და დადებითი ეფექტებით.

ამგვარად, 2015 წელს საქართველოს თითქმის ყველა ძირითად სავაჭრო პარტნიორ ქვეყანაში ეკონომიკური პრობლემები მძლავრობდა. სწორედ ამიტომ, რეგიონში განვითარებული არასასურველი მოვლენების შედეგად შემცირებულმა საგარეო მოთხოვნამ საქართველოს ეკონომიკური ზრდის შენელება გამოიწვია **[49,გვ. 21]**.

ნათქვამიდან გამომდინარე, გარე ფაქტორები არის ლარის დევალვაციისა და საქართველოს ეკონომიკური ზრდის შენელების ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი. უფრო ზუსტად, **გარე ფაქტორები, არა მხოლოდ ძირითადი მიზეზია ლარის დევალვაციისა, არამედ ერთგავრი სიგნალიც ქვეყნის ეკონომიკის არაციონალური, მომხმარებლური ბუნებისა. ე.ი. მთავარი პრობლემა საქართველოს ეკონომიკის არარაციონალურ, მომხმარებლურ ბუნებაშია და საჭიროა მის მწარმოებელ ეკონომიკად გარდაქმნა. ეკონომიკის სტრუქტურის შეცვლა ანუ მომხმარებელი ეკონომიკის მწარმოებელ ეკონომიკად გარდაქმნა კი არ არის ერთბაშად და ხელის ერთი დაკვრით გადასაწყვეტი პრობლემა. ეს არის საკმაოდ ხანგრძლივი, თანდათანობითი და უალრესად რთული პროცესი.**

რეგიონში მდგომარეობის გაუარესების ფონზე ექსპორტი გაზრდილია ევროკავშირში. აქედან გამომდინარე, ხელისუფლებამ, რაც შეიძლება მეტი ინფორმირება უნდა გაუკეთოს ბიზნესებს. იმ კომპანიებმა, რომელებიც უკვე შესული არიან ევროკავშირის ბაზარზე (მაგალითად, „ნატახტარი", „ყაზბეგი", „შატო მუხრანი", „ქინძმარაულის მარანი", „ქვევრი", „ბორჯომი", „კულა", „ლივო", „თი-ბი-სი ბანკი", საქართველოს ბანკი„ და სხვა), მიწოდება გაზარდეს, რაც უდაოდ დადებითი მოვლენაა ასოცირების შეთანხმების რატიფიკაციის შემდეგ. მომდევნო ეტაპი უნდა იყოს მცირე და საშუალო ბიზნესისათვის სათანადო ინფორმაციისა და

ცოდნის მიწოდება. ამ მიმართებით, აუცილებელია მეტი კომუნიკაცია ბიზნესთან და მოსახლეობასთან ასოცირების შეთანხმებით მოპოვებული ახალი შესაძლებლობების გაცნობისა და გამოყენების მიზნით.

რეგიონში მართლაც გაუარესებულია მდგომარეობა, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ საქართველოს ხელისუფებას არ უნდა ჰქონდეს რისკ-მენეჯმენტის რაღაც გეგმა ამ საფრთხეების შემცირებისათვის. მაგალითად, აზერბაიჯანში ავტომობილების რეექსპორტის შემცირებასთან დაკავშირებით (2014 შედარებით 2015 წელს 63.6 მლნ. აშშ დოლარით შემცირდა მსუბუქი ავტომობილების რეალიზაცია), ბიზნესი აცხადებს, რომ მთავრობას უბრალოდ ინფორმირება უნდა მოეხდინა აზერბაიჯანში შემოღებული რეგუალაციების შესახებ. უნდა ვაღიარით, რომ ინფორმაციისა და კომუნიკაციის მიმართულებით მთავრობას მართლაც სერიოზული პრობლემები აქვს. საავტომობილო ბიზნესი დღესაც გაურკვეველ მდგომარეობაშია და არ იცის საით წავიდეს.

როგორც ეტყობა, საქართველოს მთავრობას ადრევე უნდა განეხორციელებია ე.წ. ტექდათვალირება. ამით გაიცხრილებოდა ოც წელზე მეტი ხნის ავტომობილები და ავტოპარკი უფრო გაახალგაზრდავდებოდა. ეს რომ არ გაკეთდა, ამიტომაა ქვეყანა ეკოლოგიური კატასტროფისა და ტოტალური „საცობების„ წინაშე. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ მარჯვენა საჭიანი ავტომობილების აკრძალვით საერთოდ შეწყდება იმპორტი იაპონიიდან. ეს გადაწყვეტილება, ალბათ, უფრო პოლიტიკური მოტივით არის განპიროებებული, რადგანაც საქართველოს განვითარების ვექტორი ევროპისკენ იხრება. ვფიქრობთ, უკეთესი იქნებოდა რეფორმა პირდაპირ „ევრო ოთხით„ დაგვეწყო და არა მარჯვენა საჭიანი სტანდარტით. გავხედოთ მეზობლებს, რომელთაც ჩამოვრჩით. ეს ძალიან ცუდია. მაგალითად, უკრაინა გადადის „ევრო 5-ზე“. რუსეთი არის „ევრო 4-ზე„ და ფიქრობს გადავიდეს „ევრო 5-ზე„ ევროპაში უკვე „ევრო 6-ა.„ აზერბაიჯანმა გვაჯობა, რომელიც გადავიდა „ევრო 4-ზე“. ამიტომ ჩვენ უნდა მივყვეთ და მოვერგოთ რეგიონის სტანდარტებს.

2015 წელი მართლაც არ იყო სახარბიელო ავტობიზნესისათვის. გარდა აზერბაიჯანისა გაყიდვები შემცირებულია სომხეთშიც (2014 წელთან შედარებით 41.7 მლნ. აშშ დოლარით), რაც აისახება ექსპორტის კლებაში [53].სწორედ ამიტომ აუცილებელია, რომ ჩავდგეთ რეგიონის ფერხულში და გადავიდეთ ახალ რელსებზე. სხვა გამოსავალი უბრალოდ არ არსებობს. წინააღმდეგ შემთხვევაში ეკოლოგიური კატასტროფა გარდაუვალია, რადგანაც არსებულს კიდევ ძველი პარკი დაემატება და ვერსად გაიყიდება ძველი ავტომობილები. შედეგად, საქართველო გახდება ევროპისა და ამერიკის ძველი ავტომანქანების სასაფლაო. საქართველო რეგიონის ჰაბად, რომ ჩამოყალიბდეს საჭიროა ჩადგეს იმ ფერხულში, რა ფერხულშიც დგას რეგიონი. მაგალითად, ნორვეგია მართალია არ არის ევროკავშირის წევრი, მაგრამ ევროპარლამენტის მიერ როგორც კი რაღაც ახალი კანონი მიიღება, უკვე ორი კვირის შემდეგ, ყოველგვარი შესწორების გარეშე, ნორვეგიის პარლამენტი იღებს ოსლოში, რათა ნორვეგიის საკანონმდებლო რეგულაციები მოერგოს ევროკავშირისას და მისგან არ გაუცხოვდეს [10,გვ215.]

ხაზგასასმელია, რომ დღეს ყველა ქვეყანა გლობალურ გარემოში ცხოვრობს და, ბუნებრივია, რომ მათი ეკონომიკაც მეტნაკლებად ღიაა. მსოფლიო მეურნეობაში ქვეყნის გააქტიურებას ეკონომიკის ინტერნაციონალიზაცია ეწოდება. გლობალიზაცია კი ეროვნული პოლიტიკური, ეკონომიკური, სამართლებრივი და ენობრივი ბარიერების მოშლა და მსოფლიოს ერთ დიდ ქვეყნად გადაქცევაა. სხვაგვარად, გლობალიზაცია ერების ეკონომიკური ინტეგრაციის, ეროვნულ ეკონომიკებს შორის საქონლის, მომსახურების, კაპიტალისა და სამუშაო ძალის თავისუფალი მოძრაობის პროცესია. კოსმოპოლიტიზმი კი მსოფლიო სახელმწიფოს შექმნასა და მსოფლიო მოქალაქეობის დაწესებას გულისხმობს.

გლობალიზაცის პროცესებში ჩართული ქვეყანა, შესაძლებელია მოექცეს როგორც ტალღის ზემოთ, ისე ქვემოთ. სხვაგვარად, გლობალიზაციამ შესაძლებელია ქვეყანას თვითმყოფადობა დააკარგვინოს და, პირიქით-ახალი შესაძლებლო-

ბები გაუხსნას. ეროვნული თვითმყოფადობის შენაჩუნების კარგი საშუალებაა გლოკალიზაცია. **გლოკალიზაცია** ეს არის ეროვნული კულტურის უნარი, მძლავრ კულტურასთან შეჯახებისას მოახერხოს იმის გათავისება და შეთვისება, რაც ბუნებრივად ესადაგება და ამდიდრებს ეროვნულ კულტურას და, ამასთან, წინ აღუდგეს იმას, რაც ჭეშმარიტად უცხო, არაბუნებრივი და მიუღებელია.

გლობალიზაციის შედეგად ყველა ქვეყანას უნდა ჰქონდეს საშუალება ისარგებლოს სხვა ქვეყნის სიკეთით. ამავე დროს შენარჩუნებული იქნას ეროვნული თვითმყოფადობა (ენა, ტრადიციები, სარწმუნოება, ტერიტორია და ა. შ.). ასეთ პირობებში საჭირო აღარ იქნება ომები, სხვისი ტერიტორიების მითვისება. თანდათან უნდა შემცირდეს ქვეყნებს შორის ეკონომიკური უთანასწორობა. საჭიროა ყველამ გაიაზროს, რომ დედამიწა ჩვენი საერთო სახლია, რომ ჩვენ ყველა ერთ „ქვეყანაში" – დედამიწაზე ვცხოვრობთ და ყველამ ერთად უნდა მივხედოთ მას. სამართლიანი გლობალური ინტერესები უნდა დადგეს ეროვნულ ინტერესებზე მაღლა. მართალია, წარმოიშობა ერთიანი ეკონომიკური სივრცე, ახალი ტრადიციები, შესაძლებელია დაიკარგოს ზოგიერთი ეროვნული ტრადიცია, წესი და ადათი და ა.შ., მაგრამ შენარჩუნებული უნდა იქნეს ძირითადი ეროვნული ღირებულებები, რომელიც თითოეული ქვეყნისათვის ძვირფასია (გლოკალიზაცია). ეს მიიღწევა მაშინ, როდესაც გამოირიცხება ძალადობის ნებისმიერი გამოვლინება და ყველა გადაწყვეტილება მიღებული იქნება საერთო თანხმობის შედეგად. სხვა მიმართულება გლობალიზაციისა კატასტროფით შეიძლება დასრულდეს **[1, გვ.24]**.

შევნიშნავთ იმასაც, რომ გლობალიზაცია, ეკონომიკური ღიაობა ანუ სავაჭრო-ეკონომიკური ინტეგრაცია შეიძლება იყოს კარგიც და ცუდიც. სავაჭრო-ეკონომიკური ინტეგრაცია განვითარების სხვადასხვა დონის მქონე ქვეყნებს შორის სულ სხვაგვარად ვითარდება და ეს ავტომატურად ყველასათვის მომგებიანი თამაში ვერ იქნება. ეკონომიკური თეორიის თანახმად (მაგალითად, რამოდენიმე ხნის წინ პოლ კრუგმანის

მიერ შემუშავებული თეორიიის თანახმად) სავაჭრო-ეკონომიკური ინტეგრაციის შედეგები დადებითია მხოლოდ მაშინ, როდესაც საწყისი უთანაბრობა მცირეა. დიდი სხვაობების შემთხვევაში, ყველაზე სუსტი პარტნიორისთვის შედეგები შეიძლება ნეგატიური იყოს. მაგალითად, აღმოსავლეთ გერმანიის სწრაფმა ინტეგრირებამ დასავლეთ გერმანიასთან, განვითარების შედარებით მაღალი დონის მიუხედავად, დიდი ზიანი მიაყენა ყოფილ გდრ-ს, რომელმაც სამუშაო ადგილების 50% დაკარგა: აღმოსავლეთ გერმანიის ფირმები, რომლის პროდუქტიულობა 3-ჯერ დაეცა, ვერ უწევდნენ კონკურენციას დასავლეთ გერმანიის ფირმებს **[86,გვ.128-129]**. ჩვეულებრივ, როდესაც პარტნიორ ქვეყნებს შორის საწყისი უთანაბრობა დიდია, მაშინ განვითარებული ქვეყნები განვითარებადი ქვეყნებისაგან იაფად იძენენ რესურსებს (იმპორტი) და მზა პროდუქციას ყიდიან (ექსპორტი) ძვირად. შესაბამისად, განვითარებული ქვეყნები სულ უფრო მდიდრდებიან, ხოლო განვითარებადი ქვეეყნები კი სულ უფრო ღარიბდებიან.

**ისმის კითხვა-საგარეო სავაჭრო ეკონომიკური ურთიერთობების ლიბერალიზაციის ფონზე როგორ განვსაზღვროთ საქართველოში წარმოებული საქონლის შეფარდებითი უპირატესობა?-** საჭიროა შევხედოთ საქართველოსა და საერთაშორისო ბაზრებს და ამის მიხედვით ვივარაუდოთ უნდა გავიდეს თუ არა ესა თუ ის რესურსი და საქონელი საგარეო ბაზარზე. მაგალითად, **ვაშლის** დაბალი საშინაო ფასი მეტყველებს იმაზე, რომ საქართველოს აქვს შეფარდებითი უპირატესობა ამ საქონლის წარმოებაში და ვაჭრობის განთავისუფლების შემდეგ ექსპორტიორი გახდება. **საწვავზე** მაღალი საშინაო ფასი კი იმაზე მეტყველებს, რომ დანარჩენ მსოფლიოს აქვს შეფარდებითი უპირატესობა ამ საქონლის წარმოებაში და საქართველო იმპორტიორი გახდება.

ლიბერალიზაციისას, როდესაც საქართველოს ვაჭრობის საშუალება ეძლევა ის ვაშლის ექსპორტიორი ხდება, ამ საქონლის მწარმოებლების მდგომარეობა უმჯობესდება, ხოლო მომხმარებლებისა უარესდება, რადგანაც ვაშლი ძვირდება. როდე-

საც საქართველო სანვავის იმპორტიორი ხდება, მომხმარებლის ეკონომიკური მდგომარეობა უმჯობესდება, რადგანაც სანვავი იაფდება, მწარმოებლისა – უარესდება. ორივე შემთხვევაში, ვაჭრობის სარგებლიანობა დანაკარგებზე მეტია. სხვაგავარად, საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაციისას საშინაო ფასები უნდა გამოუთანაბრდეს მსოფლიო ფასებს. თუ ეროვნული ფასი დაბალია მსოფლიოზე-აიწევს და პირიქით. თუ ნახალისდა ექსპორტი ქვეყანაში შეიძლება იგივე პროდუქციის დეფიციტი შეიქმნას და ფასებმა აიწიოს.

უფრო კონკრეტულად, შრომის საერთაშორისო დანაწილება, ანუ სპეციალიზაცია ხდება აბსოლუტური და შეფარდებითი უპირატესობის გათვალისწინებით. ტერმინი „აბსოლუტური უპირატესობა" ნიშნავს ქვეყნის უნარს აწარმოოს საქონელი და მომსახურება კონკურენტებზე ნაკლები რესურების დანახარჯებით. სხვა სიტყვებით, აბსოლუტური უპირატესობის მიხედვით ქვეყანა ისეთ საქონელზე და მომსახურებაზე სპეციალდება, რომლის წარმოებაც ყველაზე კარგად შეუძლია, მის ხელთ არსებული რესურსების გათვალისწინებით. აბსოლუტური უპირატესობის თეორია იმ მიზეზს ხსნის თუ რატომ ვაჭრობენ სრულიად განსხვავებული ეკონომიკის მქონე ქვეყნები ერთმანეთთან. მაგალითად, პომიდვრის მოყვანაში საქართველოს აბსოლუტური უპირატესობა აქვს შვედეთან შედარებით (საქართველოს 1 ტონა პომიდვრის წარმოება უჯდება 100 დოლარი, შვედეთს–140 დოლარი), ვინაიდან საქართველოს კლიმატი შესაძლებელს ხდის მის მოყვანას ნაკლები რესურსების გამოყენებით ვიდრე შვედეთშია შესაძლებელი, სადაც მიზნის მისაღწევად სათბურების გაშენება იქნებოდა აუცილებელი. სხვა რესურსების (მაგ. მუშახელის, სასუქების) ღირებულებაც იმოქმედებდა აბსოლუტური უპირატესობის ხარისხზე. სამაგიეროდ შვედეთს, როგორც საქართველოსთან შედარებით ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყანას, აბსოლუტური უპირატესობა აქვს ავტომანქანების წარმოებაში. ამგვარი განსხვავებულობა ქმნის საქართველოსა და შვედეთს შორის ვაჭრობის ეკონომიკურ საფუძველს. ან კიდევ, ინდონე-

ზიას აბსოლუტური უპირატესობა აქვს ყავისა და შაქრის წარმოებაში, ხოლო განვითარებული ეკონომიკის მქონე იაპონიას–ავტომანქანების წარმოებაში. ამგვარი გასხვაებულობაც ქმნის ინდონეზიასა და იაპონიას შორის ვაჭრობის ეკონომიკურ საფუძველს.

საერთაშორისო ვაჭრობის დიდი წილი, მსგავსი ეკონომიკის ქვეყნებზე ანუ აშშ-ზე, კანადაზე, ევროგაერთიანებაზე და იაპონიაზე მოდის. მსგავსი ეკონომიკის ქვეყნებს შორის ვაჭრობის ძირითადი მიზეზია შეფარდებითი უპირასტესობა. შეფარდებითი უპირასტესობის განმარტება ოდნავ უფრო რთულია. **„ შეფარდებითი უპირასტესობა„ ნიშნავს ქვეყნის უნარს აწარმოოს საქონელი და მომსახურება კონკურენტებზე ნაკლები ალტერნატიული დანახარჯებით.** დავუშვათ, რომ მსოფლიოში მხოლოდ ორი ქვეყანაა (საქართველო და ბელორუსი) და მხოლოდ ორი სახის საქონელი (პომიდორი და კარტოფილი) იწარმოება. საქართველოში 1ტ. პომიდერის წარმოება ჯდება 100 დოლარი და 1 ტ. კარტოფილის წარმოება – 200 დოლარი. ბელორუსში 1ტ. პომიდერის წარმოება ჯდება 140 დოლარი, ხოლო 1ტ. კარტოფილისა – 250დოლარი. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს აბსოლუტური უპირატესობა აქვს ორივე ტიპის საქონლის წარმოებაში, შეფარდებითი უპირატესობიდან გამომდინარე, ის მაინც მხოლოდ ერთი ტიპის საქონლის წარმოებას ამჯობინებს–იმის, რომლის წარმოებაში აბსოლუტური უპირატესობაც შედარებით დიდი აქვს, ანუ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, დაამზადებს იმ პროდუქტს, რომლის წარმოებაშიც შეფარდებითი უპირატესობა გააჩნია. **ნათქვამის დამადასტურებლად გამოვთვალოთ კარტოფილის წარმოების ხარჯები თითოეულ ქვეყანაში.** საქართველოში კარტოფილის წარმოების ხარჯები შეადგენს პომიდერის წარმოების ხარჯის: 200:100=2დოლარს; ბელორუსში კარტოფილის წარმოების ხარჯები შეადგენს პომიდერის წარმოების ხარჯის: 250:140=1,8 დოლარს. 1,8<2; **ე.ი. კარტოფილის წარმოება უფრო იაფი ჯდება ბელორუსში. გამოვთვალოთ პომიდერის წარმოების ხარჯები თითოეულ ქვეყანაში. საქარ-**

**თველოში პომიდვრის წარმოების ხარჯები** შეადგენს კარტოფილის წარმოების ხარჯის: 100:200=0,5 დოლარს; **ბელორუსში პომიდვრის წარმოების ხარჯები** შეადგენს კარტოფილის წარმოების ხარჯის: 140:250=0,6 დოლარს. 0,5<0,6; **ე.ი. პომიდვრის წარმოება უფრო იაფი ჯდება საქართველოში. შეგვიძლია დავასკვნათ:** საქართველოში ეფექტიანია შრომისა და კაპიტალის თავმოყრა პომიდვრის წარმოებაში და კარტოფილის წარმოების მაგიერ მისი იმპორტირება ბელორუსიდან; ბელორუსში ხელსაყრელია კარტოფილის წარმოება და პომიდვრის წარმოების მაგიერ მისი იმპორტირება საქართველოდან. მაშასადამე, საქართველოს სპეციალიზაცია პომიდორზე და ბელორუსისა – კარტოფილზე, ორივე ქვეყანას სარგებლობას მოუტანს. იგივე დღიური ხელფასი ქართველს საშუალებას მისცემს იყიდოს მეტი იაფი იმპორტული კარტოფილი, ბელორუსს კი–მეტი იაფი ქართული პომიდორი, ვიდრე მიიღებდნენ მაშინ, ერთიცა და მეორეც თვითონ რომ ეწარმოებინათ. ჩატარებული მარტივი მაგალითით დავრწმუნდით, რომ ორივე ქვეყანა მაქსიმალურ მოგებას ნახავს, თუ ვაჭრობა მათ შორის თავისუფალია. **შევნიშნავთ, რომ შეუძლებელია ერთ ქვეყანას (პიროვნებას) შედარებითი უპირატესობა ჰქონდეს ორივე სახის საქონლის წარმოებაში, რადგანაც ერთი სახის საქონლის ალტერნატიული დანახარჯი მეორის ალტერნატიული დანახარჯის შებრუნებული სიდიდეა.**

ზემოთ მოყვანილი თეორიული მაგალითი შეიძლება განვავრცოთ რეალურ მსოფლიოზე. საერთაშორისო ბიზნესის პირობებში ქვეყნები (რაიონები, ქალაქები, სოფლები) იმ საქმეში სპეციალდებიან, რაშიც მათ შეფარდებითი უპირატესობა გააჩნიათ. ამ პრინციპით, **აშშ-ი** აწარმოებს ავტომობილებს, თვითმფრინავებს, კომპიუტერებსა და ნახევარგამტარებს, **ბრაზილია**-ყავას, **გონდურასი**-ბანანებს, **ავსტრალია**-მატყლს, **შვეიცარია**-მედიკამენტებს, **საფრანგეთი**-ღვინოებსა და პარფიუმერიას, **კუვეიტი**-ნავთობს, **იაპონია**-ზუსტ ხელსაწყოებს, **კვიპროსი**-ტურისტულ მომსახურებას, **საქართველო**–სატრანზიტო-სერვისულ და ტურისტულ მომსახურებას, მინერალურ

წყლებს, ღვინოს, ხილს, ციტრუსებს, თხილსა და ა.შ. **ხაზგასმით უნდა ითქვას ისიც, რომ საერთაშორისო ვაჭრობის სარგებლიანობა ემყარება არა აბსოლუტურ, არამედ შეფარდებით უპირატესობას. ეს იმას ნიშნავს, რომ მაშინაც კი, როდესაც ერთი ქვეყანა ყველა სახის საქონლის წარმოებაში სჯობს მეორეს თითოეულ ქვეყანას შეუძლია მიიღოს გარკვეული სარგებელი მეორე ქვეყანასთან ვაჭრობის შედეგად. მოკლედ, საერთაშორისო ვაჭრობა არ ჰგავს ომს, რომელშიც ზოგი ქვეყანა იმარჯვებს, ზოგი კი მარცხდება. საგარეო ვაჭრობა ყველა ქვეყანას მეტი კეთილდღეობის მიღწევის საშუალებას აძლევს, რადგანაც მხარეები ვაჭრობის საშუალებით ცვლიან იმ საქონელს, რომლებიც მათ არ სჭირდებათ (ჭარბი აქვთ) იმაზე, რაც მათთვის აუცილებელია.**

**ამჟამად ეკონომიკურად განვითარებულ სახელმწიფოებში** შეინიშნება სამუშაო ძალისა და რესურსების დეფიციტი და საქონლის, კაპიტალისა და ტექნოლოგიების სიუხვე. **განვითარებად ქვეყნებში კი**–დაბალკვალიფიციური სამუშაო ძალის, რესურსების სიჭარბე და კაპიტალის სიმწირე, საქონლის დეფიციტი, შეზღუდული ეროვნული ბაზრები, საბაზრო ეკონომიკისა და დემოკრატიული ინსტიტუტების განუვითარებლობა და მრავალი სხვა. ასეთ პირობებში, აბსოლუტური და შეფარდებითი უპირატესობის თეორიის საფუძველზე, არსებობს ობიექტური აუცილებლობა იმისა, რომ განვითარებული ქვეყნებიდან გნვითარებადისაკენ იდინოს საქონლის, კაპიტალისა და ტექნოლოგიების ნაკადმა, ხოლო პირიქით–სამუშაო ძალისა და რესურსების ნაკადმა. ამ ნაკადების გატარების (დასავლეთი –აღმოსავლეთი და ჩრდილოეთი–სამხრეთი) ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კორიდორია საქართველო. **ე.ი. საქართველოს ერთ-ერთი შეფარდებითი უპირატესობა მისი სატრანზიტო–მომსახურებითი ფუნქციაა.**

ამასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ სამწუხაროდ, წარმოების დიდი მოცულობების მიღწევას, რაც აუცილებელია მასშტაბის ეფექტისათვის (აწარმოე ბევრი და დაგიჯდება იაფი) და შესაბამისად, საფასო ბრძოლაში მოსაგებად, თითქმის ვერც

ერთ დარგში შევძლებთ. პრობლემატურია მუშახელის კვალიფიკაციაც, რაც, აგრეთვე, ხარისხიანი პროდუქტის და მომსახურების წარმოების შესაძლებლობას დიდი ხნით, ასევე, თითქმის ვერც ერთ დარგში მოგვცემს. საქართველო შეზღუდული რესურსების ქვეყანაა და ყველა სახის ნედლეული არ აქვს. **სწორედ ამიტომ, სჯობს აქცენტი გაკეთდეს ქართული სურსათის უვნებლობაზე და პროდუქციის უსაფრთხოებაზე, საავტოროობაზე, ტრადიციულობაზე, ეკოლოგიურობაზე, ბიოპროდუქტზე და ამით მოხდეს მომხმარებლის ცნობიერებაში მისი პოზიციონირება.**

**ისმის კითხვა-განვითარებით ჩვენზე წინმდგომმა ქვეყნებმა ეკოლოგიურ, ბიოპროდუქტების წარმოებაზე რატომ გააკეთეს არჩევანი და რა იღონეს ამ მიმართებით?**

**-მათ ამოძრავებდათ:** ეკონომიკური სარგებლის ანუ ეფექტის მიღება; სოფლის მეურნეობისა და მთლიანად სოფლის ეკონომიკის განვითარება; სოფლად ინფრასტრუქტურის განვითარება და დემოგრაფიული მდგომარეობის გამოჯანსაღება. სხვაგვარად-გლეხის დამაგრება სოფლად, სამუშაო ადგილების გაჩენა და დემოგრაფიული სიტუაციის გამოსწორება.

**ყველა ამ მიზნის მიღწევა ეკოლოგიურ, ბიოპროდუქტს შეუძლია: მისი წარმოებით, დარეგისტრირებითა და ბრენდირებით ანუ მომხმარებელთათვის გაცნობითა და მოწონებით.** ამ საქმეში მნიშვნელოვანია გეოგრაფიული აღნიშვნა, რაც იმას ნიშნავს, რომ მხოლოდ იმ რეგიონში უნდა იქნას მოყვანილი ის ნედლეული, რომლისაგანაც დამზადებულია კონკრეტული დასახელების პროდუქტი. საქართველოს სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ სურსათის ადგილწარმოების დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრაციისათვის დასკვნა გაცემული აქვს ოთხ შემთხვევაში. ესაა: ქუთაისის მწვანილი, მაჭახელას თაფლი, ტყიბულის მთის ჩაი და ახალქალაქის კარტოფილი.

**თავის დროზე, „დააბანდე საქართველოში (Invest in Georgia)"** კამპანიაზე ბევრი ფული და დრო დაიხარჯა, თუმცა, გონივრული განხორციელების შემთხვევაში, ქვეყნის ეკონომიკი-

სათვის ბევრად უფრო ეფექტიანი შეიძლება აღმოჩნდეს სწორედ კამპანია **„წარმოებულია საქართველოში“**, რომელიც თვით ინვესტორებისთვისაც კი გაცილებით უფრო საინტერესოს გახდის საქართველოს, ვიდრე პირველი. ვინაიდან ფულის დაბანდება იქ, სადაც მხოლოდ იურიდიული პროცედურებია გამართული და ნაკლები ბიუროკრატიული ბარიერები არსებობს, შეიძლება ნაკლებად საინტერესო აღმოჩნდეს, ვიდრე იქ, სადაც ამასთან ერთად წარმოებული პროდუქციის გასაღების უკეთესი შესაძლებლობებიც იქნება, ვთქვათ, ევროკავშირში, თურქეთში და სხვაგან **[68]**.

**არც თუ იშვიათად საზღვარგარეთ ადგილობრივი საწარმოების ჩამოყალიბება ერთადერთი ხერხია ეროვნულ ბაზარზე შეღწევისა**. ასე მაგალითად, იაპონური ფირმები, ქმნიან რა საწარმოებს დიდ ბრიტანეთში და მექსიკაში, ამით ხელფეხი ეხსნებათ, ერთი მხრივ, ევროგაერთიანებისა და, მეორე მხრივ, თავისუფალი ვაჭრობის ჩრდილო ამერიკული ბაზარზე შეღწევისათვის. არადა, ექსპორტირებით ამ ბაზრებზე შეღწევა მათ ერთობ გაუჭირდებოდათ [46,გვ.38].

ამასთან დაკავშირებით ლოგიკურია გავიხსენოთ როგორ დაიწყო ქუთაისის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის ფუნქციონირება. შემოდის გაზქურების მწარმოებელი ეგვიპტური კომპანია "ფრეშ ჯორჯია", რომლის საქმიანობის სფერო სხვადასხვა მოდიფიკაციის გაზქურებისა და ელექტროტექნიკის გამოშვება-რეალიზაციაა. რომელსაც, როგორც გაირკვა, ევროკავშირში შესატანი გაზქურების ქვოტები ამოეწურა და კიდევ ჰქონდა გარკველი გამოუყენებელი შესაძლებლობანი დამატებითი გაზქურების წარმოებისა. საქართველო იმხანად ევროკავშირთან სარგებლობდა GSP+ (გენერალიზებული პრეფერენციების სისტემით) და ეს პროდუქცია შედიოდა სწორედ პრეფერენციების ნუსხაში. ამდენად, კომპანია "ფრეშ ჯორჯიამ", გამოიყენა ეს გამოუყენებელი შესაძლებლობანი, აწარმოა საქართველოში გაზქურა, დაუსვა დამღა „წარმოებულია საქართველოში„ და ისე გაიტანა ევროპაში **[59]**.

ჩემი აზრით, ეს უნდა იყოს მიმზიდველი სომხეთის, აზერბაიჯანის, ცენტრალური აზიის ქვეყნებისა და ჩინეთისთვისაც. მწარმოებლურობაში, რომ საქართველო ჩინელ მწარმოებლებს ვერ აჯობებს აქ ორი აზრი არ არსებობს. **მაშ, რაში მდგომარეობს ჩვენი უპირატესობა?** -ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების გაფორმების შემდეგ საქართველოს ძირითადი კონკურენტუპირატესობაა ევროკავშირის ბაზარზე სატარიფო ბარიერებისაგან თავისუფალი დაშვება, რომელსაც გონივრული და ეფექტიანი გამოყენება ესაჭიროება.

**ახლა კი ვისაუბროთ დივერსიფიკაციის არსზე, საქართველოში ამ სფეროში არსებული პრობლემების გამოვლენაზე და მათი გადაწყვეტის გზებზე. მარტივად, სავაჭრო დივერსიფიკაცია სხვა არაფერია თუ არა ბაზრების გეოგრაფიული არეალისა და პროდუქციის დივერსიფიკაცია ანუ გამრავალფეროვნება. შესაბამისად, საქართველომ უნდა მოახდინოს არა მხოლოდ ტრადიციული საქონლის, არამედ მრავალი ახალი შეფარდებითი უპირატესობის საქონლის ექსპორტირება როგორც ტრადიციულ, ისე პოტენციურ და სტრატეგიულ გეოგრაფიულ ბაზრებზე.** მაგალითად, ბოლო დრომდე ქართული ღვინისა და მინერალური წყლების ექსპორტის 85% მოდიოდა რუსეთზე, 10% უკრაინაზე და 5% ევროკავშირზე. ამიტომაც იყო, რომ რუსეთის მიერ 2006 წელს საქართველოს მიმართ გამოცხადებული ემბარგოს შემდეგ საქართველოს ექსპორტის 85% ჰაერში გამოეკიდა.

აღნიშნულმა სავაჭრო სანქციებმა თვალნათლივ დაგვანახა, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოებისთვის საგრეო ვაჭრობის, ანუ ექსპორტისა და იმპორტის დივერსიფიცირება, ანუ მისი გეოგრაფიული არეალის და სასაქონლო სტრუქტურის გაფართოება [19].

ნათქვამია -„ზოგი ჭირი მარგებელიაო" და სწორედ ამავე „ემბარგომ" უბიძგა საქართველოს ეზრუნა ახალი ბაზრების (ევროკავშირი, თურქეთი, აშშ, ჩინეთი და სხვა) მოძიებაზე და მათი მოთხოვნების შესატყვისი პროდუქციის წარმოებაზე ანუ დივერსიფიკაციაზე, რის შედეგადაც ექსპორტმა

დაიწყო ზრდა რუსეთის გარეშეც. თუმცა, 2012 წელს, ქვეყნის მმართველობაში „ქართული ოცნების“ მოსვლის შემდეგ, რუსეთთან ურთიერთობა გარკვეულწილად დარეგულირდა, ჩრდილოელი მეზობლის მხრიდან მოიხსნა ემბარგო და რუსეთთან სავაჭრო ბრუნვა განსაკუთრებით ექსპორტის ნაწილში მნიშვნელოვნად გაიზარდა. **ამაზე მეტყველებს საქართველო-რუსეთს შორის ექსპორტ-იმპორტის მაჩვენებლები 2012-2015 წლების იანვარ-აპრილში მლნ. აშშ დოლარებში.** 2012 წელი: ექსპორტი 7,5 და იმპორტი 149; 2013 წელი: ექსპორტი 72 და იმპორტი 146; 2014 წელი: ექსპორტი 87 და იმპორტი 164,5; 2015 წელი: ექსპორტი 40 და იმპორტი 179 [53]. 2015 წელს წინა წელთან შედარებით ექსპორტის დაახლოებით ორჯერ შემცირების ძირითადი მიზეზი არის რუსეთ-უკრაინის ომი, ნავთობზე მსოფლიო ფასების შემცირება და მსოფლის წამყვანი ქვეყნების მიერ რუსეთის მიმართ დაწესებული საბაჟო და სავიზო სანქციები. **ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, საქართველომ განახორციელა ღვინის ბაზრების გეოგრაფიული დივერსიფიცირება და ორიენტაცია მოახდინა შედარებით სტაბილურ პერსპექტიულ და სტრატეგიული მნიშვნელობის ბაზრებზე.**

შესაბამისად, 2015 წლისთვის დაფიქსირდა ღვინის, **როგორც ტრადიციული ბაზრების დივერსიფიკაცია:** რუსეთი – 14 660 981 ბოთლი, ყაზახეთი – 4 004 586 ბოთლი, უკრაინა – 2 569 ბოთლი, ყირგიზეთი – 172 536 ბოთლი; ისე **პერსპექტიული ბაზრების დივერსიფიკაცია:** პოლონეთი- 1 260 870 ბოთლი, ლატვია – 924 792 ბოთლი, ესტონეთი – 389 274 ბოთლი, გერმანია – 211 236 ბოთლი, ნიდერლანდები – 47 232 ბოთლი და საფრანგეთი – 29 100 ბოთლი და **სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ბაზრების დივერსიფიკაცია:** ჩინეთი – 1 807 955 ბოთლი, აშშ – 209 339 ბოთლი, იაპონია – 126 686 ბოთლი, კანადა – 147 636 ბოთლი, ისრაელი – 33 720 ბოთლი, კორეა – 24 054 ბოთლი და სხვა [78].

**რამ განაპირობა ქართულ ღვინოზე მოთხოვნის ზრდა**

**ტრადიციულ, პერსპექტიულ და სტრატეგიულ ბაზრებზე?** -ზოგადად საზღვარგარეთის ტრადიციულ და ახალ ბაზრებზე ქართულ ღვინოზე ცნობადობის ამაღლებამ, რასაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი გამოფენებში, კონფერენციებში და ღვინოსთან დაკავშირებულ სხვადასხვა ღონისძიებებში მონაწილეობამ. იმისათვის, რომ ქართულმა ღვინომ ახალი ბაზრებიც აითვისოს და მისმა ცნობადობამაც მოიმატოს უნდა ჩატარდეს მეტი მარკეტინგული და პიარკამპანიები, დეგუსტაციები, სხვადასხვა სახის სარეკლამო კამპანიები და ჩვენი უნიკალურობა ვაჩვენოთ მსოფლიოს. ქვევრი არის ყველაზე უნიკალური, რაც ჩვენ გაგვაჩნია, ეს არის ჩვენი ქვეყნის სახე, ჩვენი ისტორია, ჩვენი ტრადიცია. ესაა ნიშა რომლითაც შეგვიძლია დავაინტერესოთ, წარვსდგეთ და ჩვენი მნიშვნელოვანი განაცხადი გავაკეთოთ მსოფლიოს ღვინის ბაზარზე.

საბჭოთა კავშირის პირობებში ქართველი გლეხი ვაშლით დატვირთული სატვირთო მანქანით მიდიოდა რუსეთში და იქიდან ცინცხალი „ჟიგულითა“ და სოლიდური შემოსავლით ბრუნდებოდა. ახლა კი, ქართველ გლეხს თითქმის დაკარგული აქვს რუსული ბაზარი, შესაბამისად, შემოსავალი და ამ ბაზარზე მისი ადგილი მოლდავურ, პოლონურ და ჩინურ ვაშლს უჭირავს. აღნიშნულის გამო, ქართველმა მეხილემ თავის გადარჩენის მიზნით შეამცირა ვაშლის სავარგულები და მის მაგიერ კარტოფილისა და სხვა ბოსტნეულის მოყვანა დაიწყო ანუ ხელი მიჰყო ნატურალურ მეურნობას, რამაც საბაზრო ურთიერთობების განვითარებაზე უარყოფითად იმოქმედა. იმისათვის, რომ ქართველმა მეხილეებმა შეძლონ საერთაშორისო ბაზრზე ჯეროვანი მეტოქეობა გაუწუიონ მოლდოველ, პოლონელ და ჩინელ მწარმოებლებს, მათ ხილის მოყავნისა და ხეხილის ბაღების მოვლა-პატრონობის თანამედროვე მეთოდები უნდა აითვისონ, რათა მსხვილი, ხრაშუნა, არომატული და ლამაზი შეფერილობის ვაშლი აწარმოონ. ასევე, ვაშლი ცივ საცავებში თვეების მანძილზე უნდა შეინახონ, რათა წელიწადის ნებისმიერ დროს ბაზრის მოთხოვნების დაკმა-

ყოფილება შეძლონ. ამასთან, აუცილებელია თანამედროვე ვაშლის ჯიშების მოყვანა საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიანობის ამაღლების მიზნით.

არც ისე შორეულ წარსულში დამკვიდრებული იყო მოსაზრება, რომ საქართველოს მთავარი საექსპორტო ბაზარი რუსეთია, ხოლო მთავარი საექსპორტო პროდუქტი ღვინო და მინერალურ წყლებია. ცხადია, რუსეთის ბაზრის ღიაობა და მასშტაბი საინტერესოა ნებისმიერი ქვეყნის საექსპორტო მიზნებისთვის, თუმცა რუსეთის მხრიდან იძულებითმა შეზღუდვებმა საქართველოს საგარეო ვაჭრობაში ახალი მოთამაშეები და, რაც მთავარია – ახალი პროდუქცია წამოწია წინა პლანზე.

საქართველოს საგარეო ვაჭრობის **2015 წლის** სტატისტიკური მონაცემებიც ცხადყოფს, რომ ქვეყნის ეკონომიკას ერთი შეხედვით საკმაოდ მოულოდნელი სავაჭრო ბაზრები და რესურსი აქვს ათვისებული, კერძოდ: სავაჭრო ბრუნვის მიხედვით **2015 წლის საქართველოს მთავარ სავაჭრო პარტნიორთა ათეულში შედის:** თურქეთი 1 517 მლნ. აშშ დოლარი, რუსეთი 788 მლნ. აშშ დოლარი, აზერბაიჯანი 783 მლნ. აშშ დოლარი, ჩინეთი 713მლნ. აშშ დოლარი, უკრაინა 515 აშშ დოლარი, გერმანია 507 აშშ დოლარი, ირლანდია 458 აშშ დოლარი, ბულგარეთი 382 აშშ დოლარი და სომხეთი 352 აშშ დოლარი **[53].**

დსთ-ს და მეზობელ ქვეყნებთან ერთად საქართველოსთან გეოგრაფიულად სხვადასხვა მანძილზე დაშორებული თურქეთის, ჩინეთის, გერმანიის, ირლანდიისა და ბულგარეთის გამოჩენა საქართველოსთვის ერთ-ერთი მთავარი მიღწევაა **ბაზრების გეოგრაფიული არეალის დივერსიფიკაციის თვალსაზრისით. ბაზრების გეოგრაფიული დივერსიფიცირების** დამადასტურებელია, ასევე ის, რომ **თუ რუსეთის მიერ 2006 წელს საქართველოს მიმართ გამოცხადებულ ემბარგომდე და რუსეთ-საქართველოს ომამდე საგარეო ვაჭრობაში ნომერი პირველი პარტნიორი რუსეთი იყო, მერე მას თურქეთი ჩაენაცვლა.** ეს არის სავსებით ბუნებრივი მოვლენა, რადგანაც ნებისმიერი ქვეყანა საერთაშორისო ვაჭრობას, პირველ რიგში, მეზობელ

ქვეყანაში ანვითარებს. რუსეთთან დაძაბულმა პოლიტიკურმა ურთიერთობამ ხელი შეუწყო საქართველო-თურქეთის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის განვითარებასა და გაღრმავებას [25,გვ.173]

საექსპორტო საქონლის დივერსიფიცირებაზე კი მეტყველებს ის, რომ არც ისე შორეულ წარსულში (2004-2009წწ) საქართველოს ექსპორტულ პროდუქციაში №1 მუხლი **„გაჭირვების ექსპორტი"**- ანუ „ჯართის ექსპორტი" იყო, რომლის დროსაც საწარმოს მფლობელი მოკლევადიანი მიზნების მიღწევისათვის ინვენტარებსა და მანქანა-დანადგარებს ყიდდა. როგორც იქნა „ჯართი„ აღარ არის უპირველესი მუხლი. იგი ჩაანაცვლა შედარებით **„ნაკლებად გაჭირვების ექსპორტმა"** – მსუბუქი ავტომანქანების რეექსპორტმა, რომელმაც 2014 წლიდან, ასევე, დაკარგა პოზიცია პარტნიორ ქვეყნებში (სომხეთი, აზერბაიჯანი, ყაზახეთი) ახალი საბაჟო რეგულაციების შემოღების გამო. ამჟამად ექსპორტში სჭარბობს **„იძულებითი ექსპორტი"**, ანუ დაბალი დამატებული ღირებულების შემცველი რესურსები-თხილი და კაკალი, ნედლი ნავთობი, მინერალური და ქიმიური სასუქები. უფრო კონკრეტულად, 2015 წელს სასაქონლო ჯგუფებიდან, საექსპორტო ათეულში **პირველი ადგილი** სპილენძის მადნებმა და კონცენტრატებმა დაიკავა, 270.6 მლნ. აშშ დოლარი და მთელი ექსპორტის 12.3 პროცენტი შეადგინა. **მეორე ადგილზეა** ფეროშენადნობების ექსპორტი 194.5 მლნ. აშშ დოლარი და 8.8 პროცენტი. **მესამე ადგილზეა** მსუბუქი ავტომობილები, ამ სასაქონლო ჯგუფის ექსპორტმა 179.6 მლნ. აშშ დოლარი და მთელი ექსპორტის 8.2% შეადგინა. ავტომობილების აღმოჩენა საქართველოს მთავარ საექსპორტო ჯგუფში, ცხადია, აბსოლუტურად მოულოდნელი იყო გასული საუკუნის 90-იანი და თუნდაც 2000-იანი წლების დასაწყისის გადმოსახედიდანაც, თუმცა საკანონმდებლო გარემომ, ტრანზიტის პირობებმა და საქართველოს ხელსაყრელმა გეოგრაფიულმა მდგომარეობამ ეს ჯგუფი უკვე რამდენიმე წელია მყარად დაამკვიდრა საექსპორტო პროდუქციის ლიდერთა რიგებში.

ამ თვალსაზრისით საინტერესოა თხილი და კაკალი, რომლის ექსპორტის მოცულობა 2014 წლის მონაცემთან შედარებით შემცირებულია, თუმცა საბოლოო ჯამში ეს პროდუქცია საექსპორტო ათეულში შედის – ბოლო წლების მანძილზე უკვე ტრადიციულად; ასევე ძალიან საინტერესოა საქართველოს სამ მთავარ სავაჭრო პარტნიორთან – აზერბაიჯანთან, თურქეთთან და უკრაინასთან ვაჭრობის დინამიკა. თუ უკრაინასთან საესპორტო პროდუქციის ხუთეულში კვლავ ღვინო და მინერალური წყლები შედის, აზერბაიჯანთან და თურქეთთან სავაჭრო დინამიკა ახალი საექსპორტო პროდუქციის გამოჩენაზე გვამცნობს: 2015 წლის საქართველოდან თურქეთში ექსპორტირებული პროდუქციის პირველ ხუთეულში ტრადიციულ ფეროშენადნობებთან ერთად შედის – ფქვილი ხორცისა ან ხორცის სუბპროდუქტებისგან, ტრიკოტაჟი და ქალის კოსტუმები და კომპლექტები; აზერბაიჯანში განხორციელებული ექსპორტიდან კი პირველ ადგილზე მსუბუქი მანქანებია, ხუთეულში ასევე გვხვდება სატვირთო ავტომანქანები და ცოცხალი მსხვილფეხა პირუტყვი.

რუსეთისა და უკრაინაში ღვინის ექსპორტის ბაზრის ალტერნატიული ბაზრების ძიებასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ **ევროკავშირი,** ალბათ, ასეთ ალტერნატივად ვერ გამოდგება. იმიტომ, რომ ევროკავშირის ბაზარზე ქართულ ღვინოს ჰყავს საკმაოდ ძლიერი კონკურენტები კალიფორნიის შტატის (აშშ), ჩილეს, არგენტინის, ურუგვაის, სამხრეთ აფრიკის, ავსტრალიის პორტუგალიის, იტალიის, საფრანგეთის, ჩეხეთის, უნგრეთისა და მოლდოვას ღვინოების სახით. ქართული ნაწარმის ევროკავშირის ბაზარზე დამკვიდრება გართულებულია იმის გამოც, რომ ამ ბაზარზე ჩეხეთის ღვინო 6-ჯერ, ხოლო მოლდავური ღვინო სამჯერ უფრო იაფია**[17,გვ.5]**. აღნიშნულის გამოა, რომ 2015 წლის მონაცემებით ქართული ღვინო ევროკავშირის ბაზარზე ექსპორტირებული საქონლის ათეულის სულ ბოლოშია მოქცეული, ხოლო მინერალური წყლები ათეულშიც კი ვერ მოხვდა **[53]**.

„ახალი სამყაროს“ (ავსტრალია და ახალი ზელანდია, კა-

ლიფორნიის შტატი, ჩილე, არგენტინა, ურუგვაი და სამხრეთ აფრიკა) ღვინოები რუსეთშიც იყიდება. საქართველომ რუსეთში ელიტარული ღვინოების ნიშა სწორედ მაშინ დაკარგა, როცა იქ ევროპიდან და „ახალი სამყაროდან" ელიტარული ღვინოების აქტიური შემოტანა დაიწყო. ქართულზე უფრო დაბალი ხარისხის ღვინოები რუსეთში ბულგარეთიდან, რუმინეთიდან და გერმანიიდან შემოდის. თუმცა, გერმანიიდან დაბალი ხარისხის ღვინოებთან ერთად ელიტარული ღვინოებიც შემოდის [15]. ცხადია ის, ვინც ბაზარზე ელიტარული ღვინოების ნიშას ირჩევს, ძვირად ღირებული ღვინოებს დაამზადებს, რომელთა ფასიც შედარებით მაღალი იქნება. ვინც მასობრივ ნიშას ირჩევს, ღვინის ფასი, შესაბამისად, უფრო დაბალი იქნება. **არ არის აუცილებლი, ელიტარული ღვინო ძვირი ღირდეს. ის საავტორო ღვინოა, რომლის მწარმოებელიც არ ფიქრობს პროდუქციის რაოდენობაზე და ღვინოს თავისი უნიკალური სტილით ამზადებს. ისინი ლიმიტირებული რაოდენობით მზადდება [12].**

აღიარებულია, რომ საგარეო ვაჭრობა არის ექსპორტის იმპორტად გადაქცევის **სპეციფიკური** ტექნოლოგია, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ექსპორტი ტოლია ან მეტია იმპორტზე. ასევე, ლოგიკურია, რომ საგარეო ვაჭრობა, ანუ ქვეყნის კარგახსნილობა ხელს უწყობს ეკონომიკურ ზრდას, მაგრამ ეს იმ შემთხვევაში, როცა ექსპორტი იმპორტს აბალანსებს ან სჭარბობს. საქართველოში კი იმპორტი ექსპორტს 3,8-ჯერ აღემატება. სავაჭრო ბალანსის ამგვარი უწონასწორობა, ანუ ქრონიკული დეფიციტი, ერთი მხრივ, მეტყველებს გარესამყაროსთან საქართველოს უპირატესად ცალმხრივ ეკონომიკურ ინტეგრაციაზე და, მეორეს მხრივ იმაზე, რომ ქართული ეკონომიკა დიდად არის დამოკიდებული იმპორტზე, რადგან ქვეყანა გაცილებით მეტს მოიხმარს, ვიდრე აწარმოებს ანუ საქართველო არის არა წარმოებაზე, არამედ უპირატესად მოხმარებაზე ორიენტირებული ქვეყანა. **წლების განმავლობაში იმპორტზე ორიენტირებული ეკონომიკის ზრდას ხელს უწყობს მოხმარების და არა წარმოების სტიმულირება,**

რაც, უმეტისწილად უზრუნველყოფილია სამუშაო ძალის ექსპორტით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციებით, საერთაშორისო ტურისტებით, უცხოური გრანტებით, დახმარებებით, ლარის სიმყარით და სხვ.

ცნობილია ისიც, რომ საგარეო ვაჭრობა საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების ყველაზე უფრო ადრეული და მასობრივი ფორმაა. როგორ გამოიყურება ამ ფენომენის დინამიკა საქართველოში. იხ. ცხრილი №2

**ცხრილი №2 საგარეო სავაჭრო ბრუნვის დინამიკა 2007-2015 წწ. (მლნ აშშ დოლარი)**

| | 2007 | 2008 | 2009 | 2010 | 2011 | 2012 | 2013 | 2014 | 2015* | 2016* წ. იანვარი-მარტი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| საგარეო სავაჭრო ბრუნვა | 6444 | 7797 | 5634 | 6935 | 9225 | 10413 | 10921 | 11454 | 9933 | 2145 |
| საქონლის რეგისტრირებული ექსპორტი (FOB) | 1232 | 1495 | 1134 | 1677 | 2187 | 2376 | 2910 | 2861 | 2204 | 443 |
| საქონლის რეგისტრირებული იმპორტი(CIF) | 5212 | 6302 | 4500 | 5257 | 7038 | 8037 | 8012 | 8593 | 7729 | 1703 |
| საგარეო ვაჭრობის სალდო | -3980 | -4806 | -3367 | -3580 | -4852 | -5661 | -5102 | -5733 | -5525 | -1260 |

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
http://www.geostat.ge/?action=page&p_id=151&lang=geo

მოხმობილი ცხრილიდან ჩანს, რომ 2015 წელს საქართველოში საქონლით საგარეო სავაჭრო ბრუნვამ (არაორგანიზებული ვაჭრობის გარეშე) 9933 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 13 პროცენტით ნაკლებია. აქედან ექსპორტი 2204 მლნ. აშშ დოლარს შეადგენს (23 პროცენტით ნაკლები). ექსპორტის შემცირების მაღალი მაჩვენებე-

ლი ძირითადად განაპირობა საქართველოს ექსპორტის სტრუქტურამ. კერძოდ, მსოფლიოში მიმდინარე სავალუტო რყევებისა და მისგან გამოწვეული ეკონომიკური მდგომარეობის შედეგად მოთხოვნა განსაკუთრებით შემცირდა არა პირველადი მოთხოვნის სასაქონლო პოზიციებზე, ღვინოზე, სპირტიან სასმელებზე, მინერალურ წყლებზე, უალკოჰოლო სასმელებზე, თხილზე და ა.შ. ანუ საქართველოს ტრადიციულ საექსპორტო პროდუქციაზე. ექსპორტის კლება უკავშირდება, ასევე, საბაჟო პოლიტიკის ცვლილების გამო აზერბაიჯანში და სომხეთში ავტომობილების რეექსპორტისა და არმატურის შემცირებას.

იმპორტი 7729 მლნ. აშშ დოლარის ტოლია (10 პროცენტით ნაკლები). იმპორტის შემცირება ძირითადად სამომხმარებლო საქონლის იმპორტის ხარჯზე მოხდა, ხოლო საინვესტიციო და შუალედური საქონლის იმპორტის კლების წვლილი მთლიანი იმპორტის კლებაში გაცილებით ნაკლები იყო. კერძოდ, იმპორტის შემცირებას ხელი შეუწყო ლარის დევალვაციამ, ანუ იმპორტის გაძვირებამ, ასევე, ნავთობზე და ხორბალზე ფასების შემცირებამ. საქართველოს უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა 2015 წელს 5525 მლნ. აშშ დოლარი და საგარეო სავაჭრო ბრუნვის 56 პროცენტი შეადგინა, რაც სარკისებური შედარების მეთოდით უფრო მეტია. ამ დეფიციტის დაბალანსებისათვის ანუ ქვეყნიდან გასული 5525 მლნ. აშშ დოლარის კომპენსაციისათვის, ჩვენი აზრით, საჭიროა სამამულო პროდუქციის საშინაო და საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის ამაღლება და ამით მასზე საშინაო და საგარეო მოთხოვნის ზრდა ანუ მეტი ექსპორტი და მეტი გონივრული იმპორტი, მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და მეტი ფულადი გზავნილები და მეტი ტურისტი.

მოხმობილი ცხრილიდან ჩანს ისიც, რომ 2015 წლის საგარეო სავაჭრო ბრუნვა ჩამოსცდა 2012 წლის მაჩვენებელს. შესაბამისად, 2015 წლის როგორც ექსპორტი, ასევე იმპორტი 2012 წლის მაჩვენებელზე დაბალია. ე.ი. ქვეყანას ამ მიმართულებით 4-წლიანი უკუსვლა აქვს. 2016 წლის იანვარ-მაისში კი, შარშანდელ იანვარ-მაისთან შედარებით, ექსპორტი 12%-ითაა შემცირებული. ეს ყველაფერი იმაზე მეტყველებს, რომ მთავრობის

მიერ აქამდე განხორციელებული ექსპორტის ხელშემწყობი ღონისძიებები საკმარისი არ არის. სწორედ ამიტომ, მიზანშეწონილია მსხვილ სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებში კომერციული ატაშეების ანუ სავაჭრო წარმომადგენლების დანიშვნა და პარალელურად ქვეყანაში ექსპორტის ხელშემწყობი სპეციალური ინსტიტუტის შექმნა.

საქსტატის ინფორმაციით 2015 წელს საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვამ ევროკავშირის ქვეყნებთან 3165 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 6 პროცენტით მეტია. აქედან ექსპორტი 646 მლნ. აშშ დოლარი იყო (4 პროცენტით მეტი), ხოლო იმპორტი 2518 მლნ. აშშ დოლარი (6 პროცენტით მეტი). საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვაში ამ ქვეყნების წილმა 32 პროცენტი შეადგინა, მათ შორის ექსპორტში 29 პროცენტი და იმპორტში 33 პროცენტი (2014 წელს შესაბამისად 26, 22 და 28 პროცენტი). ევროკავშირის ქვეყნებზე მოდიოდა სავაჭრო დეფიციტის 34 პროცენტი (2014 წელს 30 პროცენტი). **როგორც ვხედავთ, იმპორტი ექსპორტს 3,9-ჯერ აღემატება, რაც საქართველოს მოხმარებაზე ორიენტირებულობაზე მეტყველებს.** ევროკავშირის ქვეყნებში საექსპორტო ბაზარი უნდა შეირჩეს როგორც ზომის, ასევე ზრდის ტემპის მიხედვით. **საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში ექსპორტის ზრდა ევროკავშირის ბაზარზე მოსალოდნელია ახალი და მაღალი დამატებული ღირებულების შემცველი საექსპორტო პროდუქტების ზრდით,** პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის საფუძველზე. მაშასადამე, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდა, პარალერულად, წაახალისებს საექსპორტო პოტენციალის უფრო მეტად რეალიზაციას. ამასთან, ევროკავშირში ექსპორტი უნდა გაიზარდოს დსთ-ში ექსპორტის შენარჩუნების პარალელურად. წინააღმდეგ შემთხვევაში ვერ გადაწყდება საქართველოს სავაჭრო ბალანსის ქრონიკული დეფიციტის პრობლემა.

**დსთ-ის ქვეყნებთან საგარეო სავაჭრო ბრუნვამ** 2015 წელს 2808 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა (2014 წელთან შედარებით 22 პროცენტით ნაკლები). აქედან ექსპორტი 840 მლნ. აშშ

დოლარი (43 პროცენტით ნაკლები), ხოლო იმპორტი 1968 მლნ. აშშ დოლარი იყო (7 პროცენტით ნაკლები). საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვაში დსთ-ის ქვეყნების წილი 28 პროცენტი იყო, მათ შორის ექსპორტში 38 პროცენტი და იმპორტში 25 პროცენტი (2014 წელს შესაბამისად 31, 51 და 25 პროცენტი). 2015 წელს დსთ-ის ქვეყნებზე მოდიოდა სავაჭრო დეფიციტის 20 პროცენტი (2014 წელს 11 პროცენტი). **როგორც ვხედავთ, იმპორტი ექსპორტს 2,3-ჯერ აღემატება, რაც ევროკავშირის შესაბამის მაჩვენებელზე უკეთ გამოიყურება.**

**სავაჭრო პარტნიორების დივერსიფიცირების თვალსაზრისით დამაიმედებელია ორი წლის ექსპორტ-იმპორტის მონაცემები.** საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვაში მატულობს პერსპექტიული სავაჭრო პარტნიორის (ევროკავშირის ქვეყნების) წილი და კლებულობს ტრადიციული სავაჭრო პარტნიორის (დსთ-ის ქვეყნების) წილი. ასე მაგალითად, თუ 2013 წელს ევროკავშირს საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვის 26% ეკავა, ხოლო დსთ-ის ქვეყნებს – 35%, 2015 წლის მონაცემებით ევროკავშირის წილმა 6 პროცენტული პუნქტით მოიმატა და 32% შეადგინა, ხოლო დსთ-ის წილი 7 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 28% შეადგინა. ამავე პერიოდში ევროკავშირში საქართველოს ექსპორტის წილი 21%-დან 29%-მდე გაიზარდა, ხოლო დსთ-ის წილი 56%-დან 38%-მდე შემცირდა.

2015 წელს ათი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორის წილმა საქართველოს მთლიან საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 64 პროცენტი შეადგინა. **უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორებია** თურქეთი (1517 მლნ. აშშ დოლარი), რუსეთი (789 მლნ. აშშ დოლარი) და აზერბაიჯანი (783 მლნ. აშშ დოლარი).

2015 წელს, სასაქონლო ჯგუფებიდან, **უმსხვილეს საექსპორტო ათეულში** პირველი ადგილი სპილენძის მადნებმა და კონცენტრატებმა დაიკავა, 271 მლნ. აშშ დოლარი და მთელი ექსპორტის 12 პროცენტი შეადგინა. მეორეა ფეროშენადნობების ექსპორტი, რომელიც 195 მლნ. აშშ დოლარს და შესაბამისად, მთლიანი ექსპორტის 9 პროცენტს უდრიდა. მესამე ადგილზე მსუბუქი ავტომობილების ჯგუფი იმყოფებოდა. ამ სასა-

ქონლო ჯგუფის ექსპორტმა 180 მლნ. აშშ დოლარი და მთელი ექსპორტის 8 პროცენტი შეადგინა. **როგორც ვხედავთ, ექსპორტის სახით უპირატესად რესურსები ანუ დაბალი დამატებული ღირებულების პროდუქტი გაედინება და არა მზა პროდუქტი.**

**უმსხვილესი საიმპორტო სასაქონლო ჯგუფი 2015** წელს სამკურნალო საშუალებები იყო, რომლის იმპორტმა 745 მლნ. აშშ დოლარი და მთელი იმპორტის 10 პროცენტი შეადგინა. მეორე ადგილზე იმყოფებოდა ნავთობი და ნავთობპროდუქტების სასაქონლო ჯგუფი 657 მლნ. აშშ დოლარით, რაც იმპორტის 9 პროცენტი იყო. მესამე ადგილზე მსუბუქი ავტომობილების სასაქონლო ჯგუფი დაფიქსირდა 461 მლნ. აშშ დოლარით (იმპორტის 6 პროცენტი) [20.01.2016. commersant.ge]. **როგორც ვხედავთ, იმპორტის სახით უპირატესად მზა პროდუქტი მაღალი დამატებული ღირებულების პროდუქტი შემოედინება და არა რესურსები.**

№2 ცხრილიდან ჩანს, ასევე, რომ საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვა 2007- 2015 წლებში (2009 წლის გამოკლებით) ზრდის ტენდენციით ხასიათდება, რაც დადებითი მოვლენაა. სამწუხაროდ, ზრდის ტენდენციით ხასიათდება სავაჭრო ბალანსის უარყოფითი სალდოც, რაც ცალსახად უარყოფითად უნდა შეფასდეს.

**ამ ფონზე ლოგიკურად ისმის კითხვა-რა ვუყოთ საქართველოს კრიტიკულ იმპორტს, ანუ უარყოფით სავაჭრო სალდოს, რომელიც არსებობს, საერთოდ და, ყველა უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორ ქვეყანასთან იქნება ეს თურქეთი, რუსეთი, უკარიანა, აზერბაიჯანი, ევროკავშირის ქვეყნები, აშშ-ი თუ სხვა?** -ამ მიმართებით არსებობს მდიდარი მსოფლიო გამოცდილება. მაგალითად, იაპონელებმა, რომელთაც აქვთ მომავლის საკმაოდ კარგი ხედვა, 1946 წლიდან დაიწყეს ეროვნული ლოზუნგის რეალიზაცია, რომლის არსია-„ან ექსპორტი, ან სიკვდილი“. ამ ლოზუნგის რეალიზებისათვის მათ შეისწავლეს წარმატებული ქვეყნების საიდუმლოებანი და აღმოაჩინეს, რომ ეს არის: საზღვაო ფლოტი. დღეს იაპონიის საზღვაო ფლოტი

მსოფლიოში მესამეა აშშ-სა და რუსეთის შემდეგ; მათ განჭვრიტეს, რომ პერსპექტივაში მოსალოდნელი იყო სათბობ-ენერგეტიკული რესურსების კრიზისი. ამიტომ აშშ-გან განსხვავებით მათ შექმნეს მცირელიტრაჟიანი ავტომანქანები და ამით დაიპყრეს ბაზარი. აშშ-ი კი ამ აზრამდე ცოტა მოგვიანებით მივიდა; იაპონელებმა დაინახეს, რომ თანამედროვე ეკონომიკაში მთავარი იყო ცოდნა, ამიტომ იმ ხანად მათ 5000 ახალგაზრდიანი „დესანტი„ გადასხეს აშშ-ისა და დასავლეთის მოწინავე უმაღლეს სასწავლებლებში. ეს ახალგაზრდობა ახალი ცოდნითა და უნარებით დაბრუნდა სამშობლოში და გაზარდა ექსპორტი, ჩაანაცვლა არაგონივრული იმპორტი, გამოაჯანსაღა სავაჭრო ბალანსი და განავითარა ეროვნული ეკონომიკა. [99,გვ. 63.]. ცნობისათვის, საქართველო საზღვაო ქვეყანაა, რაც მისი ერთ-ერთი უპირატესობაა ამიერკავკასიაში და ცენტრალურ აზიაში, მაგრამ ჩვენს საზღვაო ინფრასტრუქურას არ შემორჩა არცერთი საზღვაო ლაინერი, თუ ტანკერი, რომელიც წარსულში 80-ს აღემატებოდა. ჩვენი გემები ზოგი დაიჭრა და ისე გაიყიდა, ზოგიც დაცურავს სხვა ქვეყნების დროშების ქვეშ ზღვაში [56,გვ.145]

სამხრეთ კორეამ, ასევე, წაახალისა ექსპორტი და ამით მეტ პროგრესს მიაღწია, ვიდრე ფილიპინებმა და სამხრეთ ამერიკის ქვეყნებმა (არგენტინა ბრაზილია, ჩილე), რომლებიც XX საუკუნის 80-იან წლებამდე მიმართავდნენ იმპორტის ჩანაცვლებას. შევნიშნავთ, რომ **იმპორტის ჩანაცვლების სტრატეგია ადგილობრივი ბაზრის დროებით დაცვასა და ადგილობრივი საწარმოო შესაძლებლობებით ეკონომიკურ ზრდას გულისხმობს. ექსპორტით სტიმულირებული ზრდის სტრატეგია კი ცდილობს მსოფლიო ბაზრები ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობისათვის გამოიყენოს. ექსპორტის ხელშეწყობით ეკონომიკური ზრდა იმპორტის ჩანაცვლების საპირისპირო სტრატეგიაა, რომელიც პოპულარული იყო 1960-იან წლებში.**

ექსპორტის მკვეთრი ზრდაა, ასევე, ჩინეთის ეკონომიკის ზრდის ერთ-ერთი ძირითადი საგარეო ფაქტორი. ჩინურ საქო-

ნელს ბევრი კონკურენტული უპირატესობა აქვს, თუმცა, სახელმწიფო დამატებით აკეთებს ექსპორტზე ორიენტირებული მეწარმეობის ეკონომიკის სტიმულირებას. სახელმწიფო საგარეო ბაზრებზე მიმართულ საწარმოებს დაბალი გადასახადებით, კრედიტებით და სხვა პრეფერენციებით უზრუნველყოფს [83].

აღსანიშნავია, რომ სინგაპურსა და ჰონ-კონგში იმპორტისა და რეექსპორტის ხარჯზე სავაჭრო ბრუნვა მშპ-ის 200-400%-საც კი აღწევს. ეს აზიური ქალაქ-სახელმწიფოები მთლიანად ვაჭრობაზე და ფინანსურ საქმიანობაზეა დამოკიდებული. მათი ვრცელი და ღრმა ნავსადგურები ერთ-ერთი დატვირთულია ტვირთბრუნვის თვალსაზრისით მთელ მსოფლიოში. იმიტომ, რომ ეს ქვეყნები არიან სავაჭრო და ფინანსური ჰაბები (ცენტრები).

როგორც ითქვა, საქართველოს უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა 2015 წელს 5525 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. რომ არა ესოდენ დიდი უარყოფითი სავაჭრო სალდო, საქართველოს ორჯერ მეტი ბიუჯეტი ექნებოდა. საქმე ისაა, რომ სავაჭრო დეფიციტი იფარება აღებული ვალით. ამ უკანასკნელის მომსახურება კი ბიუჯეტის ხარჯზე ხდება, რაც ზრდის მის დეფიციტს.

**ამასთან, ქვეყანაში იმპორტის სახით უპირატესად მზა პროდუქტი შემოედინება და არა რესურსები.** სამკურნალო საშუალებებთან და მსუბუქ ავტომობილებთან ერთად მრავალი ჩვეულებრივი სამომხმარებლო საქონელიც კი გარედან შემოგვაქვს, მაშინ როდესაც მოსახლეობის ნახევარი სოფლის მეურნეობაშია დასაქმებული. ასე მაგალითად, 2008 წლის გამწმავლობაში 22 მილიონი ლარის ღირებულების კარტოფილი, 19 მილიონის პომიდორი, 17 მილიონის ხახვი არის იმპორტირებული სხვადასხვა ქვეყნიდან. მხოლოდ ამ ოთხმა კულტურამ 70 მილიონი ლარი შეადგინა. მთლიანად იმპორტირებულმა სოფლის მეურნეობის პროდუქციამ კი-500 მილიონ აშშ დოლარზე მეტი (რაც ჩვენი გათვლებით მინიმუმ 100 000 დასაქმებული ადამიანის ეკვივალენტია თუკი ამ რაოდენობის პროდუქციის წარმოება საქართველოში მოხდებოდა) [57,გვ.51.]

საქართველო, მიუხედავად იმისა, რომ აგრარული ქვეყანაა, წარმოებული ხორბლით, ხორცითა და ხორცპროდუქტებით, რძითა და რძის პროდუქტებით ბოსტნეულით და ა. შ. ადგილობრივ მოთხოვნილებებსაც ვერ აკმაყოფილებს, რომ აღარაფერი ვთქვათ მათ ექსპორტზე. საქართველოს სასოფლო სამეურნეო პროდუქტების ექსპორტირება ნაკლებად ხდება მეზობელ თურქეთში. სამაგიეროდ ამ ქვეყნიდან ხორციელდება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის დიდი რაოდენობის იმპორტი (ჩვენი გათვლებით დაახლოებით 40 000 დასაქმებული ადამიანის ეკვივალენტია, თუკი ამ რაოდენობის პროდუქციის წარმოება საქართველოში მოხდებოდა). ეს იმიტომ, რომ თურქეთის მთავრობა ახდენს სოფლის მეურნეობის სუბსიდირებას, შესაბამისად, იქ მოწეული მოსავალი იმდენად იაფი ჯდება, რომ ქართული პროდუქცია ვერ უწევს მას კონკურენციას.

**ექსპორტის სახით კი უპირატესად რესურსები გაედინება და არა მზა პროდუქტი.** ასე მაგალითად, 2016 წლის პირველ კვარტალში უმსხვილესი საექსპორტო ჯგუფი სპილენძის მადნები და კონცენტრატები იყო 84.1 მლნ აშშ დოლარით (37.7%-იანი ზრდა წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით); შემდეგ მოდის ავტომობილების რეექსპორტი – 37.6 მლნ აშშ დოლარით (34.8%-იანი კლება); თხილი – 33 მლნ აშშ დოლარი (36.1%-იანი კლება); ფეროშენადნობი – 26.79 მლნ აშშ დოლარი (44.4%-იანი კლება); აზოტოვანი სასუქები – 23.2 მლნ აშშ დოლარი (3.2%-იანი კლება); მინერალური წყლები – 19.3 მლნ აშშ დოლარი (14.6%-იანი კლება); ღვინო – 19.2 მლნ აშშ დოლარი (23.7%-იანი კლება); სამკურნალო საშუალებები – 19 მლნ აშშ დოლარი (24.5%-იანი ზრდა); ოქრო დაუმუშავებელი ან ნახევრადდამუშავებული – 17.7 მლნ აშშ დოლარი (40%-იანი ზრდა); არადენატურირებული ეთილის სპირტი და სპირტიანი სასმელები – 17.1 მლნ აშშ დოლარი (74.7%-იანი ზრდა) [71].

**რა განსხვავებაა რესურსების ( ვთქვათ, ვაშლისა) და მზა პროდუქტის (ვთქვათ, ვაშლის ჯემის) ექსპორტს შორის?-** ვაშ-

ლში გაცილებით ნაკლებია დამატებული ღირებულება, ცოტა ფულს იღებ, ვაშლის წვენში, ვაშლის კომპოტში, ვაშლის ჯემში და ჩირში გაცილებით მეტს – ანუ დამატებულ ღირებულებას ქმნი ქვეყანაში. ჯემს რომ აკეთებ, საწარმო გაქვს, იქ საქმდება ხალხი, რომელთაც ხელფასს უხდი, ისინი სხვა ბიზნესის საქონელს ყიდულობენ. ექსპორტზე რომ გაიტან მეტს გადაგიხდიან რადგან მზა პროდუქტია.

ასევე, ჩვენი თხილი რომ გააქვთ, იქიდან ვიღაც კარგ შოკოლადს გააკეთებს და გაცილებით ძვირად გაყიდის, ანუ ქვეყნის განვითარების შემდეგი ეტაპი იქნება, რომ ეს თხილიანი შოკოლადი ჩვენ გავაკეთოთ. ის ადამიანი კი რომელზეც დღეს ვამბობთ, რომ მხოლოდ სახლი და პატარა მინა აქვს და უნდა დავეხმაროთ, წავა და იმ ქარხანაში იმუშავებს **[64]**.

**რა განსხვავებაა, ვთქვათ, ხორბლისა და ფქვილის იმპორტს შორის?**-თუ ძირითადი მომწოდებლებისაგან (რუსეთი, ყაზახეთი, უკრაინა და სხვა) შემოვიტანთ ფქვილს და არა ხორბალს, ამით ქართული წისქვილკომბინატების ნაწილი უმოქმედოთ დარჩება, ეს დარტყმას მიაყენებს ადგილობრივ ფერმერებსაც, რომლებმაც მოწეული ხორბალი ამ წისქვილკომბინატში უნდა დაფქვან, უმუშევრად დარჩენა დაემუქრება 10 ათასამდე ადმიანს და მელორეობის ფერმერულ მეურნეობებსაც მოაკლდება ქატო. როგორც ერთი, ისე მეორე ტენდენცია ქვეყანაში ახალი სამუშაო ადგილებისა და შემოსავლების მულტიპლიკაციის (გამრავლების) შემაფერხებელია. იმპორტჩამნაცვლებელი პოლიტიკა კი ქმნის ეროვნულ საქონელს, სამუშაო ადგილებს, შემოსავლებსა და ზოგავს ვალუტას.

საერთოდ, მნიშვნელოვანია არა მხოლოდ საგარეო ვაჭრობის ბრუნვის მოცულობა, არამედ ისიც თუ ქვეყნის სავაჭრო ბრუნვა უპირატესად რისგან შედგება. ანუ, თუ სავაჭრო ბალანსში მნიშვნელოვნად სჭარბობს იმპორტი (როგორც ეს საქართველოშია) ეს არის სერიოზული პრობლემა, ხოლო თუ – ექსპორტი, ეს ძალიან კარგია. **სამწუხაროდ, როგორც ითქვა, ყველა უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორ ქვეყანასთან (თურქეთი, რუსეთი, უკარიანა, აზერბაიჯანი, ევროკავშირის ქვეყნები, აშშ-**

ი თუ სხვა) საქართველოს აქვს ქრონიკულად უარყოფითი სავაჭრო სალდო.

**აღნიშნულის დაძლევისთვის, ჩვენი აზრით, მიზანშეწონილია** ინვესტიციების მოზიდვით სამამულო პროდუქციისა და მომსახურების საშინაო და საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის ამაღლება და **ექსპორტის წახალისება** ექსპორტიორების ინფორმირებით, რეგრესიული გადასახადებით, კრედიტებით, დაზღვევით, სავალუტო კურსით, ტრანსპორტირებით, ლოგისტიკითა და სხვა პრეფერენციებით. ამასთან, საჭიროა ექსპორტის **ოპტიმიზება** ანუ რესურსებთან შედარებით უპირატესობა მიენიჭოს მზა პროდუქტის გატანას. ამას ხელს შეუწყობს ქართული ბიზნესის საერთაშორისო ბაზრების კონკურენტულ გარემოში მოქცევა, რაც გააჩენს მწარმოებლურობის უფრო მეტად ზრდის სტიმულს და შესაბამისად, გამოიწვევს უფრო მალალი დამატებული ღირებულების მქონე პროდუქტების ექსპორტზე გადასვლას. ასევე, უნდა განხორციელდეს სავაჭრო პარტნიორებისა და საექსპორტო პროდუქციის **დივერსიფიკაცია (გამრავალფეროვნება)**, ქართული კომპანიების ახალ ბაზარზე შეღწევა და დამკვიდრება.

ამავდროულად, „საერთაშორისო თამაშის წესების„ დაცვით, **მიზანშეწონილია ადგილობრივი წარმოების ხელშეწყობით არაგონივრული იმპორტის ჩანაცვლებაც** (მით უფრო, რომ ეროვნული ვალუტის გაუფასურების დროს, იმპორტი უფრო ძვირი ჯდება, ვიდრე იმპორტშემცვლელი პროდუქციის ადგილზე წარმოება). იმპორტჩანაცვლების შემთხვევაში სამამულო პროდუქცია მინიმუმ იგივე ხარისხისა, მაგრამ შედარებით იაფი უნდა იყოს. იმპორტის გონივრულ ჩანაცვლებას ბევრი სიკეთის მოტანა შეუძლია საქართველოსთვის: შეიქმნება ახალი ბიზნესები, გაიზრდება სამუშაო ადგილები და ექსპორტის შესაძლებლობები, შემცირდება იმპორტი და მოთხოვნა უცხოურ ვალუტაზე, მოსახლეობაში ჩამოყალიბდება იმპორტულთან შედარებით სამამულო პროდუქციის უპირატესობის მინიჭების მენტალურობა, ნახალისდება ინოვაციური მიდგომები და ტექნოლოგიები.

ასევე, გონივრულად უნდა იქნას გამოყენებული რეექსპორტი. რეექსპორტის ხელშეწყობისათვის საჭიროა საქართველოს ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობის, ტრანზიტის პირობებისა და საკანონმდებლო გარემოს გონივრული გამოყენება, ასევე, რეექსპორტთან დაკავშირებული სპეციფიკური ოპერაციების მაქსიმალურად კომფორტულ პირობებში ჩატარება. სავაჭრო დეფიციტის მქონე საქართველოს უნდა გააჩნდეს, აგრეთვე, საერთაშორისო სავალუტო რეზერვები, არანაკლებ ერთი თვის იმპორტის სამმაგი ოდენობისა, რომელიც საჭიროების შემთხვევაში იქნება გამოყენებული.

ჩატარებული ანალიზიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ,რომ საქართველოს უარყოფითი სავაჭრო სალდოს (დეფიციტის) დაძლევისთვის მიზანშეწონილია სამამულო პროდუქციის საშინაო და საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის ამაღლება და ამით მასზე საშინაო და საგარეო მოთხოვნის ზრდა, ანუ მეტი: ექსპორტი, დივერსიფიკაცია, ოპტიმიზაცია, რეექსპორტი, გონივრული იმპორტი, ასევე, მეტი: პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, ფულადი გზავნილები და საერთაშორისო ტურისტი. სავაჭრო ბალანსის გაჯანსაღების ეს რეცეფტი უნდა კორექტირდეს ყოველი პარტნიორი ქვეყნის სპეციფიკის გათვალისწინებით. ყოველივე ამის შედეგად, ვფიქრობთ, ეტაპობრივად შემცირდება უარყოფითი სალდო და მივიღებთ დადებით სავაჭრო ბალანსს.

ვაჭრობა საერთაშორისო ბიზნესის ყველაზე უფრო ადრეული და მასიური, მაგრამ არაერთადერთი ფორმაა. კიდევ ერთერთი მნიშვნელოვანი ფორმაა პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (კაპიტალი). სწორედ ამიტომ, გადავალთ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების არსზე, მნიშვნელობაზე და მისი დივერსიფიცირების ობიექტურ აუცილებლობაზე.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები არის კაპიტალის დაბანდება უცხოურ კომპანიაში ამ კომპანიის საკუთრებაზე და აქტივებზე მკაცრი კონტროლის განხორციელების მიზნით. სხვაგავარად, კაპიტალურ ინვესტიციას, რომლის მფლობელი და მმართველი უცხოური ფირმაა, უცხოური პირდაპირი ინვესტიცია ეწოდება. მაგალითად, ქართულ კომპანია „ყაზბეგს„ შე-

უძლია ლუდის ქარხნისაშენება ან შეძენა სომხეთში. მოკლედ, **უცხოური პირდაპირი ინვესტიციები** დაკავშირებულია საზღვარგარეთ ახალი საწარმოების შექმნასა ან მოქმედ საწარმოთა შეძენასთან, რომლებიც სათაო კომპანიის ფილიალები ხდებიან; ინვესტიციას, რომელიც ფინანსდება უცხოური ფულით, მაგრამ იმართება ქვეყნის მოქალაქეების მიერ, **უცხოური პორთფელური ინვესტიცია ეწოდება.** მაგალითად, საქართველოს მოქალაქეს შეუძლია სომხეთის კორპორაციის აქციების შეძენა (ანუ კორპორაციის მფლობელობის წილის შეძენა). ამ შემთხვევაში სომხურ კორპორაციას საშუალება ეძლევა აქციების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი ახალი ქარხნის აშენებისათვის გამოიყენოს. ორივე შემთხვევაში ქართველები გასცემენ ფულად რესურსებს, რომლებიც საჭიროა სომხეთში კაპიტალის მარაგის გაზრდისათვის. ე.ი. ქართული დანაზოგები სომხური ინვესტიციების დაფინანსებისათვის გამოიყენება.

როგორც ითქვა, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები გულისხმობს სხვა ქვეყანაში საკუთრების ფლობას და მართვას. აშშ-ის კანონმდებლობის თანახმად, პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს ადგილი აქვს იმ შემთხვევაში, როცა ინვესტორი ფლობს უცხოური კომპანიის ხმის უფლების მქონე აქციების არა ნაკლებ 10%-ს. **პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ღირსებებია:** დიდი მოგების მიღების შესაძლებლობა; ოპერაციის შესრულებაზე კონტროლის განხორციელება; ადგილობრივი ბაზრის შესახებ ცოდნის შეძენა; ტარიფებისა და არასატარიფო ბარიერებისაგან თავის არიდების შესაძლებლობა. **პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკლოვანებებია:** საწარმოო სიმძლავრეებში და მართვის სისტემაში დიდი ინვესტიციების აუცილებლობა; პოლიტიკური რისკებისადმი მიდრეკილების შედარებით დიდი დონე; პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შეზღუდულობის სისუსტე; მართვის შედარებისთ რთული სისტემა.

პირდაპირ ინვესტირებას კომპანიები მიმართავენ მაშინ, როცა მათ აქვთ ექსპორტის გამოცდილება, საზღვარგარეთის ბაზარი დიდია და კარგადაც ვითარდება. მაგალითად, ფინური მობილური ტელეფონების ფირმამ Nokia-მ ჩინეთის ბა-

ზარზე, თავდაპირველად, შეაღწია ერთობლივი საწარმოს შექმნით. შემდგომში მან ყველა ადგილობრივი ერთობლივი საწარმო გააერთიანა და დაიწყო CDMA ტიპის ტელეფონების ადგილობრივი წარმოება.

გლობალიზაციის თანამედროვე პირობებში, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა, როგორც განვითარებად, ასევე განვითარებულ ეკონომიკებში, მისი განსაკუთრებული მნიშვნელობიდან გამომდინარე – სასიცოცხლო აუცილებლობას წარმოადგენს. 2015-2016 წლებში საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ასე გამოიყურება. იხ. ცხრილი №3.

**ცხრილი №3. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები**
მლნ. აშშ დოლარი

| წელი | სულ | I კვ | II კვ | III კვ | IV კვ |
|---|---|---|---|---|---|
| 2005 | 449.8 | 89.4 | 105.9 | 75.6 | 178.9 |
| 2006 | 1 190.4 | 146.0 | 306.9 | 280.7 | 456.7 |
| 2007 | 2 014.8 | 421.4 | 401.5 | 489.1 | 702.9 |
| 2008 | 1 564.0 | 537.7 | 605.4 | 134.7 | 286.2 |
| 2009 | 658.4 | 114.0 | 177.2 | 173.2 | 194.0 |
| 2010 | 814.5 | 166.5 | 208.3 | 225.6 | 214.1 |
| 2011 | 1 117.2 | 209.7 | 248.3 | 316.6 | 342.6 |
| 2012 | 911.6 | 261.2 | 217.7 | 199.0 | 233.7 |
| 2013 | 941.9 | 252.3 | 207.9 | 254.8 | 226.9 |
| 2014 | 1 758.4 | 309.5 | 196.2 | 726.0 | 526.7 |
| 2015* | 1 351.1 | 185.2 | 370.1 | 527.9 | 267.9 |
| 2016* | 376.4 | 376.4 | | | |

**წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური** http://geostat.ge/?action=page&p_id=139&lang=geo

მოხმობილი მონაცემების თანახმად, საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 2015 წელს 1.35 (2014 წლის დაზუსტებულ მონაცემებზე 23%-ით ნაკლები), ხოლო დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დღემდე კი – 14.6 მილიარდ აშშ დოლარს გადააჭარბა. აღსანიშნავია ისიც, რომ უცხოური ინვესტიციების უდიდესი ნაწილი დედაქალაქზე მოდის (ბოლო 5 წლის განმავლობაში – 75%), მეორე ადგილს კი სტაბილურად აჭარის რეგიონი იკავებს **(იხ. ცხრილი №4).**

**ცხრილი №4. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოს რეგიონების მიხედვით (ათასი აშშ დოლარი)**

| რეგიონი | სულ | სულ | სულ | სულ | სულ |
|---|---|---|---|---|---|
| სულ | 1 117 344 | 911 564 | 941 903 | 1 758 423 | 1 351 054 |
| მათ შორის | | | | | |
| ქ. თბილისი | 805 228 | 693 434 | 688 368 | 1 326 937 | 1 094 474 |
| აჭარა | 93 868 | 39 105 | 61 544 | 159 275 | 121 324 |
| კახეთი | 352 | 15 088 | 9 893 | 10 530 | -9 438 |
| სამცხე-ჯავახეთი | 4 547 | 21 251 | 51 733 | 74 041 | 37 561 |
| ქვემო ქართლი | 146 883 | 41 648 | 14 430 | 55 083 | 55 417 |
| სამეგრელო-ზემო სვანეთი და გურია | 66 327 | 55 278 | 57 230 | 93 648 | 50 819 |
| იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი | - 14 715 | 37 773 | 58 882 | 26 364 | 6 010 |
| შიდა ქართლი და მცხეთა-მთიანეთი | 14 754 | 7 986 | - 176 | 12 545 | -5 114 |

წყარო: საქსტატი.

საქართველოს და, აგრეთვე, საერთაშორისო გამოცდილების საფუძველზე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მასშტაბური და გრძელვადიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვას მრავალი მაჩვენებელის ერთობლიობა განაპირობებს.

**საქართველოსთვის ნეგატიურ ფაქტორებში შეგვიძლია განვიხილოთ:** მცირე სამომხმარებლო ბაზარი; სამუშაო ძალის

დაბალი კვალიფიკაცია (მიუხედავად წერა-კითხვის და დიპლომიანთა თითქმის ასპროცენტიანი მაჩვენებლისა მოსახლეობის ერთ სულზე); ორი კონფლიქტური რეგიონის არსებობა; მუდმივი პოლიტიკური არასტაბილურობა და მრავალი სხვა.

**თუმცა, არსებობს პოზიტიური მხარეებიც, როგორებიცაა:** საკანონმდებლო ბაზის მუდმივი გაუმჯობესება, დაბალი გადასახადები, ასოცირების ხელშეკრულების ხელმონერა ევროკავშირთან, საქართველოს ადგილმდებარეობის უპირატესობა და სხვა. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის ჭრილში საქართველო მიმზიდველ ქვეყანათა რიცხვს განეკუთვნება. თუმცა, **ჯერჯერობით, უცხოელი ინვესტორები საქართველოში მაინც იაფი სამუშაო ძალის გამოყენებით, ადგილობრივი ბაზრის ათვისებით არიან დაკავებულნი და ნაკლებად უწყობენ ხელს მაღალტექნოლოგიური, ექსპორტზე ორიენტირებული დარგების განვითარებას.**

**საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვისათვის საინტერესო დარგებია:** ენერგეტიკა; ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა; საფინანსო სექტორი, უძრავი ქონებისა და სამშენებლო ბაზრები, აგრეთვე დამამუშავებელი მრეწველობა – ჯამურად უცხოური ინვესტიციების 80%-ზე მეტი, 2015 წლის წინასწარი მონაცემებით. სხვა სფეროებში ინვესტორთა დაინტერესება საკმაოდ დაბალია, მაგალითად: საქართველოს მთავრობის მიერ სოფლის მეურნეობისა და გადამამუშავებელი მრეწველობის ერთ-ერთ პრიორიტეტად გამოცხადების მიუხედავად, ინვესტიციები ამ სფეროში მიზერულია და ბოლო 5 წლის განმავლობაში მთლიანი ინვესტიციების 2%-ზე ნაკლებია.

2015 წლის მეოთხე კვარტალში საქართველოში 268 მილიონი დოლარის პირდაპირი უცხოური ინვესტიცია შემოვიდა, ხოლო მთელი წლის განმავლობაში 1351 მილიონი დოლარის ინვესტიცია იქნა მოზიდული.

**როგორია საქართველოში უცხოურ ინვესტორთა გეოგრაფია 2015 წელს?** – 2015 წელს საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიხედვით უმსხვილე-

სი ინვესტორი ქვეყნები ასე განაწილდა: **აზერბაიჯანი** (542მილიონი აშშ დოლარი), **გაერთიანებული სამეფო** (198 მილიონი აშშ დოლარი), **ნიდერლანდები** (111 მილიონი აშშ დოლარი), **ლუქსემბურგი** (87 მილიონი აშშ დოლარი), **თურქეთი** (77 მილიონი აშშ დოლარი), **ჩინეთი** (57მილიონი აშშ დოლარი), **რუსეთი** (49 მილიონი აშშ დოლარი), **საერთაშორისო ორგანიზაციები** (39 მილიონი აშშ დოლარი), **აშშ** (35 მილიონი აშშ დოლარი).

**ყველაზე მეტი ინვესტიცია რომელ სექტორებში განხორციელდა?** – ყველაზე მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიცია ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში განხორციელდა და 594 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 44 პროცენტია. **მეორე ადგილზე** იმყოფება საფინანსო სექტორი 191 მლნ. აშშ დოლარით, ხოლო **მესამეზე** – მშენებლობა 129 მლნ. აშშ დოლარით **[53]**.

გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდისთვის ინვესტიციები სულ ცოტა შვიდი წლის განმავლობაში სტაბილურად უნდა იზრდებოდეს. აშშ-ის კომპანიები კი იაფი მუშა-ხელისა, თუ რესურსებისათვის საწარმოებს ხსნიან ხან მექსიკაში, ხან გვატემალაში (ცენტრალური ამერიკა), ხან ბანგლადეშში და ხანაც ნეპალში (აზია). ისმის კითხვა – ასეთი არასტაბილური და ხანმოკლე ინვესტიციები რამდენად ხელსაყრელია საქართველოსთვის?!

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველოში უპირატესად შემოდის რუსეთის სახელმწიფოსა და კერძო კომპანიების შვილობილი საწარმოები. ქვეყნის თითქმის ყველა სტრატეგიულ დარგში სჭარბობს რუსეთის კაპიტალი. შესაბამისად, ქართული ბიზნესი სერიოზულად არის დამოკიდებული რუსულ კაპიტალზე. რუსეთიდან პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დინამიკა საქართველოში (აშშ-ის დოლარში 2011-2015 წლების პირველ კვარტალში) ასე გამოიყურება: 2011 წელს – 21; 2012 წელს – 5; 2013 წელს – 2; 2014 წელს – 20; 2015 წელს – 23. **[წყარო: საქსტატი].**

სწორედ ამიტომ, მოსაფიქრებელია გზები და ხერხები დასავლური კაპიტალის შემოზიდვის გააქტიურებისა. ამასთან

დაკავშირებით, სახელმწიფომ და ბიზნეს-სექტორმა ერთობლივად უნდა გადაწყვიტოს თუ რა იქნება ძირითადი მიმართულება ბიზნესის განვითარებაში: ჯანსაღი დასავლური კაპიტალის მოზიდვის ხელშეწყობა, თუ არსებული ტენდენციის გაგრძელება და არაპროგნოზირებადი და პოლიტიკურ მოტივებს დაქვემდებარებული რუსული კაპიტალის შემოსელის წახალისება.

ზოგადად, ქვეყნისთვის პირდაპირი უცხოური ინვესტიციები სასიკეთოა, რადგანაც ინვესტიციების შემოდინება ზრდის უცხოური ვალუტის ნაკადებს, რითაც ის ხელს უწყობს ეროვნული ვალუტის სტაბილურობას. სწორედ ამიტომ, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდა ცალსახად დადებითი მოვლენაა. თუმცა, კონკრეტული ქვეყნის პოლიტიკური დღის წესრიგისა და ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, სხვადასხვა უცხოური ქვეყნებიდან ეკონომიკის გარკვეულ სექტორში ინვესტირება შესაძლებელია რისკის მატარებელი იყოს და ქვეყნის სტრატეგიულ ინტერესებთან შეუთავსებლად განიხილებოდეს. ამ კონტექსტში, გასარკვევია რუსული კაპიტალის შემოსვლა საქართველოში რომელ დარგში არის კარგი და რომელ დარგში-ცუდი. მაგალითად, თუ რუსი ინვესტორი საქართველოში ააშენებს სასტუმროს, ამაში არაფერია ცუდი. იგი მას ზურგზე არ მოიკიდებს წასაღებად. იგივე ითქმის ჰესებზეც. მაგრამ ეკონომიკურად მიზანშეუწონლად მიგვაჩნია რუსული ინვესტიციების ჩადება რკინიგზაში, ან თუნდაც პორტებში, რადგანაც ეს კორიდორი პირდაპირ კონკურენციაშია რუსულ კორიდორთან. და თუ რკინიგზა გადაეცემა რუსეთს, მაშინ იგი შეეცდება ამ კორიდორში უფრო ნაკლები ტვირთი გაატაროს და საქართველო დააზარალოს. თუმცა, სხვა სფეროებში, სადაც ასეთი საფრთხეები ნაკლებია (მაგალითათათ, ჰესები, სატელეკომუნიკაციო კავშირები), აჯობებდა რუსული კაპიტალის შემოსვლა.

**ზემოთქმულიდან გამომდინარე, ძალიან დიდია ეკონომიკური ზრდის დაჩქარებაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მნიშვნელობა და მისი დივერსიფიცირების ობიექტური აუ-**

ცილებლობა, როგორც დსთ-ის, ევროკავშირის, ისე სტარტეგიული ქვეყნების (აშშ-ი, კანადა, ჩინეთი, იაპონია და ა.შ.) მიხედვით. ამასთან, რაც მეტი ქვეყნის კაპიტალი შემოვა, მით ნაკლები იქნება რისკები და მით მეტი ქვეყანა დაინტერესდება საქართველოში მდგრადი და პროგნოზირებადი სტაბილურობითა და მშვიდობით. თუმც, ხაზგასასმელია ისიც, რომ საქართველო, როგორც მცირე ბაზრის ქვეყანა, ნაკლებ მიმზიდველია უცხოური ინვესტიორებისათვის, რადგანაც არ იძლევა ბიზნესის მასშტაბის დადებით ეფექტს. ამ ნაკლოვანებას გარკვეულწილად ანეიტრალებს ის, რომ უცხოურ კომპანიებს შესაძლებლობა ეძლევათ საქართველოში დამზადებული პროდუქცია გაიტანონ დამღით „წარმოებულია საქართველოში", როგორც საკუთარ ქვეყანაში, ისე იმ ქვეყნებში, სადაც თავისუფალი საბაჟო დაშვება გვაქვს, რაც ზრდის ბიზნესის მასშტაბის გაფართოებით გამოწვეულ ეკონომიას. ამჟამად საქართველოში მოსახლეობის ერთ სულზე პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ტოლია დაახლოებით 340 აშშ დოლარის, რაც ევროკავშირის შესაბამის მაჩვენებელზე დაახლოებით სამჯერ ნაკლებია. ცხადია, ეს ამცირებს სამამულო წარმოების შრომის კაპიტალაღჭურვილობას, მწარმოებლურობასა და კონკურენტუნარიანობას.

სწორედ ამიტომ, ჩვენს მიერ შემოთავაზებული შვიდპროცენტიანი ეკონომიკური ზრდისათვის ინვესტიციები სულ ცოტა შვიდი წლის განმავლობაში სტაბილურად უნდა იზრდებოდეს მშპ-ის ოცი და მეტი პროცენტით, როგორც ეს არის ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში. მზარდი ინვესტიციური აქტივობის შედეგად გაიზრდება დასაქმება. საერთაშორისო სტანდარტებით ყოველი ახალი სამუშაო ადგილის შექმნისათვის საჭიროა 25000-დან 50000 აშშ დოლარამდე ინვესტიცია. შესაბამისად, 200000 ახალი სამუშაო ადგილის შექმისათვის დაგვჭირდება 5-დან 10 მილიარდამდე აშშ დოლარი [85,გვ.16]. ჩვენი აზრით, საქართველოში ამ რაოდენობის ინვესტიციების შემოსვლა სავსებით რეალურია პროგნოზირებადი სტაბილურობისა და ევროკავშირის წინაშე ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შემთხვევაში. ეკონომიკური ზრდისთვის, ასევე,

მნიშვნელოვანია, რომ სახსრები ჩაიდოს არა უძრავ ქონებაში, ვთქვათ, მიწის ნაკვეთში, ბინაში, არამედ ეკონომიკის რეალურ სექტორში, არა მხოლოდ აგარაკების, არამედ საწარმოთა, ეკონომიკური და სოციალური ინფრასტუქტურის მშენებლობაშიც. ასეთი მიდგომით სამუშაო ადგილები შეიქმნება არა მხოლოდ ობიექტის მშენებლობის, არამედ მისი ექსპლოატაციაში გადაცემის შემდეგაც. საქართველოს ეკონომიკის სისტემური განვითარებისათვის ინვესტიციების დივერსიფიცირება უნდა მოხდეს რეგიონულ და დარგობრივ ჭრილშიც. რისკების შემცირებისათვის საქართველოს კომპანიების პორტფელში არცერთი ქვეყნის, მათ შორის არაპროგნოზირებადი რუსეთის, ინვესტიციების წილი 25%-ს არ უნდა აღემატებოდეს. გასათვალისწინებელია, ისიც, რომ როდესაც ინვესტიციები შემოდის განვითარებადი ქვეყნებიდან, მას თან მოჰყვება იაფი სამუშაო ძალა და ამით საქართველოში უმუშევრობა წახალისდება. ამიტომ, მიზანშეწონილია უცხოური ინვესტიციებისადმი დიფერენციული მიდგომა. აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოში ინვესტიციებსა და პრივატიზებას გარკვეულწილად აფერხებს სამართლიანობის აღდგენის მოტივით ჩამორთმეული ქონების (ბიზნესის) უკან დაბრუნების სრნაფი და ეფექტიანი სამართლებრივი მექანიზმის უქონლობა. არადა, ზოგ ქონებამ (ბიზნესმა), ჩამორთმევის შემდეგ, მესაკუთრე სამჯერ და მეტჯერ შეიცვალა და დღეს ის იმის ხელშია, ვინც კანონის სრული დაცვით შეიძინა. შეშინებული პოტენციური ინვესტორი კი ფრთხილობს და ფიქრობს, „ვაითუ, შევიძინე ქონება და მერე აღმოუჩნდა მას მესაკუთრე, ხომ დავზარალდებიო?!“. რეინვესტირებული მოგების გადასახადისაგან განთავისუფლებათან დაკავშირებით, ჩვენი აზრით, თუ არ გაიმიჯნა კანონმდებლურად **„გარედან ინვესტირებისა„** და **„შიგნიდან რეინვესტირების„** ცნება და შესაბამისი ვალდებულებანი, უცხოელი ინვესტორი შეეცდება ნაკლების ინვესტირებას **გარედან** და მეტის რეინვესტირებას **შიგნიდან**. გამოვა, რომ უცხოური ინვესტიციები მცირე რაოდენობით შემოვა საქართველოში. ესტონური გამოცდილებიდან გამომდინარე, რეინვესტირებული მოგების გა-

დასახადისაგან განთავისისუფლებათან ერთად, გასათვალისწინებელია ისიც, რომ იქ, ჩვენგან განსხვავებით, დაახლოებით 33 პროცენტიანი სოციალური გადასახადია (აქედან შემოსავლების 20% მიემართება საპენსიო ფონდში, ხოლო 13% – სამედიცინო დაზღვევის ფონდში), რის გამოც კომპანიების საგადასახადო ტვირთი დაახლოებით სამჯერ „მძიმეა", ვიდრე საქართველოში [53,გვ.27]. ჩემი აზრით, „ესტონური სიახლით„ დამქირავებელზე და დაქირავებულზე ისედაც არათანაბრად განაწილებული საგადასახადო ტვირთი კიდევ უფრო არათანაბრად განაწილდება. ანგარიშგასაწევია ისიც, რომ ესტონეთი ევროზონაში იმყოფება და არ არის დოლარიზებული. შესაბამისად, ევრო დოლართან მიმართებაში რომ გაუფასურდეს ეს ესტონელების ყიდვისუნარიანობაზე არ იმოქმედებს. მათგან განსხვავებით, მაღალ დოლარიზებულ საქართველოში, ლარის 40%-იანი დევალვაციისა და თანმდევი რევალვაციის პირობებში, რომელი კომპანია მოახდენს მოგების რეინვესტირებას?! ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია ეროვნული ვალუტის არა დევალვაცია, ან რევალვაცია, არამედ სტაბილურობა, რასაც საქართველოში მეორე წელია ვერ ვხედავთ. გასათვალისწინებელია ისიც, კომპანია ექსპორტიორია, თუ იმპორტიორი, რადგანაც ექსპორტიორს ხელს აძლევს ლარის დევალვაცია, იმპორტიორს კი პირიქით – ლარის რევალვაცია.

**უცხოელ ინვესტორთათვის საქართველოში მიმზიდველი და კომფორტული ბიზნეს-გარემოს ჩამოყალიბებისათვის აუცილებელია:** პროგნოზირებადი პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილურობა, სწორი ეკონომიკური პოლიტიკა, პარტნიორ ქვეყნებთან ჰარმონიზებული საკანონმდებლო ბაზა, მეწარმის უსაფრთხოებისა და კერძო საკუთრების უფლებისა და გარიგებების მკაცრად დაცვა, ჯანსაღი კონკურენცია, სამეურნეო და კომერციული დავების სამართლიანი და ოპერატიული გადაწყვეტა, კანონის უზენაესობა, დასავლეთთან შედარებით იაფი სამუშაო ძალა, ელექტრონული წესის გამოყენების გამო ბიზნესის რეგისტრირების, დაწყებისა და დაბეგვრის სიმარტივე, მისაღები საგადასახადო წნეხი და ადმინის-

ტრირება, საგადასახადო დავის პერიოდში პირის საბანკო ანგარიშზე ყადაღის დადება მხოლოდ სასამართლოს თანხმობით, მცირე ბიუროკრატია და კორუფცია, თავისუფალი ვაჭრობის მსოფლიო რეიტინგში მოწინავე ადგილი და სხვა.

ხაზგასასმელია ისიც, რომ შესაძლებელია ქვეყანაში არსებობდეს ინვესტიციები, მაგრამ არახელსაყრელი ბიზნეს-გარემოსა და მომგებიანი საინვესტიციო პროექტების უქონლობის გამო, გარეთ გაედინებოდეს. ცხადია, ასეთ შემთხვევაში ქვეყანაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოსვლაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. სწორედ ამიტომ, მიზანშეწონილია საქართველოში გამოირიცხოს, ან მინიმუმამდე დავიდეს ბიზნეს-გარემოს გამაუარესებელი ისეთი სამთავრობო გადაწყვეტილებები, როგორიცაა: ტურისტთა ნაკადების შემამცირებელი სავიზო რეჟიმი, ინვესტიციების შემაკავებელი შრომითი მიგრაციის კანონი, მიწებისა და უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვის შემზღუდველი კანონები და სხვა, რაც ამცირებს ქვყანაში დოლარის შემოდინებას, ხელს უწყობს ლარის დოლარის მიმართ გაუფასურებასა და ეკონომიკურ არასტაბილურობას. ბიზნეს-გარემოს გამაუარესებელი გადაწყვეტილებების თავიდან აცილებისათვის გარკვეული ინიციატივები, რომელიც ბიზნესს შეეხება, ვიდრე კანონპროექტად ან კანონად იქცევა, საფუძვლიანად უნდა იქნას განხილული ბიზნესსრეებთან. ასევე, მნიშვნელოვანია სამეწარმეო განათლების დონის ამაღლება მომგებიანი ბიზნეს-პროექტების შემუშავებისა და ეფექტიანი რეალიზაციისათვის.

ეს იმიტომ, რომ გლობალიზაციის პირობებში საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი საქართველოს მეწარმენი საქმიან ურთიერთობებს ამყარებენ არა მხოლოდ სამამულო, არამედ ახლო საზღვარგარეთის ანუ დამოუკიდებელი ქვეყნების თანამეგობრობისა და შორეული საზღვარგარეთის ქვეყნების პარტნიორებთანაც. თუმცა, თანამემამულე ბიზნესმენები ყოველთვის როდი ფლობენ ჯეროვნად ინფორმაციას მენეჯმენტის დასავლური სისტემების, მათი პრინციპების, გამოცდილების, კულტურული და სამართლებრივი თავისებურებების შესახებ.

რის გამოც განიცდიან სიძნელეებს გადაწყვეტილების მიღების, უცხოელებთან თანამშრომლობის, მათი ნდობის მოპოვებისა და, რაც მთავარია, საკუთარი უფლებების დაცვის პროცესში. უცხოელი მეწარმენი, ამყარებენ რა კონტაქტებს, რომელიმე ადგილობრივ კომპანიასთან, პირველ რიგში ინტერესდებიან ისეთი საკითხებით, როგორიცაა უსაფრთხოება, დამოკიდებულება უცხოელი ბიზნესმენების მიმართ, პოლიტიკურ-ეკონომიკური სტაბილურობა, სახელმწიფო ბიუროკრატია, სავალუტო-საკრედიტო ურთიერთობების რეგულირება, კომპანიისადმი ნდობა, მის მიერ ადგილობრივი და საერთაშორისო კანონების დაცვა, მისი რეპუტაცია საზოგადოებაში და სხვა.

პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებთან ერთად, **საერთაშორისო ფულადი გზავნილები,** რომელიც ქვეყანაში ჩვენი ემიგრანტების მხრიდან შემოდის, საქართველოსთვის უცხოური ვალუტის მიღებისა და იმპორტის დაფინანსების მნიშვნელოვანი წყაროა. ბოლო პერიოდში ფულადი ტრანზაქციები გამოიყენება არა მხოლოდ მოხმარების, არამედ ინვესტირებისათვისაც. **ფულადი გზავნილების მოცულობა საქართველოში მშპ-ის 6%-ს შეადგენს.** ამასთან, პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისა და განვითარების ხელშეწყობის ოფიციალური დახმარების სხვადასხვა წყაროსგან განსხვავებით, ფულადი გზავნილებისთვის არ არის დამახასიათებელი უკუნაკადები პროცენტის, ვალის ან დივიდენდის გადახდის ფორმით.

შესაბამისად, საქართველოში უცხოეთიდან განხორციელებულ ფულად ჩარიცხვებს დიდი გავლენა აქვს დაბალშემოსავლიანი მოქალაქეების კეთილდღეობასა და მსყიდველობითუნარიანობაზე, ბიზნეს სექტორისა და ზოგადად, ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაზე. საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით 2010-2013 წლებში, ფულადი გზავნილების მოცულობა მუდმივად იზრდებოდა, რასაც ვერ ვიტყვით 2014 წლის მაჩვენებელზე, რომელიც წინა წელთან შედარებით 2.5%-ით (36 მლნ აშშ დოლარი) შემცირდა.საქართველოში ფულადი გზავნილების მოცულობის კლება კიდევ უფრო გაძლიერდა 2015 წელს. მიმდინარე წლის პირველი შვიდი თვის მონაცემებით აღნიშნულმა მაჩვენებელმა

632 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა და წინა წლის ანალოგიური პერიოდის მონაცემთან შედარებით 24%-ით (202.3 მლნ აშშ დოლარი) შემცირდა. **2015 წლის იანვარ-ივლისში უცხოეთიდან საქართველოში ფულადი გზავნილების 92% თორმეტ უმსხვილეს დონორ ქვეყანაზე მოდის.** ამ პერიოდში რუსეთიდან განხორციელებული გადმორიცხვების მოცულობამ 247.6 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 172.2 მლნ აშშ დოლარით (41%-ით) ნაკლებია 2014 წლის ანალოგიური პერიოდის მონაცემზე. რუსეთის ხვედრითი წილი 2015 წლის იანვარ-ივლისის თვეში, საქართველოში გადმორიცხული ფულადი გზავნილების მოცულობაში 39.2%-ს შეადგენს და 11.1 პროცენტული პუნქტით ნაკლებია წინა წლის ანალოგიურ მონაცემზე (50.3%). სავსებით ბუნებრივად,

საბერძნეთში განვითარებული კრიზისული მოვლენები უარყოფითად აისახა ამ ქვეყნიდან საქართველოში ივლისის თვეში განხორციელებული ფულადი გზავნილების მოცულობაზე. 2015 წლის ივლისში საბერძნეთიდან ჩვენს ქვეყანაში შემოსული ფულადი გადმორიცხვების მოცულობამ 4.5 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 14.2 მლნ აშშ დოლარით (76%) ნაკლებია 2014 წლის ივლისის ანალოგიურ მაჩვენებელზე. შესაბამისად საბერძნეთმა დაკარგა მეორე ადგილი, რომელიც წინა წლის ივლისის თვის ფულადი გადმორიცხვების მოცულობაში ეჭირა. რაც შეეხება 2015 წლის იანვარ-ივლისის მაჩვენებელს, საბერძნეთიდან საქართველოში შემოსული ფულადი გადმორიცხვების მოცულობა 87.2 მლნ აშშ დოლარს გაუტოლდა და 34 მლნ აშშ დოლარით (28%) შემცირდა 2014 წლის ანალოგიური პერიოდის მონაცემთან შედარებით. იგივე პერიოდში ფულადი გზავნილების მოცულობა იტალიიდან 9 მლნ აშშ დოლარით (13%), ხოლო უკრაინიდან 7 მლნ აშშ დოლარით (38%) არის შემცირებული **[49].**

**თანამედროვე საქართველოს წინაშე მდგომ პრობლემებს შორის ერთ-ერთი აქტუალურია, ასევე, ქვეყნის გლობალური კონკურენტუნარიანობა, რადგანაც მის გარეშე შეუძლებელია გლობალიზაციის პროცესებში აქტიური მონაწილეობა, ეკონომიკური ზრდა-განვითარება და საზოგადოების კეთილდღეობის**

**დონის ამაღლება.** აღნიშნულიდან გამომდინარე, უღრესად მნიშვნელოვანია საქართველოს ეკონომიკის საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის ანალიზი-შეფასება და მისი ამაღლების გზების დასახვა მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის 2015-2016 წლის ანგარიშის კონტექსტში.

2015-2016 წლის „გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსში„ საქართველომ პოზიცია სამი საფეხურით გაიუმჯობესა და მსოფლიოს 140 ქვეყანას შორის 4,22 ქულით 69-ე ადგილიდან **66-ე პოზიციაზე გადავიდა.** მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის (შვეცარია, ჟენევა) მიერ შედგენილი ინდექსის სტრუქტურა სამი მთავარი ბლოკისგან შედგება. ესაა: **ძირითადი მოთხოვნები, ეფექტიანობის მასტიმულირებელი ფაქტორები და ინოვაციური ფაქტორები.**

თავის მხრივ, **ძირითადი მოთხოვნები მოიცავს:** სახელმწიფო ინსტიტუტებს, ინფრასტრუქტურას, მაკროეკონომიკურ გარემოს, საბაზისო განათლებას და ჯანდაცვას. **ეფექტიანობის მასტიმულირებელი ფაქტორები მოიცავს:** უმაღლეს განათლებას, საქონლისა და შრომის ბაზრის ეფექტიანობას, ფინანსური ბაზრების განვითარებას, ტექნოლოგიებს და ბაზრის ზომას. **ინოვაციური ფაქტორები მოიცავს:** ბიზნესის განვითარებასა და ინოვაციებს.

2015-2016 წლის ანგარიშის მიხედვით, ძირითად მოთხოვნებში საქართველო 50-ე პოზიციაზეა (4.83 ქულა), ეფექტიანობის მასტიმულირებელ ფაქტორში – 77-ე პოზიციაზე (3.97 ქულა), ხოლო ინოვაციური ფაქტორების მაჩვენებელში საქართველოს 118-ე ადგილი (3.10 ქულა) უჭირავს. აღნიშნულ რეიტინგში საქართველოს დაწინაურება განაპირობა შემდეგი ფაქტორების გაუმჯობესებამ: ძირითადი მოთხოვნები – საქართველოს პოზიცია ორი საფეხურით გაუმჯობესდა; ეფექტიანობის მასტიმულირებელი ფაქტორები – ამ ბლოკშიც საქართველოს პოზიცია ორი საფეხურით გაუმჯობესდა და 79-დან 77-ე პოზიციაზე გადმოინაცვლა; ინდექსის მაჩვენებლების მიხედვით, საქართველოში ბიზნესის კეთებისთვის ყველაზე პრობლემატურ საკითხად მიიჩნევა განათლებული მუშახელის შეუსაბამობა –

15,3 ნიშნული, ფინანსებთან ხელმისაწვდომობა – 13,6; ინფრასტრუქტურის არასაკმარისი მიწოდება – 11,3 და სხვა. **განვითარების შეფასების მიხედვით, საქართველოს კვლავ ეფექტიანობით მამოძრავებელი ქვეყნის სტატუსი აქვს და იმყოფება კონკურენტუნარიანობის მეორე ეტაპზე.**

2015-2016 წლის „გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსში„ პირველი ადგილი შვეიცარიას უკავია 5,70 ქულით. პირველ ათეულში ასევე არიან: სინგაპური, აშშ, გერმანია, ნიდერლანდები, იაპონია, ჰონგ-კონგი, ფინეთი, შვედეთი და გაერთიანებული სამეფო. რაც შეეხება ჩვენს მეზობელ ქვეყნებს, სომხეთი 140 ქვეყანას შორის 82-ე ადგილზეა, აზერბაიჯანი – მე-40, რუსეთი – 45-ე, უკრაინა კი 79-ე პოზიციაზეა.**[30.09.2015.commersant.ge]**

**საქართველოს კონკურენტუნარიანობის მესამე, ინოვაციებზე ორიენტირებულ ეტაპზე გადასვლისათვის საჭიროა მოსახლეობის ერთ სულზე მშპ გაიზარდოს 9000 აშშ დოლარზე მეტად და საექსპორტო სტრუქტურაში უპირატესი წილით იქნას წარმოდგენილი მაღალი დამატებული ღირებულების მქონე მზა პროდუქცია.** ყოველივე ამისათვის კი საჭიროა: მნარმოებლური კაპიტალდაბანდებები, ეფექტიანობისა და პროდუქციის ხარისხის ამაღლება. ეს კი, თავის მხრივ, მოითხოვს: უმაღლესი განათლებისა და პროფესიული მომზადების ხარისხის გაუმჯობესებას; ეფექტიანი საქონლისა და მომსახურების ბაზარს; კარგად ფუნქციონირებადი შრომის ბაზარს; ფინანსური ბაზრის განვითარებას; საშინაო და საგარეო ბაზრის სიდიდის გაფართოებას. ამგვარად, კონკურენტუნარიანობა ეს საკმაოდ რთული ფენომენია. საქართველოს კონკურენტუნარიანობის საერთო დონე შეიძლება გაუმჯობესდეს მხოლოდ ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სოციალურ სფეროში რეფორმების ფართო სპექტრის გატარებით. **საქართველო 2015 წელს ადამიანის განვითარების ინდექსის მიხედვით 188 ქვეყნიდან 76-ეა, ხოლო ბიზნესის კეთების რეიტინგის მიხედვით 189 ქვეყნიდან 24-ეა [49].**

საქართველოს საგარეო სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერ-

**თობებში გამოვლენილი ნეგატიური ტენდენციების აღმოფხვრისა და დივერსიფიკაციისათვის, ჩვენი აზრით, საჭიროა:**

მსოფლიო ეკონომიკასთან სულ უფრო სრული და ფართო **ინტეგრაცია.** რაც უფრო სწრაფად და ფართოდ მოხდება საქართველოს ინტეგრაცია მსოფლიოსთან, მით უფრო სწრაფად გახდებიან მისი საწარმოები და დარგები კონკურენტუნარიანნი, მიმზიდველნი და მით სწრაფად მოხდება ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა და მისი პოტენციალის სრული რეალიზაცია;

ინტეგრაციის გაფართოება-გაღრმავების მიზნით ეროვნული მეურნეობის **მოდერნიზაცია და დივერსიფიკაცია** (გამრავალფეროვნება). მოდერნიზაცია გულისხმობს პოსტსაბჭოური ეროვნული ეკონომიკის, ტექნიკისა და ტექნოლოგიების თანამედროვე საბაზრო მოთხოვნებისა და გემოვნების შესაბამისად განახლებას ანუ მის გათანამედროვეობას. ეს მოითხოვს ჰიდროენერგეტიკის, სოფლის მეურნეობის, კვებისა და მსუბუქი მრეწველობის და ტურისტული პოტენციალის სულ უფრო სრულ და ეფექტიან რეალიზაციას;

არა მხოლოდ დასავლეთსა და აღმოსავლეთს, ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის სატრანზიტო ფუნქციაზე, გარედან მიღებულ შემოსავლებზე და იმპორტზე ორიენტაცია, არამედ, უწინარეს ყოვლისა, საქართველოს დაკარგულ ტერიტორიებთან, ასევე სამხრეთ კავკავსიის ქვეყნებთან, რუსეთთან, უკრაინასთან, თურქეთთან, ევროკავშირის ქვეყნებთან, ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციასთან, აშშ-თან, ჩინეთთან, ირანთან და სხვა ქვეყნებთან სულ უფრო სრული, ფართო, ეტაპობრივი და ორმხრივი ინტეგრაცია (მხედველობაში გვაქვს არაგონივრული იმპორტის ჩანაცვლებასთან ერთად ექსპორტის ზრდის წახალისება, მისი სტრუქტურის ოპტიმიზაცია და დივერსიფიკაცია რისკების შემცირების მიზნით!). მნიშვნელოვანია ფასი, ხარისხი, ლარის ბუნებრივი კურსი და სტაბილური მიწოდება. ციტრუსების, ხილისა და სხვათა მიწოდების სტაბილურობა და ხარისხი კი შეუძლებელია მიღწეული იქნას სასაწყობო და სამაცივრო მეურნეობის გარეშე ე.

ი. აუცილებელია ამ სფეროებში ინვესტიციების განხორციელება, რათა შესაძლებელი გახდეს წელიწადის ნებისმიერ დროს ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფილება;

**მოდერნიზაცია და დივერსიფიკაცია, თავის მხრივ, მოითხოვს ინფრასტრუქტურის სხვადასხვა კომპონენტების განვითარებას.** საქართველოს ეკონომიკის მოდერნიზაცია და დივერსიფიკაცია შეუძლებელია ინფრასტრუქტურაში მნიშვნელოვანი ინვესტიციების, საავტომობილო ტრასებისა და რკინიგზის, აეროპორტებისა და საზღვაო პორტების მშენებლობის გარეშე;

**ქვეყნის წარმატების საწინდარია ადამიანი, რომლის „ჯანმრთელ სხეულში ჯანმრთელი სულია".** სწორედ ამიტომ, საქართველომ უნდა დაიცვას და განავითაროს თავისი ადამიანური კაპიტალი. ამისათვის მნიშვნელოვანია ინვესტიციები განათლებასა და ჯანდაცვაში, რამდენადაც დემოგრაფიულმა დაცემამ შესაძლებელია დიდი ზარალი მიაყენოს ეკონომიკურ ზრდას და გამოიწვიოს საქართველოს შრომითი რესურსების არსებითი დასუსტება. საჭიროა, ასევე, საკუთარი ადამიანური კაპიტალის დაცვა-შენარჩუნება ე.წ. „ტვინების გადინებისაგან" და მისი განვითარება. აქტუალურია მაღალკვალიფიციურ და მაღალანაზღაურებად შრომაზე დამყარებული ინოვაციური ეკონომიკის შექმნა, ინტერნეტით მოსარგებლეთა რაოდენობის ზრდა, საზღვარგარეთ მოგზაურობა, მრავალი ქვეყნის გაცნობა, თანამედროვე განათლების მიღება და მსოფლიო ბიზნესის ენის დაუფლება;

სახელმწიფოს ეკონომიკური და პოლიტიკური ინსტიტუტების ფორმირება- განვითარება. კერძოდ, კანონის უზენაესობა, რომელიც საიმედოთ დაიცავს კერძო საკუთრებას. მნიშვნელოვანია ხელისუფლების შტოების ურთიერთშეკავებისა და წონასწორობის მექანიზმი, რომელიც აუცილებელია ყველა დონის ჩინოვნიკებზე კონტროლისათვის. სტაბილური და პროგნოზირებადი კანონმდებლობისა და ინვესტიციური რეჟიმის გარეშე შეუძლებლია კაპიტალის და „ნოუ-ჰაუს" მოზიდვა, საქართველოს მოსახლეობისა და მისი ბუნებრივი რე-

სურსების მთელი პოტენციალის რეალიზება და ჯანსაღი ეკონომიკური განვითრების უზრუნველყოფა;

ჩემი აზრით, ეკონომიკურ პოლიტიკაში მემკვიდრეობითობის პრინციპის უგულებელყოფა აფერხებს ეკონომიკურ განვითარებას. ეკონომიკის განვითარებაში მემკვიდრეობითობის პრინციპის დაცვისა და კულტურის გამომუშავებისა და დამკვიდრებისათვის კი მთავარ რეფორმატორად უნდა გამოვიდეს არა რომელიმე პოლიტიკური პარტია (პოლიტიკური პარტია შეიძლება დაიშალოს, სახელმწიფოს დაშლა კი მიუღებელია. პოლიტიკურ პარტიას არა აქვს გრძელვადიანი პროგრმა, ის ოთხი წლით მოდის და მიდის, სახელმწიფო კი რჩება), არასამთავრობო, თუ რელიგიური ორგანიზაცია, არამედ სახელმწიფო, რათა ახალმა ხელისუფლებამ წინას იგნორირება არ მოახდინოს. მაგალითად „ნაციონალური მოძრაობის" მიერ შემუშავებული და 2011 წლიდან ამოქმედებული საგადასახადო კოდექსი ითვალისწინებდა საშემოსავლო გადასახადის ეტაპობრივად 20%–დან 15%–მდე შემცირებას. კერძოდ, კანონით განსაზღვრული გრაფიკის თანახმად, 2013 წლამდე საშემოსავლო გადასახადი 20%, 2014 წლამდე – 18%, ხოლო შემდგომ 15% უნდა გამხდარიყო. ასევე, უნდა გაუქმებულიყო დივიდენდზე და საპროცენტო შემოსავალზე დარიცხული გადასახადი. ე.ი. მოგების გადასახადისა და საშემოსავლო გადასახადის გამოთანაბრებით **თანაბრად უნდა განაწილებულიყო საგადასახადო ტვირთი დამქირავებელზე და დაქირავებულზე.** „ნაციონალური მოძრაობის„ შემდეგ ხელისუფლებაში მოვიდა „ქართული ოცნება„ და ზემოხსენებულ მემკვიდრეობის განხორციელებაზე უარი განაცხადა. **სამაგიეროდ 2014 წლის პირველი აპრილიდან შემოიღო არაეფექტიანი, ლარის დევალვაციისა და ინფლაციის მასტიმულირებელი, ე.წ. „დაუბეგრავი მინიმუმის უკან დაბრუნების პრაქტიკა", რომელზეც, საბოლოო ანგარიშში, 2015 წლიდან თავადვე განაცხადა უარი;**

ხელისუფლებასა და ბიზნეს-სექტორს უნდა ჰქონდეს ბიფოკალური (ორად განშტოებული) ხედვა, თვალს ადევნებდეს და დროულად რეაგირებდეს არა მხოლოდ მიმდინარე ცვლილე-

ბებზე, არამედ მომავალში მოსალოდნელ გამოწვევებზეც, საფრთხეებზე და შესაძლებლობებზეც. მაგალითად, რუსეთში მოხმარებული სურსათის 20% თურქული წარმომავლობისაა. ცნობილია, რომ მას შემდეგ, რაც თურქეთმა რუსული სამხედრო ბომბდამშენი ჩამოაგდო, მოსკოვმა ანკარას ეკონომიკური სანქციები დაუწესა და უარი განაცხადა თურქეთისგან სურსათის შესყიდვაზე, რაც თურქეთისთვის საკმაოდ დიდი დანაკარგია. აღნიშნული სურსათის ნაწილმა შესაძლოა რუსეთის მაგიერ საქართველოში შემოაღწიოს. 4,5 მილიონი რუსი ტურისტიდან, რაც თურქეთში უნდა წასულიყო, ნაწილი, ალბათ, საქართველოსკენ წამოვა. ასევე, სავარაუდოდ, საქართველოს ესტუმრება უკრაინელი ტურისტების ის ნაწილი, რომელიც ზაფხულში ყირიმში ისვენებდა. ვართ ამ გამოწვევებისთვის მზად?! რატომაა, რომ შიდა ტურისტები სასტუმროს ნომრის წინასწარი დაჯავშნისას იხდიან დამატებული ღირებულების გადასახადს, უცხოელები კი არა. ხომ არ ხდება ამით, ადგილობრივი ტურისტების დისკრიმინაცია?!

კარგად გვესმის, რომ ამგვარი ინსტიტუტების ჩამოყალიბება და ღონისძიებების გატარება იოლი საქმე არ არის. ამისათვის საჭიროა დრო, ამ გზაზე იქნება გარკვეული წარუმატებლობაც. თავის დროზე აშშ-იც ბევრი იყო ამგვარი წარუმატებლობა. მაგალითად, დიდმა დეპრესიამ გამოავლინა მრავალი ნაკლოვანება ამერიკულ ეკონომიკაში, სოციალურ და პოლიტიკურ ინსტიტუტებში. საჭირო გახდა რუზველტის გენია რათა გადაჭრილიყო ეს გიგანტური პრობლემები. ჩვენი აზრით, ზემოთ ჩამოთვლილი ურთიერთდაკავშირებული ღონისძიებების გატარება ძლიერ გავლენას მოახდენს საქართველოს ეკონომიკის მომავლის ფორმირებაზე, მსოფლიო ეკონომიკასთან ინტეგრაციაზე და საქართველოს სავაჭრო პარტნიორების, პროდუქციისა და უცხოური ინვესტიციების დივერსიფიკაციაზე.

## 3. საქართველოს საგარეო სავაჭრო-ეკონომიკური ორიენტაციის ძირითადი ვექტორები.

მსოფლიოს ბოლო ოცწლეულის გამოცდილება ცყადყობს, რომ სწრაფად განვითარებული ქვეყნების წარმატებული წინსვლა ყოველთვის დაკავშირებული იყო ექსპორტზე ორიენტირებულ ზრდაზე, რასაც თან ახლდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციები. ამიტომ თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეკონომიკის ღიაობა (ლიბერალიზაცია) ქვეყნის ეკონომიკური ზრდა-განვითარების უმნიშვნელოვანესი პირობაა. თანაც, რაც უფრო მცირეა ქვეყანა, მით უფრო აშკარად ვლინდება აღნიშნული კანონზომიერება. **[86.გვ.126]**

**ამასთან დაკავშირებით ინტერესს იწვევს საკითხი იმის შესახებ თუ ღიაობის (კარგახსნილობის) პირობებში საით უნდა მიმართოს საქართველომ საგარეო ეკონომიკური ორიენტაციის ვექტორი?** – ამ კითხვაზე პასუხი არაერთგვაროვანია: პოლიტიკოსების, მეცნიერ-ეკონომისტებისა და მეწარმეების ერთი ჯგუფი მხარს უჭერს საქართველოს ევროკავშირში გაერთიანებას; მეორე – საქართველოს ევრაზიულ საბაჟო კავშირში ინტეგრაციას; მესამე ჯგუფი მიიჩნევს, რომ საქართველომ ინტეგრაცია უნდა მოახდინოს აშშ-თან. ცხადია, თითოეულ ამ მიმართულებას, დამაჯერებელი არგუმენტების შემთხვევაში, აქვს არსებობის უფლება. თუმცა, მთავარია იმის გათვალისწინება თითოეული ვარიანტის შემთხვევაში როგორი იქნება საქართველოს ეკონომიკური სარგებელი და დანაკარგები.

სწორედ ამიტომ, როცა საქართველოს საგარეო ეკონომიკური ორიენტაციის საკითხი დგება, უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ: **საქართველოს არა ჰყავს მუდმივად კარგი და მუდმივად ცუდი ეკონომიკური პარტნიორი, საქართველოს აქვს მუდმივი ეკონომიკური ინტერესი. შესაბამისად, მისი ეკონომკური ვექტორი იქითკენ უნდა გადაიხაროს, საიდანაც მეტი ეკონომიკური სარგებელი ექნება. აქედან გამომდინარე, საქართველოს გარე სამყაროსთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერ-**

თობის ერთადერთი გზა, იქნება ეს ევროკავშირი, ევრაზიული საბაჟო კავშირი, თუ აშშ-ი, ეს არის ჩიხისკენ მიმავალი გზა! სწორედ ამიტომ, ჩემი აზრით, ეკონომიკის დივერსიფიკაციისა და რისკების შემცირების მიზნით ქვეყანამ ნებაყოფლობითი, ურთიერთხელსაყრელი და დაბალანსებული ინტეგრაცია უნდა მოახდინოს არა მხოლოდ ერთ, არამედ მრავალ ქვეყანასთან მთელი მსოფლიოს მასშტაბით.

ხშირად აპელირებენ, რომ რუსეთი არასტაბილური და არაპროგნოზირებადი სავაჭრო პარტნიორია და ამოდიან 2006 წლის 28 მარტს მის მიერ საქართველოს მიმართ გამოცხადებული ემბარგოდან, როდესაც რუსეთმა აკრძალა საქართველოს სოფლის მეურნეობის პროდუქციის, ღვინისა და მინერალური წყლების იმპორტირება. ხაზგასასმელია, რომ მაშინ რუსეთი არ იყო WTO-ს (ვაჭრობის მსოფლიო ოგანიზაციის) წევრი და არც ამ აკრძალვას ჰქონდა ოფიციალური ხასიათი, რადგანაც იმ ხანად ამის მარეგულირებელი კანონმდებლობა რუსეთს არ გააჩნდა **[89, გვ. 53]**.

ამჟამად კი საქართველოს მთავრობამ რუსეთის ბაზარზე ქართული ფირმების დაბრუნებასა და აქტიურ ოპერირებას ხელი არ უნდა შეუშალოს. თვით ფირმებმა კი რუსეთის მთავარი სანიტარიული ექიმის სამსახურს უნდა წარუდგინონ თავიანთი წარმოებული პროდუქციის ხარისხის, უვნებლობისა და უსაფრთხოების დამადასტურებელი აუცილებელი დოკუმენტაცია, რომელსაც უნდა დაურთონ ამ საქონლის მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ბაზარზე (აშშ, ევროკავშირის ქვეყნები, ჩინეთი, იაპონია და სხვ.) დაშვების მოწმობები. რუსეთის ბაზარზე მათი პროდუქციის დაშვებაზე მორიგი უარის შემთხვევაში კი, საქართველოს მთავრობას ამ ფირმების ინტერესების დაცვა უკვე მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ფარგლებში მოუწევს. **[31,გვ. 11-12]**

ინფორმაციისათვის, ვიტყვით იმასაც, რომ მსოფლიოს მასშტაბით ემბარგოს (ეკონომიკური სანქციების) დაწესებაში აშშ-ი ლიდერობს, რომლის ანგარიშზეც მოდის ბოლო 40 წლის

განმავლობაში დაწესებული ემბარგოების ორი მესამედი [89,გვ.53]. მაგრამ მის, როგორც სავაჭრო პარტნიორის, არასაიმედოობაზე და არაპროგნოზირებაზე რატომღაც არავინ ლაპარაკობს.

**ქართული ღვინის შესვლა გარკვეულად გართულებულია აშშ-იც,** რადგანაც ამ ბაზარზე ძალინ პოპულარულია ადგილობრივი-კალიფორნიული ღვინოები, მათი ბაზარი გაჯერებულია ჩილეს, არგენტინის, ავსტარალიის ღვინოებით. ამ ბაზარზე, ვთქვათ, იგივე „საფერავის„ ფასი დაახლოებით სამი დოლარია, მსგავსი ტიპის ადგილობრივი ღვინო კი 70 ცენტი ღირს [35,გვ.22].

**სამაგიეროდ, ღვინის ბაზრის საკმაოდ დიდი პოტენციალია ჩინეთში,** რომელიც თავად ღვინის უმსხვილესი მწარმოებლების ხუთეულშია. აქ წელიწადში 3 მლრდი ლიტრი ღვინოზეა მოთხოვნა. აქედან საქართველომ 1%-იც რომ მოიპოვოს ეს არის 30 მლნ ლიტრი ღვინო. თუმცა, გასათვალისწინებელია, ისიც რომ ჩინეთში ღვინის შეტანაზე მაღალია ტარიფი, ასევე დაბალია ქართული ღვინის ცნობადობა. მიუხედავად ამისა **ჩინეთი ქართული ღვინის ექსპორტიორი ქვეყნების ხუთეულში მეოთხე ადგილს იკავებს რუსეთის, ყაზახეთისა და უკრაინის შემდეგ[61].**

**აღნიშნულიდან გამომდინარე, საჭიროა საქართველომ გააგრძელოს წამოწყებული ორმხრივი მოლაპარაკება ჩინეთთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების გაფორმების შესახებ, რომელიც სავარაუდოდ, 2016 წლის დამლევს დასრულდება და რომლის შემდეგაც ჩინეთს შეუძლია შეასრულოს ერთგვარი ლოკომოტივის როლი საქართველოს საგარეო სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების დივერსიფიკაციის საქმეში.** ჩემი აზრით, ჩინეთთან თავისუფალი სავაჭრო ხელშეკრულების დადების შედეგად, საქართველოს შანსი მიეცემა დაბალი ან ნულოვანი საბაჟო ტარიფებით შეიტანოს ღვინო და მინერალური წყლები, უალკოჰოლო გაზიანი სასმელები, თხილი, ჩაი, სპილენძის მადნები და კონცენტრატები, სპილენძის ჯართი და სხვა, ასევე, გაზარდოს უცხოური კაპიტალის მოცულობა

ეროვნულ ეკონომიკაში. ვფიქრობთ, ჩინური ინვესტიციები განხორციელდება საექსპორტო წარმოებებში. ჩინელი ინვესტორებისათვის საქართველოში წარმოების ორგანიზება ძალზედ მოსახერხებელი და მომგებიანი იქნება ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობის, იაფი მუშახელის, ლიბერალური საგადასახადო სისტემის, მოგების რეპატრიაციის სიმარტივის და სხვა მიზეზთა გამო. თუმცა, უმთავრესია ის, რომ აღნიშნული ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, მათ ექნებათ ევროკავშირის ბაზარზე დაუბეგრავად შესვლის შესაძლებლობა.

აღნიშნულთან ერთად, საქართველოს ღვინის ეროვნულმა სააგენტომ უნდა განახორციელოს ქართული ღვინის რეალიზაციის ხელშეწყობა ჩინეთისა და მთლიანად მსოფლიო ბაზარზე. პირველ რიგში ამ სტრატეგიის რეალიზება მოითხოვს თვით საქართველოს ცნობადობის ამაღლებას, ქართული ღვინის ბრენდის დაარსებასა და მის სტიმულირებას მსოფლიო ბაზრებზე. უპირველეს ყოვლისა, უნდა განხორციელდეს სტრატეგია, რომელიც ორიენტირებულია ძლიერი ბრენდის შექმნაზე, ქართული ღვინისადმი პოზიტიური დამოკიდებულების ფორმირებაზე და უპირატესობების გაცნობიერებაზე. მეორეც, არსებითად უნდა იზრდებოდეს ღვინის წარმოების ეფექტიანობა წარმოების ახალი მეთოდების, თანამედროვე ტექნოლოგიების, მოწყობილობების, მართვის პროცესების, ასევე მაღალკვალიფიციური სპეციალისტების დასაქმების გზით. მესამე, ეს სტრატეგია უნდა ეყრდნობოდეს ინოვაციებს, მნიშვნელოვან ინვესტიციებს სამეცნიერო კვლევებში, მარკეტინგულ ღონისძიებებს და ადამიანისეულ კაპიტალს, რაც გააუმჯობესებს სამეცნიერო და კვლევითი ინსტიტუტების საქმიანობას [5].

**დსთ-სთან ერთად საქართველოს ექსპორტის გეოგრაფიის მეორე ძირითადი ვექტორია ევროკავშირი.** საქსტატის მონაცემებით 20015 წელს საქართველოს ექსპორტი დსთ-ს ბაზარზე დაახლოებით 42%-ით შემცირდა, ხოლო ევროკავშირის ბაზარზე, პირიქით, დაახლოებით 4%-ით გაიზარდა. მთლიანად, გასულ წელს საგარეო ვაჭრობა შემცირდა 13%-ით. აქედან, იმ-

პორტი შემცირდა 10%-ით, ხოლო ექსპორტი-23%-ით[53]. საქართველოს საგარეო ვაჭრობის კლების ტენდენცია უნდა აიხსნას, ერთი მხრივ, ტრადიციულ ბაზრებზე ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესებით (რუსეთ-უკრარინის კონფლიქტის გამო, ზრდის ტემპები დაეცა არა მხოლოდ დაპირისპირებულ, არამედ მათთან ეკონომიკურ კავშირში მყოფ კავკასიისა და ცენტრალური აზიის რეგიონის ქვეყნებშიც. აზერბაიჯანის მდგომარეობის გაუარესება კი ნავთობზე მსოფლიო ფასების შემცირებამ გამოიწვია) და, მეორე მხრივ, მაღალკონკურენტიან და მაღალმომთხოვნ ევროკავშირის ბაზარზე შესვლის სირთულეებით.

**ევროკავშირის ბაზარზე შესვლის სირთულეების დაძლევისათვის, ჩემი აზრით, მუშაობა უნდა წარიმართოს სამი მიმართულებით:** საქართველოს კანონმდებლობა ჰარმონიზებაში უნდა მოვიდეს ევროკავშირის კანონმდებლობასთან, უნდა ამაღლდეს ქართული საექსპორტო პროდუქციის ხარისხი, უვნებლობა, უსაფრთხოება და მოხდეს მისი პერსპექტიული უცხოური ბაზრების მომხმარებელთათვის გაცნობა, მოწონება, მონდომება და მათ ცნობიერებაში პოზიტიური პოზიციონირება. ყველაფერი ეს ქართული ბიზნესისთვის, გარკვეულწილად, ტვირთია, რადგან ასეთი რეგულაციების დაცვა დანახარჯსაც გულისხმობს, მაგრამ მეორე მხრივ, საქონელი კონკურენტუნარიანი გახდება და მაღალ სტანდარტებს დააკმაყოფილებს, რაც საბოლოოდ, ქართულ ეკონომიკას გაზრდის. **ხაზგასასმელია, რომ თვით ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმება ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცესთან დაკავშირებით, არ აწესებს რაიმე შეზღუდვას საქართველოს მიერ სხვა ქვეყნებთან გაფორმებულ თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებებზე.** პირიქით, თავისუფალი ვაჭრობის სივრცეები, მაგალითად, ისეთ ქვეყნებთან, როგორიც არის თურქეთი, ხელს უწყობს ვაჭრობის გაფართოებას, ვინაიდან კომპანიებს ექმნებათ შესაძლებლობა ნაკლებ ფასად მოახდინონ საწარმოო პროცესებისა და იმპორტის კომპონენტების გაერთიანება. **საქართველოს შეუძლია საკუთარი ნება-სურვილის**

მიხედვით აწარმოოს სავაჭრო ურთიერთობა რუსეთთან, უკრაინასთან, მოლდავეთთან, თურქეთთან, აზერბაიჯანთან, სომხეთთან, ყაზახეთთან, ირანთან, ამერიკის შეერთებულ შტატებთან, ჩინეთთან, ან სხვა ახლანდელ თუ მომავალ პარტნიორთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებისა თუ პრეფერენციების ფარგლებში.

ევრაზიული საბაჟო კავშირის საპირისპიროდ, ევროკავშირის თავისუფალი სავაჭრო სივრცე არ ითხოვს პარტნიორებისგან თავიანთი საიმპორტო და საექსპორტო მოსაკრებელი სხვა სავაჭრო პარტნიორების ასეთივე მოსაკრებელს გაუთანაბრონ, ასევე, არ ავალდებულებს მათ, იქონიონ ასეთივე სავაჭრო პოლიტიკა მთელი მსოფლიოს მიმართ. თვით პოლონეთისა და ბალტიისპირეთის ქვეყნების გამოცდილებაც ცხადყოფს, რომ ამ ქვეყებმა ევროკავშირში გაწევრიანების პირობებშიც კი შეინარჩუნეს სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები, როგორც გეოგრაფიულად და ისტორიულად ახლომყოფ რუსეთთან, ასევე დსთ-ს სხვა ქვეყნებთან. ასე მაგალითად, პოლონეთის გამოცდილება უარყოფს იმ აზრს, რომ ევროკავშირის წევრობა ავტომატურად გამოიწვევს აღმოსავლეთის ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობების „გაგრილებას". პირიქით, პოლონეთის ევროკავშირში გაწევრიანების შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზარდა მისი ექსპორტი აღმოსავლეთის რეგიონში, კერძოდ რუსეთში, რაც გამოიწვია პოლონეთის ეკონომიკის საერთო კონკურენტუნარიანობის ზრდამ. თუ 2004 წელს აღმოსავლეთის ქვეყნების წილი პოლონეთის ექსპორტსა და იმპორტში შეადგენდა 7.0 და 9.7%-ს შესაბამისად (რუსეთზე მოდიოდა 1.7 და 2.1%), 2012 წელს იგი გაიზარდა 10.0 და 16.3%-მდე (რუსეთის წილი შესაბამისად გაიზარდა 5.4 და 14.3%-ით). ვფიქრობთ, ეს სავსებით ნორმალურია [93,გვ.2].

ის, რომ ევროკავშირის თავისუფალი სავაჭრო სივრცე ასოცირებულ და, მით უფრო, სრულფასოვან წევრებს უნარჩუნებს სუვერენულ უფლებას არაწევრ – ქვეყნებთან საგარეო სავაჭრო პოლიტიკის განხორციელებაში, ვფიქრობ, ერთდროულად კარგიც არის და ცუდიც.

მოკლევადიან პერიოდში კარგია, რადგან ქართული პრო-

დუქციის კონკურენტუნარიანობა, ხარისხი, უვნებლობა და უსაფრთხოება ერთბაშად ევროსტანდარტებზე ვერ გავა. აქ აჩქარება არ ეგების. არ უნდა გავიმეოროთ პოლონეთისა თუ ბალტიისპირეთის ქვეყნების უარყოფითი გამოცდილება. ასე, მაგალითად, ექსპერტების აზრით, **უმუშევრობის პრობლემა არის პოლონეთის ევროკავშირში გაერთიანების ნეგატიური ეფექტის ერთ-ერთი ნათელი მაგალითი.** უმუშევრობის მაღალ დონეს კი ხსნიან ფოლადისა და ქვანახშირის მრეწველობის დემონტაჟის მცდარი პოლიტიკით, რაც, თავის მხრივ, გახდა მიზეზი მძიმე მანქანათმშენებლობის დაცემისა, რომელიც ორიენტირებულია დასახელებულ ინდუსტრიაზე. ეს გამოიწვია ევროკავშირის მკაცრი გარემოსდაცვითი სტანდარტების ზეწოლამ, რომელმაც მოქმედება დაიწყო რესპუბლიკის ევროკავშირში გაწევრიანების შემდეგ. პოლონეთის ხელისუფლებამ მიზანშეუწონლად და ეკონომიკურად არარენტაბელურად ჩათვალა ამ საწარმოების ეკოლოგიურობის ამაღლებაში მნიშვნელოვანი ინვესტიციების დაბანდება. ეს მაშინ, როცა აღნიშნული დარგები ქმნიან სამუშაო ადგილების მნიშვნელოვან რაოდენობას, რომელთა ლიკვიდაციის კომპენსირებას ვერ მოახდენს მაღალტექნოლოგიური წარმოების და მცირე და საშუალო მეწარმეობის სექტორის დინამიური განვითარებაც კი. უკრაინაში კი, მძლავრი სამრეწველო საწარმოების (თუმცა, ეკოლოგიურად მავნე საწარმოების) შენარჩუნების წყალობით, მნიშვნელოვნად დაბალია უმუშევრობის დონე. უკრაინის ერთადერთი, მაგრამ საკმაოდ მნიშვნელოვანი უპირატესობა არის უმუშევრობის შედარებით დაბალი დონე **[93,გვ.3].**

ან კიდევ, ბალტიისპირეთის ქვეყნები უცებ გადავიდნენ რა ევროკავშირის სტანდარტებზე, წვრილი ფერმერების 70% გაკოტრდა, რადგანაც ისინი სწრაფად ვერ მოერგნენ ევროკავშირის სტანდარტებს და ევროპულ აკრედიტებულ სახელმწიფო კონტროლის ეფექტიან სისტემას. სწორედ ამიტომ, **საქართველომ აუჩქარებლად და თანმიმდევრულად უნდა გადახედოს და შეცვალოს ეკონომიკური კავშირები დსთ-ან. აქ გრძელვადიანი მიზნები საკმაოდ რთული და მრავალფეროვა-**

ნია. დივერსიფიცირების ანუ რისკების შემცირების მიზნით არც ერთ ქვეყანაზე (მით უფრო გარკვეული რისკების შემცველი დსთ-ს სივრცის ქვეყნებზე) არ უნდა მოდიოდეს საქართველოს ექსპორტისა თუ იმპორტის 25%-ზე მეტი და ამავდროულად ჩამოყალიბდეს საგარეო ვაჭრობის უფრო თანამედროვე, მოქნილი სტრუქტურა.

რაც შეეხება უარყოფით მხარეს, გრძელვადიან პერიოდში ყველაზე ცუდი, რაც შესაძლებელია მოჰყვეს დსთ-ან მჭიდრო ეკონომიკური კავშირების შენარჩუნებას (რასაკვირველია, იმ შემთვევაში თუ არ ამაღლდება ამ სივრცეში პროდუქციის სტანდარტები და თუ კვლავ მოხდება ეკონომიკის პოლიტიზაცია!) არის საქონლის დაბალი ხარისხი. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ დაბალი მომთხოვნელობა საქონლის ხარისხისადმი სამამულო საწარმოებს უბიძგებს მაგრად ჩაებღაუჭონ ამ ბაზრებს, ვინაიდან იქ შედარებით იოლია პროდუქციის გასაღება, ვიდრე ევროკავშირისა თუ სხვა განვითარებული ქვეყნების ბაზრებზე.

მსოფლიო პრაქტიკიდან გამომდინარე, თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებების უმეტესობა მოიცავს ქვეყნებს მსოფლიოს ერთსა და იმავე ტერიტორიაზე. მეზობელი ქვეყნები სავაჭრო პარტნიორები ხდებიან იმის გამო რომ, ჩვეულებრივ, ამ ქვეყნებს შორის საქონლის გადაადგილების მანძილი მოკლე, უსაფრთხო და ეკონომიურია; მომხმარებელთა გემოვნება მსგავსია და ამიტომ სადისტრიბუციო არხები მეზობელ ქვეყნებში იოლად ყალიბდება; მეზობელ ქვეყნებს აქვთ საერთო ენა, ისტორია, ინტერესები და უფრო მეტად სურთ თავიანთი პოლიტიკის ერთობლივი კოორდინირება [74];

თუმც, ყველა რეგიონული სავაჭრო შეთანხმებების შემთხვევაში გეოგრაფიული სიახლოვე მთავარი ფაქტორი როდია. მაგალითად, კანადისა და ისრაელის რეგიონული სავაჭრო შეთანხმება, ცხადია, არ ემყარება გეოგრაფიულ სიახლოვეს, მაგრამ, სხვა უმრავლესობა სწორედ ამ სიახლოვეზეა ნაგები. სომხეთს აქვს რეგიონული სავაჭრო შეთანხმება ყაზახეთთან, მოლდოვასთან, რუსეთის ფედერაციასთან, თურქმენეთსა და უკრა-

ინასთან. **ინდოეთს სავაჭრო ხელშეკრულებები აქვს** რეგიონში უმეტეს ქვეყანასთან. გერმანია, ევროკავშირის წევრი, აწარმოებს თავისი საქონლის 62.9 %-ის ექსპორტს ევროკავშირის სხვა ქვეყნებში და 58.3 %-ის იმპორტს მათგან. **შვეიცარია,** რომელიც არაა ევროკავშირის წევრი, მაგრამ რომელსაც აქვს სავაჭრო ხელშეკრულება ევროკავშირთან, თავისი საქონლის 59.7 %-ის ექსპორტს ევროკავშირის ქვეყნებში აწარმოებს და 78 %-ის იმპორტს მათგან.

**ჩრდილო ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება მოიცავს კანადას, აშშ-ს და მექსიკას.** მრავალი მიზეზი არსებობს იმისა, თუ რატომ აქვს რეგიონული სავაჭრო შეთანხმების შემთხვევაში დიდი მნიშვნელობა გეოგრაფიას. მეზობელ ქვეყნებს ხშირად, თუმცა არა ყოველთვის, საერთო ისტორია, ენა, კულტურა და ფულადი ერთეული აქვთ. თუ ქვეყნები ერთმანეთს არ ეომებიან, ისინი როგორც წესი, აყალიბებენ სავაჭრო კავშირებს. სიახლოვე ამცირებს სატრანსპორტო ხარჯებს, რაც სავაჭრო პროდუქტებს ზოგადად აიაფებს. სხვადასხვა კვლევებმა აჩვენა, რომ როცა ორ ქვეყანას შორის მანძილი 1 %-ით იზრდება, საერთაშორისო ვაჭრობა 1.1 %-ით კლებულობს. მეორეს მხრივ, ვაჭრობა 80 %-ით მატულობს იმ ქვეყნებს შორის, რომელთაც საერთო საზღვარი აქვთ, 200 %-ით როცა ენა საერთოა (მაგალითად ინგლისური ენა კანადასა და აშშ-ს შორის ან რუსული ენა პოსტსაბჭოურ რესპუბლიკებს შორის) და 340 %-ით, როცა ვალუტაა საერთო (მაგალითად ევრო ევროკავშირის იმ 18 ქვეყნისთვის, რომლებმაც მიიღეს ევრო). რეგიონალური სავაჭრო შეთანხმების გასაფორმებლად კიდევ ერთი სტიმული გეოგრაფიულად ახლოს მდებარე ქვეყნებისთვის ის არის, რომ ვაჭრობა სავაჭრო ბლოკის წევრებს შორის გაიზრდება 330 %-ით, ვიდრე მათ შორის ხელშეკრულების არარსებობის შემთხვევაში **[79]**

გეოგრაფიულად ახლოს მდებარე ქვეყნების საფუძველზე ჩამოყალიბებული რეგიონული სავაჭრო შეთანხმების სიკეთეების მიუხედავად, სამწუხაროდ, რუსეთი ვერ იქცა საქართველოს საიმედო სავაჭრო პარტნიორად, რადგან მის დამოკიდე-

ბულებაში პოსტსაბჭოთა ქვეყნებთან ტრადიციულად პოლიტიკური მოტივი დომინირებს, რისი ნათელი დადასტურებაა 2006 წელს საქართველოს წინააღმდეგ ემბარგოს შემოღება [62,გვ.45].

**2014 წლის 27 ივნისს, ბრიუსელში მოხდა ევროკავშირთან საქართველოს ასოცირების შეთანხმების რატიფიკაცია. თანასწორუფლებიანობაზე დამყარებულ ამ ხელშეკრულებაში ევროკავშირი არ არის წარმოდგენილი, როგორც დიდი ძმა, რომელიც საკუთარ თამაშის წესებს უკარნახებს უმცროს ძმას-საქართველოს. აღნიშნული ხელშეკრულებით, ერთი მხრივ, ხუთასოთხმილიონიანი ევროკავშირი და, მეორე მხრივ, ოთხმილიონიანი საქართველო თანასწორუფლებიანია და განიხილება ერთნაირ დონეზე.** აღსანიშნავია ისიც, რომ ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების რატიფიკაციით ოთხიმილიონიანი ბაზრის მქონე საქართველოს წინაშე ერთბაშად გადაიშალა დაახლოებით ასჯერ უფრო დიდი, მაგრამ მაღალკონკურენტული, მაღალი სტანდარტებისა და მაღალი ყიდვისუნარიანი ბაზარი. შეზღუდული საექსპორტო პოტენციალის საქართველოს კი, ცალკეული გამონაკლისის გარდა, არ ძალუძს მოკლევადიან პერიოდში მიაწოდოს მაღალმომთხოვნ ბაზარს ადეკვატური საქონელი. იკვეთება ე.წ. ბიზნესის განუხორციელებლობის სიტუაცია, როდესაც არსებობს მოთხოვნა, მაგარამ შეზღუდული საექსპორტო შესაძლებლობის საქართველოს მხრიდან არ არსებობს შესაბამისი მიწოდება. სწორედ ამიტომ, გაზრდილი საბაზრო მოთხოვნის შესაბამისი საქონლის მიწოდებისთვის საჭიროა ექსპორტზე ორიენტირებული უცხოური პირდაპირი ინვესტიციების მოზიდვა და საზღვარგარეთის ბაზრებზე შელწევისათვის ხელშეწყობა.

ცხადია, სტაბილური, უსაფრთხო და 28 ქვეყნისაგან შემდგარი ხუთასოთხმილიონიანი და მაღალი მყიდველობითუნარიანი (რეალური მშპ მოსახლეობის ერთ სულზე – 32000 აშშ დოლარი) ევროკავშირის ბაზარი უფრო მიმზიდველია, ვიდრე ოთხი ქვეყნისაგან შემდგარი 180 მილიონიანი და შედარებით დაბალი მყიდველობითუნარიანი (რეალური მშპ მოსახლეობის

ერთ სულზე-დაახლოებით – 16000 აშშ დოლარი) ევრაზიული საბაჟო კავშირი, სადაც ხშირია ეკონომიკის პოლიტიკური მიზნით გამოყენების ფაქტები. დიახ, ევროკავშირის ბაზარი ერთობ მიმზიდველია, მაგრამ ამავდროულად მაღალი მომთხოვნიც.

ევროკავშირთან საქართველოს თავისუფალი ვაჭრობის განვითარების ერთ-ერთი შემაფერხებელია ევროკავშირში უვიზო მიმოსვლის არარსებობა. შესაბამისად, 2016 შემოდგომიდან შენგენის ქვეყნებში საქართველოს მოქალაქეებისთვის ვიზების გაუქმება ანუ თავისუფალი, უვიზო მიმოსვლა (საქონლის, მომსახურებისა და კაპიტალის თავისუფალ მოძრაობასთან ერთად) ხელს შეუწყობს მეწარმეთა უშუალო კონტაქტებს და განავითარებს ბიზნესს, ხოლო ბიზნესის განვითარება ხელს შეუწყობს ეკონომიკური ზრდის ტემპების დაჩქარებასა და განვითარებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, ევროკავშირის ბიზნეს-სამყაროსთან საქართველოს სავაჭრო კავშირები უნდა გაღრმავდეს და გაფართოვდეს იმ ზომით, რა ზომითაც გაიზრდება საქართველოს პროდუქციის კონურენტუნარიანობა – ხარისხი, უვნებლობა, უსაფრთხოება და კანონმდებლობა, სახელმწიფო აკრედიტაციის სისტემა, ინფრასტრუქტურა და ადგილობრივი კადრების კვალიფიცაცია დაუახლოვდება ევროპულს და მოხდება ბილინგვიალობიდან მულტილინგვიალობაზე გადასვლა. ამასთან, განხორციელდება ქართული პროდუქციისა და მთლიანად ქვეყნის უცხოური მიზნობრივი ბაზრის მომხმარებელთა ცნობიერებაში პოზიტიური პოზიციონირება და ბრენდირება, რაც ხელს შეუწყობს საქართველოს სასარგებლოდ მომხმარებელთა არჩევანის გაკეთებას.

**ევროკავშირთან ვაჭრობის გაფართოების პარალერულად მიზანშეწონილია შენარჩუნდეს და გაღრმავდეს ვაჭრობა ევრაზიულ კავშირთან და რეგიონის სხვა ქვეყნებთან.** ასევე, ძალზე მნიშვნელოვანია, რომ საქართველომ აშშ-ში სავაჭრო პრეფერენციების გენერალიზებული სისტემა – ჯი-ეს-პი – გამოიყენოს სრულად, რაც ნიშნავს საქართველოში დამზადებული ოთხი ათასამდე დასახელების პროდუქტის ამერიკის ბაზარზე

შეღავათიანი საბაჟო განაკვეთით შესვლას. თავის მხრივ, „პრეფერენციებით“ სრულად სარგებლობა გახდება წინაპირობა აშშ-თან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ მოლაპარაკების გააქტიურებისა. ამასთან, მნიშვნელოვანია აშშ-სთან პოტენციური თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის პირობები არ მოვიდეს წინააღმდეგობაში ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წესებთან, ევროკავშირთან თვისუფალი ვაჭრობის რეჟიმის პირობებთან და ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის (შვეიცარია, ნორვეგია, ისლანდია და ლიხტენშტეინი) შეთანხმებასთან. აღნიშნულის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია, საქართველომ ევროკავშირის ჩართულობით თავისუფალი სავაჭრო რეჟიმის შემოღებასთან დაკავშირებით მოლაპარაკება აწარმოოს აშშ-თან და ჩინეთთან წამოწყებული მოლაპარაკება თავისუფალი ვაჭრობის შესახებ დამოუკიდებლივ მიიყვანოს ბოლომდე.

აქსიომატურია, რომ ადამიანებსა თუ ქვეყნებს ყველაზე მძლავრად ადუღაბებს საერთო ეკონომიკური ინტერესები, მაგრამ რატომღაც ევროპასაც საქართველო უფრო პოლიტიკურად აინტერესებს, ვიდრე ეკონომიკურად და ის ამას არც მალავს: „ევროკავშირი შეთანხმებას დებს საქართველოსთან, რადგან მიაჩნია, რომ საქართველო ადგას ევროპულ გზას და მისი სურვილი ევროპული მართვის მოდელის დამკვიდრებაა. **საქართველო ევროკავშირისთვის პოლიტიკურად მნიშვნელოვანი პარტნიორია, თუმცა, ეკონომიკურად ნაკლებ მნიშვნელოვანი.** სწორედა მიტომ ამბობს დამოუკიდებელი კვლევა, რომ შეთანხმების საერთო გავლენა ევროკავშირზე – საქართველოს სიდიდისა და დანარჩენ მსოფლიოსთან ევროკავშირის ვაჭრობაში საქართველოს წილის (0.1%) გათვალისწინებით – უმნიშვნელო იქნება. ამის საპირისპიროდ მოსალოდნელია, რომ ყოველწლიურად საქართველო დამატებითი შემოსავლის სახით თითქმის 292 მლნ ევროს, ანუ მშპ–ს 4.3%-ით ზრდას მიიღებს, თუკი რეფორმები განხორციელდება. უფრო კონკრეტულად, საქართველოს ექსპორტის საერთო მოცულობა საორიენტაციოდ თორმეტ პროცენტამდე გაიზრდება არსებული არასატარიფო ბარი-

ერების გაუქმებისა და საექსპორტო წარმოებაში პოტენციური უცხოური ინვესტიციების თავმოყრის ხარჯზე. რაც შეეხება იმპორტის მოცულობას, მკვეთრი ზრდის მძლავრი მექანიზმის უქონლობის გამო, მისი ზრდა ნავარაუდევია დაახლოებით შვიდი პროცენტით. ეს იმიტომ, რომ 2006 წლიდან მოყოლებული იმპორტის დაახლოებით 90 პროცენტი გათავისუფლებულია საბაჟო ტარიფებისაგან, ხოლო არასატარიფო ბარიერები არსებითად მოხსნილია და პრაქტიკულად არ არსებობს. ასე რომ, საქართველოს მიერ ასოცირების შეთანხმებიდან მილებული სარგებელი რეფორმების პროცესზეა დამოკიდებული." [11,გვ.3]. გამოდის, რომ სამამულო ეკონომიკის განვითარების მოძრაობა და ლოგიკა ყოველთვის არ არის განპირობებული მხოლოდ ეკონომიკური ფაქტორებით.

ყველა ნორმალური, საღად და სტრატეგიულად მოაზროვნე ხელისუფლება საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების ქვეყნობრივ (გეოგრაფიულ) და პროდუქტიულ დივერსიფიკაციას ახდენს, ბაზარზე გასვლის ახალ-ახალ, მოკლე, უსაფრთხო და ეკონომიურ გზებს ეძებს, ანუ ახორციელებს დაახლოების და არა გაუცხოების პოლიტიკას. ქვეყნისთვის ერთი და ორი საგარეო ბაზარი 25%-ზე მეტი წილით დივერსიფიკაციას არ ნიშნავს. **რაც მარავლფეროვანია, დივერსიფიცირებულია ბაზარი, მით მცირეა რისკები და მით მაღალია გრძელვადიანი წარმატებების შესაძლებლობა და პირიქით.** მაგალითად, უკანასკნელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში ქვეყნების შედარებითი ანალიზი ცხადყოფს, რომ სწრაფად **მზარდ ქვეყნებს, სადაც როგორც მოსახლეობა, ასევე ეკონომიკა იზრდება, უმეტესად აზიის სახელმწიფოები მიეკუთვნებიან. ესაა აზიური ვეფხვები:** სამხრეთ კორეა, სინგაპური, ტაილანდი, იაპონია, ჩინეთი, ინდონეზია [80,გვ.9].

საყურადღებოა, თუ რა საერთო მახასიათებლები ჰქონდა ამ ქვეყნების ეკონომიკურ განვითარებას. **ზემოთ ჩამოთვლილი სწრაფად მზარდი ქვეყნების მთავარი საერთო თავისებურება წარმოების დივერსიფიკაციის მაღალი მაჩვენებელია.** პაულ

რომერს, რომელმაც ენდოგენური ეკონომიკური ზრდის მიმართულებას ჩაუყარა საფუძველი, ეკონომიკური ზრდის ამ ფუნდამენტალური პრინციპის პოპულარულ ენაზე საილუსტრაციოდ დიასახლისის მაგალითი მოჰყავს, რომელსაც სადილის ხარისხის მუდმივად გასაზრდელად ერთი კერძის დასახვენად ძალიან დიდი ძალისხმევა სჭირდება (მუდმივად უნდა ზარდოს პროფესიონალიზმი, სამზარეულოს აღჭურვილობაზე დანახარჯები და შეიძინოს უკეთესი ხარისხის, უფრო ძვირი პროდუქტები), მაშინ როდესაც გაცილებით იოლია სხვა კერძის მომზადება და მრავალფეროვნების ხარჯზე სადილის ხარისხის გაზრდა. მართლაც, სამხრეთ კორეას რომ არ აერჩია დივერსიფიცირების გზა და ტრადიციულ კონკურენტულუპირატესობას გაჰყოლოდა, დღეს ის კვლავ ბრინჯის მწარმოებელი ქვეყანა იქნებოდა და არა მსოფლიო ლიდერი ავტომობილების, ელექტრონიკისა და ე.წ. „სმარტფონების„ წარმოებაში [26,გვ.20-21]. **მაშასადამე, ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების რატიფიკაციისა და საგარეო ურთიერთობების დივერსიფიკაციის შემდეგ საქართველოში შესაძლოა ნარმოების სრულიად ახალი დარგები აღმოცენდეს და განვითარდეს.**

დიახ, საქართველოს მცირე საექსპორტო ბაზრის გათვალისწინებით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმება უფრო ახალი საექსპორტო პროდუქციის შექმნას შეუწყობს ხელს, ვიდრე არსებულის გაფართოებას. ეს ვარაუდი განსაკუთრებით მართლდება, როდესაც არსებული საექსპორტო კალათა თითქმის არანაირ გადამუშავებულ პროდუქტს არ მოიცავს. **ჯერჯერობით საქართველოს მრეწველობის რამდენიმე სექტორი შრომის საერთაშორისო დანაწილების მილმაა.** საექსპორტო პოტენციალი კვლავ გამოუყენებელია. რეალური ეკონომიკური ზრდის არსებითი მატება, სავარაუდოდ, საქართველოს საექსპორტო კალათის მნიშვნელოვან სტრუქტურულ ცვლილებებს დაემთხვევა. ამიტომ, ექსპორტის ხელშეწყობის პოლიტიკის მიზანი იმავე პროდუქტის მოცულობის გაზრდა კი არ უნდა იყოს, არამედ იმ ახალი და მაღალი დამატებული ღირებულების საექსპორტო პროდუქტების აღმოჩე-

ნა და გამოყენება, რომელთა კონკურენტული წარმოება შესაძლებელია შედარებით დაბალი სავაჭრო ბარიერებისა და ბაზრის განვითარების ხელშემწყობი ადგილობრივი პოლიტიკის განხორციელებით **[18,გვ.79]**.

გავრცელებულია აზრი, რომ ევროპელი მომხმარებლების უდიდესი ნაწილი არ იცნობს არათუ ქართულ პროდუქციას, არამედ თვით საქართველოსაც. ასეთი, მოსაზრება მართებული იყო ევროკავშირში პოსტსოციალისტური და პოსტსაბჭოური ქვეყნების განევრიანებამდე ანუ 2004 და 2007 წლამდე. ახლა კი მოხმობილი მოსაზრება, ჩვენი აზრით, მთლად ზუსტი არ არის. იმიტომ, რომ პოსტსაბჭოურ ბალტიისპირეთის სახელმწიფოებში, საქართველოს ცნობადობა საკმაოდ მაღალია. ამდენად, სავაჭრო კომპანიები ბალტიისპირეთის ქვეყნებიდან შესაძლებელია გამოვიყენოთ ერთგვარ პლაცდარმად ევროპული, კერძოდ, სკანდინავიის სახელმწიფოების ბაზრების მაქსიმალურად ათვისებისათვის. ასეთი მიდგომით საქართველოსა და ქართული პროდუქციის ცნობადობა გაიზრდება თანმიმდევრულად. ასეთივე მიდგომა უნდა იქნას გამოყენებული ყოფილი სოციალისტური ბლოკის ქვეყნების მიმართაც, სადაც საქართველოს ცნობადობა ასევე მაღალია. ამ ასპექტში, ჩეხური და სლოვაკური სავაჭრო კომპანიები შეიძლება განვიხილოთ, როგორც ქართული პროდუქციის შემტანები ცენტრალურ ევროპაში, ხოლო ბულგარული კომპანიები შეასრულებენ იგივე ფუნქციას ხმელთაშუაზღვის რეგიონში. **[63,გვ.121-122]. ამ გზით საგრძნობლად დაჩქარდება საქართველოს ექსპორტის გეოგრაფიული ბაზრებისა და პროდუქტის დივერსიფიკაცია.**

**საქართველოს საექსპორტო პროდუქციაში რესურსების უპირატესი წილი მართლაც იმას მოწმობს, რომ ქვეყნის გადამამუშავებელი მრეწველობა ჯერ კიდევ ვერ ჩაწნულა შრომის საერთაშორისო დანაწილებაში. ეს უდავოდ პრობლემაა, მაგრამ, ამავდროულად, ექსპორტის ზრდის ერთგვარი ახალი შესაძლებლობა და რეზერვი.** საქართველოში სამრეწველო ინდუსტრიას შეუძლია დიდი წვლილი შეიტანოს ისეთი ეკონომიკის ჩამოყა-

ლიბებაში, რომელიც „სასტუმროებისა და რესტორნების“ ეკონომიკაზე დიდად უფრო მნიშვნელოვანი იქნება. მრეწველობის აღორძინების გარეშე, საქართველოს გაუჭირდება ყველაზე კვალიფიციური მოქალაქეების შენარჩუნება. თუ საქართველო უგულებელყოფს მრეწველობის ფაქტორს და „სასტუმროებისა და რესტორნების“ ეკონომიკად დარჩება, რატომ უნდა შეიწუხონ თავი საქართველოს ახალგაზრდებმა საზღვარგარეთ სწავლით, რომელიც საკმაოდ რთული და ძვირია? ან რატომ უნდა დარჩნენ ისინი საქართველოში, სადაც ცოდნისა და ნიჭის გამოყენების საშუალება არ მიეცემათ? ან საერთოდ რატომ უნდა მომზადდეს ბიზნესის მართვის სპეციალისტები? **[50,გვ.52];**

შევნიშნავთ, რომ საქართველოს კომპანიების ევროპის ბაზარზე შესვლისა და იქ დამკვიდრებისათვის მნიშვნელოვანია, არა მხოლოდ საექსპორტო პროდუქტი, სატარიფო და არასატარიფო (ტექნიკური) ბარიერების მოხსნა და ქართული პროდუქციის ცნობადობა, არამედ საერთაშორისო მარკეტინგიც. ამ მიმართებით საჭიროა ჩვენი მეწარმეების საერთაშორისო კონურენტუნარიანობისათვის მარკეტინგული ცნობიერების ამაღლება, რათა მათ შეძლონ მიზნობრივი უცხოური ბაზრიდან გამომდინარე სტრატეგიის (დიფერენციაციის, ხარჯებით ლიდერობის, ფოკუსირების) და მარკეტინგული მიდგომის (ეთნოცენტრისტული, პოლიცენტრისტული, გეოცენტრისტული) სწორად განსაზღვრა. ასევე, მნიშვნელოვანია მიმღები ქვეყნის კულტურულ თავისებურებებშიც ჯეროვნად გარკვევა ანუ კროს-კულტურული განათლება, გაცნობიერებული მოქმედების უნარი, არანაკლებ ორ კულტურულ გარემოში.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ დღევანდელი საქართველო თავისი ეკონომიკური განვითარებით არის დაახლოებით ათი წლის წინანდელი თურქეთი, ოცი წლის წინანდელი ესპანეთი და ოცდაათი წლის წინანდელი იტალია. აქედან გამომდინარე, **ქართული ფირმა, რომელიც გადაწყვეტს ოპერირებას საერთაშორისო ბაზარზე იგი შესაბამისად 10-20-30 წლით წინ უნდა იდგეს საქართველოში არსებული მდგომარეობიდან.**

მაშასადამე, ესა თუ ის ფირმა ირჩევსრა ამა თუ იმ უცხოურ ბაზარზს, მის პერსონალს აპრიორი (ავტომატურად) განესაღვრება თუ რა ცოდნა და კომპეტენცია მოეთხოვება.

ახალი, ქართული ბაზრის გახსნასთან დაკავშირებით ევროპულ კომპანიებს აქვთ ალტერნატივა: ან გაზარდონ მზა პროდუქციის ექსპორტი და ინვესტიციები ლოგისტიკაში, ან გააფართოონ კაპიტალის ექსპორტი საქართველოში, მოაწყონ აქ საკუთარი თუ ერთობლივი საწარმოები. **მსოფლიო გამოცდილებიდან გამომდინარე, ქვეყანა ეკონომიკურ ინტეგრაციას იწყებს ექსპორტ-იმპორტით და არა ინვესტიციებით.** ამიტომ, საქართველოს ევროკავშირთან ინტეგრაციის გარდამავალ ეტაპზე (ანუ ღრმა და ყოვლის მომცველი სავაჭრო რეჟიმის პირობებში) ევროპული პარტნიორი საწარმოები აქ, ალბათ, გააფართოებენ, პირველ რიგში, საქონლის ექსპორტს და არა ინვესტიციებს და ტექნოლოგიებს. ასევე, ზედმეტად არ უნდა იქნეს შეფასებული ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების მნიშვნელობა, რომ ხვალ ან ზეგ გავიღვიძებთ და საქართველოს ეკონომიკა აყვავებული დაგვხვდება. შეთანხმებით ნაკისრი ევროპული სტანდარტები და რეგულაციები ეტაპობრივად დაინერგება და გარკვეულწილად დროში გაიწელება.

ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება (DCFTA) საქართველოს ევროკავშირთან **ასოცირების შესახებ შეთანხმების** უმნიშვნელოვანესი ნაწილია, რადგან სწორედ ის მოიცავს ევროკავშირთან ეკონომიკური ინტეგრაციის მექანიზმს და საქართველოსთვის ხსნის ევროკავშირის შიგა ბაზარს. **საქართველოს მიერ გაფორმებული სხვა თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებებისაგან განსხვავებით, DCFTA გულისხმობს როგორც საქონლით, ასევე მომსახურებით ვაჭრობის ლიბერალიზაციას.** გარდა ამისა, DCFTA მოიცავს ვაჭრობასთან დაკავშირებულ საკითხთა ფართო სპექტრს (მაგ.: სურსათის უვნებლობა, კონკურენციის პოლიტიკა, ინტელექტუალური საკუთრების დაცვა, ფინანსური მომსახურება და

სხვა) და ითვალისწინებს ვაჭრობასთან დაკავშირებული საქართველოს კანონმდებლობის ეტაპობრივ დაახლოებას ევროკავშირის კანონმდებლობასთან. DCFTA საქართველოს აძლევს საშუალებას ეტაპობრივად მიიღოს ევროკავშირის შიგა ბაზრის ოთხი თავისუფლებიდან სამი: საქონლის, მომსახურების და კაპიტალის თავისუფალი გადაადგილება. **მეოთხე თავისუფლებას – ადამიანების თავისუფალ გადაადგილებას ხელს უწყობს სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის პროცესი.**

ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების დაახლოებით 80% ვაჭრობის ლიბერალიზაციაზე, ანუ ღრმა და ყოვლისმომცველ ვაჭრობაზე მოდის. **„ღრმა"** ნიშნავს იმას, რომ ხელშეკრულება ტარიფების შემცირება-გაუქმებასთან ერთად ითვალისწინებს არასატარიფო ბარიერების შემცირებას და ვაჭრობასთან დაკავშირებული რეგულაციების (ხარისხის სტანდარტი, სურსათის უვნებლობა და არასასურსათო პროდუქციის უსაფრთხოება) ევროკავშირთან დაახლოებას. **„ყოვლისმომცველი"** ვაჭრობა ნიშნავს ევროკავშირთან არა მხოლოდ საქონლისა და მომსახურების ცალკეული ჯგუფით, არამედ ფართო სპექტრით ვაჭრობას.

„ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო სივრცე„ ქართველ მენარმეებს დიდ შესაძლებლობებს სთავაზობს, თუმცა, **შეთანხმების ხელმოწერისთანავე ანუ მოკლევადიან პერიოდში ექსპორტის მაღალი მაჩვენებელი ვერ დაფიქსირდება, რადგან ქართული საექსპორტო პროდუქციისათვის უტარიფო დაშვება არ წარმოადგენს ძირითად ბარიერს.** პროდუქციის ხარისხთან ერთად სახელმწიფო კონტროლის ეფექტიანი სისტემაც გარანტირებული უნდა იყოს. მხოლოდ სახელმწიფო კონტროლის ეფექტიანი სისტემის ამოქმედების შემდეგ არის შესაძლებელი, რომ ევროკავშირმა მაღალი რისკის შემცველ პროდუტებზე (ხორცპროდუქტები, რძის პროდუქტები, თაფლი) საქართველოდან ექსპორტი დაუშვას. მენარმემ უნდა უზრუნველყოს, რომ პროდუქციის ხარისხი ევროკავშირის მოთხოვნებს აკმაყოფილებდეს. სპეციალური მომზადება სჭირდებათ სახელმწიფო

ორგანოებსაც. მაგალითად, სურსათის უვნებლობის სააგენტო უნდა იყოს იმ დონეზე, რომ მან შესაბამისი ინსპექტირების ჩატარება შეძლოს. როდესაც ქვეყანა განაცხადებს მზადყოფნას და იტყვის, რომ მაგ. ხორცპროდუქტების წარმოების სისტემა ევროკავშირის სტანდარტებს შეესაბამება, მაშინ ჩამოვა მისია და ამ სისტემას შეამოწმებს [7]. **გარადამავალი პერიოდის გასვლის, ანუ დაახლოებით რვა წლის, შემდეგ ევროპული ხარისხის მოთხოვნები სავალდებულო გახდება როგორც ექსპორტიორებისთვის, ისე ადგილობრივი ბაზრის რეალიზატორებისთვის.**

**საშუალოვადიან და გრძელვადიან პერსპექტივაში მოსალოდნელია, რომ ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმება გაზრდის სამამულო და პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს, ხელს შეუწყობს ახალი კომპანიების შექმნას და ეკონომიკის რამდენიმე სექტორის მოდერნიზებას რეფორმების საშუალებით, რაშიც საქართველოს ევროკავშირიც დაეხმარება.** ინვეტიციების მოსალოდნელი ზრდის ხარჯზე შეიქმნება სამუშაო ადგილები, რაც დადებითად აისახება ხელფასების ზრდაზე. ჰარმონიზებული წესების შემუშავება მოქალაქეებისა და ბიზნესისთვის მეტად გამჭვირვალე გახდება და უფრო მეტი შესაძლებლობა ექნებათ, მიიღონ შეთანხმების განხორციელებასთან დაკავშირებული ინფორმაცია საქართველოს მთავრობიდან. თუმცა, ევროკავშირის წევრი თუ არაწევრი ქვეყნების ინვესტორების საქართველოში მოზიდვასა და შავ ზღვაზე გასვლის საქმეში კონკურენციას გვიწევს ევროკავშირის წევრობის კანდიდატი თურქეთი, რომელსაც ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება გაფორმებული აქვს 1963 წლიდან და რომელიც მოსახლეობის რაოდენობით საქართველოს შესაბამის მაჩვენებელს დაახლოებით თხუთმეტჯერ, ხოლო მოსახლეობის ერთ სულზე მშპ-ით დაახლოებით სამჯერ აღემატება. **ე.ი. ქვეყნის ხელისუფლებამ ისე მიმზიდველად უნდა „შესთავაზოს“ საქართველო უცხოელ ინვესტორებს, რომ იგი გააცნოს, მოაწონოს, მოანდომოს და არჩიონ თურქეთს.**

სამართლიანობიდან გამომდინარე, ასოცირების შეთან-

ხმება გარკვეულწილად არათანაბარ პირობებში აყენებს მხარეებს. მაგალითად. შეთანხმების თანახმად, 28 სატარიფო ხაზზე (ხილი, ბოსტნეული, ყურძენი ანუ რაც საქართველოსთვის სტრატეგიულია) იმოქმედებს ევროკავშირში „შესვლისფასი“ – Entry Price, ანუ იმპორტის ფიქსირებული ფასი. ეს ნიშნავს, რომ თუ საქართველოში შექმნილი პროდუქციის გასაყიდი ფასი (საინვოისო ფასი) ევროკავშირის დადგენილ ფიქსირებულ ფასზე დაბალი იქნება, იმპორტიორს ამ ფასთა სხვაობის დაფარვა მოუწევს, ხოლო თუ გასაყიდი ფასი ევროკავშირის „ფასის„ ტოლი ან მასზე მეტი იქნება, პროდუქცია საბაჟო გადასახადისგან სრულად გათავისუფლდება. ევროკავშირიდან საქართველოში კი ძირითადი 28 პროდუქტი შემოვა დაუბეგრავად.

**როგორც უკვე ითქვა, საქართველოს ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთი პრიორიტეტია ენერგეტიკა.** ენერგეტიკის სფეროში, უპირველეს ყოვლისა, მთავარი ყურადღება გამახვილებული უნდა იქნეს ქვეყნის მდიდარი ჰიდრო და არატრადიციული ენერგორესურსების ათვისებაზე. არავითარ შემთხვევაში ხელაღებით არ უნდა ვთქვათ უარი მსხვილი ელექტროსადგურების (ჰუდონჰესი, ნენსკრაჰესი და სხვა) აშენებაზე, რასაკვირველია, შესაბამისი ეკოლოგიური დასაბუთების საფუძველზე. ამ საკითხების გადაჭრის დროს უნდა გვახსოვდეს, რომ გარკვეულ ეკოლოგიურ დათმობაზე წასვლა აუცილებლად მოგვიწევს, რომ გათვლები უნდა ვაწარმოოთ არა მოკლე და გრძელვადიანი პერიოდის, არამედ შორეული პერსპექტივის გათვალისწინებით, ვინაიდან ეკონომიკა სწრაფად ვითარდება და სათბობი ენერგიის მარაგები კი მსოფლიოში თანდათან იწურება. ელექტროენერგიის დეფიციტი უფრო მეტ ეკოლოგიურ (რომ არაფერი ვთქვათ ეკონომიკურ პრობლემებზე) პრობლემებს (ტყის გაჩეხვა, ანტისანიტარიის ზრდა და სხვა) წარმოშობს, ვიდრე გარკვეული ეკოლოგიური დათმობები, გამოწვეული მსხვილი ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობით. რასაკვირველია, ასევე გათვალისწინებული უნდა იქნეს ეროვნულ ფასეულობათა მტკივნეული პრობლემები. [1,გვ.24]

ისიც უნდა ითქვას, რომ ეკონომიკა მოძრაობაში მოჰყავს ენერგომატარებლებს. არადა, ევროპას არც ნავთობისა და არც გაზის დიდი მარაგები არა აქვს. ამჟამად ევროკავშირი ახდენს ნედლ ნავთობზე მოთხოვნის 70%-ის იმპორტს, ხოლო 2030 წლისათვის იგი 90%-მდე გაიზრდება. დღეს ბუნებრივი აირის 40%-მდე იმპორტირებულია, 2030 წლისათვის პროგნოზის თანახმად ეს ციფრი თითქმის 70-%მდე გაიზრდება. **[6,გვ.24-25]**. ე. ი. ამ მიმართებით ევროკავშირში არ იკვეთება ოპტიმისტური პერსპექტივა.

დაბოლოს, ფართოდ მოარული კითხვა – რატომ არა აქვს რუსეთს ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებაზე საქართველოს ხელმოწერასთან დაკავშირებით ისეთივე რეაქცია, როგორიც უკრაინის შემთხვევაში? იმიტომ, რომ **საქართველოსთვის ამ შეთანხმებაში არ არის ისეთი კაბალური პირობები, როგორიც უკრაინის შემთხვევაში: 1) საქართველოს მრეწველობა ისეთ მჭიდრო კავშირში არ არის რუსეთის სამხედრო სამრეწველო კომპლექსთან, როგორც უკრაინისა;2) რუსი მოსახლეობა ისე დიდი მოცულობით და კომპაქტურად არ არის დასახლებული საქართველოში, როგორც ეს არის უკრაინის აღმოსავლეთ ნაწილში;3) უკრაინისაგან განსხვავებით საქართველო ეკონომიკურად ნაკლებად არის დამოკიდებული რუსეთზე, ხოლო ენერგეტიკულად – თითქმის არ არის დამოკიდებული.**

მთლიანობაში, სამამულო ეკონომიკისთვის ევროპული ინტეგრაციის ვექტორის პოტენციური სარგებელი ძალიან მიმზიდველია, თუმცა, საფრთხეც ბევრია. ამ მიმართულებით წარმატების მიღწევა დიდადაა დამოკიდებული ქვეყნის ხელმძღვანელობის, სამამულო მეწარმეთა ფენისა და ევროკავშირის ერთობლივ ძალისხმევასა და მათ კოორდინირებულ მოქმედებაზე. თუმცა, მთავარი მაინც ქვეყნის ხელმძღვანელობის პოლიტიკური ნებაა ეს მოძრაობა მიიყვანოს ევროკავშირთან სრულფასოვან ინტეგრაციამდე. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ საქართველო დარჩება მხოლოდ ასოციაციისა და თავისუფალი ვაჭრობის ზონის ეტაპზე, იგი დაკარგავს ჩრდილოეთის ვექტორის შესაძლებლობებს და ამავდროულად ვერ მიიღებს საგრძნობ დივი-

დენდებს დასავლეთის მიმართულებითაც. საქართველო დარჩება ცივილიზებული ევროპის სანედლეულო და მდარე ხარისხის საქონლის გასაღების ერთგავრ დანამატად, გარკვეულწილად დაკარგავს სუვერენულობას, რადგანაც რიგ საკითხებში (როგორიცაა კანონმდებლობის ჰარმონიზება, ტექნიკური რეგლამენტაციების შემუშავება, საერთაშორისო აკრედიტაცია და მისი დაცვა, წარმოებული პროდუქციის მიერ ეკოლოგიური, ფიტოსანიტარული მოთხოვნების დაცვა და სხვა), მართვას დაექვემდებარება ბრიუსელიდან. ევროკავშირთან ინტეგრაციის საბოლოო ეფექტი დამოკიდებულია იმაზე, როგორ მოხდება შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების ქართულ რეალობაში განხორციელება. საჭიროა ამ საქმის ბოლომდე მიყვანა.

**საქართველოს მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორები არიან ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის (შვეიცარია, ნორვეგია, ისლანდია და ლიხტენშტეინი), ანუ EFTA-ს წევრი სახელმწიფოები,** რომლებიც აწარმოებენ საქართველოსთვის ისეთი მნიშვნელოვანი საექსპორტო პროდუქციის იმპორტს, როგორიცაა მინერალური და მტკნარი წყლები, ყურძნის ნატურალური ღვინოები, კარტოფილი და სხვა ბოსტნეული, თხილი და კაკალი, კენკროვანი ხილი, სანელებლები, ხილის და ბოსტნეულის წვენები. ცხადია, ეს კავშირები კიდევ უფრო გაფართოვდება, რადგანაც 2016 წლის 27 ივნისს შვეიცარიაში, ქალაქ ბერნში ხელი მოეწერა საქართველოსა და EFTA-ს შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებას, რომლის მიხედვითაც, საქართველოს დამატებით ევროპის თოთხმეტმილიონიანი მომხმარებელთა ბაზარი გაეხსნა, ხოლო მთლიანი შიდა პროდუქტი, რომელსაც ეს ოთხი ქვეყანა აგენერირებს, 850 მილიარდ აშშ დოლარზე მეტია. თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, დოკუმენტი EFTA-ის ქვეყნების საკანონმდებლო ორგანოებს რატიფიცირებისთვის გადაეცემა, რის შემდეგ ძალაში შევა. სავარაუდოდ ეს პროცედურა, მომავალი წლის პირველ კვარტლამდე დასრულდება. თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება EFTA-სთან არ არის ისეთივე ყოვ-

ლისმომცველი, როგორც ევროკავშირთან, არ მოითხოვს საკანონმდებლო დაახლოებას, თუმცა, როგორც ითქვა, საქონლისა და მომსახურების მნიშვნელოვან ნაწილს შეეხება.

**საგარეო სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის ერთ-ერთი მნივნელოვანი ვექტორია, ასევე, საქართველოდან გეოგრაფიულად შორს მდებარე აშშ-ი.** 2009 წლის 9 იანვარს ვაშინგტონში აშშ-სა და საქართველოს შორის გაფორმდა სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ ქარტია, რომლის ერთ-ერთი მიზანი იყო აშშ-სთან თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის მიღწევაზე მოლაპარაკებათა პროცესის დაწყება. 2015 წლის 4 ნოემბერს, როდესაც საქართველოს ვიცეპრემიერი გ. კვირიკაშვილი იმყოფებოდა აშშ-ი და ამ შეთანხმების ფარგლებში ჰქონდა შეხვედრა, რატომღაც მისი მხრიდან არ დასმულა კითხვა, თუ აშშ-ი რა ვალდებულებებს აკისრებს საქართველოს თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებასთან დაკავშირებით. ამერიკული მხარე კი გვეუბნება-საქართველო აშშ-ში სავაჭრო პრეფერენციების გენერალიზებული სისტემით – ჯი-ეს-პით-სარგებლობს, რაც იმას ნიშნავს, რომ საქართველოში დამზადებული ოთხი ათასამდე დასახელების პროდუქტი ამერიკის ბაზარზე შეღავათიანი საბაჟო განაკვეთით იბეგრება, მაგრამ საქართველო ამ შესაძლებლობას ჯერჯერობით სრულად ვერ იყენებს. ამდენად, აშშ-ის აზრით საქართველოსთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება ამ ეტაპზე ნაკლებ აქტუალურია. პერსპექტივაში კი აშშ-თან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების მიღწევა საკმაოდ ძლიერი მოტივი იქნება საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვისათვის. აქ ისიც სათქმელია, რომ თვით ევროკავშირსაც არა აქვს აშშ-თან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება.

მართლაც, ამერიკის შეერთებულ შტატებში ჯი-ეს-პის გამოყენებით მხოლოდ თითზე ჩამოსათვლელი პროდუქციის ექსპორტი ხორციელდება. **ესენია:** ფეროშენადნობი, ამონიუმის გვარჯილა, იზოტოპები, ხილის წვენები, უალკოჰოლო სასმელები და ასეშემდეგ. არის ისეთი პრობლემები, როგორიცაა, მაგალითად, ის, რომ შესაბამისი პროდუქცია ჩვენთან არ

ინარმოება, ასევე რთული არის გარკვეული სტანდარტების ხარისხის, ეკოლოგიური უსაფრთხოების დაკმაყოფილება. **ჯიეს-პი სისტემების გამოუყენებლობის გარდა, ქართული ბიზნესი სრულფასოვნად ვერც თურქეთთან არსებულ თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმს იყენებს.** მაგალითად, ქართველ მეღვინეებს ჯერაც არა აქვთ ათვისებული თურქეთში ღვინის უბაჟოდ ექსპორტირებისთვის გამოყოფილ კვოტა. **საქართველოს ბიზნესი ვერ იყენებს საექსპორტო შესაძლებლობებს და ამის მიზეზი ბიზნესის შიგნით არსებული პრობლემებიცაა. უპირველეს ყოვლისა, ეს არის მეტი ბიზნეს-განათლების მიღების აუცილებლობა, ფინანსურ რესურსებზე მეტი წვდომა, საგარეო ბაზრების შესახებ მეტ ინფომაციაზე წვდომა, მეტი კონკურენტუნარიანობა, მეტი უახლესი ტექნოლოგიები, მულტილინგვიალობა, ახალი ბაზრების შესწავლა-ათვისება და იქ წარმატებული ოპერირების უნარების გამომუშავება და სხვა.**

2007-2012 წლებში აშშ-ს მხრიდან საქართველოში განხორციელებულ იქნა 426.5 მილიონი აშშ დოლარის ინვესტიცია, რაც ქვეყანაში არსებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების საერთო რაოდენობის 8,4%-ს შეადგენს. აშშ-დან საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების რაოდენობამ კი 2013 წელს 44.8 მილიონი აშშ დოლარი, ხოლო 2014 წელს 80 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა. საქსტატის მონაცემებით, აშშ საქართველოს მეექვსე სავაჭრო პარტნიორია. 2014 წელს ამ ქვეყნიდან საქართველოში 207,6 აშშ დოლარის ექსპორტი განხორციელდა, ხოლო იმპორტმა 287,3 აშშ დოლარი შეადგინა.

ჩვეულებრივ, ეკონომიკურად ჩამორჩენილი ქვეყნებისათვის აგრარული სექტორის განვითარება სიღარიბის დაძლევის და ეკონომიკის ზრდის ერთ-ერთი გზაა. აგრარული პოლიტიკის უმთავრეს მიზანს მოსახლეობის სოფლის მეურნეობის პროდუქტებით მომარაგება და ჯანსაღი კვების უზრუნველყოფა წარმოადგენს. [8,გვ.180]

ამ კონტექსტში ხაზგასასმელია ისიც, რომ ტურიზმი ამწვავებს ჩვენი ქვეყნის სასურსათო უსაფრთოების პრობლე-

მას. ამჟამად საქართველოს მოსახლეობის სასურსათო მოთხოვნილების მხოლოდ 50% კმაყოფილდება საკუთარი წარმოების სასოფლო-სამეურნეო პროდუქციით, დანარჩენი კი იმპორტირებულ პროდუქციაზე მოდის.

ეს გარკვეულწილად იმით უნდა აიხსნას, რომ ხელისუფლებაში „ქართული ოცნების„ მოსვლამდე, ანუ მთელი 8 წელი, სოფლის მეურნეობა ეროვნული ეკონომიკის პრიორიტეტად არ მოიაზრებოდა [39]. ასე მაგალითად, თუ 1990 წელს საქართველოს მოსახლეობის 25% დასაქმებული იყო სოფლის მეურნეობის სექტორში. დღეს, სხვა სამუშაო ადგილების სიმცირის გამო, საქართველოს მოსახლეობის თითქმის 51% დაკავებულია სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებით. თუ 1996 წელს სოფლის მეურნეობის სექტორის პროცენტული წილი ქვეყნის მშპ-ში შეადგენდა 30%-ს, 2016 წელს შესაბამისი მაჩვენებელი შეადგენს 8,4%-ს.

ამჟამად ქვეყანაში ძირითადად მცირე მასშტაბიანი ფერმერული მეურნეობები დომინირებს. ფერმერთა 20% ერთ ჰა-მდე მიწის ნაკვეთს ფლობს და პროდუქტებს მხოლოდ საკუთარი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად აწარმოებს, 75%-ს საკუთრებაში გააჩნია ერთიდან სამ ჰა-მდე მიწის ნაკვეთი და ისინი პროდუქტებს აწარმოებენ როგორც საკუთარი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, ასევე ბაზრისათვის, ფერმერთა მხოლოდ 5% არის 100 ჰა-მდე მიწის ფართობის მფლობელი და ბაზარზეა ორიენტირებული [69].

დღეს მთლიანად მსოფლიოში, განსაკუთრებით კი განვითარებად ქვეყნებში და, მათ რიცხვში, საქართველოში უაღრესად მწვავედ დგას ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების პრობლემა (ცხადია, ტურისტული ნაკადების სისტემატური ზრდის კვალობაზე ეს პრობლემა კიდევ უფრო გამწვავდება. პროგნოზით, საქართველოში 2025 წლისთვის საერთაშორისო მოგზაურების რაოდენობის 11 მილიონამდე გაზრდაა ნავარაუდევი!). ასეთ ვითრებაში ყოვლად შეუძლებელია საქართველოში ტურიზმის ნორმალური და მდგრადი განვითარება, რადგანაც ქვეყანაში

ტურისტების მიერ შემოტანილი ფულადი სახსრები და მასთან ერთად ახალი სამუშაო ადგილები პროდუქტის იმპორტიორებს გარეთ გააქვთ, რაც ამცირებს ქვეყანაში ტურისტების დახარჯული ფულადი სახრების ცირკულაციისა და მულტიპლიკაციის ეფექტს.

აღნიშნული ერთ-ერთი მიზეზია იმისა, რომ სოფლის მეურნეობა არის ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი პრიორიტეტი. ნათქვამიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია საქართველოს სოფლის მეუნეობის განვითარება სამი მიმართულებით: 1)ქვეყნისთვის სტრატეგიული ანუ სასიცოცხლო მნიშვნელობის, სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველმყოფი მემცენარეობა და მეცხოველობა და სხვა; 2)საექსპორტო ანუ ვალუტის შემომტანი (ღვინო და ღვინის პროდუქცია, ხილი და ხილის პროდუქცია, ციტრუსები და ციტრუსების პროდუქცია, ბოსტნეული და ბოსტნეულის პროდუქცია და სხვა); 3) ვალუტის შემომტანი საკურორტო და ტურისტული ინდუსტრიის მომსახურება

საქართველოსთვის მიზანშეწონილია, ასევე, არა უბრალოდ გლეხური ნატურალური მეურნეობა, არამედ ბაზარზე ორიენტირებული, ინდუსტრიული ფერმერული მეურნეობა (კოოპერატივი), რომელიც დაფუძნებული იქნება სასოფლო სამეურნეო მუშაკებისათვის მომზადება-გადამზადების, მარცვლეულის ახალი სახეობების, სათესლემასალის, გენეტიკურად პროდუქტიული ცხოველთა ჯიშების, ნარმოების პროგრესული ტექნოლოგიების, აგრო-ტექნიკის, შხამქიმიკატების, სასუქების, საირიგაციო სისტემის, საიმედო სადისტრიბუციო არხების, ბაზრებისა და ფინანსების ხელმისაწვდომობაზე. სოფლის მეურნეს, ასევე, უნდა მიეცეს თანამედროვე ცოდნა იმასთან დაკავშირებით თუ როგორ აწარმოოს უფრო ეფექტიანად მოთხოვნადი პროდუქცია მისაღები სტანდარტებით; სად მოახდინოს უკვე მოყვანილი პროდუქტის რეალიზება. წელიწადის ნებისმიერ დროს ქართულ პროდუქციაზე ტურისტთა და მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის მნიშვნელოვანია, აგრეთვე, სასაწყობო მეურნეობა და შესაბამისი

ლოგისტიკური ცენტრები.სოფლად ეკონომიკური პოლიტიკის სრულყოფის ღონისძიებები უნდა მოიცავდეს არა მხოლოდ სასოფლო-სამეუნეო წარმოებას, არამედ საერთოდ, სოფლის კომპლექსურ განვითარებას,სოფლის მეურნეობისათვის ბაზრის მოძიებას და ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად სოფლის მეურნეობის სტრუქტურის გარდაქმნას.

ცნობილია, რომ ევროკავშირში ფართოდ არის გავრცელებული სოფლის მეურნეობის სუბსიდირება. თუ ქვეყნის სოფლის მეურნეობაში დასაქმებულია მოსახლეობის 3% და სოფლის მეურნეობის პროდუქციის წილი მშპ-ში შეადგენს 2%-ს, რასაკვირველია, მოსახლეობის დანარჩენ 97%-ს შეუძლია მოახდინოს სოფლად დასაქმებული 3%-ის სუბსიდირება. მაგრამ საქართველოში სრულიად სხვა სურათია. საქართველოში სოფლის მეურნეობის პროდუქციის წილი მშპ-ში არის 8% და სოფლად დასაქმებულია მოსახლეობის 51%. ასეთ პირობებში, ცხადია, ერთობ რთულია მოსახლეობის ერთმა ნახევარმა მოახდინოს სათანადო სუბსიდირება მეორე ნახევრისა?! ამასთან, სოფლის მეურნეობის სუბსიდირება მოკლე ვადაში ინფლაციურია. დღეს სწორედ ამგვარ მდგომარეობას აქვს ადგილი საქართველოში. სწორედ ამიტომ, სახელმწიფომ ეტაპობრივად სუბსიდირებიდან კომპანიების წახალისებაზე უნდა მოახდინოს რეორიენტაცია.

ასევე, მნიშვნელოვანია გარღვევა დასაქმების სფეროში. ამ მიმართებით რაც გაკეთდა ქვეყანაში საკმარისი არ არის იმისთვის, რომ გავარკვიოთ თუ სად ვართ ამ ეტაპზე. ამისთვის აუცილებელია შევხედოთ გლობალურ სურათს. გლობალური სურათი კი შემდეგია: გასული საუკუნის განმავლობაში ბევრი განვითარებული ქვეყანა ვითარდებოდა შემდეგნაირად – იწყებდა, როგორც სასოფლო-სამეურნეო ქვეყანა, შემდეგ გადადიოდა სამრეწველო წარმოებაზე, ამის მერე კი ყალიბდებოდა სერვისზე დაფუძნებულ ეკონომიკად. ახლა ყველა განვითარებული ქვეყანა უმეტესწილად ორიენტირებულია სერვისზე დაფუძნებულ ეკონომიკაზე. როგორია საქართველოს მაგალითი? საქართველომ დაიწყო როგორც სასოფლო-სამეურნეო ქვეყანამ, ჩვენ

არ გვქონდა საკმარისი დრო, რომ ურბანიზაციის პროცესი გაგვევლო და მთლიანად ვერ მივედით ვერც ერთ ინდუსტრიულ წარმოებაზე და ახლა ვცდილობთ, რომ ავაშენოთ სერვისზე დაფუძნებული ეკონომიკა. მოკლედ რომ ვთქვათ, ვცდილობთ დაბალი, ნაკლებად ეფექტიანი, ნაკლებად პროდუქტიული სოფლის მეურნეობის სექტორი გადავაქციოთ მაღალშემოსავლიან სერვისზე დაფუძნებულ ეკონომიკად. მაგრამ თუ ჩვენ ვამბობთ, რომ ჩვენი მიზანი არის ჩვენი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციისთვის ბაზრის მოძებნა, მაშინ ჩვენ არ გვექნება დიდი არჩევანი. რაც ჩვენ უნდა გავაკეთოთ, არის ის, რომ უნდა შევეცადოთ მოვახდინოთ ჩვენი ეკონომიკის რესტრუქტურიზაცია [58].

ჩატარებული თეორიული ანალიზიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველოს გარე სამყაროსთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის ერთადერთი გზა, იქნება ეს ევროკავშირი, ევრაზიული საბაჟო კავშირი, თუ აშშ-ი, ეს არის გზა არსაით, ჩიხისაკენ მიმავალი გზა. ჩვენი აზრით, გაანალიზებული მიმართულებები ვექტორები ერთმანეთს კი არ უპირისპირდებიან და გამორიცხავენ, არამედ ავსებენ. სწორედ ამიტომ, გამომდინარე იქიდან, რომ საქართველო არის არა მხოლოდ გლობალური ეკონომიკის, არამედ რეგიონული ეკონომიკის ნაწილიც, საჭიროა ამ მიმართებით ინტერესთა დაბალანსება, საქართველოს ეკონომიკური განვითარების მთავარი ვექტორი უნდა იყოს თანასწორუფლებიანი, ნებაყოფილობითი, ურთიერთხელსაყრელი და რისკების შემამცირებელი დივერსიფიცირებული საერთაშორისო ბაზრები და ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების ეფექტიანი განხორციელება. შესაბამისად, ძალზე მნიშვნელოვანია ევროკავშირთან ვაჭრობის პარალერულად შენარჩუნდეს და გაღრმავდეს ვაჭრობა ევრაზიულ კავშირთან და რეგიონის სხვა ქვეყნებთან. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ აშშ-სთან პოტენციური თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის პირობები არ მოვიდეს წინააღმდეგობაში მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წესებთან, ევროკავშირთან თვისუფალი ვაჭრობის რეჟიმის პირობებთან და ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის (შვეიცარია, ნორვეგია,

ისლანდია და ლიხტენშტეინი) შეთანხმებასთან. აღნიშნულის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია, საქართველომ ევროკავშირის ჩართულობით თავისუფალი სავაჭრო რეჟიმის შემოღებასთან დაკავშირებით მოლაპარაკება აწარმოოს აშშ-თან და დამოუკიდებლივ წამოწყებული მოლაპარაკება ჩინეთთან ბოლომდე მიიყვანოს.

# დასკვნა

საქართველოში ეკონომიკური ზრდის დაჩქარებისათვის ანუ ქვეყნის ეკონომიკური გააქტიურებისათვის აუცილებელია:

– **ზრდადი მოთხოვნა.** საქართველოს კი აქვს მცირე მასშტაბის ბაზარი, რომელიც ზღუდავს საშინაო ნარმოებასა და ნაკლებ იზიდავს უცხოურ ინვესტორებს. სწორედ ამიტომ, საჭიროა (თავისუფალი ვაჭრობის შესახებ არსებული და მომავალი შეთანხმებების საფუძველზე) საქართველოს საშინაო მოთხოვნას დაემატოს საგარეო მოთხოვნა, რათა გაიზარდოს ბაზრის მასშტაბი. თუმცა, ბაზრის მასშტაბის გაფართოება პანაცეა (უებარი საშუალება) არ არის. ამასთან ერთად, მიზანშეწონილია პოტენციური ბაზრების მოთხოვნების შესატყვისი საშინაო და საერთაშორისო კონკურენტუნარიანი პროდუქციის (მომსახურების) მიწოდება, ანუ ეკონომიკური ზრდა. ამასთან, ეკონომიკური ზრდის დაჩქარებითა და მდგრადი განვითარებით ამჟამინდელი თაობების მოთხოვნილებების დაკმაყოფილება უნდა მოხდეს ისეთნაირად, რომ ზიანი არ მიადგეს მომავალი თაობების მოთხოვნილებების დაკმაყოფილების შესაძლებლობას რესურსების ამოწურვისა და გარემოს დეგრადაციის გამო;

– **შვიდი და მეტი პროცენტული პუნქტით სტაბილური და გრძელვადიანი ზრდა.** საქართველოს მოსახლეობის ცხოვრების დონის სისტემატური ამაღლებისა და განვითარებული ქვეყნებისაგან ჩამორჩენის დაძლევისათვის აუცილებელია არა ბოლო ოცდახუთი წლისათვის დამახასიათებელი ეკონომიკის საშუალო წლიური 3,3%-ით ზრდა, არამედ, საგარეო სავაჭრო ეკონომიკური ვექტორების, ქვეყნობრივი (საბაზრო), სასაქონლო სტრუქტურისა და უცხოური ინვესტიციების დივერსიფიკაციის საფუძველზე გაცილებით მაღალი, შვიდი და მეტი პროცენტული მაჩვენებლით სტაბილური და გრძელვადიანი ზრდა. შემოთავაზებული ტემპით ეკონომიკის ზრდა სავსებით რეალურია საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში, რად-

განაც არსებობს ამის პრქტიკა და სერიოზული რეზერვები. ყოველივე ამის რეალიზებისათვის აუცილებელია მსხვილი უცხოური ინვესტიციები;

– **პროგნოზირებადი პოლიტიკურ-ეკონომიკური სტაბილურობა.** მსხვილი გრძელვადიანი უცხოური ინვესტიციებისათვის აუცილებელია ქვეყანაში არა არასტაბილურობის სტაბილურობა (რასაც, სამწუხაროდ, ბოლო დროს ჰქონდა ადგილი კოჰაბიტაციის სახით და დღეს გრძელდება პოლიტიკური კინკლაობის სახით) ან არა უბრალოდ მდგრადი, არამედ პროგნოზირებადი პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილურობა. ამ უკანასკნელის გარეშე ინვესტიციებზე საერთოდ და, მით უფრო, გრძელვადიან პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებზე და მის თანმდევ დადებით ეფექტებზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. არადა, ინვესტიცია ეკონომიკისთვის იგივეა, რაც საწვავი ავტომობილისთვის. როგორც საწვავის გარეშე ვერ მოძრაობს ავტომობილი, ისე ინვესტიციების გარეშე-ეკონომიკა. თავის მხრივ, ინვესტორი არის ე. წ. ლაკმუსის ქაღალდი, რომლითაც ფასდება ქვეყანაში საინვესტიციო გარემო (კლიმატი). საჭიროა ერის ერთობა და არა დაპირისპირება და გათიშულობა. ინვესტორთათვის ქვეყანა უნდა იყოს უსაფრთხო, კომფორტული და ამავდროულად არსებობდეს აქ წარმოებული პროდუქციის საერთაშორისო ბაზრებზე გატანის მოკლე, ეკონომიური და უსაფრთხო გზები;

– **კომფორტული ბიზნეს-გარემო.** საქართველოში უცხოელ ინვესტორთათვის მიმზიდველი და კომფორტული ბიზნეს-გარემოს ჩამოყალიბებისათვის საჭიროა: სწორი ეკონომიკური პოლიტიკა, პარტნიორ ქვეყნებთან ჰარმონიზებული საკანონმდებლო ბაზა, მეწარმის უსაფრთხოებისა და კერძო საკუთრების უფლებისა და გარიგებების მკაცრად დაცვა, ჯანსაღი კონკურენცია, სამეურნეო და კომერციული დავების სამართლიანი და ოპერატიული გადაწყვეტა, კანონის უზენაესობა, დასავლეთთან შედარებით იაფი სამუშაო ძალა, ელექტრონული წესის გამოყენების გამო ბიზნესის რეგისტრირების, დაწყებისა და დაბეგვრის სიმარტივე, მისაღები საგადასახადო

წნეხი და ადმინისტრირება, საგადასახადო დავის პერიოდში პირის საბანკო ანგარიშზე ყადაღის დადება მხოლოდ სასამართლოს თანხმობით, მცირე ბიუროკრატია და კორუფცია, თავისუფალი ვაჭრობის მსოფლიო რეიტინგში მოწინავე ადგილი და სხვა.

– **ეკონომიკის განვითარების მრავალვექტორიანობა.** საქართველოს გარე სამყაროსთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის ერთადერთი გზა, იქნება ეს ევროკავშირი, ევრაზიული საბაჟო კავშირი, თუ აშშ-ი ეს არის გზა მიმავალი ჩიხისკენ. ჩემი აზრით, მოხმობილი მიმართულებები (ვექტორები), ერთმანეთს კი არ უპირისპირდებიან და გამორიცხავენ, არამედ ავსებენ. სწორედ ამიტომ, გამომდინარე იქიდან, რომ საქართველო არის არა მხოლოდ გლობალური ეკონომიკის, არამედ რეგიონული ეკონომიკის ნაწილიც, საჭიროა ამ მიმართებით ინტერესთა დაბალანსება. სწორედ ამიტომ მიზანშეწონილია არა მხოლოდ დასავლეთსა და აღმოსავლეთს, ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის სატრანზიტო ფუნქციაზე, გარედან მიღებულ შემოსავლებსა და იმპორტზე ორიენტაცია, არამედ, უწინარეს ყოვლისა, საშინაო ნარმოების გაჩაღება, საშინაო და საგარეო კონკურენტუნარიანობის ამაღლება და დაკარგულ ტერიტორიებთან და სამხრეთ კავკასიის უშუალო მეზობელ ქვეყნებთან (აზერბაიჯანი და სომხეთი), მოსახლეობის რაოდენობითა და ტერიტორიით დიდ, მაგრამ ჯერ კიდევ ეკონომიკურად სუსტ ქვეყნებთან (რუსეთი, უკრაინა, ყაზახეთი, თურქეთი, ირანი, ჩინეთი და სხვა), ევროკავშირთან და განვითარებულ ქვეყნებთან (აშშ, შვეიცარია, ნორვეგია, ისლანდია და ლიხტენშტეინი, კანადა, იაპონია და სხვა) სულ უფრო სრული, ფართო, ორმხრივი ინტეგრაცია.

– **მოდერნიზაცია და დივერსიფიკაცია.** ევროკავშირთან და დანარჩენ მსოფლიოსთან ინტეგრაციის გაფართოება-გაღრმავებისათვის აუცილებელია საბაზრო მოთხოვნების შესაბამისად საქართველოს ეროვნული მეურნეობის მოდერნიზაცია და დივერსიფიკაცია. **მოდერნიაზცია** გულისხმობს პოსტსაბჭოური ეროვნული ეკონომიკის, ტექნიკისა და ტექნოლოგიე-

ბის თანამედროვე საბაზრო მოთხოვნებისა და გემოვნების შესაბამისად განახლებას, ანუ მის გათანამედროვეობას. ეს მოითხოვს ჰიდროენერგეტიკის, სოფლის მეურნეობის, კვებისა და მსუბუქი მრეწველობის, ტურიზმისა და საქართველოს, როგორც ევროპა-კავკასია-აზიას შორის სატრანსპორტო კორიდორის (ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი, ბაქო-თბილისი-ერზერუმის გაზსადენი, ევროპის ყაზახეთთან და ჩინეთთან დამაკავშირებელი ყარსი-ახალქალაქი-თბილისი-ბაქოს სარკინიგზო მაგისტრალი, საავტომობილო მაგისტრალი) და რეგიონის საერთაშორისო მნიშვნელობის ლოგისტიკური ჰაბის (ცენტრის) ფორმირებას. ამასთან, აუცილებელია ფართო რეკლამა და ბრენდირება, რომ საქართველო არის ღია, ყველაზე უსაფრთხო, ეკონომიმიური და მოკლე გზა ევროპასა და აზიას შორის. ქართული პროდუქციისა და საქართველოს ცნობადობის ამაღლება მომხმარებელს დაეხმარება პრაგმატული არჩევანის გაკეთებაში, რამეთუ გაჯერებული ბაზრის პირობებში მომხმარებლის არჩევანის საფუძველი სწორედ ბრენდის ცნობადობაა. **დივერსიფიკაცია** სხვა არაფერია თუ არა გეოგრაფიული ბაზრების, პროდუქციისა და ინვესტიციების დივერსიფიკაცია ანუ გამრავალფეროვნება. შესაბამისად, საქართველომ უნდა მოახდინოს არა მხოლოდ ტრადიციული საქონლის, არამედ მრავალი ახალი შეფარდებითი უპირატესობის საქონლის ექსპორტირება როგორც ტრადიციულ, ისე პოტენციურ და სტრატეგიულ გეოგრაფიულ ბაზრებზე, რათა არც ერთ ქვეყანაზე, მით უფრო გარკვეული რისკების შემცველი დსთ-ს სივრცის ქვეყნებზე, არ მოდიოდეს საქართველოს ექსპორტისა თუ იმპორტის 25%-ზე მეტი. დაჩქარებული ეკონომიკური ზრდისათვის მნიშვნელოვანია **პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დივერსიფიცირება,** როგორც დსთ-ის, ევროკავშირის, ისე სტარტეგიული ქვეყნების (აშშ-ი, კანადა, ჩინეთი, იაპონია და ა.შ.) მიხედვით. ამასთან, რაც მეტი ქვეყნის კაპიტალი შემოვა, მით ნაკლები იქნება რისკები და მით მეტი ქვეყანა დაინტერესდება საქართველოში მდგრადი და პროგნოზირებადი სტაბილურობითა და მშვიდობით;

– საგარეო ვაჭრობის ბალანსის უარყოფითი სალდოს მინიმიზება-ალმოფხვრა. ამ მიმართებით საჭიროა ეკონომიკური ზრდის სტიმულირება ექსპორტის ზრდით, მისი სტრუქტურის ოპტიმიზაციით და დივერსიფიკაციით (ექსპორტზე ორიენტაცია პირველ რიგში შეეხება მსხვილ სანარმოებსა და უცხოურ ინვესტიციებს. ამგვარი ორიენტაცია უფრო მეტ ხარჯებთან არის დაკავშირებული). ექსპორტზე ორიენტირებული პოლიტიკა, მსოფლიო გამოცდილებიდან გამომდინარე, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობასაც ითვალისწინებს. განვითარებად ქვეყნებში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ისეთ დარგებში იდება, სადაც იაფი ადგილობრივი რესურსები საექსპორტო პროდუქციის დასამზადებლად გამოიყენება. საქართველოსთვის, ასევე, მნიშვნელოვანია ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციასთან და ევროკავშირთან გაფორმებული ხელშეკრულების დაურღვევლად იმპორტჩანაცვლების ანუ **არაგონივრული იმპორტული პროდუქციის ადგილობრივი პროდუქციით ჩანაცვლების პოლიტიკა,** რომელიც პირველ რიგში წაახალისებს უპირატესად ადგილობრივ რესურსებზე და მომხმარებლებზე მომუშავე მცირე და საშუალო ბიზნესს, შეამცირებს არარაციონალურ იმპორტს, ქვეყნიდან ვალუტის გადინებას და გაზრდის სამუშაო ადგილებსა და შემოსავლებს. ქართველმა მეწარმეებმა ჯერ უნდა აითვისონ შინა ბაზარი და მერე ეცადონ მსოფლიო ბაზარზე გასვლა-დამკვიდრებას. სხვაგვარად, თუ არა გაქვს შესაძლებლობა სხვა ქვეყანაში შექმნა „მეორე ეკონომიკა", უნდა შექმნა საკუთარი საშინაო ბაზარი და შეამცირო სხვა ქვეყნების „მეორე ეკონომიკები". სწორედ ამისათვის არის აუცილებელი იმპორტჩამნაცვლებელი პოლიტიკა. წინააღმდეგ შემთხვევაში საქმე გვექნება ქართულ თქმასთან: „ძაღლი შინ არ ვარგოდა და სანადიროდ გარბოდაო!". **გონივრულად უნდა იქნას გამოყენებული რეექსპორტი.** რეექსპორტის ხელშეწყობისათვის საჭიროა საქართველოს ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობის, ტრანზიტის პირობებისა და საკანონმდებლო გარემოს გონივრული გამოყენება, ასევე, რეექსპორტთან დაკავშირებული

სპეციფიკური ოპერაციების მაქსიმალურად კომფორტულ პირობებში ჩატარება. სავაჭრო დეფიციტის მქონე საქართველოს უნდა გააჩნდეს, აგრეთვე, საერთაშორისო სავალუტო რეზერვები, არანაკლებ ერთი თვის იმპორტის სამმაგი ოდენობისა, რომელიც საჭიროების შემთხვევაში იქნება გამოყენებული;

– **ევროკავშირის ბაზარზე შესვლის სირთულეების დაძლევისათვის, ჩემი აზრით, მუშაობა უნდა წარიმართოს სამი მიმართულებით:** საქართველოს კანონმდებლობა ჰარმონიზებაში უნდა მოვიდეს ევროკავშირის კანონმდებლობასთან, უნდა ამაღლდეს ქართული საექსპორტო პროდუქციის ხარისხი, უვნებლობა, უსაფრთხოება და მოხდეს მისი პერსპექტიული უცხოური ბაზრების მომხმარებელთათვის გაცნობა, მოწონება, მონდომება და მათ ცნობიერებაში პოზიტიური პოზიციონირება;

– **ევროპასთან ჰარმონიზებული ინსტიტუციონალური გარემო (იმპლემენტაცია).** ევროპული ინსტიტუციონალური გარემო კი გულისხმობს არა მხოლოდ ცივილიზებულ კანონებს, სამართლებრივ ნორმებსა და ინსტიტუტებს, რომლებიც მიიღებენ და დაიცავენ კანონებს, არამედ მოსახლეობის მართლშეგნების, კანონისადმი მორჩილების, პატივცემლური დამოკიდებულების გამომუშავებას, ე. ი. მართლშეგნების მდიდარ ტრადიციასაც. ცხადია, ყოველივე ამას, ანუ საქართველოს მოსახლეობის ევროპეიზაციას, გარკვეული დრო სჭირდება. მით უფრო საქართველოში, სადაც, დიდი ილიას თქმით, კანონი გზაზე გადებული თოკია, რომელსაც დიდი კაცი ზემოდან გადააბიჯებს, პატარა კაცი კი ქვემოდან ძვრება;

– **ქართული კომპანიების მიერ საგარეო მიზნობრივი ბაზრების შერჩევა ზომის, ზრდის ტემპისა და საკუთარი შესაძლებლობების მიხედვით.** ამასთან, რამდენადაც საქართველოს კონკურენტუპირატესობა ევროკავშირის ქვეყნების ბაზარზე არაწევრ ქვეყნებთან შედარებით პროდუქციის ნულოვანი საბაჟო განაკვეთით შეტანაა, ამდენად ლოგიკურია კონკურენცია გაეწიოს სწორედ არაწევრ ქვეყნებს;

– მეწარმეობის განვითარების ხელშემწყობი სახელმწიფო

პროგრამის „აწარმოე საქართველოში“- ფარგლებში **აფხაზებს და ოსებს,ასევე, ევროკავშირის არაწევრ ქვეყნებს საშუალება უნდა მიეცეთ საქართველოს შეღავათებით ისარგებლონ ევროკავშირის ბაზარზე** (ამასთან დაკავშირებით ლოგიკურია გავიხსენოთ, რომ იაპონიამ ჩრდილო ამერიკისა და ევროკავშირის ბაზარზე შესვლისათვის ადგილობრივი საწარმოები გახსნა მექსიკაში და დიდ ბრიტანეთში!);

**– იმგვარი რეგულაციების შემოღება რომელშიც დაბალანსდება ქვეყნის, ბიზნეს-სექტორისა და ევროკავშირის ინტერესები.** ბოლო პერიოდში მთავრობის მხრიდან ბიზნეს-გარემოს გამაუარესებელი რეგულაციების მიღება განაპირობა იმან, რომ ბიზნეს-ასოციაცია არ იყო ჩართული გადაწყვეტილებების მიღებაში. ახლა ეს შეცდომები მთავრობამ აღიარა, გაითვალისწინა და შეუდგა მათ გამოსწორებას. სწორედ ამიტომ საჭიროა მუდმივი, დროული დიალოგი (კომუნიკაცია), მეცნიერებას, კერძო სექტორსა და სახელმწიფოს შორის, რათა გამოირიცხოს, ან მინიმუმამდე დავიდეს ბიზნეს-გარემოს გამაუარესებელი სამთავრობო გადაწყვეტილებები. მაგალითად ისეთები, როგორიცაა: ინვესტიციების შემაკავებელი შრომითი მიგრაციის კანონი, შრომის ინსპექცია, ტურისტთა ნაკადების შემამცირებელი საავიზო რეჟიმი, მიწებისა და უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვის შემზღუდველი კანონები და სხვა, რაც ამცირებს პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს, ექსპორტს, ტურისტთა ნაკადებს, დოლარის შემოდინაბას, ხელს უწყობს ლარის დოლარის მიმართ გაუფასურებას. ვალუტის კურსის მკვეთრი რყევები (დევალვაცია-რევალვაცია) ნიშნავს არსტაბილურ მაკროეკონომიკურ გარემოს. ბიზნესს კი იზიდავს სტაბილური გაცვლით კურსი, რადგან ამ დროს არ არსებობს, ან მცირეა სავალუტო რისკები. არადა, სწორედ სახელმწიფოს პრეროგატივაა დაიცვას ეროვნული ფულის (ლარის) სიმტკიცე, ისე როგორც ამას აკეთებენ პატრიოტი მესაზღვრეები ქვეყნის საზღვრების მიმართ;

**– ეკონომიკის განვითარებაში მემკვიდრეობითობის კულტურის გამომუშავება.** ამგვარი კულტურის დამკვიდრებისათ-

ვის მთავარ რეფორმატორად უნდა გამოვიდეს არა რომელიმე პოლიტიკური პარტია (პოლიტიკური პარტია შეიძლება დაიშალოს, სახელმწიფოს დაშლა კი მიუღებელია. პოლიტიკურ პარტიას არა აქვს გრძელვადიანი პროგრამა, ის ოთხი წლით მოდის და მიდის, სახელმწიფო კი რჩება), არასამთავრობო ორგანიზაცია თუ რელიგიური ორგანიზაცია, არამედ სახელმწიფო, რათა ახალმა ხელისუფლებამ წინას იგნორირება არ მოახდინოს. მაგალითად „ნაციონალური მოძრაობის" მიერ შემუშავებული და 2011 წლიდან ამოქმედებული საგადასახადო კოდექსი ითვალისწინებდა საშემოსავლო გადასახადის ეტაპობრივად 20%-დან 15%-მდე შემცირებას. კერძოდ, კანონით განსაზღვრული გრაფიკის თანახმად, 2013 წლამდე საშემოსავლო გადასახადი 20%, 2014 წლამდე – 18%, ხოლო შემდგომ 15% უნდა გამხდარიყო. ე.ი. მოგების გადასახადი და საშემოსავლო გადასახადი უნდა გამოთანაბრებულიყო, ანუ საგადასახადო ტვირთი დამქირავებელზე და დაქირავებულზე თანაბრად უნდა განაწილებულიყო. „ნაციონალური მოძრაობის„ შემდეგ ხელისუფლებაში მოვიდა „ქართული ოცნება„ და მემკვიდრეობის განხორციელებაზე უარი განაცხადა. სამაგიეროდ შემოიღო არაეფექტიანი, ლარის დევალვაციისა და ინფლაციის მასტიმულირებელი, ე.წ. „დაუბეგრავი მინიმუმის უკან დაბრუნების პრაქტიკა", რომელზეც, საბოლოო ანგარიშში, თავადვე განაცხადა უარი;

**– ბიფოკალური (ორად განშტოებული) ხედვა.** ხელისუფლებასა და ბიზნეს-სექტორს საჭიროა ჰქონდეს ბიფოკალური (ორად განშტოებული) ხედვა, თვალს ადევნებდეს და დროულად რეაგირებდეს არა მხოლოდ მიმდინარე ცვლილებებზე, არამედ მომავალში მოსალოდნელ გამოწვევებზეც, საფრთხეებზე და შესაძლებლობებზეც. მაგალითად, რუსეთში მოხმარებული სურსათის 20% თურქული წარმომავლობისაა. ცნობილია, რომ მას შემდეგ, რაც თურქეთმა რუსული სამხედრო ბომბდამშენი ჩამოაგდო, მოსკოვმა ანკარას ეკონომიკური სანქციები დაუწესა და უარი განაცხადა თურქეთისგან სურსათის შესყიდვა-

ზე, რაც თურქეთისთვის საკმაოდ დიდი დანაკარგია. აღნიშნული სურსათის ნაწილმა შესაძლოა რუსეთის მაგიერ საქართველოში შემოაღწიოს. 4,5 მილიონი რუსი ტურისტიდან, რაც თურქეთში უნდა წასულიყო, ნაწილი, ალბათ, საქართველოსკენ წამოვა. ასევე, სავარაუდოდ, საქართველოს ესტუმრება უკრაინელი ტურისტების ის ნაწილი, რომელიც ზაფხულში ყირიმში ისვენებდა. ვართ ამ გამოწვევებისთვის მზად?! რატომაა, რომ შიდა ტურისტები სასტუმროს ნომრის წინასწარი დაჯავშნისას იხდიან დამატებული ღირებულების გადასახადს, უცხოელები კი არა. ხომ არ ხდება ამით, ადგილობრივი ტურისტების დისკრიმინაცია?!

**– ინფრასტრუქტურის სხვადასხვა კომპონენტის განვითარება.** საქართველოს ეკონომიკის მოდერნიზაცია და დივერსიფიკაცია შეუძლებელია ინფრასტრუქტურაში მნიშვნელოვანი ინვესტიციების, საავტომობილო ტრასებისა და რკინიგზის, აეროპორტებისა და საზღვაო პორტების მშენებლობის გარეშე. აუცილებელია **ინფრასტრუქტურის უმთავრესი კომპონენტის, ადამიანისეული კაპიტალის დაცვა და განვითარება,** რადგანაც ქვეყნის წარმატების საწინდარია ადამიანი, რომლის „ჯანმრთელ სხეულში ჯანმრთელი სულია". ამისათვის მნიშვნელოვანია მეტი ინვესტიციები განათლებასა და ჯანდაცვაში, რამეთუ ქვეყანას იაფი და უხარისხო ცოდნა უფრო მეტი უჯდება, ვიდრე ძვირი, მაგრამ ხარისხიანი ცოდნა. ხშირად თავს ვიწონებთ, რომ საქართველო იაფი მუშახელის გამო მიმზიდველია უცხოელ ინვესტიორთათვის და გვავიწყდება, რომ იაფი მუშა-ხელი დაბალ კვალიფიკაციას, დაბალ შემოსავალს ნიშნავს, დაბალი შემოსავალიკი-ცხოვრების დაბალ დონეს, სილარიბეს. ხაზგასასმელია, ისიც, რომ დაბალკვალიფიციური მუშაკი (იაფი მუშა-ხელი) და ინოვაციები, მონინავე ტექნიკა-ტექნოლოგია შეუთავსებელი მოვლენებია, რაც ბუნებრივად აფერხებს პროგრესს და ცოდნაზე დამყარებული ეკონომიკის მშენებლობას;

**– სტაბილურობისათვის საშუალო კლასისის ფორმირება.**

საშუალო კლასისის ფორმირებისათვის კი აუცილებელია ინოვაციური ეკონომიკის წახალისება. ინოვაციური ეკონომიკის სუბიექტებია: მეცნიერი, გამომგონებელი და მეწარმე. მეცნიერის ფუნქციაა სამყაროს შესახებ მეცნიერული ცოდნის მატება. შედეგია აღმოჩენა; გამომგონებლის ფუნქციაა აღმოჩენის გარდაქმნა ახალ სამოხმარებლო ფასეულობად. შედეგია გამოგონება. მეწარმის ფუნქციაა გამოგონების გარდაქმნა საქონლად (გამოგონების უტილიზაცია ანუ გამოყენება). შედეგია ინოვაცია. ინოვაციური ეკონომიკა კი ჩვენს ხელთ არსებული შეზღუდული რესურსების ეფექტიანი გამოყენების ერთ-ერთი საუკეთესო გზაა;

– **საკუთარი ადამიან-კაპიტალის დაცვა-შენარჩუნება ე.წ. „ტვინების გადინებისაგან" და მისი განვითარება.** დღეს ეკონომიკურ რესურსებს შორის მთავარია თანამედროვე ცოდნით, მდიდარი გამოცდილებით, შინაგანი განახლების უნარით, მსოფლიო ენით, ტექნიკითა და ტექნოლოგიით და კომუნიკაბელური თვისებებით აღჭურვილი ადამიანები, რადგანაც ამგვარი პირადკონკურენტუნარიანი ადამიანების გარეშე წარმოუდგენელია კონკურენტუნარიანი ფირმები, ხოლო კონკურენტუნარიანი ფირმების გარეშე წარმოუდგენელია საშინაო თუ საერთაშორისო კონკურენტუნარიანი ქვეყანა. აქტუალურია მაღალკვალიფიციურ და მაღალანაზღაურებად შრომაზე დამყარებული ინოვაციური ეკონომიკის შექმნა, ინტერნეტით მოსარგებლეთა რაოდენობის ზრდა, საზღვარგარეთ მოგზაურობა, მრავალი ქვეყნის გაცნობა და თანამედროვე განათლების მიღება;

– სამუშაო ძალის ჰორიზონტალური მობილობის მიზნით შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად განათლების უწყვეტი სისტემის, პროფესიული მომზადებისა და გადამზადების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და ტრეინინგ კურსების დანერგვა, რამეთუ სათანადო ცოდნის, გამოცდილების, უნარჩვევებისა და მუდმივი განახლების უნარის მქონე ადამიანების გარეშე არავითარი კონკურენტუნარიანი რესურსი არ არსებობს;

– სახელმწიფოს ეკონომიკური და პოლიტიკური ინსტიტუტების ფორმირება- განვითარება. კერძოდ, ეკონომიკას პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს პოლიტიკასთან მიმართებაში ანუ ეკონომიკა უნდა განთავისუფლდეს პოლიტიკის ტყვეობისაგან. პოლიტიკას მართავდეს ეკონომიკა, ხოლო ეკონომიკას – ფული. ეროვნული ფული აღნიშნულ ფუნქციას ჯეროვნად ასრულებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მყარია, სტაბილურია. მაშასადამე, ეროვნული ფულის (ლარის) მკვეთრი რყევებისაგან (დევალვაცია, რევალვაცია) დაცვა სახელმწიფოს პრეროგატივაა უნდა იყოს; _

– კანონის უზენაესობა. ცხოვრების ყველა სფეროში ყველაზე მაღლა უნდა იდგეს კანონი და გამოირიცხოს შერჩევითი სამართლიანობა. კანონის უზენაესობა საიმედოდ დაიცავს კერძო საკუთრებას. თუ შეილახა კერძო საკუთრების უფლება, ან წარმოიშვა სამეუნეო დავა, უნდა არსებოდეს ობიექტური, მიუკერძოებელი სასამართლო, რომელიც დაიცავს სამართლიანობას. მნიშვნელოვანია ხელისუფლების შტოების ურთიერთშეკავების, წონასწორობისა და კოორდინირებული საქმიანობის მექანიზმი, რომელიც აუცილებელია ყველა დონის ჩინოვნიკებზე კონტროლისა და ეფექტიანი მართვისათვის. სტაბილური და პროგნოზირებადი კანონმდებლობისა და ინვესტიციური რეჟიმის გარეშე შეუძლებლია კაპიტალის და „ნოუ-ჰაუს" მოზიდვა, საქართველოს მოსახლეობისა და მისი ბუნებრივი რესურსების მთელი პოტენციალის რეალიზება და ჯანსაღი ეკონომიკური განვითრების უზრუნველყოფა;

– სისტემური მიდგომა. ეროვნულ მეურნეობას აალორძინებს ცალკე აღებული არა მრეწველობა, ტურიზმი, აგრარული, ფინანსური ან სამშენებლო სექტორი, არამედ სისტემური მიდგომა, ბიზნესის ინოვაციური ფორმა- მეწარმეობა, რომელიც უფრო ფართო მოვლენაა და ეხება ეკონომიკის ყველა დარგსა და რეგიონს. სწორედ ამიტომ, მიზანშეწონილია სახელმწიფოს მხრიდან მეწარმეობის ნახალისების პოლიტიკის გატარება რეგიონებში, რადგანაც მსოფლიო ბანკის კვლევებით ქვეყნის ეკონომიკა როგორადაც უნდა გაიზარდოს, დოვლათი არ ნა-

წილდება რეგიონებზე და ძირითადად დედაქალაქში აკუმულირდება, რაც აღრმავებს შემოსავლებრივ უთანაბრობას თანმდევი უარყოფითი ეფექტებით (შრომითი ემიგრაცია შინ და გარეთ, ამის გამო ოჯახების ნგრევა და სხვ.).იმგვარი სახელმწიფოებრივი პოლიტიკა (ფინანსური დახმარება, უფასოდ ბიზნესის მართვის ცოდნის გაუმჯობესება), რომლითაც მოხდება ადგილობრივი მეწარმეობის კონკურენტუნარიანობის ამაღლება, შემცირდება რეგიონის მკვიდრთა დედაქალაქში მიგრაცია, რეგიონში ჩამოყალიბდება თანამედროვე ბიზნესპრაქტიკა, ადგილებზე მოხდება შემოსავლების გამომუშავება და ათვისება და რამდენადმე შერბილდება რეგიონებსა და ცენტრს შორის შემოსავლებრივი უთანაბრობა;

– ევროპის ბაზარზე შესვლისა და იქ დამკვიდრებისათვის მნიშვნელოვანია, არა მხოლოდ სატარიფო და არასატარიფო (ტექნიკური) ბარიერების მოხსნით საექსპორტო პროდუქტის სტიმულირება, არამედ საერთაშორისო მარკეტინგიც. ამ მიმართებით საჭიროა ჩვენი მეწარმეების საერთაშორისო კონურენტუნარიანობისათვის მარკეტინგული ცნობიერების ამაღლება, რათა მათ შეძლონ მიზნობრივი უცხოური ბაზრიდან გამომდინარე სტრატეგიის (დიფერენციაციის, ხარჯებით ლიდერობის, ფოკუსირების) და მარკეტინგული მიდგომის (ეთნოცენტრისტული, პოლიცენტრისტული, გეოცენტრისტული) სწორად განსაზღვრა;

**– საქართველოს სოფლის მეუნეობის განვითარება სამი მიმართულებით:** 1)საექსპორტო ანუ ვალუტის შემომტანი (ციტრუსები და ციტრუსების პროდუქცია, ღვინო და ღვინის პროდუქცია, ხილი და ხილის პროდუქცია, ბოსტნეული და ბოსტნეულის პროდუქცია და სხვა); 2) ვალუტის შემომტანი საკურორტო და ტურისტული ინდუსტრიის მომსახურება; 3)ქვეყნისთვის სტრატეგიული ანუ სასიცოცხლო მნიშვნელობის, სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველმყოფი მემცენარეობა და მეცხოველობა;

**– სოფლის მეურნეობისათვის ბაზრის მოძიება, ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად სოფლის მეურნეობის სტრუქტურის**

**გარდაქმნა, ფინანსებზე ხელმისაწვდომობა, ბიზნეს-ცოდნა და ამის საფუძველზე მწარმოებლურობის ამაღლება.** თუ სოფლის მეურნეობაში არ ამაღლდა შრომის მწარმოებლურობა, არ გამოთავისუფლდა აქედან სამუშაო ძალა სხვა დარგებისათვის, ვერ განვითარდება მასთან დაკავშირებული კვების მრეწველობა და მსუბუქი მრეწველობა, სადაც სამრეწველო პროდუქციის 50-60% იწარმოება და სადაც გაბატონებულია მცირე და საშუალო ბიზნესი. ვერ განვითარდება ტურიზმი და მომსახურების სხვა დარგებიც. სოფლის მეურნეობის ბუნებრივ კატაკლიზმებზე (გვალვა, ჭარბ ნალექიანობა და სხვა) დიდად დამოკიდებულებისა და მაღალრისკიანობის გამო საჭიროა გამართული აგროდაზღვევის სისტემა სახელმწიფოს თანამონაწილეობით, რათა პოტენციურ მეწარმეებს არ დაეკარგოთ აგრარული ბიზნესის წარმოების აპეტიტი და საშიშროება არ შეექმნას ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოებასა და სოფლის მეურნეობაზე მიბმული დარგების განვითარებას;

**– წვრილი გლეხური მეურნეობების გაერთიანება სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებში.** სასოფლო სამეურნეო საწარმოების ეფექტიანობის ამაღლების უმთავრესი გზაა თავისუფალი საბაზრო ეკონომიკა. საჭიროა კოოპერაციის ფართოთ განვითარება სოფლად. ნახალისდეს მსხვილი ფერმერული და არა წვრილი გლეხური მეურნეობები, რომლებიც უპირატესად საკუთარი მოხმარებისათვის აწარმოებენ პროდუქციას. თუ გავითვალისწინებთ ჩვენი ქვეყნის ევროპისაგან დაცილების მანძილს, აქცენტი უნდა გადავიტანოთ არა ნედლ, მალფუჭად, არამედ გადამუშავებულ, მაღალი დამატებული ღირებულების შემცველ სამრეწველო პროდუქციაზე;

**– ჯანსაღი კონკურენცია.** საქართველოში ბიზნესის პოლიტიზაცია და პოლიტიკის ბიზნესიზაცია, ასევე, საბანკო სექტორის მიერ არაპროფილური ბიზნესების (ვთქვათ, საბინაო საამშენებლო ბიზნესის) წარმოება აყალიბებს არაჯანსაღ კონკურენციას, არაეფექტიან ეკონომიკას, რომელში გამარჯვებული კომპანია საერთაშორისო ბაზარზე ვერ იქნება კონკურენტუნარიანი.

ჩემი აზრით, ზემოთ ჩამოთვლილი ურთიერთდაკავშირებული ღონისძიებების გათვალისწინება და გატარება ძლიერ გავლენას მოახდენს საქართველოს საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების დივერსიფიცირებაზე, ეკონომიკურ ზრდაზე და მოსახლეობის საყოველთაო და დიფერენციულ კეთილდღეობაზე.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. აბესაძე რ. საქართველოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების ზოგადი ასპექტები. საქართველოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების ზოგიერთი მიმართულება. თბ., 2013.
2. არჩვაძე ი. სტატისტიკური შოკი. კვირის პალიტრა. 16 აპრილი. 2014.
3. ასათიანი რ. თანამედროვე ეკონომიკის ენციკლოპედიური ლექსიკონი. თბ., 2012.
4. ბალცეროვიჩი ლ. სახელმწიფო გარდამავალ პერიოდში.თბ., 2002.
5. ბერულავა გ. ბიზნესის განვითარება. საქართველოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების ზოგიერთი მიმართულება. თბ., 2013.
6. ბიულეტენი №13. 1998წ. ივლისი. საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი.
7. გაბუნია მ. www. Eugeorgia. Info.
8. გველესიანი რ., გოგორიშვილი ი. ეკონომიკური პოლიტიკა, წიგნი II. თბილისი, 2012.
9. გრიშიკაშვილი ა. საქართველო გლობალურ სამყაროში. თბ., 2010.
10. გრიშიკაშვილი ა. ჩვენ ევროპელები. თარგმანი პოლონურიდან, თბ.,2007წ.
11. ევროკავშირი და საქართველო: მითები და რეალობა. www.netgazeti.ge.
12. ევროპელები მიხვდნენ, რომ გააქტიურების დროა. გაზ. „24 საათი". 2006წ. 8 ივნისი, №125.
13. ენდრიუსი ბ. ამერიკის კომერციის მდივნის მოადგილე, http://medianews.ge/ 11.03.2016.
14. ვინსენტზი ვ. სავაჭრო პოლიტიკა და საქართველოს ექსპორტი. საქართველოს ეკონომიკური ტენდენციები. 2006წ. ოქტომბერი.
15. ვეშაპიძე შ., ლეკაშვილი ე., გრიშიკაშვილი ა., ასლამაზიშვილი ნ. მსოფლიო ეკონომიკა. 2008.
16. ზარანდია ჯ. საქართველო თანამედროვე მსოფლიოში გლობალიზაციის და ინტეგრაციის კონტექსტში. ეკონომი-

კისა და ეკონომიკური მეცნიერების აქტუალური პრობლემები (27-28 ივნისი, 2014 28 ივნისი).
17. ზირაქიშვილი ლ. ქართული პროდუქცია მსოფლიო ბაზრებზე გასასვლელ პოტენციალს ვერ იყენებს. ჟურნ. „ბიზნესი და კანონმდებლობა", აპრილი, 2010.
18. იმპორტირებული გაყინული ხორცი – რა შემოწმებებს გადის პროდუქცია ქართულ ბაზარზე მოხვედრამდე? commersant.ge 24.03. 20015.
19. კაკულია მ. ქართული ექსპორტის ევროპული ჰორიზონტი. გაზეთი „24 საათი", 2007 წ. 11 ივნისი.
20. კაკულია ნ. თანამედროვე ეკონომიკური სისტემების მდგრადობის პრობლემები – ეკონომიკის ციკლურობა. ეკონომიკისა და ეკონომიკური მეცნიერები განვითარების აქტუალური პრობლემები (27-28 ივნისი, 2014 28 ივნისი, 2014 28 ივნისი, 2014).
21. კონლი ჯ. იმპორტის ჩანაცვლებას საქართველოსათვის ბევრი სასიკეთო შედეგის მოტანა შეუძლია – 24 საათი. 4 ნოემბერი, 2009.
22. ვერნონი რ. სახელმძღვანელო გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებისათვის. ეკონომიკური რეფორმები დღეს. 1999წ. №1.
